საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ავთანდილ
იოსელიანი

# რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან

(XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი 1955

# შესავალი

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური, და კულტურულ-ეკონომიური კავშირი ჯერ კიდევ XI საუკუნიდან მყარდება. ეს კავშირი შეუნელებლად ღრმავდებოდა და ვითარდებოდა, მონღოლ-თათართა შემოსევამ მხოლოდ დროებით შეაფერხა იგი.

კულტურითა და სოციალ-ეკონომიური განვითარებით ერთმანეთთან ახლო მდგომ ამ ხალხთა მჭიდრო კავშირ-ურთიერთობათა საფუძველზე ჩაისახა და ჩამოყალიბდა მათი საბრძოლო თანამეგობრობა, როგორც გარკვეული ისტორიული კანონზომიერი მოვლენა; ეს საბრძოლო თანამეგობრობა იმთავითვე მთლიანად დაუქვემდებარდა უცხო დამპყრობთაგან სამშობლოს დაცვის უკეთილშობილეს მისწრაფებებს და გადაიქცა რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიულ საფუძვლად. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა იწრთობოდა და ღრმავდებოდა ჩვენი სამშობლოს საერთო მტრების—ირან-თურქეთის, ინგლის-საფრანგეთისა და მათი აგენტების წინააღმდეგ მიმართულ ერთობლივ ბრძოლებში.

„საუკუნეებით მწიფდებოდა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიული მეგობრობა; იგი შემზადებულია ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ და გამტკიცებულია მათივე სისხლით საერთო მტერთან მრავალრიცხოვან ბრძოლებში. იგი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა განთავისუფლებული რუსი და ქართველი ხალხების ურყევი ძმური კავშირისა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ლენინურ-სტალინური მეგობრობა სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა მიწა-წყალზე“[1].

რუს და ქართველ ხალხებს საბრძოლო თანამეგობრობისაკენ ისტორიულად მოუწოდებდა მრისხანე საგარეო საფრთხე და მასთან დაკავშირებული თავიანთი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სასიცოცხლო ინტერესები; მათი საბრძოლო ერთობლივი

---

[1] ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებისადმი, 1943 წ. 15 მაისი.

მოქმედება გაპირობებული იყო საერთო მტრების ამაოხრებელი შემოსევებისაგან სამშობლოს დაცვის დიადი კეთილშობილური მიზნებით.

ვ. ი. ლენინი შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო უსამართლო ომებისა, რომელთა მიზანია ხალხთა დაპყრობა და ძარცვადამონება. დიდ ლენინს „ერის მჩაგვრელი უღლის“ წინააღმდეგ ომი სამართლიან ომად მიაჩნდა[1].

ირან-ოსმალეთის ომები საქართველოს, ისე როგორც კავკასიისა და რუსეთის, მიწაწყლის დასაპყრობად უსამართლო ომები იყო. ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს რუს ხალხთან ქართველი ხალხი მჭიდრო საბრძოლო კავშირს ამყარებდა, რათა ერთობლივი ძალით დაპირისპირებოდნენ თურქ და ირანელ აგრესორებს, დაემსხვრიათ ამ ბარბაროსთა „მჩაგვრელი უღელი“ და შეენარჩუნებიათ სამშობლოს დამოუკიდებლობა. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, ამრიგად, მისი ჩასახვის პირველსავე დღეებიდან პროგრესულ-გამათავისუფლებელ მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენდა, იგი შეუნელებლივ ღრმავდებოდა და მასობრივი ხდებოდა უცხო დამპყრობლებისაგან სამშობლოს დაცვისათვის წარმოებულ მრავალრიცხოვან სამართლიან, ერთობლივ ომებში.

საბჭოთა მრავალეროვანი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობასა და პატრიოტულ ტრადიციებს საერთოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ხალხები თავიანთი ისტორიის მეტად შორეული პერიოდიდან უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ჩვენი ქვეყნის ხალხთა რამდენიმე ეროვნების წარმომადგენელი დიდ რუს ხალხთან ერთად იბრძოდა ჩუდის ტბაზე 1242 წ., გრიუნვალთან 1410 წელს. შვიდწლიან (1756—1762 წწ.) ომებში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ბელორუსები, ქართველები, ბაშკირები და სხვ., რომლებმაც რუსი მეომრების მხარდამხარ 1760 წელს ბერლინი აიღეს.

სსრ კავშირის ხალხთა ეს ისტორიული საბრძოლო მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა რუსეთის პირველი სამამულო ომის პერიოდში, როცა ფრანგი დამპყრობლები ნაპოლეონის მეთაურობით რუსი ხალხის დამონებას, მათ დაპყრობას ლამობდა. ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსი ხალხის ხელმძღვანელობით იბრძოდა რუსეთის თითქმის ყველა ხალხი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXX, გვ. 284.

ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით არა მარტო უცხო დამპყრობთა, არამედ ექსპლოატატორული გაბატონებული კლასების წინააღმდეგაც ამყარებდნენ მჭიდრო საბრძოლო კავშირს; ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში პუგაჩოვის აჯანყებულ რაზმებში ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ რუსებთან ერთად რუსეთის სხვა ეროვნებებიც იბრძოდნენ. დამახასიათებელია, რომ პუგაჩოვის უახლოესი თანამებრძოლი და გამოჩენილი სამხედრო მეთაური იყო ბაშკირი ხალხის სახელოვანი შვილი სალავათ იულაევი. მაგრამ ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლა და მათი საბრძოლო თანამეგობრობა მხოლოდ მას შემდეგ აღწევს წარმატებას, როცა ისტორიის ასპარეზზე მუშათა კლასი გამოდის. დამახასიათებელია, რომ „რევოლუციური მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რუსი და ქართველი ხალხების ერთობლივ ბრძოლაში ჩაეყარა საფუძვლები მათს ძმობასა და ურღვევ მეგობრობას“[1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ხალხის მეგობრობა, განვითარდა და განმტკიცდა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე. ეს არის მეგობრობა ყოველგვარი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ხალხებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან კაცობრიობის სანუკვარი, დიადი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ერთიანი მიზნებით.

ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული (მენშევიკური) ისტორიოგრაფია აყალბებდა რუსეთის ხალხთა მრავალსაუკუნოვან ისტორიას, როცა იგი ხელაღებით უგულებელყოფდა ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობას როგორც უცხო დამპყრობლების, ისე თავიანთ ექსპლოატატორთა — ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ საუკუნოვან სასტიკ ბრძოლებში.

ისინი თავიანთ გამოკვლევებში ყურადღებას იმაზე ამახვილებდნენ, რაც აშორებდა და ანკერძოებდა ერებსა და ეროვნებებს, რაც უშლიდა ხელს ამ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ბურჟუაზიული ნაციონალისტური ისტორიოგრაფია, უკეთეს შემთხვევაში, დუმილით უვლიდა გვერდს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ამ ერთობლივ ბრძოლას, მათ საბრძოლო თანამეგობრო-

---

[1] გაზ. „პრავდა“, 1946 წ. 25 თებერვლის მოწინავე.

ბას როგორც უცხო დამპყრობთა, ისე ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ე. ი. „ივიწყებდა“ ყველაფერ იმას, რაც აახლოვებს ხალხებს ერთმანეთთან და საბჭოთა ქვეყნის ხალხთა პატრიოტიზმისა და მეგობრობის ისტორიული საფუძველია.

მსოფლიოში ალბათ ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი ქვეყანა, რომელსაც მტრის იმდენი შემოსევა, რბევა და აოხრება განეცადოს, რამდენიც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს გადახდა.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის უცხო დამპყრობლები—რომაელები, სპარსელები, ბიზანტიელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები თემურ-ლენგებისა და შაჰ-აბაზის მსგავსი ველური აგრესორების წინამძღოლობით სისტემატურად თავს ესხმოდნენ საქართველოს მისი მოსპობისა და დამონების მიზნით; მაგრამ მტარვალ დამპყრობელთა ეს ვერაგული ზრახვები ყოველთვის ქართველი ხალხის სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ქართველმა ხალხმა მტრებთან საუკუნოვან ომებში უმაგალითო გმირული ბრძოლით შეინარჩუნა თავისი უმდიდრესი კულტურა, სახელმწიფოებრიობა და ეროვნული სახე.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამშობლოს დაცვისათვის გმირული ბრძოლის ეს დიდი ტრადიციები ქართველმა ხალხმა გაამრავლა და კიდევ უფრო გაამდიდრა. რუსეთი მის მეორე სამშობლოდ იქცა. რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული საბრძოლო თანამეგობრობაც ახალ ეტაპში შევიდა.

გარკვეულმა კონკრეტულ-ისტორიულმა პირობებმა მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოში რუსი ხალხი გახადა რუსეთის ყველა ხალხის გამაერთიანებელ და ხელმძღვანელ ძალად. რუსმა ხალხმა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ დიდ ისტორიულ ბრძოლებში ადრიდანვე შეიმუშავა თავდაცვის შესანიშნავი ორგანიზაცია. „რუსმა ხალხმა თათარ-მონღოლ და სხვა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლით დაძლია ფეოდალური დაქსაქსულობა, დაიცვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და შექმნა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო“[1]. რუსმა ხალხმა შექმნა მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე სამხედრო მეცნიერება. რუსმა ხალხმა წარმოშვა ა. სუვოროვი, მ. კუტუზოვი, ნახიმოვი და მრავალი სხვა დიდი

[1] თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, სახელგამი, 1954, გვ. 7.

მხედართმთავარი, რომელთა სახელები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ხალხს ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში.

დამახასიათებელია, რომ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო თავის წარმოშობის დასაწყისიდანვე გახდა „მოზიდულობის ცენტრი და დასაყრდენი მოძმე ხალხებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ“[1].

სწორედ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ზრდის პერიოდს დაემთხვა დიდი ისტორიული მოვლენა—ბიზანტიის იმპერიის დამხობა და თურქ დამპყრობთა გაბატონება ახლო აღმოსავლეთსა და შავი ზღვის აუზში.

ამიერიდან საქართველო ირან-თურქეთის საომარ ასპარეზად და საცილობლად იქცა. ამ ისტორიულ ბედუკუღმართობას საქართველო შინაფეოდალური ბრძოლებით სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დანაწილებული შეხვდა; მიუხედავად ამისა, ქართველ ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია.

მე-16 საუკუნის ნახევარში მოსკოვის ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ მოახერხა ვოლგის აუზში თათართა სახანოების განადგურება და ხელთ იგდო ასტრახან-ვოლგის დიდი სავაჭრო გზა. მან ამავე პერიოდში წარმატებით გააძლიერა თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში და თერგზე ციხეები ააგო[2].

უსამართლო ომებმა, რომელსაც თავს ახვევდნენ საქართველოს, შინაფეოდალური ბრძოლებით დაქსაქსული და დასუსტებული ქვეყანა ირან-ოსმალეთის ურდოთა სათარეშოდ აქცია; იგი სისხლიდან იცლებოდა და ეკონომიურად ნადგურდებოდა, ქართველ ხალხს ფიზიკურად მოსპობის საფრთხე დაემუქრა. ამ დაძაბულ ვითარებაში ქართველი ხალხის იმედად რუსი ხალხი რჩებოდა; საქართველოს სამეფოებს საგანგებო ელჩებით არა ერთხელ მიუმართავთ რუსეთისათვის; მაგალითად, კახეთის მეფე ლევანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის დამყარებას.

---

[1] თეზისები, იქვე, გვ. 7.

[2] С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, 1578—1613 гг., М., 1888; ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 1, თბილისი, 1944.

1585 წელს რუსეთის მეფემ კახეთის მეფე ალექსანდრესთან თავისი ელჩი დანიელი გაგზავნა და მფარველობას დაპირდა. 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრემ ერთგულების ფიცი მისცა რუსეთის მეფეს.

1604 წელს მოსკოვის მეფემ ჩრდილოეთ კავკასიაში გამოგზავნა ძლიერი სამხედრო დანაყოფი, რომელსაც უნდა დაემორჩილებინა შამხლისა და დაღესტნის მოთარეშე აბრაგები და ურჩი ფეოდალები, რომლებიც ირან-თურქეთის წაქეზებით თავს ესხმოდნენ საქართველოს, მაგრამ ამ ექსპედიციამ ირან-თურქეთის მპყრობელთა ვერაგობით მარცხი განიცადა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც დროებით შეფერხდა.

საქართველოს რუსეთთან დაახლოების ყოველგვარ ცდას ირან-თურქეთის ხელისუფალნი საბაბად იყენებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ამაოხრებელი თავდასხმების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის. ირან-თურქეთის შემოსევები სისტემატურ ხასიათს ღებულობდა, მიუხედავად ამისა ქართველი ხალხი ერთხელ შემუშავებულ პოლიტიკურ გეზს არ ღალატობდა. მაგალითად, შაჰ-აბაზის ველური შემოსევებით განაწამები კახეთის მეფე, თეიმურაზ პირველი, პირადად გაემგზავრა რუსეთში დახმარების მისაღებად. იგი დარწმუნებული იყო, რომ ირან-თურქეთის შემოსევებით უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი ხალხის ერთადერთი იმედი და სამართლიანი მოსარჩლე მხოლოდ რუსეთი, რუსი ხალხი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მე-17 საუკუნის დამლევსა და მე-18 საუკუნის დამდეგს ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მოხერხებულად იყენებენ საქართველოზე ირანის გავლენის შესუსტებას და ყოველმხრივ ცდილობენ ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღორძინებას; ისინი ასევე მონდომებით ანახლებენ კავშირს რუსეთთან. ყოველივე ეს თურქ და ირანელ აგრესორებს აცოფებდა, საქართველო ირან-თურქეთის ახალი და ახალი აგრესიის ობიექტი ხდებოდა. ასეთ ვითარებაში, 1720-იან წლებში რუსეთისა და საქართველოს მეფეებს ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის შეიქმნა სამხედრო კავშირი. 1722 წ. პეტრე I აქვეყნებს ირანზე გალაშქრების მოწოდებას. მეფე ვახტანგ VI, როგორც რუსეთის ერთგული მოკავშირე, რუს-ქართველთა მხედრობის ერთობლივი მოქმედების მიზნით განჯაში მიდის საკუთარი ჯარით და შირვანში რუსი მხედრობის მოსვლას ელოდება[1], მაგრამ მათი შეხვედრა გარკვეუ-

[1] П. Г. Бутков, Материалы по новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, СПб, 1869, I, стр. 19, 30—31.

ლი ისტორიული პირობების გამო არ მოხერხდა. ვახტანგის მდგომარეობა გართულდა, იგი თბილისში დაბრუნდა. ამგვარ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს მდგომარეობა მეტად დაიძაბა. საქართველოს რუსეთთან ამგვარი კავშირის საპასუხოდ, გააფთრებით აძლიერებს ბრძოლას ირან-თურქეთის ყაჩაღური ბლოკი.

1723 წელს თურქი აგრესორები საქართველოსა და ამიერკავკასიას იპყრობენ. 1724 წ. 15 ივლისს ვახტანგი იძულებული ხდება დიდი ამალით რუსეთში წავიდეს. იგი ოცნებობდა რუს-ქართველთა მხედრობით საქართველოში დაბრუნებულიყო და უცხო დამპყრობნი შეემუსრა, მაგრამ, როგორც ვიცით, მან ეს ვერ მოახერხა და თავისი ამალითურთ დარჩა რუსეთში, სადაც შეიქმნა ქართველთა შესანიშნავი კოლონია. ამ კოლონიამ დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს დაახლოებისა და რუსი და ქართველი ხალხების კულტურულ-ეკონომიური და საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. მათ რუსეთში დააარსეს ქართული სტამბა. მრავალი მოწინავე ქართველი მოღვაწე, მეცნიერ ბატონიშვილ ვახუშტის მეთაურობით, აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა და მათი აღორძინების საქმეში. მეფე ვახტანგ VI-ს რუსეთში გადასვლის შემდეგ, ვიდრე 1735-იან წლებამდე, საქართველოში დამკვიდრდა თურქთა ბარბაროსული ბატონობა, რომელიც მალე ირანელმა დამპყრობლებმა შეცვალეს.

ირანის მპყრობელმა ნადირ-შაჰმა ახალი უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს. ნადირ-შაჰის საქართველოში ბატონობით შეძრწუნებული და თავმობეზრებული ქართველი ხალხი დახმარებისათვის ერთმორწმუნე რუსეთს მიმართავს. მეფე თეიმურაზ II 1736 წელს ელჩებს გზავნის რუსეთში როსებ იაგორის-ძის მეთაურობით[1].

დასავლეთ საქართველოს ამ პერიოდში თურქი დამმონებლები აოხრებდნენ, ეწეოდნენ ტყვეთა გაცხოველებულ ვაჭრობას და მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-ჟლეტას. იმერეთის სამეფოს გამოჩენილ წარმომადგენლებს დამხმარედ და გამომხსნელად ასევე რუსეთი ეგულებოდათ.

1740-იანი წლებიდან ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მოხერხებულად იყენებენ ირანის საერთო ანარქიულ მდგომარე-

[1] ამ ელჩობის დოკუმენტები ჩვენ მივაკვლიეთ მოსკოვში ძველი საბუთების ისტორიულ არქივში და მისი ერთი ნაწილი გამოქვეყნდა „საისტორიო მოამბის" მე-2 წიგნში, 1946 წელს. გვ. 387—403.

ობას, ისინი თავს აღწევენ ნადირ-შაჰის მტარვალურ მორჩილებას და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის დიდის წარმატებით იღვწიან. როგორც თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობის დროს, ისე სოლომონ I დროს საქართველოს სამეფოები ირან-თურქეთისაგან დამოუკიდებლობას აღიდგენენ; მიუხედავად ამისა, საქართველოს მოწინავე მოღვაწენი რუსეთთან კავშირის განმტკიცებისათვის მთელი შესაძლებლობით იბრძვიან.

ამ მიზანს ემსახურებოდა 1760 წელს მეფე თეიმურაზ II რუსეთში გამგზავრება და იქ მისი მოღვაწეობა, აგრეთვე მეფე სოლომონ I-ის მთელი საქმიანობა 60-იანი წლებიდან. ამიტომ, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ იყო ის ფაქტი, რომ 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში საქართველო რუსეთის ერთგულ მოკავშირედ გამოდის. მეფე ერეკლეს გმირული ბრძოლა და გამარჯვება ასპინძაში 1770 წლის აპრილში (და სხვა გამარჯვებანი) ამ ერთგულების გამომხატველი და დამადასტურებელი ფაქტია[1].

მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთ-საქართველოს ეკონომიური და კულტურული კავშირი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა სავსებით ახალ სტადიაში შედის და უდავოდ დიდი წარმატებებითაც ხასიათდება; მან მკვიდრი ნიადაგი მოუმზადა ისტორიული მნიშვნელობის აქტს—ჯერ 1783 წელს ქ. გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს, ხოლო უფრო მოგვიანებით—საქართველოს რუსეთთან შეერთებას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კავკასიის ხალხების ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება და ბრძოლაც ახალი წარმატებებით წარიმართება. ამრიგად, კავკასიაში რუსეთის გავლენისათვის ბრძოლა ორ ძირითად პერიოდად იყოფა: 1-ლი პერიოდი მოიცავს საქართველოს რუსეთთან შეერთების წინარე ხანას[2]; ხოლო მე-2 პერიოდი—შეერთების შემდგომ პერიოდს, ვიდრე 60-იან წლებამდე. წინამდებარე ნარკვევი ამ უკანასკნელი პერიოდით შემოიფარგლება.

* * *

დიდ რუს ხალხთან რუსეთის ყველა ხალხის მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის შემდგომ გაღრმავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო ამ ხალხების ფიზიკურად გადარჩენისა და ეკონომიურად განვითარების, არამედ მათი სო-

[1] პროფ. ალ. ცაგარელი, Грамоты, I, II, 21, 25; Бутков, Материалы, I, 277, 280—281; ომან ხერხეულიძე, ჰიჰინაძის გამოც., 264.

[2] Потто, Исторический очерк кавказских войн от их начала до присоединения Грузии, თბილისი, 1899.

ციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების,—დიად რევოლუციურ ბრძოლებში ხალხთა მასების ჩაბმისა და წრთობის გზით სრული თავისუფლების მოპოვების თვალსაზრისითაც.

ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რომელიც რუსეთში გაჩაღდა XIX საუკუნის 50-იან წლებში, ხელმძღვანელ როლს დიდი რუსი ხალხი ასრულებდა.

რუს რევოლუციონერთა პირველი თაობა—რადიშჩევი, დეკაბრისტები, და რევოლუციონერ დემოკრატთა შესანიშნავი პლეადა—ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და სხვ., ებრძოდნენ რა ცარიზმსა და ბატონყმობას, გაბედულად ილაშქრებდნენ თვითმპყრობელობის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ.

„ღირსშესანიშნავი და საგულისხმოა ორი ლიტერატურის,—ვკითხულობთ გაზ. „პრავდის“ მოწინავეში,—რუსული და ქართული ლიტერატურის, კავშირი. ხალხისადმი დიდი ინტერესი და მეგობრული ყურადღება იზიდავდნენ საქართველოში გრიბოედოვს და პუშკინს; გერცენის „კოლოკოლის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა სიმართლით აღსავსე, გაგებითა და თანაგრძნობით გამსჭვალული წერილები საქართველოს მშრომელი მასების მდგომარეობის შესახებ. სულიერი კავშირი ოდითვე აახლოებდა რუსეთისა და საქართველოს ხალხებს“[1].

დიდი ქართველი მგოსანი ნ. ბარათაშვილი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ რუსეთის მოწინავე სამეცნიერო ცენტრებსა და ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილ, რუსეთში უმაღლეს განათლება მიღებულ ქართველობას სამშობლოში დაბრუნებისას ჩრდილოეთიდან თან მოჰქონდა პროგრესისა და განახლების „ძვირფასი თესლი“. ნ. ბარათაშვილი წერს:

„მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყნად,
მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად“.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები: სოლომონ დოდაშვილი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე და მრავალი სხვა, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდეს ქართული კულტურის აღორძინების დიად საქმეს, აღიზარდნენ

---

[1] გაზ. „პრავდას“ მოწინავე, 1946 წ. 25 თებერვალი.

დიდი პუშკინისა და რადიშჩევის, დეკაბრისტებისა და რევოლუციონერ დემოკრატთა — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის მოწინავე იდეებზე.

ქართველ მოღვაწეთა 60-იანი წლების შესანიშნავი პლეადა, „თერგდალეულები“, მათი სახელოვანი მეთაურის ი. ჭავჭავაძის განსაზღვრით, აღიზარდა რუსულ მწერლობასა და მეცნიერებაზე, შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებული საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაში.

მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მაგრამ შეუძლებელია რუსეთის ცარიზმი და მემამულურ-ბურჟუაზიული რეჟიმი, ამ რეჟიმის ოფიციალური იდეოლოგია გავაიგივეოთ დიდ რუს ხალხთან, ამ ხალხის მოწინავე შვილების იდეოლოგიასა და პროგრესულ-განმათავისუფლებელ რევოლუციურ იდეებთან. ვ. ი. ლენინის გენიალური განსაზღვრით ყოველ ბურჟუაზიულ ერში „ორი ერია... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა,—მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები“[1].

რუსეთსა და მის განაპირა რაიონებში კაპიტალიზმის განვითარებამ წარმოშვა ახალი კლასი, პროლეტარიატი. რუსი პროლეტარიატის სახით რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელებმა ჰპოვეს ერთადერთი საიმედო ხელმძღვანელი ბრძოლებში, რომელთაც ისინი ეწეოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა და მრეწველობის განვითარების საფუძველზე საქართველოში სწრაფად გაიზარდა მუშათა კლასი. საქართველოს მუშათა კლასი იმთავითვე რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელი განუყრელი ნაწილი იყო; საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი რაზმი გახდა.

„ჯერ კიდევ მაშინ, რევოლუციური მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რუსი და ქართველი ხალხების ერთობლივ ბრძოლაში ჩაეყარა საფუძვლები მათს ძმობასა და ურღვევ მეგობრობას...

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 21.

მხარდამხარ იბრძოდნენ რუსეთისა და საქართველოს რევოლუციონერები,—ბათუმელი და თბილისელი მუშების საბრძოლო გამოსვლები ეხმაურებოდნენ მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა უდიდესი სამრეწველო ცენტრების პროლეტარების აქტიურ ბრძოლას" (გაზ. „პრავდას" 1946 წლის 25 თებერვლის მოწინავედან).

რუსი ხალხის განმათავისუფლებელი როლი და მსოფლიოისტორიული პროგრესული მისია განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგს, როცა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა და რუსეთის პროლეტარიატმა რუსი მარქსისტების ხელმძღვანელობით დაიწყო დიდი რევოლუციური ბრძოლები ცარიზმისა და ბურჟუაზიის დასამხობად.

ჯერ კიდევ 900-იან წლებში ი. სტალინი წერდა: „პირველ ყოვლისა საჭიროა გვახსოვდეს, რომ რუსეთში მომქმედმა სოციალდემოკრატიულმა პარტიამ თავის თავს **რუსეთის** პარტია უწოდა (და არა **რუსული**). ცხადია, ამით მას უნდოდა დაენახვებინა ჩვენთვის, რომ ის თავისი დროშის ქვეშ თავს მოუყრის არა მარტო რუს პროლეტარებს, არამედ რუსეთის **ყველა ერის** პროლეტარებს და, მაშასადამე, ყოველივე ღონისძიებას იხმარს—ძირს დასცეს მათ შორის ამართული **ნაციონალური კედლები**"[1].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხებმა ინტერნაციონალური აღზრდის შესანიშნავი სკოლა გაიარეს ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში, რითაც სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის მკვიდრი ნიადაგი მომზადდა. ამის შესახებ დიდი ლენინი წერდა:

„ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, **ერთიან** ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა"[2].

ისტორიის ასპარეზზე რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის გამოჩენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი, ქართველი და რუსეთის ყველა სხვა ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრი-

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 41—42.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 76.

საგან განთავისუფლებისათვის, დიდი ოქტომბრის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

რუსი და ქართველი ხალხების, ისე როგორც სხვა მოძმე ხალხთა, საბრძოლო თანამეგობრობა ყველაზე უფრო ნათლად და რელიეფურად გამოვლინდა ცარიზმის დასამხობად რუსეთის მუშათა კლასის მეთაურობით გაჩაღებულ გმირულ რევოლუციურ ბრძოლებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების საფუძველზე განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და საბჭოთა პატრიოტიზმი.

დიდი სამამულო ომი იყო სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, მათი პატრიოტიზმისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმტკიცის ნამდვილი შემოწმება. თავისი მასშტაბითა და სისასტიკით ამ უმაგალითო ომში საბჭოთა ხალხებმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

დიდ სამამულო ომში თავისუფალი საბჭოთა ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა, უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ მათი გმირული საბრძოლო ტრადიციები ისეთი სიძლიერით გამოვლინდა, გაღრმავდა და განმტკიცდა, როგორც არასოდეს. მ. ეგოროვისა და მ. ქანთარიას მიერ ფაშისტური რეიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროშის აღმართვა 1945 წ. 30 აპრილს სიმბოლურად გამოხატავს რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან საბრძოლო თანამეგობრობას სავსებით ახალი შინაარსითა და ახალ ვითარებაში.

* * *

ი. სტალინი, ჯერ კიდევ სამამულო ომის წინ, ცნობილ კრიტიკულ წერილში შეჩერდა სსრ კავშირის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე[1]. აღნიშნული წერილიდან გამომდინარე საბჭოთა ისტორიკოსების ამოცანად დაისახა, რათა შეისწავლონ აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროების, ამიერკავკასიის, შუა აზიისა და სხვ. რუსეთის ომების ხასიათი, ამ ადგილებში რუსეთის

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს შენიშვნები ფ. ენგელსის სტატიაზე „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა", ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1941. № 11.

გავლენის მოსაპოვებლად წარმოებული ომების ობიექტური შედეგები და მისი მნიშვნელობა.

ქართველ ისტორიკოსთა საპატიო ამოცანად კვლავაც რჩება— ყოველმხრივ გამოიკვლიონ და მეცნიერული ანალიზი გაუკეთონ რუსეთთან საქართველოს შეერთების დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას, სწორი შეფასება მისცენ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ რუსეთის მეთაურობით გადახდილ კავკასიის ომებს, ნათელყონ ამ ომების ხასიათი და მისი ობიექტური (პროგრესული) შედეგები კავკასიის ხალხთა წინსვლისა და განვითარებისათვის.

წინამდებარე ნარკვევი ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეული ხარვეზების შევსებას ემსახურება; იგი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობითა და ახალი მასალების გამოყენებით მიზნად ისახავს საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის ზოგიერთი მოვლენის ახლებურად გაშუქებას,— რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის პროცესისადმი თვალის მიდევნებას და ამ მეგობრობის ისტორიული საფუძვლების ახსნას. ნარკვევში ჩვენ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს ვეხებით და ვიფარგლებით რეფორმამდელი პერიოდით.

ნაშრომში აღძრულია და რამდენადმე გარკვეულია კიდეც მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დიდ რუს ხალხთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის ბრძოლა ინგლის-თურქეთის აგრესიისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. შამილის მოძრაობა წარმოდგენილია, როგორც ამ აგრესიისა და აგენტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რელიეფური და სასტიკი გამოვლენა, რომელიც მთის ხალხებს კულტურულ-ეკონომიურ დაცემასა და ფიზიკურ განადგურებას უქადდა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია და სათანადო ადგილი მიგვეჩინა იმ საპატიო როლისადმი, რომელიც ღირსეულად შეასრულა ქართველმა ხალხმა კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით კავკასიის 60-წლიან ომებში. ნარკვევი ჩვენ არ მიგვაჩნია უნაკლოდ; იგი არც სრულია. მკითხველთა საქმიან შენიშვნებს ჩვენ მუდამ გულისხმიერებით გავითვალისწინებთ.

## თავი პირველი

# რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიული საფუძვლები

ირან-თურქეთის ველურმა აგრესიამ, მათმა სისხლიანმა დამპყრობლურმა ომებმა ბალკანეთის ქვეყნების, ყირიმის, საქართველოსა და მთელი კავკასიის, აგრეთვე კასპიის ზღვისპირეთის ხალხების დასამონებლად, მათმა აგრესიამ რუსეთის მიწაწყლის მისატაცებლად, ადრიდანვე მკვიდრი ნიადაგი შეუქმნა მრავალეროვანი რუსეთისა და მისი მეზობელი სხვა ხალხების შემოკრებას აღმავლობის გზაზე დამდგარი რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გარშემო.

მე-16 საუკუნის ნახევარში მდინარე ვოლგის აუზში მონღოლთა მფლობელობის მოსპობით გაძლიერებული რუსეთი წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე გაბედულად გამოდის და კავკასიის ხალხებთან მჭიდრო ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებისათვის ჯეროვან წარმატებებს აღწევს.

ირან-თურქეთის ველური აგრესიების შედეგად საქართველო იმ დროს უდიდეს განსაცდელში იყო.

საქართველოს ისტორიაში ეს არის პერიოდი, როცა ირან-თურქეთის ამაოხრებელი შემოსევები სისხლიდან სცლიდა საქართველოს, როცა ამ ბარბაროსებმა დაიპყრეს საქართველოს დიდი ნაწილი, სადაც ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას, როცა ველურ დამპყრობთა ურდოები საქართველოს მიწასთან გასწორების, ქართველთა მოდგმის ერთიანად მოსპობისა და საქართველოს მიწაწყალზე უცხო ტომების დასახლებისათვის ყოვლად უსამართლო და მხეცურ ომებს აწარმოებდნენ. ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის იმედად, მათ ერთადერთ პოლიტიკურ, სამხედრო და მორალურ მოკავშირედ დიდი რუსი ხალხი გვევლინება. რა თქმა უნ-

და, შემთხვევით მოვლენად ვერ მივიჩნევთ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ რუსეთი სწორედ ამ პერიოდიდან, მე-16 საუკუნიდან, გარკვევით უპირისპირდება ირან-თურქეთის აგრესიულ ზრახვებს საქართველოსა და კავკასიაში. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ივანე IV ბრძანებით რუსთა მხედრობა კაზაკთა რაზმების სახით 1563 წელს პირველად შემოვიდა კავკასიაში.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ირან-თურქეთის ამაოხრებელი თავდასხმებით შევიწროებულმა კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ხელი მოაწერა რუსეთის ერთგულებისა და ქვეშევრდომობის სიგელს; 1658 წელს მეფე თეიმურაზი თვით ეახლა მოსკოვს. მოსკოვში დედითურთ ცხოვრობდა მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ირაკლი, მეფე არჩილ მეორე და მისი შვილი ალექსანდრე, რომელიც პეტრე I-ის განუყრელი მეგობარი იყო; მან პირველმა მიიღო რუსეთში გენერალ-ფელდცეხმეისტრის წოდება, იგი რუსეთის ძლიერებისა და დიდებისათვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოსკოვში ქართველთა დიდი კოლონია იქმნება[1]. არსდება პირველი ქართული სტამბა და საფუძველი ეყრება კულტურულ-სამეცნიერო ახალ წამოწყებას. კულტურული და ეკონომიური კავშირის განმტკიცებასთან ერთად რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა თანამიმდევრულად ღრმავდებოდა; რუსი ხალხის საბრძოლო ქმედით დახმარებას ქართველი ხალხი მუდამ ღირსეულად აფასებდა. „ქართველი ხალხი იზიარებდა რუსი ხალხის ისტორიულ განსაცდელს... რუსეთი ძველთაგანვე ბევრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამშობლო გამხდარა და ქართველებსაც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავისი მეორე სამშობლოსადმი მამულიშვილური ერთგულება და თავდადება“[2].

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1722 წელს მეფე ვახტანგ VI-სა და პეტრე პირველს შორის ხელშეკრულება დაიდო კავკასიაში ირანის აგრესიული შემოსევების ალაგმვის მიზნით შეერთებული ძალებით მოქმედების შესახებ.

ეს ხელშეკრულება და ვახტანგ VI-ს იმედები მთელი რიგი მოულოდნელი მიზეზების გამო, როგორც აღვნიშნეთ, ვერ გამართ-

---

[1] ვ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, ისტორიული მიმოხილვა (1653—1722), თბილისი, 1950.

[2] იხ. გაზ. „პრავდა“, მოწინავე, 1943, 6 მაისი.

ლდა. მართალია, ამ ეტაპზე ქართველმა ხალხმა რუსეთის სამხედრო დახმარება ვერ მიიღო და ვერ შეძლო მტრის სათარეშოდ ქცეული საქართველოს გამოხსნა, მაგრამ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა ამით არ შერყეულა.

გამოჩენილი სარდლის ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ერთგულება და საბრძოლო მეგობრობა პეტრე პირველისადმი ისევე, როგორც უფრო მოგვიანებით გენერალ პეტრე ბაგრატიონის თანამოსაგრობა დიდი რუსი მხედართმთავრის კუტუზოვისადმი, შესანიშნავი ფურცელია რუსი და ქართველი ხალხების მოწინავე შვილების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიისა.

მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში გადახვეწილი ქართველობისაგან, მეფის გარდაცვალების შემდეგ, შეიქმნა ქართველ ჰუსართა პოლკი, რომელიც რუსი მხედრობის მხარდამხარ გმირულად იბრძოდა რუსეთის დიდებისათვის. მაგალითად, ამ პოლკმა თავი ისახელა შვიდწლიან ომში—აიღო პრუსიის ძალზე გამაგრებული ციხე კიუსტრინი, რომელიც იფარავდა ბერლინზე მიმავალ გზას, და ცხოველმყოფელი მონაწილეობა მიიღო გროსეგერს-დორფის, დრეზდენისა და პრუსიის სატახტო ქალაქის — ბერლინის აღებისათვის სასტიკ ბრძოლებში.

ქართველ ჰუსართა პოლკში შედიოდა და ვაჟკაცურად იბრძოდა დავით გურამიშვილი, რომელსაც სხვა ქართველ მეომრებთან ერთად ღირსეულად ეჭირა რუსეთის მხედრობის ძლევამოსილი დროშა და საფუძველი გააჩნდა სიამაყის გრძნობით ეთქვა:

„ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეურყიეთ ტახტის სვეტი"[1]. ეს ისტორიული ფაქტი რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის მეტად საგულისხმო ეპიზოდია.

დ. გურამიშვილის თანამებრძოლი ა. ბოლოტოვი გროსეგერსდორფთან 1757 წლის აპრილის ბოლოს მომხდარ ბრძოლაში რუსი და ქართველი მეომრების გმირობას ასე ახასიათებს:

„წარმოუდგენელია იმაზე მეტი სიმამაცე, რაც მაშინ მეომრებმა გამოიჩინეს. ერთს, რომელსაც ხელი დაეკარგა, მეორეში დაეჭირა ხმალი და უმკლავდებოდა მტერს, რომლებიც უტევდნენ მას და აკუწვას უპირებდნენ. მეორე, თითქმის უფეხო, ხეს მიყუდებოდა და მთლად ჭრილობებით დაფარული და დასისხლიანებული ჯერ კიდევ იგერიებდა მტერს. მესამე ლომივით ღმუოდა, მტრებით გარშემორტყმული, და ხმლით იკაფავდა გზას. მეოთხე იარაღს

---

[1] „დავითიანი", 1949, გვ. 213.

·ართმევდა იმათ, ვინც იგი განაიარაღა და მის ტყვედ ჩაგდებას ცდილობდა და მათივე იარაღით მათ შემუსვრას ლამობდა... ერთი სიტყვით, იქ იხილავდით ყველაფერს, რაც კი შეიძლება მოეთხოვოს მამაც და უშიშარ მეომრებს".

სამშობლოს მრავალრიცხოვან მტერთან უთანასწორო ბრძოლებში გამოწრთობილმა ქართველმა მეომრებმა რუსი მხედრების მხარდამხარ სასტიკ ბრძოლებში ასახელეს სამშობლო და ვაჟკაცობის დიდი სახელი გაითქვეს. სწორედ ამიტომ რუსეთის მაშინდელი სამხედრო ხელისუფლება, მინიხის მეთაურობით, შუამდგომლობდა იმპერატორთან და ყოველმხრივ ცდილობდა გაძლიერებას ქართველ ჰუსართა პოლკისა, რომელსაც უკვე შესანიშნავი საბრძოლო რეპუტაცია ჰქონდა დამკვიდრებული. ცნობილია, რომ ქართველებთან ერთად ასევე კარგად იბრძოდნენ უნგრელთა, მოლდაველთა და სერბთა პოლკები.

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ირან-თურქეთის მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევისა და დიდ რუს ხალხთან საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, როგორც კანონზომიერი ისტორიული მოვლენა, ხორციელდებოდა ირან-თურქეთის სასტიკი და ამაოხრებელი აგრესიების წინააღმდეგ ბრძოლებში.

მართალია, საქართველო ამ პერიოდში სამეფო-სამთავროებად იყო დაქუცმაცებული და არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს, მაგრამ რუსეთის პროგრესული მისია იყო ისიც, რომ იგი ამ ეტაპზეც სათავეში ჩაუდგა და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა დანაწილებული საქართველოს მთელი ძალების კონსოლიდაციას, მათ დარაზმვასა და გაერთიანებას ირან-თურქეთის აგრესიის ასალაგმავად.

ირანელ-თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველოს ძალების გასაერთიანებლად რუსეთის ზრუნვამ თავი იჩინა ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის პირველი ომის (1768—1774 წწ.) პერიოდში; უდავოდ რუსეთის ენერგიული მოქმედებისა და პოლიტიკური შორსმხედველობის შედეგი იყო იმერეთის მეფის სოლომონისა და ერეკლე მეორის შეთანხმება და შეერთებული ძალით მოქმედება თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ[1].

სავსებით კანონზომიერ და ბუნებრივ ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რუსეთ-თურქეთის პირველ ომში საქართველო რუსეთის მოკავშირე გახდა და აქტიური მონაწილე-

---

[1] ა. ცაგარელი, Грамоты, ტ. II, სპბ, 1902, გვ. 38.

ობა მიიღო თურქეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მხოლოდ რუსი და ქართველი მხედრობის გაერთიანებულ ძალებს შეეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა და თურქ დამპყრობთა განდევნა იმერეთიდან, მხოლოდ რუსეთის დახმარებით მოხერხდებოდა საქართველოში სამოქალაქო წესრიგის დამყარება და ტყვეთა ვაჭრობის აღკვეთა. მართლაც, 1770-იან წლებში რუს და ქართველ მხედართა ერთობლივი ბრძოლებით შესაძლებელი გახდა ქუთაისისა და იმერეთის სხვა უმნიშვნელოვანესი ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების გამოხსნა თურქ დამპყრობთა ხელიდან[1].

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა იმ თავითვე ამ ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მჭიდრო ურთიერთობას ემყარებოდა. რუსეთ-საქართველოს შორის ღრმავდებოდა სავაჭრო აღებ-მიცემობითი ურთიერთობა. საქართველოს, მაგ., ყიზლარ-მოზდოკსა და ასტრახანთან ძველთაგანვე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. კაპიტან იაზიკოვის ცნობით 1770-იან წლებში თბილისის ბაზრებზე მოიპოვებოდა რუსეთიდან ჩამოტანილი საქონელი: ჩაი, შაქარი, სხვადასხვა ქსოვილები, მაკრატელი, სარკე და ა. შ.[2]. ასევე საქართველოდან რუსეთის ბაზარზე დიდი რაოდენობით გადიოდა აბრეშუმი, ღვინო, ბამბა და სხვ.

საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა მარაგების გამოვლინებისა და ათვისების საქმეში საქართველოს სამეფო ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის ყოველმხრივ დახმარებაზე; მაგალითად, მეფე ერეკლე II-ს მიერ რუსეთში წარგზავნილი ა. ანდრონიკაშვილი რუსეთის მთავრობას აუწყებდა: საქართველოს მეფის „მფლობელობაშია ბევრი ისეთი ადგილი, სადაც მოიპოვება ოქრო, ვერცხლი და სხვა ლითონები. იგი ითხოვს, რომ ამისათვის გამოგზავნილ იქნეს სწავლული კაცი დამხმარე მასალებით“[3].

რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1774 წლის 10 ივლისს რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი, რომლითაც თურქეთმა ხელი აიღო

---

[1] Бутков, Материалы, I, გვ. 282—284.

[2] ა. ცაგარელი, Грамоты, ტ. I, გვ. 188.

[3] იქვე, გვ. 92. ამ პერიოდში ეკონომიური ცნობების შეგროვების მიზნით საქართველოში იმოგზაურა აკად. ი. გილდენშტეტმა, ხოლო უფრო მოგვიანებით კი მრავალთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებო მოღვაწემ მუსინ-პუშკინმა.

იმერეთიდან ხარკის აღებაზე და ყაბარდო რუსეთის სამფლობელოდ იცნო, ხოლო ყირიმი თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლდა და „დამოუკიდებელ" ქვეყნად გამოცხადდა; 1783 წლიდან ყირიმის სახანო რუსეთს შეუერთდა.

რუსეთ-თურქეთის პირველი ომის დროს რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობამ კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა რუსეთისა და საქართველოს კავშირი; მან უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს დასაკავშირებლად[1]. საბოლოოდ მკვიდრდებოდა რწმენა, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ირან-თურქეთის აგრესიათა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლებში სავსებით ემთხვეოდა ერთმანეთს. სწორედ ეს ინტერესთა ერთიანობა გახდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი საფუძველი.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის ტრაქტატი დაიდო. საქართველოში რუსეთის მხედრობის გარკვეული ნაწილი შემოვიდა. ისტორიული მნიშვნელობის ამ ფაქტითა და ყირიმის რუსეთთან შეერთებით შეშფოთებული თურქეთი, კავკასიის მთიანეთში გამაგრების მიზნით, ჩეჩნეთ-ყაბარდოსა, ჩერქეზეთსა და დაღესტანში აგენტებს გზავნის. ამიერიდან რუსეთის წინააღმდეგ ირანისა და თურქეთის ბრძოლას ინგლისელი აგენტები მეთაურობენ.

რუსეთ-თურქეთის პირველ ომში რუსეთის გამარჯვებამ და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე წარმატებებმა კავკასიასა და შავი ზღვის აუზში, განსაკუთრებით 1780-იანი წლებიდან, ინგლის-საფრანგეთისა და თურქეთის მმართველი წრეების უდიდესი შეშფოთება გამოიწვია. ისინი მიზნად ისახავდნენ რუსეთის შემდგომი გავლენის ზრდის არა მარტო აღკვეთას, არამედ კავკა-

---

[1] ირკვევა, რომ ყირიმში თურქებს მაშინ საქართველოდან გატაცებული უამრავი ქართველი ტყვეები ჰყოლიათ. ამის შესახებ 1774 წლის თებერვალს (როცა ჯერ კიდევ არ იყო ზავი ოსმალეთთან დადებული) ლევან ბატონიშვილი რუსეთის ხელისუფალთ სთხოვდა, რომ ოსმალებისა და მათი დაღესტნელი აგენტების მიერ გატაცებული ქართველი ტყვეები, რომლებიც ახლად განთავისუფლებულ ყირიმში იმყოფებიან, მთლიანად გამოეგზავნა საქართველოში. ლევანი დასძენდა: „სხვადასხვა ჟამთა გამოსულნი (გატაცებული — ა. ი.) ყირიმიდამ და განთავისუფლებულნი საჰურველითა რუსიისათა ქართველნი ტყვენი, რომელთაგან მრავალნი რიცხჳ, მოწყალებითა უკაზით განტევებულნი, მოვიდნენ საქართველოში"-ო (ამ უაღრესად საყურადღებო საბუთის დედანი დაცულია სსრ კავშირის შსს მთავარი საარქივო სამმართველოს სახ. ისტორიული არქივის ძველი საბუთების განყოფილებაში. ფონდი «Груз. дела», საქმე 453, ფურც. 39. ამ საბუთის მთლიან ტექსტს თან ვურთავთ ამ ნაშრომს. იხ. დანართი).

სიისა და ყირიმიდან რუსეთის გაძევებასაც. ამ აგრესიული ზრახვების განხორციელებისათვის მოხერხებულად იყენებდნენ ისლამს და კავკასიის მთიულ ტომებში მზვერავთა და სამხედრო აგენტების ჯგუფებს გზავნიდნენ.

აი, ამ ფაქტის დამადასტურებელი ერთ-ერთი დოკუმენტიც: „1783 წელს თურქეთის სულთანმა საბჭო შეკრიბა და მიმართა მათ კითხვით: „როგორ შეიძლება დავამყაროთ ჩვენი მფარველობა და ბატონობა დაღესტნის ხალხებზე?“ ამ თათბირის წევრებმა უპასუხეს სულთანს, რომ „დაღესტნის მთიელები მორჩილად აღიარებენ თავს, თუ შევძლებთ განვუმტკიცოთ მათ რელიგიური რწმენა და თუ ჩვენგან მათ შორის იმამი იქნება“[1].

თურქეთის სულთანის ამ მითითებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე დაღესტანში გაიგზავნა საგანგებოდ შერჩეულ აგენტთა მთელი ორგანიზაცია, რომელიც მთაში ნერგავდა მიურიდიზმს და აჩაღებდა ბრძოლას რუსეთის გავლენის წინააღმდეგ.

მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ინგლისის მითითებითა და თურქეთის სულთანის გადაწყვეტილებით კავკასიაში საგანგებო დავალებებით მოვლენილი აგენტები დიდი მონდომებით ეწევიან მიურიდიზმისა და შარიათის პროპაგანდას მთიელ ტომებში. ისინი შეეცადნენ მთიელი ფეოდალების გადაბირებას, ამხედრებდნენ რა მათ რუსეთისა და რუსეთის პროტექტორატში შესული საქართველოს წინააღმდეგ; ისინი ფაქტიური ორგანიზატორები იყვნენ საქართველოზე 1785 წელს ომარ-ხან ავარელის გამოლაშქრებისა, რომელსაც მჭიდრო სამხედრო კავშირი ჰქონდა დაჭყარებული ახალციხის ფაშასთან.

ამ გარემოებებმა ხელი შეუწყეს. დროებით მიწყნარებული და მოგერიებული დაღესტნის ფეოდალების საქართველოზე თავდასხმების განახლებას. ამ დროს საქართველოში „მორიგე ჯარი“ ფაქტიურად დაშლილი, ხოლო მისი ხელმძღვანელი ლევან ბატონიშვილი ღალატით მოკლული იყო. ახალციხე ლეკი ფეოდალებისა და მათ თანმხლებ ბრბოთა საბუდრად იქცა. მტრის თავდასხმები წინათაც ყოფილა ქართლ-კახეთზე, მაგრამ ასეთი ვერაგული და ველური ხასიათი მას არასოდეს არ ჰქონია. თურქეთის სულთანის მითითებით 1785 წელს სულეიმან ფაშა ახალციხიდან ქართლს შემოესია. მათ გაძარცვეს სოფლები და წაიყვანეს უამრავი ტყვეები-

[1] ციტატა ამოღებულია მუჰამედ ტახირის (შამილის მდივნის) შრომიდან ა. დანიალოვის წერილის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია „დაგესტანსკაია პრავდას“ 1950 წლის 28 ივლისის № 149.

ამავე დროს ომარ-ხან ავარელი ჩრდილოეთიდან 20.000 კაცით ვერაგულად თავს დაესხა საქართველოს. ომარ-ხანის შემოსევის შედეგად მეფე ერეკლე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა—რადგან ახალციხის საზღვრებიდან თურქეთის შემოსევის საშიშროება აშკარა იყო, ამიტომ ლაშქარი ქართლიდან ვერ დასძრა. მხოლოდ კახელებისა და მცირერიცხოვანი რუსის ჯარით მტერთან შებმა არ არჩიეს. ომარ-ხანმა დაარბია ბორჩალო, ყარაია, დებედას ხეობა და მიწასთან გაასწორა ახტალის სამეფო მადნების საბადოსაწარმოები, დიდი ალაფითა და ტყვეებით ახალციხის ფაშასთან მივიდა, ხოლო იქედან ვახანი აიოხრა. ომარ-ხანის ლაშქრობის შედეგად მიყენებული ჭრილობა საქართველომ დიდხანს ვერ მოიშუშა.

საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მოღვაწეები და ხალხიც კარგად გრძნობდა, რომ ამ შემოსევების ფაქტიური ორგანიზატორები იყვნენ თურქეთის სულთანი, ახალციხის ფაშა და მათი კავკასიელი აგენტები.

მაშინდელ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ის ფაქტი, რომ ომარ-ხანს ფარულად, ფულითა და ჯარით თურქეთი ეხმარებოდა, თურქეთის მითითებით მოქმედებდა. იესე ბარათაშვილი ამის შესახებ წერდა: „აღდგნენ ყოვლის მხრით მოჰმედიანნი ქრისტიანეთა ამოსაწყვეტად, — შეითქვნენ: მთლად დაღისტანი, ხონთქარი დაფარვით ხაზინასაც ჰპირდება და ჯარსაც"[1].

ომარ-ხანისა და ახალციხის ფაშის ამ კოორდინირებული ლაშქრობის უშუალო ორგანიზატორები იყვნენ შეიხ-ხალიდი, მუჰამედ იარაგი და გაზი მაგომა, რომლებიც 1783 წლიდან თურქეთის სულთანის დავალებით დაღესტანში მიურიდიზმისა და შარიათის დანერგვით მთის ხალხებს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. რუსეთ-თურქეთის მეორე ომის დაწყების წინ, 1785 წელს, სულთნის საგანგებო დავალებებით კავკასიაში გამოიგზავნა ცნობილი დემაგოგი და აგენტი შეიხ-მანსური, იგივე უშურმა.

შეიხ-მანსური, როგორც თურქეთის გამოჩენილი აგენტი, კავკასიაში მოქმედებდა 1785—1791 წლების მანძილზე. მთელი მისი საქმიანობა მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ; იგი ნერგავდა მიურიდიზმს ჩამორჩენილ მთის მშრომელ ხალხებში, გამოხატავდა თურქეთის აგრესიულ ზრახვებს და მისი მომხრე ზე-

---

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 103. ავტორის ცნობით საკუთრივ ომარ-ხანის ლაშქარი 12 ათასამდე აღწევდა. იქვე, გვ. 105.

დაფენების მისწრაფებებს. შეიხ-მანსურის ცდა, გაეერთიანებინა მთის ხალხები რუსეთის წინააღმდეგ, მარცხით დამთავრდა.

რუსეთ-თურქეთის მეორე ომის დროს (1787—1791 წწ.) მთის ხალხები არ გაყვნენ თურქეთის აგენტებისა და მათი მომხრე ფეოდალების მოწოდებას—ამხედრებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ, მთის მშრომელმა ხალხმა ზურგი შეაქცია და არ ენდო მათ, თუმცა თურქეთის მომხრე ზოგიერთი დაღესტნელი და აზერბაიჯანელი ხანი ყოველმხრივ ცდილობდა ხალხის გაბრიყვებას. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი თურქეთის აგენტებთან[1].

მეფე ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკა რუსეთ-თურქეთის მეორე ომის პერიოდში უაღრესად პროგრესული და დიდმნიშვნელოვანი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებისათვისაც. მეფე ერეკლეს მოქმედება მთლიანად იქითკენ იყო მიმართული, რომ განემტკიცებინა რუსეთის, როგორც საქართველოს ერთგული მოკავშირის, პოზიციები ამიერკავკასიაში, აელაგმა და დაესაჯა თურქეთის მომხრე ხანები, მოეგერიებინა თურქეთის ყველა გამოლაშქრება ახალციხის საფაშოდან და არ მიეცა სამხედრო გაერთიანების საშუალება ახალციხის ფაშისა და აზერბაიჯან-დაღესტნის რეაქციული ფეოდალური ზედაფენებისათვის რუსეთის წინააღმდეგ; არა ნაკლებ საყურადღებოა ამ ომის პერიოდში იმერეთის სამეფო-სამთავროების ბრძოლა თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ, კერძოდ ბესიკ გაბაშვილის დიპლომატიური მოღვაწეობა რუსეთის სამეფო კარზე.

იმერეთის სამეფოს მოღვაწე დავით კვინიხიძე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე 1787 წლის 27 მაისის ბარათში პოტიომკინს სწერდა: „ამჟამად კიდეც მოადგნენ ახალციხიდამ ლეკისა და თათრის ჯარები ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე; აქედამ მეფე წაბრძანდა ჯარით... მეფე დავით თავისი მდივანი გაახლათ გაბაშვილი ბესა-

---

[1] მაგალითად, ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის გამოცხადებამდე, უფრო ადრე, 1787 წლის მარტში მეფე ერეკლე რუსეთის ხელისუფლებას აუწყებდა, რომ «В Турецкой крепости в Карсе было открыто объявлено фирман о войне с Россией. Сулейман паша Ахалцихской в связи с этим будто бы получил предписание отпускать находившихся у него для вторжения в Грузию лезгин. В марте 1787 г. турецкие агенты с подарками появились в Дагестане и Кабарде у крупных горских князей». Н. Смирнов, Шейх-мансур и его турецкие вдохновители, «Вопросы истории», 1950, № 10, стр. 34.

რიონ, წიგნი მოგართვათ ყოველივე თქვენთან მოხსენებული“[1]. ბესიკი მთავარსარდალ პოტიომკინს სთხოვდა საქართველოს მხრიდან თურქეთის წინააღმდეგ ძლიერი ფრონტის გახსნას და თურქეთის განდევნას მიტაცებული ქართული მიწაწყლიდან: „სახელოვანის საქმის დროები ეს არის... ვხედავთ, რომ თათრების სამტრო დროებს ჩვენ ველარ ვნახავთ ამისთანასა“[2], სწერდა ბესიკი პოტიომკინს[3].

* * *

თურქეთი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა კავკასიის მაჰმადიან ხალხებსა და ქართველებს შორის მტრობის გაღვივებას და ამ გზით საქართველოს დასუსტებასა და დაპყრობას. ამ მიზნით თურქეთი მოხერხებულად იყენებდა დაღესტნის ფეოდალურ ზედაფენებს.

დაღესტნის ფეოდალები თურქეთის სულთნის მითითებით მოქმედებდნენ და საქართველოზე სისტემატური თავდასხმებისას როდი კმაყოფილდებოდნენ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით, ისინი ამასთანავე მასობრივად იტაცებდნენ ტყვეებს და ჰყიდდნენ თურქეთში. თუ რაოდენ დიდი იყო თურქეთის ამ პირწავარდნილი აგენტების ბოროტმოქმედება, ამაზე წარმოდგენას მოგვცემს ერთი მაგალითი.

1726 წელს, როცა საქართველოში დამპყრობელი თურქეთი თარეშობდა, სოფ. ქალაზე თავდამსხმელმა ლეკმა ფეოდალებმა ხალხის დოვლათთან ერთად ტყვედ გაიტაცეს 1000-მდე ქალი და კაცი და იგი ნასოფლარად აქციეს. ლეკთა ბრბომ ამავე პერიოდში დაატყვევა და გაიტაცა დიდი ქართველი მგოსანი დავით გურამიშვილი, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება აღარ ღირსებია.

ლეკთა ტყვეობიდან გაქცეული და საოცარ ტანჯვაგამოვლილი გურამიშვილი უბრალო რუს ადამიანს უხსნია დაღუპვისაგან. მისთვის ამ დაუვიწყარ ფაქტს პოეტი შემდეგი სტრიქონებით გადმოგვცემს:

„როგორ რომ ერთმა ყაზახმან
მე მაშინ მომიარაო,
როცა რომ მყვანდა, მივლიდა,
მეტს მამაჩემი არაო...
შევბრალდი, გულზე მიმიქვა,
მკოცნა და ცრემლი ღვარაო...“

---

[1] სსრკ შსს მთავარ საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივის ძველი საბუთების პ. პოტიომკინის პირადი ფონდი, № 23, ნაწ. XX, ფურც. 162.

[2] იგივე არქივის ფონდი, საქმე 948, ფურც. 232—233.

[3] ა. იოსელიანი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787—1791) გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 45, 11 ნოემბერი.

გურამიშვილისათვის რუსეთი მეორე სამშობლოდ იქცა. რუსეთის ძლიერებისათვის, როგორც აღინიშნა, იგი სისხლსღვრიდა და დაუღალავად ილვწოდა.

გურამიშვილი თავისი შემოქმედებითა და სისხლით, ხმლითა და კალმით უწყობდა ხელს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

თუ სადამდე მიდიოდა ტყვეთა მასობრივი გატაცებები, ამაზე რუსეთიდან საქართველოში მოვლინებული მოურავიოვი გრაფ პანინს 1769 წელს სწერდა:

«Многия места и деревни лезгинцами разорены и опустошены, и ныне частыя нападения чинят на деревни и на проезжающих по дороге в лесах, где бьют и полон забирают людей, и многие грузинские помещики имениев своих и крестьян лишены и ныне лишаются через частые и нечаянные набеги оных же лезгинцев»[1].

დაღესტნის ფეოდალების საქართველოზე სისტემატური ყაჩაღური თავდასხმების შესახებ კიდევ უფრო შემაძრწუნებელი სურათი დახატა კაპიტანმა იაზიკოვმა 1770 წელს დაწერილ წერილში «Записки о Грузии», სადაც სხვათა შორის აღნიშნა:

«Грузии большая половина в полон лезгинцами побрана... они более ста лет Картлию и Кахетию раззоряют, везде остатки раззоренных городов и деревень видны»[2].

ლეკი ფეოდალების მიერ მოტაცებული ტყვეების უკან დაბრუნებასა და გამოყიდვაზე მეფე ერეკლე ყოველწლიურად 60.000-დან 100.000-მდე მანეთს ხარჯავდა. 1769 წ. მეფე ერეკლე იესე მაჩაბელს სწერდა: „შეუძლებელია წარმოიდგინოთ ის ტანჯვა და უბედურება, რასაც ჩვენ ლეკთა შემოსევების გამო განვიცდით“.

მართლაც, აუწერელია ის უბედურება, ტანჯვა, წამება, ხოცვა, ტყვეთა მოტაცება და სხვა ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ქართველმა ხალხმა განიცადა თურქეთის პირწავარდნილი აგენტების—დაღესტნის ფეოდალების სისტემატური ქურდული და ყაჩაღური შემოსევების შედეგად.

---

[1] Д. Пурцеладзе, Грузинские крест. грамоты и пр., Тбилиси, 1882, стр. 59—60.

[2] Д. Пурцеладзе, Грузинския дворянския грамоты, Тбилиси, 1881, стр. 23.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ რუსეთ-თურქეთის პირველ ომში თურქეთის სულთანმა მოახერხა დაSაქართველოს, როგორც რუსეთის მოკავშირის, წინააღმდეგ თურქ დამპყრობთა მხედრობის გვერდით დაღესტნის ლეკებიც გამოიყვანა. მეფე ერეკლემ ისინი 1770 წლის აპრილში სასტიკად გაანადგურა ასპინძასთან.

დაღესტნის ფეოდალებმა ვერც ამ მარცხით ისწავლეს ჭკუა. ისინი ყოველი ღონისძიებით კიდევ უფრო აძლიერებდნენ თავიანთ ავაზაკურ თავდასხმებს საქართველოზე. შემოსევათა შედეგად საქართველოს ბევრი მხარე მთლიანად გაუკაცურდა. „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული, აღარა დარჩა შენობა იმ მხარეს. მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა... იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება... მთელს სომხითში ბოლნისის მეტი და სამწვერისის მეტი შენობა არ იყო, ორბელიანთა მამულიც ასე დაიცალა, რომ დმანისის და ფიტარეთის მეტი შენობა აღარსად იყო"[1]—გულისტკივილით წერდა ამ ამბების მომსწრე ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი. და მართლაც, ამ მხარის დიდებული ძეგლების — დმანისის, ბირთვისის, სამშვილდეს, ფარცხისისა და სხვა ნანგრევები მოწმობენ საბარათიანოს ამ დიდი ისტორიული ბრძოლების გამანადგურებელ ხასიათს. უკანასკნელად, ლეკთა შემოსევებმა გაანადგურა ეს მხარე, დააცარიელა იგი მკვიდრ მცხოვრებთაგან და ცხოვრება დიდი ხნით ჩაკვდა.

ლეკი ფეოდალების შემოსევების შედეგად ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს დანარჩენ მხარეებსა და კუთხეებში. მტრები აოხრებდნენ საციციანოს, საამილახვროს, სამუხრანოს და სხვ.

დიდი სარდლის ერეკლე მეორის მეთაურობით ქართველი ხალხი თავგამოდებით ებრძოდა ამ მძარცველებს. სამშობლოს დასაცავად ასევე იბრძოდნენ ცალკე სათავადოებიც. მაგ., მუხრან-ბატონმა კონსტანტინემ ციხეააგო და იგი ასეთი წარწერით შეამკო:

„ოდეს ქვეყანა ქართლისა ჟამთცვალებათაგან მოოხრებულ იყო და უმეტესად ლეკთაგან წარტყვენილიყო, სოფელნი და დაბანი უშენ ქმნილიყვნენ; მას ჟამსა ჩვენ მუხრანის ბატონმან კონსტანტინემ ხელვყავით ციხისა ამის შენებად, მოგებულთა ჩემთა საფასეთაგან და მრავალნი წარვაგენ, რამეთუ ნივთნი ზღუდეთა და კედელთა და სახლთანი შორით მოვიხვენ და ფრიადი შრომაჲ დავსდევ და აღვაშენე სამკვიდრებლად ჩემდა და განსასვენებლად და მნახველთაგანცა ნუკვეჲ მოსაწონნი და თვალთა სახედათ სამოვნო

[1] „ქართლის ცხოვრება", ჩუბ. რედ., გვ. 238.

-არენი ორსა მდინარეთაგან შორისობითა შემკულნი-სახელადწოდებული, „ვარციხე“. მეორე წარწერა ციხის აშენების მიზანს ასე განმარტავს: „სახლუხუცესმან კონსტანტინე აღვაშენე ციხე ესე... მტერთა ბრძოლათა განსაბნეველად, რათა მკვიდრნი მამულნი არ წარტყვენილ იქმნენ“[1]. ამ მცდელობის მიუხედავად ცნობილია, რომ ტრაღიკული იყო კონსტანტინე მუხრან-ბატონის ცხოვრების დასასრული. ამ ციხის აშენებიდან 8 წლის შემდეგ (1756 წ.) მისსავე მამულში, ღართიკარში, იგი ვერაგულად მოკლეს ლეკმა ფეოდალებმა, ერთ-ერთი ქურდული თავდასხმის დროს გამართულ უთანასწორო ბრძოლაში.

მე-18 საუკუნის მოღვაწე იესე ბარათაშვილი კახეთში მის მოგზაურობას ასე აღწერს: „შავს ტყეში დიდი ლეკიანობა იყო, რაც ხე გაინძროდა ლეკი მეგონის და თოფი მზად მქონდა“-ო, დასძენს იგი[2]. ირან-ოსმალეთის აგრესიამ და მათი აგენტების — ლეკ ფეოდალების ამგვარმა ყაჩაღურმა შემოსევებმა აიძულა საქართველო, კიდევ უფრო განემტკიცებია რუსეთთან პოლიტიკური კავშირი.

გეორგიევსკის ისტორიულმა აქტმა ინგლის-თურქეთის რეაქციული ძალების გააქტივება და უდიდესი შეშფოთება გამოიწვია.

1783 წლიდან 1801 წლამდე, ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დღიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ირან-თურქეთის სისხლიანი ომებისა და მათი კავკასიელი აგენტების — მთიელი ფეოდალების ამაოხრებელი სისტემატური შემოსევების, ტყვეთა გატაცებისა და ხოცვა-ჟლეტის შედეგად საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა, დაინგრა ქალაქები, გადაშენდა სოფლები, უკიდურესობამდე გაუარესდა გლეხობისა და მოქალაქეების მდგომარეობა, გაიზარდა ფეოდალური ექსპლოატაცია და ძალზე დასუსტდა საქართველოს სახელმწიფო, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თითქმის მოიშალა. ეს დაადასტურა აღა-მაჰმად-ხანის ველურმა შემოსევამ და თბილისის აოხრებამ.

ირანი და თურქეთი ვერ ურიგდებოდნენ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატს და ინგლისელი იმპერიალისტების წაქეზებით რუსეთ-საქართველოს კავშირის ჩაშლისა და საქართველოს დამონების მიზნით ქართველ ხალხს ცეცხლითა და მახვილით ესხმოდნენ თავს; მაგრამ მტერმა

---

[1] ამ საბუთის დედანი დაცულია ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერების ფონდში. თვით ამ ციხის კედლები ახლაც დაცულია სამუხრანოს მიდამოებში.

[2] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 32.

ვერ გატეხა ქართველი ხალხის ნებისყოფა, ვერ ჩაშალა რუსეთისა და საქართველოს საუკუნოვანი მეგობრობა. ცოფმორეული ოსმალეთი არაჩვეულებრივი მონდომებით აქეზებდა საქართველოზე ავაზაკურ თავდასხმებში დახელოვნებულ დაღესტნელ ფეოდალებს, რომლებმაც კიდევ უფრო გააძლიერეს ვერაგული თავდასხმები.

„საქართველო შევიდა საფარველსა ქვეშ რუსეთისა... ამასა ზედა განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი, აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა"—გვაუწყებს ცნობილი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე დავით ბატონიშვილი. მისივე ცნობით, „აღდგნენ ლეკნი და იწყეს ტყვევნა ქართლისა"[1]. ლეკი ფეოდალები იქამდე გათავხედებულან, რომ, დავით ბატონიშვილის ცნობით, „მოვიდნენ სოღანლუღს და წარტყვენეს უმეტეს ორასისა რუსნი. ხოლო აროდეს მოიხსენების და ვერც დაიტევს ისტორიაი ესე თუ ვითარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა შინა"[2].

დაღესტნის ავაზაკი ფეოდალების ეს თავხედობა სათანადოდ შეაფასა რუსეთმა, რომელმაც გადაწყვიტა თურქეთის ამ აშკარა აგენტების დასჯა-ალაგმვა.

ირან-თურქეთისა და მათი აგენტების აგრესიული თავდასხმები, ყაჩაღური შემოსევები, როგორც ვრწმუნდებით, განსაკუთრებით გაძლიერდა 1783 წლის ტრაქტატის დადებიდან და არ შენელებულა რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე; მათ წინააღმდეგ იბრძოდა არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის მხედრობაც. მრავალმა მათგანმა ქართველი მეომრების მხარდამხარ მამაცობისა და ვაჟკაცობის უჭკნობი სახელი მოიხვეჭა, რის შესახებაც მეფე ერეკლე თავის ოფიციალურ მიმართვებში არა ერთხელ მოახსენებდა რუსეთის მთავრობას.

საქართველოს სამხედრო გზის აღდგენამ, კეთილმოწყობამ და დაცვამ ხელი შეუწყო რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიური და კულტურული კავშირის კიდევ უფრო გაღრმავებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის გამოჩენილი მოღვაწეები და კავკასიის ხაზის უფროსები — პ. პოტიომკინი, ი. ფაბრიციუსი, მ. ლეონტიევი, ნ. შემიაკინი და ბევრი სხვა, ერეკლე მეორის რჩევისა და წერილობითი მოხსენების საფუძველზე, აქტიურად ერეოდნენ საქართველოსადმი მტრულად განწყობი-

[1] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., 1941, გვ. 27.

[2] იქვე.

ლი ამიერკავკასიის სახანოებისა და კავკასიის მთიელი ტომების პოლიტიკურ საქმეებში, უკრძალავდნენ მათ საქართველოდან რუსეთში გაგზავნილი ვაჭრების ძარცვასა და საქართველოზე მძარცველურ თავდასხმებს. მთიელი ხანები და ფეოდალები იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ რუსეთის ასეთი მითითებისათვის.

აღმოსავლეთის საქმეების უბადლო მცოდნე და შესანიშნავი სარდალი მეფე ერეკლე მეორე, რუსეთთან ტრაქტატის დადების დღიდან შექმნილი ისტორიული პირობების გამო, ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობდა ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის შემდგომ ზრდას. იგი მთელ თავის გავლენას და საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტს იმისათვის იყენებდა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს საბოლოოდ დაეღწიათ თავი ირანისა და თურქეთის მონობისაგან, ბოლო მოღებოდა კავკასიის მეზობელი ხალხების მტრობას, რაც ირანმა და თურქეთმა დანერგეს, ურთიერთზე თავდასხმას, ძარცვას და დამყარებულიყო საყოველთაო მშვიდობა და მეგობრობა.

ერეკლე მეორე კარგად ითვალისწინებდა, რომ ამ ისტორიული პროგრესული მისიის შესრულება საქართველოსა და კავკასიის ხალხებს შეეძლოთ მხოლოდ რუსეთის, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ამიტომ იბრძოდა იგი საქართველოს რუსეთთან დაახლოებისა და კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერებისათვის.

ისტორიული მნიშვნელობის 1783 წლის ტრაქტატი და მის საფუძველზე აღმოცენებული რუსეთ-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობის სხვა აქტებიც, რასაკვირველია, არ წარმოადგენდა შემთხვევით და მოულოდნელ მოვლენას; იგი არსებითად იყო გამოხატულება და შემდგომი განვითარება ამ ორ ხალხს შორის საუკუნეების მანძილზე აღმოცენებული და განმტკიცებული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობისა.

რუსეთ-საქართველოს შორის ასეთ კეთილსასურველ ურთიერთობათა ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის უდიდეს ქალაქებში — მოსკოვსა და პეტერბურგში — რუსეთისავე მხარდაჭერით ადრიდანვე აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა. ქართული კოლონიები რუსეთში ჩაისახა და განვითარდა ჩვენი ქვეყნის გარკვეულ ისტორიულ პირობებში. ისინი წარმოადგენდნენ ირან-ოსმალეთისა და მათი აგენტების მტრული გარემოცვისაგან რუსი ხალხის დახმარებით თავის დაღწევის ერთ-ერთ თავისებურ ღონისძიებას.

ქართველი ხალხი ირან-ოსმალეთის მტრული გარემოცვის წინააღმდეგ მრავალი საშუალებით იბრძოდა, საქართველოს მტრული

გარემოცვის დაშლა და მისი გარღვევა მას რუსი ხალხის დახმარებითა და მასთან კავშირის განმტკიცების გზით სწამდა; მართლაც, რუს ხალხთან ქართველი ხალხის კავშირის განმტკიცებისა და საქართველოს მტრული გარემოცვის დაშლის საქმეში დიდი როლი შეასრულა რუსეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა.

ქართველების დასახლება ჩრდილო კავკასიაში მე 16 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ჩრდილო კავკასიის ქართული მოსახლეობის კონტიგენტი შედგებოდა არა მარტო ყირიმიდან, ყაბარდოდან და საჩაჩნო-დაღესტნიდან გაქცეული ქართველი ტყვეებისაგან, არამედ თვით საქართველოდან წასული და „რუსეთში დაკარგულ"-ი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისაგან, რომლებიც, ლეკ-თათართა რბევა-შემოსევებით იმედდაკარგულები და მშვიდობიან ცხოვრებას მონატრულნი, რუსეთში ეძიებდნენ მყუდრო თავშესაფარს. საქართველოსა და სომხეთიდან რუსეთისაკენ ილტვოდნენ არა მარტო ვაჭრები (რომელთა ქონებისა და პიროვნების მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა ბევრად უკეთესად იყო გარანტირებული რუსეთის ცენტრალიზებული ძლიერი სახელმწიფოების მიერ), არამედ ასევე გარბოდნენ გლეხებიც და ზოგჯერ ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენებიც კი რუსეთში გადასახლებაზე ფიქრობდნენ. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასების ამგვარ განწყობილებათა მიზეზები რამდენადმე კარგად გამოხატა მე-18 საუკუნის ცნობილმა მოღვაწემ იესე ოსეს ძე ბარათაშვილმა. იგი გვაუწყებს: „ავი დრო იყო, ყოველ დღე დამხობას მოველოდით .. დიდ ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალეკას და ჩვენს აკლებასა და დატყვევებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა, თუ რუსეთს დავიკარგებოდით" [1].

ქართველობის რუსეთში ლტოლვის ეს პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო ვოლგაზე თათართა სახანოებს ამარცხებს და ხელთ იგდებს ასტრახან-ვოლგის დიდ სავაჭრო გზას, ე. ი. მე-16 ს. მეორე ნახევრიდან. ამიერიდან საქართველოსა და კავკასიის ხალხების პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი რუსეთთან ახალ ეტაპში შედის და იგი თანდათანობით ღრმავდება. შაჰ-აბაზის ამაოხრებელი შემოსევები საქართველოში (მე-17 საუკუნის დასაწყისიდან), მართალია, რუსეთ-საქართველოს ახლო ურთიერთობის ჩაშლისა და ქართველი ხალ-

---

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 38. ყველგან ვსარგებლობთ დასახელებული გამოცემით.

ხის მოსპობისაკენ იყო მიმართული, მაგრამ მან ამასთანავე საწინააღმდეგო შედეგებიც გამოიწვია — საქართველოდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ირანელი დამპყრობლებისა და ლეკი ფეოდალების ყაჩაღური შემოსევებით განაწამები (უმეტესად რუსეთის საზღვრისპირა მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ნაწილი), ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის და იქ სახლდება.

რუსი ხალხი კარგად ხედავდა ქართველი ხალხის შრომისმოყვარულობას, სარგებლობასა და ერთგულებას რუსეთისადმი, ამიტომ რუსები ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ და ზოგი პრივილეგიის მინიჭებითაც კი ხელს უწყობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში—მოზდოკის, ასტრახანის, ვლადიკავკასის, ვოლგისპირეთისა და თერგის რაიონებში ქართული და სომხური კოლონიების შექმნა-დასახლების საქმეს.

პეტრე პირველის ცნობილმა ლაშქრობამ ჩრდილო კავკასიაში ქართველ-სომეხთა გადასახლების ადრე დაწყებული პროცესი უფრო დიდად გააღრმავა. მე-18 საუკუნის 20-იანი წლებიდან მეფე ვახტანგ VI-ს რუსეთში დიდი ამალით გადასახლებამ და ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთის გაბატონების შედეგად შექმნილმა მძიმე პირობებმა ქართველობის „რუსეთში დაკარგვა“ რამდენადმე მოდად აქცია [1]. რუსეთში რჩებოდნენ და იქ სახლდებოდნენ არა მარტო ყირიმიდან და საჩაჩნო-დაღესტნიდან გამოქცეული ტყვედ-ყოფილები, არამედ მშვიდობიან ცხოვრებას მონატრული საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობის გარკვეული ფენები, მათ შორის გლეხებიც.

თავისთავად ცხადია, რომ ეს პროცესი იყო ცოცხალი გამოხატულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისისა. მაგრამ ობიექტურად იგი იყო მტრული გარემოცვიდან ქართველი ხალხის მიერ თავის დასაღწევად არჩეულ გზაზე — რუსეთ-საქართველოს დასაახლოებლად — წინ გადადგმული მორიგი ნაბიჯი თვით მოსახლეობის ქვედა ფენებიდან მომდინარე[2].

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ენერგიულად ებრძოდა ამ და ამის მსგავს სხვა პროცესს. მეფე ერეკლემ კანონებიც გამოსცა უცხო ქვეყნებიდან და ტყვეობიდან დაბრუნებულ-გამოქცეულთა ყმობისაგან განთავისუფლების შესახებ, დაწესდა სხვა პრივილეგიებიც მოქალაქეთათვის და სხვ. მაგრამ ჩანს ყოველივე ეს

---

[1] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, გვ. 48.

[2] ნ. ბერძენიშვილი „მიმომხილველი“, ტ. I, გვ. 338.

მაინცა და მაინც დიდ შედეგს ვერ აღწევდა. მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ფეხმოკიდებული ყოფილა „რუსეთში გადაკარგვის“ განწყობილება; ამაზე მსჯელობდნენ და ერთმანეთს რჩევასაც კი აძლევდნენ. მაგალითად, იგივე იესე ბარათაშვილი გვაუწყებს, თუ ვინმე რჩევას მომცემდა, „რუსეთში წასვლას“ და იქ დარჩენას მეუბნებოდნენო[1]. ხელისუფლების დამოკიდებულება ამ პროცესისადმი კარგად ჩანს მეფე ერეკლეს საუბრიდან თავის დედინაცვალთან, ანახანუმთან, როცა იესეს დასაცავად უთქვამს: „საცოდავია და ვიცი, რომ რუსეთს დაიკარგება, მუდამ მეთხოვებაო და ჩვენს ქვეყანას რაღა კაცის დაკლება უნდაო“ [2].

რასაკვირველია, შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ ასტრახანი, რუსეთის ეს დიდი სავაჭრო-სტრატეგიული ცენტრი აღმოსავლეთში, ქართველ მეფეთა და მრავალი გამოჩენილი მოღვაწის საძვლე-სამარხად იქცა. ასტრახანში განისვენებს მეფე ვახტანგ VI და თეიმურაზ მეორე, იქვეა დასაფლავებული ბევრი სხვა ქართველი მოღვაწე.

ქართველთა კოლონიების გაჩენა ასტრახანსა, მოზდოკსა, თერგისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონებში, ხოლო უფრო მოგვიანებით მოსკოვსა და პეტერბურგში, დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ძალად გვევლინება რუსეთ-საქართველოს შორის მჭიდრო ეკონომიური და კულტურული კავშირის გაძლიერებისათვის[3]. დამახასიათებელია, რომ დაღესტნიდან ჩრდილო კავკასიაში გაქცეულ დავით გურამიშვილს თერგის კაზაკებმა თარჯიმნად ქართულ-რუსულის მცოდნე ვინმე ფხოველელი იანვარა მიჰგვარეს. ქართველები იქ ადრევე იყვნენ გადასულნი და დასახლებულნი; ისინი ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ მკვიდრ მოსახლეობასთან და მათ პატივისცემას იმსახურებდნენ. კაზაკებმა მშობლიური ზრუნვა გამოიჩინეს ტყვეობიდან გაქცეულ დ. გურამიშვილისადმი, გაიზიარეს მისი ტანჯვა-წვალება და სიყვარულითა და ცრემლთა ფრქვევით ჩაიკრეს იგი გულში.

მე-18 საუკუნიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში თავს იჩენს ახალი საყურადღებო მოვლენა — საქართველოში შემოდის რუსული მოსახლეობა. მე-18 საუკუნიდან საქართველოში ჩვენ

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 47.

[2] იქვე.

[3] ნ. ბერძენიშვილი, Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве», „მიმომხილველი“, ტ. III, გვ. 281—284.

უკვე ვხვდებით არა მარტო რუს დიპლომატებს, ელჩებსა და სამხედრო ნაწილებს, არამედ საქართველოში ლტოლვილ რუს გლეხებსაც, რომლებიც ქართველი გლეხების თანაბრადაა ექსპლოატირებული ადგილობრივ მებატონეთა მიერ. მაგალითად, 1770-იან წლებში ქართლის მებატონე იესე ბარათაშვილის „ნასყიდ" 21 ყმას შორის ყოფილა ოთხი რუსი, ოთხი ოსი და სხვა[1]. თუ საიდან მოიპოვა და ვინ იყვნენ პერსონალურად, კერძოდ, რუსი ყმა გლეხები, ამაზე თვით იესე შემდეგს გვაუწყებს: „შარშან რომ რუსები შემოვიპირე, — ივანე პატარა დიღმიდამ, სტეფანე თიანეთიდან, ნიკოლა ჯინჯილხანიდამ, დიდი ივანე სასტიკის საპყრობილიდამ, მშიერი, შიშველი... გამოვიყვანეო" [2]. იესე ბარათაშვილის საყმო ფეოდალური მამული ამ მხრივაც ტიპიურად შეიძლება მივიჩნიოთ. ამრიგად ირკვევა, რომ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან (კერძოდ ოსეთიდან) ყმა-გლეხების საქართველოში ლტოლვას ამ პერიოდში რამდენადმე სისტემატური ხასიათი ჰქონია მიღებული.

---

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 99.
[2] იქვე, გვ. 95.

# თავი მეორე

## საქართველოს რუსეთთან შეერთება. საბრძოლო თანამეგობრობის გაღრმავება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს

### 1. რუსეთის გავლენის ზრდა ამიერ-კავკასიაში და ირანელ-თურქ აგრესორთა შემოსევების ალკვეთა

მე-18 საუკუნის დასასრულს ამიერკავკასიაში საქართველო ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც საუკუნეების მანძილზე უმკლავდებოდა ირანისა და თურქეთის „სალმთო“ სისხლიან ომებს და აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღებით ეროვნულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

ამ აგრესიების უფრო გაძლიერებისა და საშინაო სოციალურ-ეკონომიური პირობების გართულების შედეგად ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება საკუთარი ძალებით მეტად ძნელდებოდა და თითქმის შეუძლებელიც ხდებოდა; ამიტომ საქართველოს წინაშე მაშინ იდგა ალტერნატივი: ან დამონებოდა შაჰის ირანს და სულთანის თურქეთს, ან შეერთებოდა ერთმორწმუნე რუსეთს; ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფალთა სწორ და გამჭრიახ საგარეო პოლიტიკას ქართველი ხალხისათვის სასურველი შედეგები მოჰყვა: 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატით აღმოსავლეთ საქართველომ ძლიერი რუსეთის ჯერ პროტექტორატი და მფარველობა მიიღო, ხოლო შემდეგ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა და ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარება იმ გზით წარიმართა, რომ 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა.

„რუსეთთან საქართველოს შეერთებამ, მიუხედავად ცარიზმის, რუს და ქართველ ფეოდალთა და ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკისა, ერთმანეთთან დააახლოვა საქართველოსა და რუსეთის ხალხები, რომლებმაც აირჩიეს ერთადერთი სწორი გზა—ყველა გარეშე მტრის წინააღმდეგ, საერთო მჩაგვრელების წინააღმდეგ, მემამულე-მებატონეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გზა“[1].

---

[1] ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენებიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე.

რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სავსებით ახალი პერიოდი იწყება. ამიერიდან რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა ახალ შინაარსს ღებულობს. შეერთების აქტის საფუძველზე ქართველმა ხალხმა რუსი ხალხის სახით შეიძინა დიდი მოკავშირე და დამცველი თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. რუსეთი, რომლის ძლიერებითა და უკეთესი მომავალით ქართველი ხალხი მუდამ იყო დაინტერესებული, ამიერიდან მათთვის მეორე სამშობლოდ იქცა; რუსმა ხალხმა თავის მხრივ ვალდებულება იკისრა, რომ ქართველების მხარდამხარ იბრძოლებდა და საქართველოს უცხოელი დამპყრობლებისაგან დაიცავდა. ბუნებრივია, ასეთ ისტორიულ პირობებში რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა ახალ სტადიაში შევიდა, უფრო განმტკიცდა და გაფართოვდა, გაძლიერდა ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული კავშირი, რის შედეგადაც საქართველო მტრისათვის მიუვალ სიმაგრედ იქცა[1].

* * *

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამიერიდან დაიწყო მშვიდობიანი, უშიშარი ცხოვრებისა და მეურნეობის თანდათანობითი განვითარების ხანა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით „...დამშვიდდა დიდი ხნის დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან... გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება“ [2]. ქართველი ხალხის სამშობლოს დაცვისათვის მრავალსაუკუნოვანი სამართლიანი ბრძოლები მტრული გარემოცვის გარღვევით დასრულდა. დასაბამი მიეცა სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველოს გაერთიანებას და ოდითვე საქართველოს კუთვნილი მიწაწყლის: ახალციხის, ახალქალაქის, აჭარისა და ართვი-

[1] როგორც დავრწმუნდით, ბევრად ადრე რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი საბრძოლო თანამეგობრობა ასევე გარკვეულ როლს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვისა და მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში. ეს თანამეგობრობა ასევე ხელს უწყობდა დიდ ისტორიულ-პროგრესულ საქმეს—აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის შემდგომ ზრდას და აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების გამოხსნას ირანისა და თურქეთის ბარბაროსული ჩაგვრისაგან.

[2] ი. ჭავჭავაძე, ასი წლის წინათ.

ნის ოლქის და სხვ., რომლებიც მიტაცებული ჰქონდა თურქებს, საქართველოსთან შემოერთებას.

მშვიდობიანმა ცხოვრებამ, განუწყვეტელი შემოსევებისა და შინაფეოდალური აშლილობის აღმოფხვრამ ხელი შეუწყო მწარმოებელი ძალების განვითარებას, გამრავლდა მოსახლეობა, კვლავ აღორძინდა ნასოფლარი და ნაქალაქარი ადგილები, განვითარდა სოფლის მეურნეობა და მიმოსვლის საშუალებები, დაწინაურდა ხელოსნობა, მანუფაქტურული წარმოება და საქალაქო ცხოვრება, განმტკიცდა სამოქალაქო წესრიგი, მოისპო ტყვეებით ვაჭრობა და დასაბამი მიეცა მოსახლეობის სისტემატურ ზრდას[1]. ერთი სიტყვით, რუსეთს წილად ხვდა „მოქალაქობით განახლება კავკასიისა სასიქადულოდ ქვეყნისა და კაცთა ნათესავისა“[2]. ნ. ბარათაშვილის მოხდენილი თქმით კი:

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“[3].

რუსეთთან საქართველოს შეერთებით საბოლოოდ გაირღვა მტრული გარემოცვა, რასაც ირანი და ოსმალეთი ქმნიდნენ.

საქართველო, რუსეთის მეშვეობით, მოწინავე ქვეყნების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ფერხულში ებმება. ვ. ლენინის გენიალური ანალიზით „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — *ჰქმნიდა ბაზარს* თავისი ფაბრიკებისათვის“[4].

საქართველოში გზებისა და ნავსადგურების მშენებლობამ, მიმოსვლის საშუალებების განვითარებამ, ფეოდალური სამეფო-სამთავროების გაუქმებამ, კარჩაკეტილობის მოსპობამ, რუსეთისა და უცხოეთის სავაჭრო და სამრეწველო კომპანიებმა და ცალკე წამოწყებებმა, უცხოური საქონლის თავისუფალი ტრანზიტისა და შეღავათიანი ტარიფის დაწესებამ ხელი შეუწყო მწარმოებელი ძალების კაპიტალისტურ საფუძველზე განვითარებას.

საქართველო მოიცვა გლეხთა მასობრივმა აჯანყებებმა, ბატონყმური სისტემის კრიზისმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რა-

---

[1] ი. ევეცკი, ამიერკავკასიის მხარის სტატისტიკური აღწერა, 1835, ტ. V, გვ. 27.

[2] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას რედაქტორობით, გვ. 248.

[3] ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „საფლავი მეფის ირაკლისა“.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

მაც ძირფესვიანად შეარყია ფეოდალურ-ბატონყმური სოციალურ-ეკონომიური წყობილება და აიძულა მეფის რუსეთის მემამულე-მებატონეები საგლეხო რეფორმა საქართველოშიც განეხორციელებინათ; „მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალნათ სა-საქონლო გაცვლა-გამოცვლის ზრდისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი, დაშლის პროცესში მყოფი ფორმები. ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება"[1].

ბატონყმობის გაუქმებით ქართველ ხალხს მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისა და გამდიდრების უდიდესი შესაძლებლობანი და პერსპექტივები დაესახა. ამიერიდან, რუსეთისა და საქართველოს ურღვევი მეგობრობა ახალ ეტაპში შევიდა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველსავე წლებიდან რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერებათა აკადემია და კულტურის სხვა მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრები დიდ დახმარებას უწევენ მეცნიერებისა და წინსვლის მოყვარულ ქართველ ხალხს საკუთარი კულტურის ახალ საფუძველზე სწრაფი აღორძინების საქმეში.

ქართული კულტურის აღორძინებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს რუსი ხალხის გენიალურმა მწერლებმა—პუშკინმა, ლერმონტოვმა, გრიბოედოვმა და სხვებმა.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ხელი შეუწყო რუსეთის გავლენის გავრცელებას არა მარტო საქართველოზე, არამედ კავკასიისა და აღმოსავლეთის დანარჩენ ხალხებზეც. ეს კი თავისი ობიექტური შედეგებით მკვიდრთათვის პროგრესული მოვლენა იყო და ხალხის განვითარებისა და წინსვლის ინტერესებს შეესაბამებოდა.

ფ. ენგელსი კ. მარქსს 1851 წელს ამის შესახებ გარკვევით სწერდა: «Чем больше я размышляю, тем яснее мне становится, что... Россия действительно играет прогрессивную роль по отношению к востоку... Господство России играет цивилизующую роль для Черного и Каспийского морей и Центральной Азии»[2]...

მეფის რუსეთი აღმოსავლეთში ბრძოლებით იკაფავდა გზას.

შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ რუსეთის ცარიზმის ომებს თითქოს მხოლოდ პროგრესული და განმათავისუფლებელი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. XXI, გვ. 210—211 (რუს.).

მისია ჰქონდა და გამორიცხული იყო მისი დაპყრობითი და უსამართლო ხასიათი, რომ რუსეთის ცარიზმს ამ ომებში თითქოს არ ამოქმედებდა კოლონიური ზრახვები, სხვა ხალხთა დაპყრობა და დამონება.

ომი რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, იგი არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი კატეგორია. ყოველგვარი ომის ხასიათის მეცნიერულად შესწავლა კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომასა და ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოითხოვს.

მარქსიზმ-ლენინიზმის განსაზღვრით ომი ორნაირია—სამართლიანი და უსამართლო. მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველგვარ ომს დიალექტიკური განვითარების პროცესში განიხილავს. ამიტომ ომის ხასიათის განსაზღვრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ომის ობიექტურ-ისტორიული შედეგების ანალიზს, მისი როლისა და მნიშვნელობის გამორკვევას საზოგადოებრივი განვითარებისათვის, განურჩევლად იმისა, თუ როგორი მიზანდასახულობითა და ზრახვებით მოქმედებენ გაბატონებული კლასები ამა თუ იმ ომში.

რიგი ომების შესახებ ძნელია კატეგორიულად თქმა, რომ იგი მხოლოდ სამართლიანია ან მხოლოდ უსამართლო; მექანიკური, არსებითად მეტაფიზიკური, მიდგომით ჩვენ ვერ გავარკვევთ და ვერ ჩავწვდებით ომების არსს.

შაჰის ირანისა და თურქეთის სულთანის სატრაპები საუკუნეების მანძილზე ფლობდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს, ცდილობდნენ მათ სრულ ასიმილირებას და მოსპობას. ამავე დროს საუკუნეების მანძილზე ქართველი და სომეხი ხალხები სამართლიან გამათავისუფლებელ ომს ეწეოდნენ უცხო დამპყრობთაგან თავდასაცავად.

კ. მარქსი, უკეთებდა რა ანალიზს თურქ დამპყრობთა საუკუნოვანი ველური აგრესიების არსს და მის გამანადგურებელ შედეგებს ჩაგრული ხალხებისადმი, წერდა, რომ თურქეთის მიერ დამონებული ხალხები რუსეთსა და მის ომებში ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ხედავდნენ „თავის ერთადერთ დასაყრდენს, თავისი გამათავისუფლებლად მხსნელ მესიას...“[1]. რუსეთის გავლენის წინააღმდეგ მებრძოლი და „ავადმყოფი თურქეთის“ მფარველობის დროშით მოქმედი ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები სინამდვილეში მიზნად ისახავდნენ თვით თურქეთისა და მის მო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IX, გვ. 394 (რუს.).

ნობაში მყოფ ხალხთა, ასევე კავკასიელ ხალხთა ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცევას და აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის აღკვეთას. ინგლისელი კოლონიზატორების მიზნები სავსებით ნათელი იყო.

რუსეთის ცარიზმი აღმოსავლეთში თავისი გავლენისათვის წარმოებული ომებით ობიექტურად პროგრესულ-განმათავისუფლებელ როლს ასრულებდა არა მარტო კავკასიის ხალხების მიმართ, არამედ აღმოსავლეთის სხვა ხალხთა მიმართაც.

ამ ფაქტზე, როგორც აღინიშნა, კ. მარქსი და ფ. ენგელსი გარკვევით მიუთითებდნენ[1]. წინამდებარე ნაშრომში ჩვენთვის სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის ეს დებულებებია ამოსავალი და დასაყრდენი.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ეს გენიალური დაკვირვება და დებულება მდიდარი ფაქტიური მასალებით დასტურდება, კერძოდ, საქართველოს ისტორიული სინამდვილითაც.

მაგალითად, რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის პერიოდში თურქეთის მონობაში მყოფი ჩაგრული ხალხები კავკასიის არმიას და მის სარდლობას განმათავისუფლებლად და მხსნელად თვლიდნენ.

1829 წლის 29 სექტემბერს არტანუჯელ კათოლიკეთა მღვდელი იოანე ბატონოვი (ფარული ქრისტიანი), უმთავრესად ქართველი მოსახლეობის სახელით, პასკევიჩს სწერდა: «Мы весьма возрадовались услыша избавление Ахалциха от рук неверных»; მაგრამ ჩვენ ჯერ ისევ მონობაში ვართ—«в руках этих беззаконных». თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობითა და ძარცვა-გლეჯით თავმობეზრებული ხალხი ევედრებოდა პასკევიჩს: «Крайне умоляем вас, как поскорее подать нам помощь и освободить нас»[2]. უამრავი დოკუმენტით მტკიცდება, რომ თურქთა მონობაში მყოფი ქართველი მოსახლეობა რუსეთსა და მის ძლევამოსილ მხედრობას გამათავისუფლებლად თვლიდა.

კაპიტალიზმის განვითარება და მეფის რუსეთის გავლენის ზრდა განაპირა ქვეყნებში ხელს უწყობდა წარმოებისა და გაცვლით ურთიერთობათა ინტერნაციონალიზაციას[3], საზოგადოებრივი

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXI, გვ. 210.—210.

[2] ლენინგრადის ЦГИА, პასკევიჩის არქივი, ფონდი № 1018, ანაწერი 3, საქმე 79, გვ. 1—2. დოკუმენტი თარგმნილია ქართული დედნიდან.

[3] ი. ქართველიშვილის მემუარები, სახელგამი, 1952, შესავალი წერილი.

განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა ეროვნული კარჩაკეტილობის ლიკვიდაციას, მათ სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცებასა და გაძლიერებას. კაპიტალიზმი მეფის რუსეთსა და მის განაპირა ქვეყნებში ვითარდებოდა როგორც ერთი მთლიანი მოვლენა; ცარიზმი და ბურჟუაზია იძულებული იყვნენ განაპირა ქვეყნებში ეშენებინათ ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზები, (მტაცებლურად, მაგრამ მაინც ფართოდ) დაემუშავებინათ წიაღისეული, შეექმნათ ახალი სამრეწველო ცენტრები და სხვ.

კაპიტალიზმის განვითარება განაპირა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან იყო გადაჯაჭვული და მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. განაპირა მხარეები და ოლქები რუსეთის ცენტრალური სამრეწველო ქალაქებისა და რაიონებისათვის გადაიქცა გასაღების ბაზრად და ნედლეულთა წყაროებად, ე. ი. განაპირა რაიონებში კაპიტალიზმის განვითარება ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის დამახასიათებელი და მისი ეკონომიური პოლიტიკის ნიშნით ხორციელდებოდა.

ამრიგად, განაპირა ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარება, ამ ხალხთა სამეურნეო წინსვლა, მათი კარჩაკეტილობის მოსპობა და კულტურული დაახლოების პროცესი მიმდინარეობდა კოლონიური და ეროვნული ჩაგვრის, მშრომელთა მასობრივი ექსპლოატაციის პირობებში. ამიტომ ეს პოლიტიკა ჩაგრულ ხალხთა სასტიკ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. რუსეთის სინამდვილეში, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით, კაპიტალიზმის პროგრესული მხარე მოხერხებულად უთავსდებოდა მის ბნელ მხარეს[1].

კაპიტალიზმის ბნელი მხარე—მშრომელთა ექსპლოატაცია, რუსეთის ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა და ამის საფუძველზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი—ობიექტური აუცილებლობით ბადებდა რევოლუციურ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. რუსეთის განაპირა მხარეებში გასაკუთრებით ფართო ხასიათს იღებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

„ეროვნული მოძრაობის შინაარსი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყველგან ერთნაირი იყოს, იგი სავსებით განისაზღვრება სხვადასხვა მოთხოვნით, რასაც ეს მოძრაობა აყენებს“ (ი. ბ. სტალინი).

საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მძლავრ მოძრაობას ჰქონდა ადგილი; ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 707.

სა იყო საქართველოში „თერგდალეულთა“ შესანიშნავი მოძრაობა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე მეთაურობდა. „თერგდალეულები“ იბრძოდნენ საქართველოს ეროვნული უფლებების აღდგენისა და დაცვისათვის. ისინი მომხრენი იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ერთად განეგრძო წინსვლა და ბრძოლა, რადგან ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს რუს ხალხთან განუყრელ კავშირში ხედავდნენ, მაგრამ დაუღალავად იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, ეროვნული ჩაგვრისა და ძარცვის წინააღმდეგ, რასაც მეფის ხელისუფლება და მისი მოხელეები ახორციელებდნენ.

რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების დიად იდეებზე აღზრდილი მოწინავე ქართველი ახალი თაობის ეს შესანიშნავი მოძრაობა განუყრელად დაკავშირებული იყო რუსი ხალხის თავისუფლებისათვის დიად ბრძოლასთან[1].

რუსეთის ისტორიაში ეს იყო პერიოდი, როცა მისი საზოგადოებრივი ურთიერთობის წიაღში დაიწყო ბრძოლა, როგორც ამას ლენინი მიუთითებდა, ახალი, თავისუფალი რუსეთისათვის.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილებს სწორად ჰქონდათ გაგებული საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდი ისტორიული მნიშვნელობა. გენიალური ქართველი მგოსანი ნ. ბარათაშვილი ბრძნულად აჯამებს საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგებს თავის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“. იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს განსვენებულ ერეკლე მეფეს:

„...თაყვანს ვცემ შენს ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს.
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს,
 აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი
 და ვსჭამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი.
 აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა
 და თაყვანსა ჰსცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილსა და სხვებს რუს ხალხთან მჭიდრო და განუყრელი კავშირი მიაჩნდათ ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიური გაძლიერების აუცილებელ პირობად. მაგალითად, ი. გოგებაშვილის რწმენით „პოლიტიკური

---

[1] В. Бахтадзе, Из истории общественно-экономических взглядов грузинских шестидесятников. თბილისი, 1954.

ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე“[1].

რუსეთთან საქართველოს შეერთებით ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის შემდგომი ზრდა, როგორც დიდი პროგრესული მოვლენა, მთელი მსოფლიოს რეაქციული ძალების გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევდა.

კავკასიასა და აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებით შეშფოთებული ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიზატორები მჭიდროდ დაუკავშირდნენ ირანის შაჰსა და თურქეთის სულთანს და მიზნად დაისახეს როგორც კავკასიიდან, ისე ყირიმიდან რუსეთის გაძევება. ამ მიზნით მათ მოხერხებულად გამოიყენეს ისლამის სარწმუნოება. მაგალითად, მიურიდიზმი და მასთან დაკავშირებული შამილის მოძრაობა პროგრესის გზაზე დამდგარი კავკასიის ხალხების წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ყველაზე უფრო მავნე რეაქციული მოძრაობა იყო. ამ მოძრაობის იდეური სულისჩამდგმელები და უშუალო ორგანიზატორები იყვნენ თურქეთის სულთანი და ინგლისელი კოლონიზატორები.

მაჰმადიანური ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემა და სამხედრო ორგანიზაცია სიბნელეში მყოფი ჩაგრული კლასების ადვილად დამონების მიზნით ძველთაგანვე რელიგიური დოგმებისა და მისი გაქვავებული კანონებიდან იღებს საწყისსა და მომდინარეობას. ხელისუფლების ორგანოები და არმია იქ მთელი თავიანთი ფუნქციებით, როგორც გაბატონებული კლასის ორგანო და ძალდატანების იარაღი (მათივე კლასობრივი ბატონობის შესანარჩუნებლად), ღვთიურ მოვლენად და მაჰმადის მიერ დაწესებულ ინსტიტუტებადაა მიჩნეული; ამიტომ, ამ ინსტიტუტთა ყოველი მტარვალური საქმიანობაც გამართლებულია ხალხის მასების ექსპლოატაცია-ჩაგვრისა და მეზობელი ხალხების დაპყრობა-დამონების საქმეში, რადგან იგი ასევე ღვთაებრივ საქმედაა მიჩნეული.

ცნობილია, რომ თურქი და ირანელი დამპყრობლები თავიანთ ყაჩაღურ ომებს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა დასამონებლად ყოველთვის ღვთაებრივ საქმედ აცხადებდნენ და რელიგიურ სამოსელში ახვევდნენ (ასევე იქცეოდა მათი წინამორბედი თემურ-ლენგიც). ისინი ქართველთა და სომეხთა მიწაწყლის

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1951, გვ. 364.

დაპყრობასა და მათი მოსახლეობის გაძარცვას, ისტორიული ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა ცეცხლითა და მახვილით განადგურებას, ათასობით უდანაშაულო ადამიანთა—ქალის, მოხუცისა და ბავშვის გაჟლეტას, მთელ თავიანთ მხეცობასა და ველურობას რელიგიისათვის ბრძოლის დროშით ფარავდნენ.

სწორედ ამ დროშით მოქმედებდნენ თურქი დამპყრობლები მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე, ე. ი. რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე. ისინი ველური მეთოდებით იპყრობდნენ საქართველოს მიწა-წყალს—ჭანეთს, ტრაპეზუნდ-გვიმიშხანეს, ისპირს, ტაოს, თორთუმს, კლარჯეთს, აგრეთვე ჩრდილო მესხეთს, სამცხე-ჯავახეთს, ატრაანს, აჭარას, გურიას, ქობულეთსა და აფხაზეთის მხარეს; თურქი დამპყრობლები მიტაცებულ ადგილებში ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ქართულ ეროვნულ კულტურას, მეურნეობას.

ანალოგიური მეთოდით იპყრობდნენ ირანელი ავაზაკები აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს, განსაკუთრებით ბოლნისს, მარნეულს, დმანისს, ლორე-ფამბაკს, ალავერდს, ჭარ-ბელაქანს, საინგილოსა და ა. შ.; თავიანთი ბარბაროსული ამაოხრებელი შემოსევებით თურქმა და ირანელმა დამპყრობლებმა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა აყარეს და თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს. მტარვალებმა მონდომებით დაიწყეს საქართველოსაგან მიტაცებულ მიწა-წყალზე თათრული ტომების დასახლება. ამ მხრივ შეუდარებელი ვერაგობით ხასიათდება შაჰ-აბასის ბოროტი ღონისძიებები, რასაც შემდეგ მიმბაძველებიც ბევრი ჰყავდა.

ირანელი და თურქი დამპყრობნი მიზნად ისახავდნენ ამ გზით საქართველოს მოსპობას, მის აღგვას პირისაგან მიწისა. დამპყრობლები საქართველოსაგან მიტაცებულ ადგილებს სრულიად ანადგურებდნენ ეკონომიურად, გადარჩენილ მოსახლეობას იძულებით ამაჰმადიანებდნენ და პოლიტიკურად იმონებდნენ, ძარცვავდნენ, ტყვეებად მიჰყავდათ და ყიდდნენ. მსგავსი ბოროტმოქმედებანი, რასაც ირანელი და თურქი დამპყრობლები კავკასიის ხალხების მიმართ სჩადიოდნენ, ძნელია მოინახოს მსოფლიო ისტორიაში.

ი. სტალინი თავის ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ეხება ასიმილიაციის ამ მხეცურ მეთოდებს, რომლის საფუძველზე „თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს“[1].

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 385.

ქართველი და სომეხი ხალხები რუსეთთან შეერთების შედეგად გადაურჩნენ სრულ განადგურებას და შეძლეს საკუთარი ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნება.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველი და რუსი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა სავსებით ახალი თვისობრიობის მატარებელი ხდება[1].

რუსეთთან საქართველოს შეერთებით მართალია შეწყდა საქართველოს სისტემატური რბევა და აოხრება, მაგრამ ირანსა და თურქეთს თავიანთ აგრესიულ ზრახვებზე ხელი არამცთუ არ აუღიათ, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის წაქეზებითა და აქტიური დახმარებით უფრო გააძლიერეს და შეერთებული ძალებით იწყეს ენერგიული მოქმედება, რომ საქართველოსა და კავკასიიდან რუსები გაედევნათ.

ამით აიხსნება ის, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების 1-ლ ათწლედში რუსეთი ზედიზედ და ერთდროულად ჩაითრიეს ირან-რუსეთისა და თურქეთ-რუსეთის ომებში, რომლებიც 1805—1813 და 1806—1812 წლებში მიმდინარეობდა და უშუალოდ დაემთხვა ნაპოლეონის ურდოების შემოსევას რუსეთში. ისინი რუსეთის წინააღმდეგ მოხერხებულად იყენებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილსა და იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს.

ასეთ დაძაბულ ისტორიულ ვითარებაში ქართველი ხალხი განუყრელად უდგა გვერდში დიდ რუს ხალხს და გმირული თავდადებით იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ.

რუსეთთან საქართველოს შეერთების აქტით ქართველი ხალხი, გარკვეული პერიოდით, განთავისუფლებული იყო სამხედრო სავალდებულო ბეგარისაგან. მიუხედავად ამისა, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კავკასიის ფრონტზე ირანისა და თურქეთის აგრესიული ომების დროს ორივე მოკავშირე ქვეყნის (რუსეთ-საქართველოს) ინტერესები მოითხოვდა, რომ საუკუნოვან

---

[1] რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, მართალია, ზოგადად თითქოს ერთი პერიოდის მომცველია, მაგრამ იგი თვით შეიცავს მთელ რიგ ცალკე პერიოდებს. წინამდებარე ნარკვევში ჩვენ, როგორც აღინიშნა, რეფორმამდელი პერიოდით ვიფარგლებით, რადგან ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი არსებითად განსხვავებული ხანაა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების თვალსაზრისითაც, მით უმეტეს, რომ იცვლება თვით ომების ხასიათი, მასშტაბი და შედეგები, ამდენად ეს პერიოდი სპეციალური, ცალკე კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

ბრძოლებში გამოწრთობილი და დიდი საბრძოლო ტრადიციების მქონე ქართველ ხალხს აქტიური და მასობრივი მონაწილეობა მიეღო სამშობლოს დაცვისათვის, საერთო მტრების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში. ასეთ ისტორიულ პირობებში ქართველი ხალხი კავკასიის მოძმე ხალხებთან ერთად რუსეთის ყველა ომის აქტიური მონაწილე ხდება.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის დ. ყიფიანის მემუარებში შემონახულია საყურადღებო ცნობა: „როდესაც რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას რომელიმე ომის დროს ამიერკავკასიაში გაუჭირდებოდა და რუსულ ჯარს სიმცირე დაეტყობოდა, მაშინ მიმართავდა ადგილობრივ მცხოვრებთ მოწოდებით და ახდენდა მათ მობილიზაციას მილიციის წესით... მილიციამ დიდად ისახელა თავი"...

ინგლისელი იმპერიალისტები რუსეთ-თურქეთის ომისა და რუსეთის პირველი სამამულო ომის პერიოდში პროვოკაციულად აქეზებენ ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედებისაკენ, მოუწოდებდნენ მას შავიზღვისპირეთისა და დასავლეთ საქართველოდან (და მთლიანად კავკასიიდან) რუსეთის გამოდევნის მიზნით. მართლაც, სულთან მაჰმად მეორის მეთაურობით თურქი დამპყრობლები სისტემატურ დივერსიებსა და ავანტურას აწყობენ დასავლეთ საქართველოში, აღვივებენ ფეოდალურ ქიშპს და რუსეთისათვის ამ უმძიმეს დღეებში დაბეჯითებით მოითხოვდნენ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას. სწორედ ინგლისისა და თურქეთის ამგვარი მტარვალური მოქმედების შედეგი იყო ის, რომ რუსთა და ქართველთა გმირული ბრძოლებით გამოხსნილი ახალქალაქი (1811 წ.), ფოთი (1809 წ.) და შავიზღვისპირა სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილები ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით კვლავ თურქეთს დაუბრუნდა. ადმირალ ჩიჩაგოვის ცნობით ინგლისი ამ დროს იმდენად ყოფილა დაინტერესებული კავკასიიდან რუსეთის განდევნით, რომ ამ სურვილით გატაცებული თითქოს დავიწყებას აძლევდა იმ უდიდეს საფრთხეს, რომელიც მას ნაპოლეონ ბონაპარტის მხრივ ემუქრებოდა[1].

---

[1] „სამამულო ომი და რუსი საზოგადოებრიობა", ტ. 11, გვ. 120, მოსკოვი. 1811 წ. ბუქარესტის ზავი (1812 წ. 16 მაისი) ერთი თვით ადრე დაიდო,—სახელოვანი მთავარსარდლის კუტუზოვის ინიციატივით,—ვიდრე ნაპოლეონი შემოესეოდა რუსეთს, ისე რომ რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრება რუსეთისათვის არახელსაყრელ პირობებში მოხდა შექმნილი ისტორიული ვითარების გამო.

* * *

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსთა და ქართველთა მხედრობა გენ. გულიაკოვისა და სიმანოვიჩის მეთაურობით აღმოსავლეთ საქართველოს ენერგიულად იცავდა მტრის შემოსევებისაგან. გენ. თევდორე ფილიპეს ძე სიმანოვიჩი იცავდა ქართლს, ხოლო გენ. გულიაკოვი—კახეთს. მათ გვერდში უდგა მაშინდელი ქართველი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეები და სარდლები. მაგალითად, ქართლის ჯარებს სარდლობდა პ. ციციანოვის განუყრელი თანამებრძოლი გენერალ-მაიორი თავადი დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი.

დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების ნაწილი რუსეთის არმიის შესანიშნავი ოფიცრები გახდნენ და ერთგულად იბრძოდნენ რუსეთის დიდებისათვის.

რუსი მხედრობის გვერდით მასობრივად მონაწილეობდნენ ომებში ქართველთა რიგითი მეომრები, ცალკე რაზმები, მილიციელები და სხვა დანაყოფები.

ომარ-ხან ავარელის ურდოთა წინააღმდეგ რუს და ქართველთა ბრძოლაში იორთან დიდი სახელი მოიხვეჭა ვასილ სიმონის ძე გულიაკოვმა. იგი მტერზე გამარჯვების ერთ-ერთ ორგანიზატორად იქცა.

ქართლსა და კახეთზე თავდამსხმელ თურქ და ლეკ ფეოდალთა ყველა გამოხდომა რუსმა და ქართველმა მხედრებმა წარმატებით მოიგერიეს და 1803 წ. გენ. გულიაკოვმა გენ. დიმიტრი ორბელიანისა და პოლკ. გრიგოლ ევსევის ძე ერისთავის მონაწილეობით დაიმორჩილა ჭარ-ბელაქანი.

კავკასიის ხალხების უცხო დამპყრობთაგან დაცვისა და აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებისათვის ბრძოლის ისტორიაში შესანიშნავი ფურცლები ჩაწერა გმირობით სახელმოხვეჭილმა რუსეთის კავკასიის არმიამ, ამ არმიის რიგითმა მეომრებმა და ოფიცრებმა; რუსეთის კავკასიის არმიას მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი ჰყავდა, რომლებმაც დიდი სახელი მოიხვეჭეს ირანელ-ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის კავკასიის არმიის ისტორიაში დაუვიწყარი რჩება სახელი დემოკრატიული ფენებიდან გამოსულ გენერალ პეტრე სტეფანეს ძე კოტლიარევსკისა, რომელიც ჯერ კიდევ 1800 წელს იორთან იბრძოდა; ირან-ოსმალეთისა და ნაპოლეონის ურდოთა შემოსევების შე-

დეგად ჩვენი ქვეყნის უდიდესი განსაცდელის ჟამს კოტლიარევსკიმ სამუდამოდ დაიმკვიდრა გმირის სახელი—ასლანდუზის, მიგრის, ახალქალაქის, ლენქორანისა და სხვ. გმირულ ბრძოლებში.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, გარდა იმისა, რომ გმირულად მონაწილეობდნენ კავკასიის ფრონტებზე წარმოებულ ყველა ბრძოლაში, ჯერ კიდევ იმ დროს, საკუთარი მშობლიური კუთხისაგან ბევრად მოშორებით, ვაჟკაცურად იცავდნენ მშობლიური რუსეთის მიწა-წყალს ნაპოლეონის ურდოებისაგან და აქტიურად იბრძოდნენ 1812 წლის სამამულო ომში. საკმარისია აღინიშნოს კუტუზოვის თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის გენერალ პეტრე ბაგრატიონის გმირობა ბოროდინოსთან. ცნობილი ქართველი პოეტი გენერალი ალ. ჭავჭავაძე ღირსეულად მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში და 1814 წ. რუსეთის მხედრობასთან ერთად პარიზში შევიდა. მასთან ერთად იბრძოდა მრავალი ქართველი გენერალი, ოფიცერი და რიგითი ჯარისკაცი[1].

ჯერ კიდევ 1806 წელს სახელოვანი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი ქართველი თავადებისადმი მიწერილ პირად ბარათში მოუწოდებდა მათ რუსეთის ერთგულებისაკენ და გულდასმით განუმარტავდა: „თქვენ იცით, თუ რუსეთის ...საფარველი მაგ ქვეყანას [საქართველოს—ა. ი.] არ შესწეოდა, აქამდის დიდს უბედურებას მიეცემოდაო"[2].

პ. ბაგრატიონი არწმუნებდა მათ, რომ საქართველოს ხსნა და მისი უკეთესი მომავალი მხოლოდ რუსეთთან თანაარსებობით შეიძლება იქნეს მოპოვებული, ამიტომ მოუწოდებდა არ დაეზოგათ ძალა და სიცოცხლეც კი განსაცდელში ჩავარდნილი რუსეთის მტრებზე გამარჯვების მოპოვებისათვის, რადგან რუსეთის მტრები ასევე მოსისხლე მტრები არიან საქართველოსიო. მართლაც, თუ რაოდენ დიდი თავდადება გამოიჩინა ქართველმა ხალხმა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში, ეს კარგად ჩანს 1814 წ.

---

[1] მათი სია თავის დროზე გამოქვეყნდა ჟურნ. „განათლებაში", 1915 წ. № 1. „ამა ძლიერთა ბრძოლათა შინა... ფრიად სახელოვნად აღმოჩნდნენ, ვითარცა შუენის ქართველთა მამაცობას; რომელიმე დაიკოდნენ და რომელიმე მოსწყდნენ; ხოლო ტყვედ ამა ბრძოლასა შინა არავინ შეპყრობილ არს სიმხნითა თვისითა", შენიშნავს მემატიანე.

[2] საქართველოს ცენტრარქივის ძველი საბუთების ფონდი 226, საქმე 6119. ავტოგრაფი დაწერილია ქართულად (სრული ტექსტი ამ საბუთისა იხ. დანართში).

16 მარტს შედგენილი ერთი ოფიციალური დოკუმენტიდან, სადაც გრაფი რტიშჩევი, გრაფ რუმიანცევს მოახსენებდა:

«Доброжелательствуюшие нашему правительству князья и дворяне, всегда находились при российских войсках волонтерами, имев с собою по силе возможности каждый от 10 до 50 своих вооруженных конных людей для службы и содержал их во всех продолжение компании на собственных издержках»[1].

როგორც ირან-თურქეთის აგრესიული თავდასხმების წინააღმდეგ, ასევე ქარ-ბელაქნის თურქული ორიენტაციის ფეოდალთა დასამორჩილებლად (1804 წ.) რუსი მეომრების მხარდამხარ იბრძოდა ქართული ცხენოსანი და ქვეითი რაზმები, რომლებიც შესანიშნავად იცნობდნენ მხარეს, ამასთანავე ბრძოლებში რუსეთის ჯარების მეგზურებიც იყვნენ.

ამრიგად, ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა და თითქმის ყველა კატეგორიის ყმა-გლეხობა რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველსავე წლებიდან უყოყმანოდ აგრძელებს ბრძოლას თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ რუსი მეომრების მხარდამხარ. მაგალითად, 1810 წელს გენერალ ტორმასოვის სარდლობით მოწყობილ ახალციხის ექსპედიციაში მონაწილე თავად ივანე ერისთავს ბრძოლებში თან ხლებია მისი 120 ყმა გლეხი[2]. ერისთავის ეს მაგალითი ტიპიურია. ცნობილია, რომ 1810 წელს ოსმალთაგან ფოთის გამოხსნაში გადამწყვეტ მონაწილეობას ღებულობდნენ გურია-სამეგრელოსა და იმერეთის რაზმელები. 1812 წლის ოქტომბერში ნაპოლეონთან ომის დროს ამიერკავკასიაში დიდი ჯარებით შემოიჭრა ირანის ჯარი ტახტის მემკვიდრე აბაზ-მირზას მეთაურობით, რაც ჩვენი ქვეყნის მტრების მიერ მიჩნეული იყო ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტად ამიერკავკასიიდან რუსეთის გაძევებისა და კავკასიელ ხალხთა დამონებისათვის, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ რუსი მეომრებისა და ქართველი ხალხის ერთსულოვანი გმირული ბრძოლა, რომელსაც ფაქტიურად სახელოვანი კოტლიარევსკი წარმართავდა, რუსეთის გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1813 წლის გიულისტანის საზავო ტრაქტატით ყარაბაღის, ბაქოს, თალიშის,

---

[1] საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 8, საქმე 343, ფურც. 123—124.

[2] დოკუმენტების კრებული 1832 წლის შეთქმულების შესახებ, გ. გოზალიშვილის რედ., გვ. 354.

შაქის, განჯის, შირვანის, დარუბანდისა და ყუბის სახანოები, ე. ი. დაღესტანი და აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, რუსეთის გავლენას დაემორჩილა[1]. რუსეთ-ირანის 1826—1828 წწ. ომის შედეგად ამიერკავკასიაში ირანის საუკუნოვანი ბატონობა საბოლოოდ ისპობა და აზერბაიჯანთან ერთად სომხეთიც წარმატებით იქნა გამოხსნილი ირანელთა ბატონობისაგან.

რუსეთის ეს გამარჯვებანი მოპოვებულ იქნა განსაკუთრებულ რთულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში. რუსეთის წინააღმდეგ ამ დროს გააფთრებით იბრძოდნენ ინგლისელი დამპყრობლები. რუსეთ-ირანის ომში რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა ინგლისის აგენტურა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა შავი ზღვის პორტებსა და საქართველოზე გავლით დაწესებული შეღავათიანი სატრანზიტო ვაჭრობის ხელაღებით ჩაშლასა და შეწყვეტას.

რუსეთ-ირანის ომში ქართველთა ღირსეული მონაწილეობა სამშობლოს დაცვისა და რუსეთის დიდი ერთგულებით იყო ნაკარნახევი, ამ ომში ქართველი ხალხის რევანშისტული განწყობილებანიც იჩენდა ხოლმე თავს ერთგვარად; ხალხს მაშინ ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდა აღა-მაჰმად-ხანის ურდოთა სისხლიანი თარეში თბილისის ქუჩებში და ირანელების წინააღმდეგ ბრძოლა მაგიერის მიზღვადაც მიაჩნდათ.

მაგალითად, როცა გენერალ გ. ერისთავის ჯარის ნაწილების იერიშით სასტიკად დამარცხდნენ ირანელები და აღებული იქნა თავრიზის ციხე-სიმაგრე, რომელსაც 60 ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარი გარნიზონი იცავდა, მაშინ მხედრობაში გავრცელებულა რამდენადმე საზოგადოებრივი აზრის ამსახველი თქმა: „ბედმა..., სპარსელებზე შურის საძიებლად, 30 წლის შემდეგ ისევ ქართველი გაგზავნა, ოღონდ რუსის ჯარის სათავეშიო"[2].

1827 წ. 1 ოქტომბერს ერევნის ციხე და მთელი სახანოც გამოხსნილ იქნა ირანელთაგან. ერევნის ციხის აღებაში რუსი მეომრების მხარდამხარ თავი ისახელა ქართულმა ცხენოსანმა რაზმმა გენერალ რ. ბაგრატიონის (ბოროდინოს ბრძოლების გმირის პ. ბაგრატიონის ძმა) მეთაურობით.

რუსეთის გავლენის ზრდისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში ამ ეტაპზე ამით არ შემოფარგლულა. თურქი დამპყრობლების მიერ

---

[1] П. Зубов, Подвиги русских воинов в странах Кавказских с 1800 по 1834 год, СПб, 1835—1836.

[2] Утверждение русского владичества, т. IV, ч. I, стр. 306.

რუსეთის წინაღმდეგ 1829 წელს წამოწყებულ ომს თვით თურქეთისათვის არასასურველი შედეგი მოჰყვა; რუსეთის ომები როგორც დამპყრობელი ირანის, ისე თურქეთის წინააღმდეგ თავისი ობიექტური შედეგებით უმეტესად სამართლიანი ომები იყო და განმათავისუფლებელ მიზნებს ისახავდა. ეს ომები, არსებითად, მიზნად ისახავდა გაეთავისუფლებინა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიწა-წყალი, რომელიც ირანსა და თურქეთს ჰქონდა მიტაცებული.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ «Для Грузии и Армении... войны России с Персией и Турцией имели освободительный характер»[1].

რუსეთ-ირანის ომის შედეგად 1828 წელს ერევნის სახანო გათავისუფლდა ირანის საუკუნოვანი ჩაგვრისაგან და დასაბამი მიეცა სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს განხორციელდა. 1829 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თურქ დამპყრობთა მონობიდან განთავისუფლდა სამცხე, ჯავახეთი, ფოთი. ბუნებრივია, რუსეთს ამ გამათავისუფლებელი მისიის შესრულებისას გვერდში უდგა და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ თვით კავკასიელი ხალხები[2].

რუსეთ-თურქეთის ამ ომში მრავალ ქართველ სარდალსა და რიგით მეომართან ერთად თავი გამოიჩინა გენერალმა ალ. ჭავჭავაძემ. მისი თანამებრძოლები სიამაყით ამბობდნენ: «У нас Чавчавадзе молодец, пусти его, так он с одним полком до Эрзерума, легко ли дело? С тысячью нас завоевал два пашалика»[3]. ქართველი ხალხის (გლეხობის) მონაწილეობა რუსეთის არმიის რიგებში ამ ეტაპზე ნებაყოფლობითი გზით ცალკე სამილიციო რაზ-

---

[1] Большая Советская Энциклопедия СССР, Москва, 1947 (однотомник), стр. 502.

[2] რუსეთ-ოსმალეთის 1829 წ. ომის ოთხთვიან პერიოდში «Кавказские войска прошли более 600 верст от границы почти до Трапезунда, уничтожили многочисленные турецкие армии, пленили Главнокомандующего и самого сераскира—правителя обширного края, овладели столицей Анатолии, покорили пашалыки: Эрзерумский, Мушский и часть Трапезундского; взяли 262 пушки, 65 знамен, десять бунчуков и повелительные жезла как сераскира, так и других знатных пашей». Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, ч. II, стр. 433.

[3] იქვე, გვ. 116.

მების შედგენითა და საბრძოლო ოპერაციებში მათი მონაწილეობით ხორციელდებოდა[1].

ქართველთა სამილიციო რაზმებისა და სხვა სახის დანაყოფების, როგორც რუსეთის რეგულარული არმიის დამხმარე ძალის, როლი უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართულ ომებში ყოველწლიურად იზრდებოდა. გარეშე მტრებთან გმირულ ბრძოლებში ერთად დაღვრილი სისხლით ისტორიულად იწრთობოდა და ყალიბდებოდა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობა.

1826—1828 წწ. რუსეთ-ირანის ომის მონაწილე ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებაში ამ ომში ქართველთა მონაწილეობაზე წერდა: მაშინ „ისეთი ენთუზიაზმი მოხდა საქართველოში, რომ წინ ასწრებდნენ ძმები: არა მე უნდა ჯარში წავიდე, შენ შინ იყავიო. მე ამას მოვსწრებივარ, საქართველოს ჯარში მეც ვიყავი... მაშინ ბევრი არ იყო რუსეთის ჯარი საქართველოში, მაგრამ ქართველების ამისთანა თავშეწირულებამ ის მცირედი რუსეთის ჯარი ისე განაძლიერა, რომ უეჭველი იყო, რომ ის დიდი სპარსეთის ჯარი უთუოდ დამარცხდებოდა და ყოველს მხარეს დამარცხდნენ კიდეც". ალ. ორბელიანის ცნობით 6 ათასამდე კარგად შეიარაღებული ქართველი მეომარი შეიკრიბა და თავისი მარაგით საომრად დადგა რუსეთის მხედრობის გვერდში[2].

1825-იან წლებში რუსეთ-ირანის ომის პერიოდში განსაკუთრებით გაცხოველდა მთავრობის ღონისძიებანი და მიმოწერა ქართული სამილიციო ახალი რაზმების ჩამოყალიბების შესახებ. ამ რაზმის შედგენასა და მოწყობას ერთხანს ძველი ქართული ლაშქრის „მორიგეს" სისტემის საფუძველზე ფიქრობდნენ, რადგან მთავრობა დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ამ საქმეს, მაგრამ შემდეგში მან სხვა სახე მიიღო, იგი წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა როგორც ქართული სამილიციო რაზმები. 1827 წ. შემუშავდა პროექტი დებულებისა, რომლის საფუძველზედაც უნდა შექმნილიყო ეს რაზმები[3]. მაგრამ სავ-

---

[1] В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, 5 томов, 1885—1891 гг.

[2] საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფ. ფონდი S, საქმე 1656-ა.

[3] ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე დებულების პროექტის ტექსტი. დებულებები და მისი პროექტები დროთა ვითარებაში იცვლებოდა და ახალ ვითარებასა და პირობებთან შეფარდებული უფრო სრულყოფილი ხდებოდა. იყო შემთხვევა, როცა დაუზუსტებელი პროექტი დებულებისა მილიციაში გლეხობის გაწვევის პირობების შესახებ ხალხში მღელვარებას იწვევდა. მაგალითად, ასეთი იყო 1829 წელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გლეხობის მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი. მთავრობას აჯანყებულთა გასარკვევად და დასამშვიდებლად დაჭირდა სპეციალური მოწოდების დაწერა და ცალკე განმარტებანიც კი.

სებით სწორია ი. კ. ენიკოლოფაშვილი, როცა შენიშნავს, რომ ამ დროს საქართველოში სამილიციო რაზმები «Фактически уже давно были созданы»[1]. მაგალითად, ჯერ კიდევ 1826 წლის შემოდგომაზე აქ ჩამოსულ რუსეთის სამამულო ომის 1812 წლის გმირის გენ. დენის დავიდოვის რაზმები მურავიოვის ცნობით აერთიანებდა «...прославленную грузинскую конницу 3-х уездов Горийского, Душетского и Тифлисского, коей считалось 1800 человек»[2].

ქართული სამილიციო რაზმების შექმნა ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მურავიოვისავე ცნობით მომავალ 1827 წელს «Сипягин также сформировал в Тифлисе одну дружину из грузин... Она состояла частью из бедных дворян, участвовала в деле под Ушагяном, была и в Эревани»[3]. ასევე შეიქმნა მთელი რიგი სხვა ქართული სამილიციო რაზმები, რომელთაც ქართველი ოფიცრები და თავადაზნაურთა მარშლები თაოსნობდნენ. ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით ისახელა თავი გენ. გ. ერისთავის ჯარებმა და გენერალ-მაიორ ბაგრატიონის ცხენოსანთა შესანიშნავმა ქართულმა რაზმმა. ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში თუ რაოდენ ღირსეულად გამოიჩინეს თავი ქართველმა მეომრებმა რუსი მხედრობის მხარდამხარ, ამაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს გენერალ პასკევიჩის 1827 წ. 6 ოქტომბრის ბრძანება „გმირი ქართველი მეომრებისადმი"— როგორც ძლევამოსილი რუსეთის მხედრობის სახელოვანი თანამებრძოლებისადმი[4].

ირან-თურქეთის ვერაგული შემოსევები საქართველოსა და კავკასიაში ხშირად დაკავშირებული და კოორდინირებული იყო კავკასიის მთიელი და გადამთიელი მტრული ფეოდალური ბანდების ერთდროულ ყაჩაღურ შემოსევებთან, ამდენად საქართველოს ორ ფრონტზე უხდებოდა მტერთან ბრძოლა; იგივე მეორდება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის თითქმის ყველა ომში მე-19 საუკუნის მანძილზე. ამიტომ მეფის მთავრობამ, მაგალითად, რუსეთ-ირანის ომის დროს, როცა დედოფლის წყაროზე მდგარი ნიჟეგოროდის პოლკის ფრონტზე წაყვანით გააშიშვლა მთიელ მძარცველთაგან კახეთის დასაცავი უბანი, დაუყოვნებლივ

---

[1] И. К. Ениколопов, Грибоедов в Грузии, Тбилиси, 1954, стр. 41.

[2] «Русский архив», 1889, т. 9, стр. 97.

[3] იქვე.

[4] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 167, საქმე 3546, ფ. 20.

შეუდგა მკვიდრი გლეხობისაგან სამილიციო რაზმების შედგენას საზღვარზე საყარაულოდ. მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებითა და სრული შეგნებულობით გამოეხმაურა მთავრობის ამ ღონისძიებას. მაგალითად, მხოლოდ ქიზიყის გლეხობამ 2220 ქვეითა და 400 ცხენოსანი მებრძოლი გამოიყვანა, ხოლო მთლიანად სიღნაღის მაზრაში მათი რიცხვი 4.000-ს აღემატებოდა. ასეთივე ნაბიჯი გადადგეს თელავისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხარეთა გლეხებმა.

ქართული სამილიციო ნაწილები თავგანწირვით მონაწილეობდნენ როგორც ფრონტებზე ბრძოლებში, ასევე იცავდნენ მშობლიურ კუთხეს მძარცველთა შემოსევებისა და აოხრებისაგან.

რუსეთ-ირანის 1826—1828 წწ. ომის დამთავრებიდან მოკლე ხნის შემდეგ დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1829 წელს დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით.

ქართული სამილიციო რაზმების მონაწილეობა, მისი ორგანიზაცია, როლი და წარმატებანი ამ ომში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა.

### 2. აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდით შეშფოთებულ ინგლისელ-თურქ დამპყრობთა აგენტურის გაძლიერება და დივერსიული ომების გაჩაღება კავკასიაში

რუსეთ-ირანისა (1826—1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828—1829 წწ.) ომების შედეგად (ირანთან თურქმენ-ჩაისა და თურქეთთან ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე) რუსეთის გავლენა აღმოსავლეთში, მისი სავაჭრო-ეკონომიური გავლენის სფეროები და მძლავრი პოლიტიკური წარმატებანი ახლო აღმოსავლეთში დასაბამს აძლევს სავსებით ახალ საერთაშორისო ურთიერთობას.

ამიერიდან ირანისა და თურქეთის გაბატონებული საზოგადოებრივი ფენები იძულებული ხდებიან პირი რუსეთისაკენ იბრუნონ, მასთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური კავშირი დაამყარონ და ზურგი შეაქციონ ინგლისს. ამიტომ, ინგლისის გავლენა ამ ქვეყნებში ძირფესვიანად შეირყა და შეუნელებლად მცირდებოდა.

რუსეთმა ფაქტიურად მონოპოლიური მდგომარეობა შეიქმნა და თავის მტკიცე კონტროლ ქვეშ დააყენა როგორც შავი, ასევე კასპიის ზღვის სავაჭრო, საბაჟო, სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის რაიონები.

რუსი ვაჭრები და რუსული ფული თითქმის გაბატონდა ირანისა და თურქეთის ბაზრებზე. ამიერიდან უმეტესად ისინი გვევლინებიან დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ვაჭრობის შუამავალ, ხელმიღვანელ ძალად და შევიწროებული ევროპელი ვაჭრები იდევნებიან.

ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც 1829 წლის 2 სექტემბერს დაიდო რუსეთსა და თურქეთს შორის, რუსეთმა მიიღო დუნაის მხარე, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები ყუბანის შესართავთან ვიდრე წმიდა ნიკოლოზის სიმაგრემდე (ანუ შეკვეთილამდე), ახალციხის საფაშალიკო, თავისუფალი გასავალი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში, თავისუფალი ვაჭრობის უფლება თურქეთის ტერიტორიაზე, მიიღო კონტრიბუცია, თურქეთის მონობისაგან განთავისუფლდა და ავტონომია მიენიჭა საბერძნეთს, სერბიას, მოლდავეთსა და ვალახეთს. ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია, პირველ ყოვლისა, შეაშფოთა შავი ზღვის აუზისა და მის სრუტეებზე გავლენის დაკარგვამ. ისინი განსაკუთრებით ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ ამიერიდან ცარიზმს ადვილად შეეძლო დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების ხელში ჩაგდება, რაც აღმოსავლეთის ბაზრებიდან ევროპის ბურჟუაზიას გამოდევნით ემუქრებოდა. ამასთანავე, სრუტეების ხელში ჩაგდება რუსეთისათვის არა მარტო ეკონომიური, არამედ მისი სამხედრო პოზიციების შემდგომი გაძლიერებაც იყო.

თუ წინათ თურქეთის ბაზრებზე რუსეთის ვაჭრობა მაღალი საბაჟო გადასახადებით იყო შებოჭილი, ადრიანოპოლის ტრაქტატით თურქეთში შეზიდული რუსეთის საქონელი თავისუფლდებოდა ყოველგვარი საბაჟო გადასახადებისაგან.

1833 წლის 8 ივლისს რუსეთმა და თურქეთმა კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს უნკიარ-ისკელესის ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ინგლისისა და რუსეთის ურთიერთობას ბევრად უფრო ამწვავებდა. არსებითად, ეს ხელშეკრულება იყო მეფის რუსეთისა და სულთანის თურქეთის თავდაცვითი კავშირი, მიმართული იმპერიალისტური ევროპის სახელმწიფოების დაპყრობითი ზრახვების წინააღმდეგ. ხელშეკრულებით სულთანი ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის მეფის მოთხოვნით ჩაეკეტა დარდანელის სრუტე და, გარდა რუსეთისა, არ შეეშვა სხვა ქვეყნების სამხედრო გემები.

ამ ხელშეკრულებამ უკიდურესობამდე გაამწვავა რუსეთის ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთთან. ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია გააფთრებულ ბრძოლას აჩაღებს

რუსეთის წინააღმდეგ. ისინი თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობით ყოველმხრივ ცდილობენ ირანსა და თურქეთზე რუსეთის გავლენის ამ პრივილეგიური მდგომარეობის გაბათილებას და ამ უკანასკნელზე თავიანთი პროტექტორატის დაწესებას.

მეფის რუსეთის წარმატებამ და გავლენის ზრდამ აღმოსავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებით შეაშფოთა ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები. განსაკუთრებით ინგლისს ყველაზე მეტად ისიც აღშფოთებდა, რომ რუსეთს შეეძლო წაეწია ინდოეთისაკენაც. ამიტომ რუსეთის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ინგლისის თაოსნობით დღითი დღე ძლიერდება.

ინგლისის აგენტი ახლო აღმოსავლეთში, ცნობილი ო. ურკარტი, სწორედ 1830-იან წლებში ანტირუსულ პუბლიცისტიკაში ასაბუთებდა, რომ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში რუსეთი ერთადერთი აგრესორია, რომლის საქმიანობა ეწინააღმდეგება „ცივილიზაციას“ და „ხალხთა თავისუფლებას“, საფრთხეს უქმნის ინგლისის უშიშროებას. ამიტომ ო. ურკარტი მოითხოვდა რუსეთის გაძევებას არა მარტო კავკასიიდან, არამედ ყირიმიდანაც.

მეფის რუსეთის ბრძოლა აღმოსავლეთში გავლენის მოსაპოვებლად, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა. იგი გამოხატავდა ცარიზმისა და აღმავალი ბურჟუაზიის დაპყრობით ზრახვებს, მათი სავაჭრო-ეკონომიური ძლიერებისა და გავლენის სფეროების გადიდებას; მაგრამ შეუძლებელია იმის უგულებელყოფა, რომ ობიექტურად ცარიზმის გავლენის ზრდამ აღმოსავლეთში, კერძოდ ამიერკავკასიასა და ბალკანეთის ქვეყნებში, შეასრულა პროგრესულ-განმათავისუფლებელი მისია—ამ ქვეყნების ხალხები გაათავისუფლა ირანისა და თურქეთის მონობისაგან. ამ ისტორიულ ფაქტს, როგორც ზემოთ ვნახეთ, გარკვევით აღნიშნავდა ფრიდრიხ ენგელსი.

აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდას გულგრილად როდი შეხვდა გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზია. ამ იმპერიალისტური ბურჟუაზიის მოსყიდულმა კალმოსნებმა ანტირუსულ პრესასა და პუბლიცისტიკაში პროპაგანდა გააჩაღეს და ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი ერთადერთი აგრესორია, რომელიც ველურ დაპყრობით რეაქციულ ომებს ეწევაო. ამით მათ სურდათ მიეჩქმალათ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ომები და ყაჩაღური კოლონიური ძარცვის პოლიტიკა, აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით ხალხთა დამონებისათვის რომ წარმოებდა.

ისტორიის ფალსიფიკატორთა ამ პროპაგანდას თავისი შე-

დეგები მოჰყვა. ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ინგლისის ბურჟუაზიული და ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისა და პრესის მეთაურობით, ურკარტისა და სხვათა ინიციატივით, მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან მკვიდრდება ლეგენდა რუსეთის როგორც ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში ერთადერთი მონოპოლიური აგრესორის შესახებ. უფრო მოგვიანებით, ევროპის სოციალ-დემოკრატიული პრესა, გატაცებული ცარიზმის კრიტიკით, გარდა იმისა, რომ სიამოვნებით იზიარებდა რუსეთზე, როგორც ვითომდა ერთადერთ აგრესორზე, ყოველად ყალბ შეხედულებებს, რუსეთს „მთელი ევროპის რეაქციის უკანასკნელ ციხე-სიმაგრედ“ აცხადებდა[1].

გერმანიის სოციალ-დემოკრატია უდავოდ სცოდავდა ცარიზმის როლის შეფასებაში და აჭარბებდა, როცა იგი მხოლოდ ცარიზმს მიიჩნევდა ევროპის რეაქციის დასაყრდენად და ერთადერთ მონოპოლისტ-რეაქციონერ აგრესორად.

გერმანულ ყალბ ისტორიოგრაფიას ცილისმწამებლურად სურდა დაემტკიცებინა, რომ, თითქოს, თვით რუს ხალხს არ გააჩნდა არავითარი ძალა ძლავრი, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შესაქმნელად და, თითქოს, რუსეთის სახელმწიფოს შექმნას და მისი ძლიერების ზრდას საფუძველი ჩაუყარეს უცხოელებმა, განსაკუთრებით უცხოელმა დიპლომატებმა.

ი. სტალინი თავის ისტორიულ წერილში[2] ენგელსის სტატიაზე „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის“ შესახებ ასაბუთებს, რომ დაპყრობითი პოლიტიკა მთელი თავისი სისაძაგლითა და სიბინძურით არ წარმოადგენდა მხოლოდ რუსეთის ცარიზმის მონოპოლიას; რომ იგი ყველაზე მეტად იმპერიალისტური ინგლისისა და ევროპის ბურჟუაზიას ახასიათებს. ეს მოსაზრება შეუძლებელია დავას იწვევდეს. აქვე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის გავრცელებას ობიექტურად თავისი პროგრესული შედეგები ახლდა, რომ აღარაფერი ითქვას რუსეთის მიერ ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ხალხების თურქთა ბარბაროსული მონობიდან გამოხსნის დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე.

---

[1] ი. სტალინი, ენგელსის სტატიაზე „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა“. ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „პარტიულ მშენებლობაში“, 1941, № 11.

[2] გამოქვეყნდა ჟურნ. «Большевик», 1941, № 9. უფრო დაწვრილებით იხ. ა. ლ. ნაროჩნიცკის ნარკვევი, Значение письма И. В. Сталина о „статье Энгельса“ «Внешняя политика русского царизма» для советской исторической науки. Изд. Акад. общественн. наук при ЦК ВКП(б), Москва, 1950.

ისტორიის ფალსიფიკატორთა ქადაგება რუსეთის „ერთად-ერთ აგრესორობაზე" არსებითად ემსახურებოდა შუა და ახლო აღმოსავლეთში ინგლისის იმპერიალისტურ ზრახვებს და მის ინტერესებს გამოხატავდა.

ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატია რუსეთის გავლენის წინააღმდეგ შეერთებული ძალებით ჯერ კიდევ 1830-იან წლებიდან მოქმედებდა. რუსეთის წინააღმდეგ მათს ძირგამომთხრელ საქმიანობას საფუძვლად ედო ლორდ პალმერსტონის ცნობილი გეგმა. კავკასიაში გამოგზავნილ იქნენ ინგლისის აგენტები კაპიტან ბელლისა და „მორნინგ ქრონიკელის" კორესპონდენტის ლონგვორტის თაოსნობით[1]. კავკასია ინგლისისა და საფრანგეთის აგენტებისა და ავანტურისტთა მტრული მოქმედების ასპარეზად იქცა.

ახლა საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ინგლისისა და თურქეთის სხვა ღონისძიებათა შორის ჩერქეზეთში რუსეთის საწინააღმდეგო მღელვარების მოწყობის საქმეში 1837—1840 წლების მანძილზე დიდი როლი ითამაშეს, კერძოდ, ინგლისის აგენტებმა—კაპიტანმა ბელლიმ და „მორნინგ ქრონიკელის" კორესპონდენტმა ლონგვორტმა. ინგლისისა და თურქეთის აგენტურისა და დიპლომატიის მტრული მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ კავკასიაში ნათელ გამოხატულებას პოულობს რუსეთის დანაწილების საიდუმლო პროექტში, რომელიც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა შეიმუშავა. ინგლისის მიზანი იყო, კერძოდ, კავკასიისა და ყირიმის ჩამოშორება რუსეთისაგან და გადაცემა თურქეთისათვის, ხოლო შამილისათვის უნდა შეექმნათ „ჩერქეზთა სახელმწიფო"[2]. მარქსმა და ენგელსმა თავიანთ სტატიაში—„ლორდი პალმერსტონი" ნიღაბი ახადეს ინგლისის იმპერიალისტურ მისწრაფებებს. ისინი მიუთითებენ იმ ფაქტზეც, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ ორგანოში 1838 წელს გამოქვეყნებული იყო ჩერქეზეთის დეკლარაცია მისი „დამოუკიდებლობის" შესახებ, ლორდ პალმერსტონის მიერ რედაქტირებულ რუქასთან ერთად, რომელზეც ჩერქეზეთი აღნიშნული იყო, როგორც „დამოუკიდებელი ქვეყანა"[3]. უფრო მოგვიანებით, თვით ბელლი რუსეთის წინააღმდეგ შამილის მეთაურობით

---

[1] კაპიტან სტანისლავ ბელლისა და მის თანამოაზრეთა დაზვერვითი მუშაობის შესახებ ზოგიერთი საბუთი იხ. ჟურნ. „Вопросы истории", 1950, № 11, გვ. 106—125; აგრეთვე საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს მიერ 1953 წელს გამოცემული დოკუმენტების კრებულში.

[2] დიპლომატიის ისტორია, ტომი 1, გვ. 447, 455.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. IX, გვ. 542—543.

ჩერქეზების ბრძოლას ასეთ შეფასებას აძლევდა: «Черкесы мол сражаются за наше (английское) дело».

მოგვიანებით ინგლის-თურქეთის აგენტურას ჩერქეზეთში სათავეში უდგება გამოცდილი აგენტი და დიდი დემაგოგი, თურქეთიდან საგანგებო დავალებებით გამოგზავნილი მაჰმად-ემინი, რომელიც შამილის უახლოესი თანამებრძოლი გახდა და დიდი როლი ითამაშა შამილის რეაქციული მოძრაობის მტრული საქმიანობის გახანგრძლივების საქმეში.

ასეთ საერთაშორისო ვითარებაში ინგლისი და საფრანგეთი 1835-იანი წლებიდან ახალ გეგმებს სახავენ, უშაგალითოდ აცლიერებენ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედ აგენტურას მთაში და შამილის ურდოებს ეხმარებიან იარაღით, ფულითა და სხვა საშუალებებით, ამიტომ 1840-იანი წლებიდან შამილის ძლიერება მთაში არაჩვეულებრივი აღმავლობით ხასიათდება.

რუსეთს არ შეეძლო ამ კოალიციური მტრული მოქმედებისათვის ანგარიში არ გაეწია. იგი ცდილობს შავი ზღვის სანაპირო ხაზის გამაგრებას ისე, რომ მთის ხალხები უცხოელი მტრული აგენტებისაგან დაცული ყოფილიყო, რომ ინგლის-თურქეთის „ვაჭრებს“ თუ სხვა „კეთილმოსურნეებს“ აღარ ჰქონოდათ მთაში თავისუფლად შესვლის შესაძლებლობა.

რუსეთის კავკასიის სარდლობა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ძლიერი სამილიციო რაზმითა და აქ მყოფი რეგულარული ჯარებით ენერგიულად მოქმედებს და მსხვერპლს არ ერიდება შავიზღვისპირეთის გამაგრებისათვის.

სისხლისმღვრელი ბრძოლებით ხერხდებოდა ე. წ. შავი ზღვის სანაპირო ხაზის შექმნა და აშენება.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სავაჭრო-ეკონომიური გავლენის ფაქტიურად მონოპოლიური გაბატონებული მდგომარეობა 1840 წლამდე გაგრძელდა.

1840 წლამდე რუსეთი თითქმის განსაკუთრებულ მონოპოლიას ფლობდა უცხოეთის პროდუქტების ვაჭრობაზე ამ ოლქებში. რუსეთის საქონელი აღწევდა ინდოეთამდე და ზოგ ადგილას ინგლისის საქონელთან შედარებით უპირატესობითაც კი სარგებლობდა[1].

1840-იანი წლებიდან მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IX, გვ. 383. (რუს).

ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდ წარმატებას მიაღწია, რამაც სერიოზულად შეარყია რუსეთის პოზიციები შავი ზღვის ნაპირას და კავკასიაში.

1841 წელს ლონდონის კონფერენციაზე ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მმართველმა წრეებმა შეძლეს კონვენციის მიღება, რაც აბათილებდა უნკიარ-ისკელესის ტრაქტატით დადგენილ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ უპირატესობას. ამიერიდან რუსეთსაც აეკრძალა სამხედრო გემების გატარება სრუტეში, თურქეთი დიდი სახელმწიფოების კოლექტიურ „დაცვაში" მოჰყვა და, გარდა იმისა, რომ თავს აღწევს რუსეთის გავლენისაგან, მას ინგლისის თაოსნობით რუსეთის საწინააღმდეგოდ იყენებენ.

ინგლისელმა და თურქმა დამპყრობლებმა რუსეთის საწინააღმდეგო ახალი გეგმების დასახვა ჯერ კიდევ 1830-იანი წლებიდან დაიწყეს. ისინი გასაოცარ ენერგიულობას იჩენენ კავკასიაში თავიანთი დაზვერვისა და აგენტურის გაძლიერებით დივერსიულ, ძირგამომთხრელ საქმიანობათა გასაჩაღებლად. ისინი შამილსა და მის მიურიდებს იარაღ-საჭურველით, ფულითა და სამხედრო მრჩევლებით ქმედით დახმარებას უწევენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლების ახალი სისასტიკით გაძლიერებისათვის. ყოველივე ამის შემდეგ, რასაკვირველია, შემთხვევით მოვლენად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ, კერძოდ, 1840-იანი წლებიდან, თითქმის განადგურებამდე მისული, შამილის ძლიერება მთაში მეტად მოკლე დროში აღდგა და საოცრად გააქტიურდა.

* * *

მე-19 საუკუნის პირველ მესამედში ინგლისის წაქეზებით რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებულ ყველა დაპყრობით ომში, როგორც დავრწმუნდით, რუსეთისა და კავკასიის ხალხების მტრებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. მიუხედავად ამისა, მათ ბრძოლაზე ხელი ერთი წუთითაც არ აუღიათ; მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ბრძოლა კიდევ უფრო ღრმავდება და სავსებით ახალ, ბევრად უფრო მწვავე ეტაპში შედის. ახალ ისტორიულ პირობებსა და ვითარებასთან შედარებით შეიცვალა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ხერხები, ფორმები და მეთოდები.

ამიერიდან რუსეთთან პირისპირ ბრძოლებში დამარცხებული

ინგლისელი და თურქი დამპყრობლები ოფიციალურად ერიდებიან ან ხელს იღებენ (გარკვეული პერიოდით მაინც) რუსეთთან აშკარა ომის გამოცხადების პოლიტიკაზე. მათ თავიანთი მტრული მოქმედება კავკასიაში გადააქვთ ძირგამომთხრელი, ქურდული აგენტურის მაქსიმალურად გაძლიერებაზე და დივერსიული ომებით აგრძელებენ ბრძოლას რუსეთისაგან კავკასიის ჩამოშორებისათვის.

ინგლისელ-თურქი დამპყრობლები ამ მიზნით ამიერიდან გასაოცარი მოხერხებითა და მონდომებით იყენებენ ისლამის სარწმუნოებას—მის ყველაზე უფრო არქირეაქციულ სექტას მ ი უ რ ი დ ი ზ მ ს.

კავკასიის ჩამორჩენილი მთიელი მაჰმადიანური ტომების გადაბირებისა და მიმხრობისათვის თურქეთის სულთანის აგენტები, იმამები და შეიხები საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებენ. ისინი მთიელთა შორის ეწევიან მომწამვლელ ანტირუსულ პროპაგანდას და მიურიდიზმისა და შარიათის პრინციპების ხალხში იძულებითი დანერგვის საფუძველზე ურწმუნოთა, „გიაურთა“ წინააღმდეგ ჰაზავატის, „სამღვთო ომის“ გამოცხადების გაცხოველებულ პროპაგანდას ეწევიან.

ინგლის-თურქეთის ეს აგენტურა, მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა განუყრელადაა დაკავშირებული შამილის მიურიდულ რეაქციულ მოძრაობასთან, რომელიც 30-წლიან სასტიკ ბრძოლებში პოულობს თავის გამოხატულებას. თურქეთის მეზობლად მცხოვრებ საქართველოსა და კავკასიის ხალხებისათვის შამილის სისხლიანი რეაქციული ბრძოლები დივერსიული ხასიათისა იყო და წარმოადგენდა ზურგიდან მომარჯვებულ მახვილს, რომელიც ყოველ გართულებულ ვითარებაში რუსეთიდან ჩამოშორებისა და თურქეთის მონობაში ჩავარდნის უდიდეს საშიშროებას უქმნიდა ქვეყანას.

### 3. შამილის თეოკრატიულ-მიურიდული სისხლიანი დიქტატურის ჩასახვა-გაძლიერება და მთიელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ და კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერებამ კი არ მოსპო თურქი დამპყრობლების ბოროტი მისწრაფება კავკასიის ხალხების დამონებისადმი, არამედ ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად, ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წაქეზებითა და დახმარებით კიდევ უფრო გაძლიერდა და სავსებით ახალ ეტაპში შევიდა.

მართალია, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირან-თურქეთის თვითნებური ამაოხრებელი სისტემატური თარეში და შემოსევები რამდენადმე ისპობა, მაგრამ წინააღმდეგობათა ასპარეზი და მასშტაბი კიდევ უფრო იზრდება.

საქართველო და ამიერკავკასია ამიერიდან აღმოსავლეთის საკითხის საერთო შემადგენელი ნაწილი და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობათა ერთ-ერთი საკვანძო უბანი ხდება. ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია საქართველოსა და კავკასიაში გაბატონებისათვის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში ხოხერხებულად იყენებს ირანისა და თურქეთის აგრესიულ ელემენტებს და ისლამის რელიგიის ბნელ ძალებს.

მიურიდიზმი ყველაზე უფრო საიმედო საშუალება აღმოჩნდა იმისათვის, რომ განეხორციელებინათ თურქი ბარბაროსებისა და ინგლისელი კოლონიზატორების ზრახვები, დაემონებინათ კავკასიის მთის ჩამორჩენილი ხალხები, რელიგიური ოპიუმით გაებრუებინათ ისინი და დაეპირისპირებინათ რუსეთისათვის, რადგან მიურიდიზმი მტარვალობით თრგუნავს პიროვნებას, ფანატიკური სისასტიკით იმონებს აზრსა და სინდისს და ადამიანებს ბრმა იარაღად აქცევს გაბატონებული ექსპლოატატორული ზედაფენის ხელში.

ისლამის სარწმუნოებრივი სექტებიდან მიურიდიზმი განსაკუთრებული ხასიათის ყველაზე უფრო მებრძოლი ველური ინსტიქტებით აღჭურვილი არქირეაქციული მიმდინარეობაა, რომელიც ხალხის მასების დამონებას, ძარცვა-გლეჯას, სისხლიან ტერორს და სხვისი მიწა-წყლის მიტაცებას ქადაგებს.

მიურიდიზმი მთაში პირველად გამოვლინდა როგორც გვაროვნული დემოკრატიის ინტერესების ფიქტიური დამცველი რელიგიურ პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა მთაში უკვე შექრილ ფეოდალურ ურთიერთობას და რუსეთის მომხრე ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენებს; ამდენად, ეს მოძრაობა უკან ექაჩებოდა და ხელოვნურად აჩერებდა მთაში საზოგადოებრივ განვითარებას. თურქეთის სულთანისა და ისლამის სარწმუნოებისათვის ხელსაყრელი იყო მთის ხალხების საზოგადოებრივი განვითარების ალმავალი გზიდან ჩამოშორება და გვაროვნული (ვითომდა დემოკრატიული) საზოგადოებრივი განვითარების უდაბლეს დონეზე შეჩერება. დემოკრატიის შესახებ დემაგოგიური პროპაგანდა არსებითად იყო ნიღაბი, ხალხის მასების მოტყუების საშუალება, რომლითაც მიურიდებმა იმამატის მეთაურობით მოახერხეს ხალხის საგრძნობი ნაწილის გადაბირება და დაპირისპირება რუსეთის

შომხრე ფეოდალ-მებატონეების წინააღმდეგ. ამის შედეგად სწორედ იმამების თაოსნობით მოხერხდა ავარიის, საჩეჩნოს, ადიღესა და დაღესტნის შეძლებული პრივილეგიური ფეოდალური ძველი არისტოკრატიის თანდათანობით დამორჩილება, ხოლო ურჩთა ამოწყვეტა. მაგრამ შემდეგ, როცა თვით მიურიდებმა შეცვალეს ეს ფეოდალური არისტოკრატია, ძარცვა-გლეჯის ისეთი მკაცრი სისხლიანი რეჟიმი დაამყარეს, რომლის მსგავსი მთის ხალხებს არასოდეს არ ახსოვდათ[1]. ხალხს თვალი აეხილა და მიურიდული მოძრაობა და იმამატის ინსტიტუტის გავლენა მთაში თანდათან შეირყა, დაიწყო ამ მოძრაობის ნამდვილი კრიზისი. რღვევის ეს პროცესი 1850-იანი წლებიდან უკიდურესობამდე ღრმავდება.

მიურიდიზმი, როგორც ისლამის ყველაზე უფრო რეაქციული მებრძოლი მიმდინარეობა, კავკასიაში ფეხს იკიდებს და გააფთრებით ვრცელდება იმ პერიოდში, როცა რუსეთის გავლენა აქ გარკვეულ წარმატებებს აღწევს, როცა რუსეთ-ირანისა (1826—1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828—1829 წწ.) ომებში რუსეთის ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებები ინგლის-საფრანგეთისა და თურქეთის რეაქციულ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევს და მტრობას უკიდურესობამდე ამწვავებს.

ცნობილია, რომ თავისი მხედრობის ამ შესანიშნავი წარმატებებით რუსეთმა ნაკლებ ისარგებლა. 1829 წლის 2 სექტემბრის ზავით, რომელიც დაიდო რუსეთსა და თურქეთს შორის ადრიანოპოლში, ევროპის ონავრების ჩარევით, რუსეთს შეუერთდა ოსმალეთიდან გამოხსნილი ქართული მიწა-წყლის მხოლოდ ნაწილი. ეს იყო: ახალციხის მხარე (ახალციხისა და ახალქალაქის სიმაგრეებით) და ფოთი, რუსეთს აგრეთვე დაუბრუნდა ანაპა.

ინგლისი დიდი ხნის მანძილზე აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ კავკასიაში, გზავნიდა აქ თავის აგენტებს და აწყობდა დივერსიებს. ამით იგი ცდილობდა ნიადაგის მომზადებას, კავკასიის მხარის ხელში ჩაგდებას და მის კოლონიად გადაქცევას. თავის ამ დაპყრობით მისწრაფებათა განხორციელებისათვის ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა თურქეთს, ირანსა და, აგრეთვე, კავკასიის გამაჰმადიანებულ მთიელ ტომებს. ეს მაგალითიც ადასტურებს, რომ «Английская буржуазия ...всегда предпочитала вести войну чужими руками»[2]. ინგლისის იმპე-

---

[1] ი. ნ. ფადეევი. О внутренней социальной базе мюридистского движения на Кавказе в XIX в. «Вопросы истории», 1955, № 6.

[2] И. Сталин, Соч., т. 9, стр. 324—325.

რიალისტურ ბურჟუაზიასა და მის მოსყიდულ დიპლომატიას კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მეტად ფართო გეგმები ამოქმედებდა[1].

არსებული უტყუარი საბუთები ადასტურებს, რომ მიურიდიზმი და შამილის მოძრაობა კავკასიაში წარმოადგენდა ინგლის-თურქეთის აგენტურის ყველაზე უფრო რეაქციულ და უაღრესად აქტიურ გალაშქრებას კავკასიაში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ. ინგლისმა და თურქეთმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მთის კავკასიელ მაჰმადიანურ ხალხებში—უმთავრესად დაღესტნის ლეკებსა, ჩაჩნებსა, ინგილოებსა, ინგუშებსა და ჩერქეზებში მიურიდიზმის გავრცელებით, იმ დროს სიბნელეში მყოფი და რელიგიური ოპიუმით მოწამლული მთის ამ ხალხების რელიგიურ ექსტაზში მოყვანითა და ჰაზავათის („სამღთო ომი“-ს) გამოცხადებით მასობრივად აემხედრებინათ რუსეთის გავლენის წინააღმდეგ კავკასიაში და ჩაებათ ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ომებში. უტყუარი საარქივო დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ე. წ. კავკასიის ომის ნამდვილ გამჩაღებლებად და ომის დამნაშავედ სინამდვილეში ინგლისელი და თურქი დამპყრობლები გვევლინებიან.

მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის 30 წლის მანძილზე კავკასიაში ასეული ათასობით მეომარი და უდანაშაულო ადამიანი—ბავშვები, ქალები და მოხუცები ამოწყდა, განადგურდა მრავალი სოფელი. ამავე მოძრაობის შედეგი იყო კავკასიელი მთის ხალხების ამხედრება მეზობელი მოძმე ხალხების წინააღმდეგ და სხვა. ყველა ამ ბოროტმოქმედების ფაქტიური ორგანიზატორი იყო თურქეთი და ინგლისი, ხოლო ბნელეთის მოციქული კავკასიელი იმამები, მიურიდები, პირადად შამილი მათი წარმომადგენლები და აგენტები იყვნენ.

თურქი დამპყრობლები კავკასიაში მიურიდიზმის გავრცელებით და მასთან დაკავშირებული შამილის სისხლიანი რეპრესიებით მიზნად ისახავდნენ კავკასიელი ხალხების დამონებას, კავკასიის რუსეთისაგან მოწყვეტას და ოტომანთა იმპერიისათვის შეერთე-

---

[1] ამის შესახებ დიპლომატიის ისტორიაში ჩვენ ვკითხულობთ: «Английская дипломатия не прочь была, во-первых, охватить весь Крым до Перекопа и «Возвратить» его Турции, затем высадиться на Кавказе, отнять Грузию, отобрать весь Юго-Восточный Кавказ, создать для Шамилия «Черкессю», а самого Шамилия обратить покровительствуемого Турцией и Англией вассала, призванного преграждать дорогу русскому продвижению в Персию». История дипломатии, т. I, стр. 455.

ბას. ამდენად, ე. წ. კავკასიური მიურიდიზმი ნიადაგს უმზადებდა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის სისხლიან, რეაქციულ, ფაქტიურად, თურქეთის იმპერიალისტურ გეგმებს შემდგომი პერიოდებისათვის.

ამიტომ ის გმირული 30-წლიანი ბრძოლა მიურიდიზმისა და მასთან დაკავშირებული შამილის მოძრაობის წინააღმდეგ კავკასიაში, რომელსაც დიდი რუსი ხალხი მეთაურობდა, არსებითად იყო პროგრესული მნიშვნელობის ისტორიული ბრძოლა, მიმართული დამპყრობი თურქეთის წინააღმდეგ. რუსეთის ბრძოლა მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ, ბუნებრივია, იყო შემადგენელი ორგანული ნაწილი იმ პროგრესული გავლენისა, რომელსაც რუსეთი ახდენდა კავკასიასა და აღმოსავლეთზე საერთოდ.

* * *

მიურიდიზმი და მასთან დაკავშირებული შამილის მოძრაობა ძალმომრეობაზე, ძარცვა-გლეჯასა და მშრომელი ხალხის სისხლიან ტერორზე იყო დამყარებული. ამიტომ ამ მოძრაობას ეწინააღმდეგებოდნენ თვით კავკასიის მაჰმადიანი ფართო მასები.

მიურიდიზმი იყო რელიგიურ-ფანატიკური და ადმინისტრაციულ-სამხედრო სასტიკ ღონისძიებათა ძალმომრეობითი სისტემა, მიმართული მთის გლეხური მასების წინააღმდეგ, მიურიდთა მცირე ჯგუფის აღვირახსნილი ბატონობისათვის, რომელსაც იმამი თაოსნობდა.

„თუ კანონებს არ შეასრულებთ, თავებს დაგაყრევინებთო“[1] აშინებდა შამილი მთის ჩამორჩენილ ხალხს. შამილის იმამატში განსაკუთრებული უფლებითა და გავლენით სარგებლობდნენ ნაიბები, რომლებიც პრივილეგიური დიდგავლენიანი ფეოდალური ზედაფენებისა და მსხვილი სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ. ისინი გლეხობის უკიდურესობამდე გაყვლეფითა და მეზობელ ხალხებზე სისტემატური თავდასხმებით მოპოვებული ნადავლ-ნაძარცვით იყვნენ გაძლიერებულნი.

დაღესტნის იმამები, პირადად შამილი, ამ განაძარცვის დიდი მონაწილენი იყვნენ. ამის შესახებ თვით შამილის მდივანი ჰაჯიალი წერს: „შამილი დიდ სიმდიდრეს იღებდა, დავლის ერთ მეხუთედს, რასაც ყველა საზღვარზე თავდასხმებით იძენდნენ ნაიბები და მოხალისეები, თავისთვის გამოყოფდა“[2].

---

[1] პ. ალფეროვი, შამილის ცხოვრების ნარკვევები, მოსკოვი, 1905, გვ. 15 (რუს.)

[2] «Сборник Сведений о Кавказских горцах», вып. VII, стр. 47. Сказание очевидца о Шамиле Гаджи-Али, перевод с Арабского.

ნაიბების ამ უგავლენიანეს თანამდებობას ყიდდა თვით შამილი. ამის შესახებ მრავალი ფაქტი შეიძლებოდა დაგვესახელებინა. მაგ., 1857 წლის 28 დეკემბერს გრ. ორბელიანი სვიატოპოლკ-მირსკის სწერდა: «Я знаю, что один из Чеченских наибов предлагал Шамилию ежегодно 2 тыс. руб., лишь бы он не сменял его с Наибства»[1].

დაღესტნელი მკვიდრი, შამილის თანამედროვე სულეიმან-ეფენდი შამილს ცრუსა და თვითმარქვიას უწოდებს. იგი წერს: «...Ибо не народом избран, кто же из среды этого народа смеет напомнить ему об этом? У него теперь войска, способы властелина и палача всегда под рукою»[2].

ზემოაღნიშნულ ფაქტებს აგრეთვე ადასტურებს ცნობილი ეთნოგრაფი და მოგზაური ჰაქსტ-ჰაუზენი, რომელიც 1843 წელს თბილისში იმყოფებოდა[3]. ახასიათებდა რა შამილის პიროვნებას და რეჟიმს, ნ. ა. დობროლუბოვი წერდა: „...მისდამი პატივისცემას იგი ხალხს შიშით უნერგავდა. ჯალათი განუყრელად თან ახლდა და სიკვდილით დასჯას ბოლო არ უჩანდა“[4].

შამილის გამოჩენილი მოწინააღმდეგის გრ. ორბელიანის ერთ პირადი წერილიდან მოყვანილი პატარა ცნობაც ადასტურებს, რომ შამილს მართლაც განუყრელად თან ახლდა ჯალათი და საგანგებო თავსაკვეთი ცულით თავის სისხლიან ტერორს ახორციელებდა.

შამილის ჯალათის ერთ-ერთი ასეთი ცული აულ ქუშითის აღების დროს, სხვა ნადავლთა შორის, ხელთ ჩავარდნია გრ. ორბელიანის ჯარის ნაწილებს: „მრავალი ბაირაღები, შამილის ბარაბანი და ცული, რომლითაც აჰრევინებდა თავებს“ სხვა მრავალთა შორის დარჩა აულ ქუშითში დამარცხებულ და იქედან გაქცეულ შამილსო[5]—წერს გრიგოლ ორბელიანი. დაღესტნის იმამები, მიურიდები და ნაიბები თავისი სისხლიანი ტერორით აიძულებდნენ კავკასიის მთიელ მაჰმადიან ხალხებს უარეყოთ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა და შამილის რაზმებში გაერთიანებულიყვნენ

[1] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტ. არქივის განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი, საქმე 174, ფურც. 110.

[2] Газ. «Кавказ», 1854, стр. 393.

[3] А. Гакстгаузен, Закавказский край, 1857, С- Петербург, ч. II.

[4] ნ. ა. დობროლუბოვი, თხზულებათა კრებ., 1937, ტ. 4, გვ. 155.

[5] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, ა. გაწერელიას რედ., გვ. 129—130 (მიწერილი ილია ორბელიანისადმი 1846 წ. 25 ოქტომბრის თარიღით).

კავკასიაში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგ., აქეთკენ იყო მიმართული ყაზი-მუჰამედის 1831 წ. ლაშქრობა ტარკის საშამხლოში, შამილის ლაშქრობა 1834 წ. ავარიის სახანოში, 1842 წ. ქ. ყაზიყუმუხში, სოფ. ჰოხსა და სხვ., რომელთა მკვიდრნი ეწინააღმდეგებოდნენ შამილის ამ ზრახვებს და მის ტერორისტულ თარეშს მთაში.

მიურიდიზმმა და შამილის რეჟიმმა დაღესტნის ხალხს დიდი ხნით დაავიწყა მხიარულება, ცეკვა, სიმღერა და სახალხო დღესასწაულებზე დროს გატარება. ნაცვლად ამისა, მთის ხალხს მოუტანა შეუშრობელი ცრემლი, სისხლიანი რეჟიმი, გამანადგურებელი ომები და სახლ-კარის ერთიანად გაჟერანება. მიურიდიზმის დესპოტური ფანატიზმის სასტიკი წესებითა და შამილის ბატონობით თავმობეზრებული თავისუფლების მოყვარე მთის ხალხები „...სევდით იგონებდნენ წინანდელ მხიარულ წუთებს, როცა საღამოობით აულებში გაისმოდა სიმღერები, უკრავდნენ უბრალო მუსიკალურ საკრავებს, როცა ახალგაზრდობა მხიარულად ცეკვავდა თავის განთქმულსა და მშვენიერ ლეკურს, როცა შეიძლებოდა არაყი ესვათ და თავი თავისუფლად ეგრძნოთ“[1].

1855 წ. 28 აგვისტოს გრ. ორბელიანი ლევან მელიქიშვილს სწერდა, რომ „შამილმა შარიათის საფუძველზე ხალხში „აკრძალა“ ... სიმღერა, ჩიბუხის წევა... პარასკევს ღამე ძილი, სულ უნდა გათენებამდე იყვნენ ლოცვაში და სხვა ბევრი რამეები“[2].

შარიათის უსასტიკესი წესების დანერგვა და მის საფუძველზე შამილის ტირანული ბატონობის განმტკიცება ჯერ კიდევ 1830-იანი წლებიდან იწყება. ამას ადასტურებს შამილის წერილი კეკანის საზოგადოებისადმი, სადაც ურჩთადმი მუქარით აღსავსე წერილში სხვათა შორის ნათქვამია: «О! Прошла жизнь наша в невежестве, с употреблением пьяных напитков и дымов (т. е. курить табак)...» და სხვ. თუ შარიათის წესებს არ შეასრულებთ და გამოიჩენთ ურჩობას ბრძანებისადმიო, შამილი ამავე წერილში იმუქრებოდა: «... Отрубим ваши головы, выгоним вас из собственных ваших земель к сторонам неверных»[3].

---

[1] Покоренный Кавказ, Изд. А. А. Каспари, 1902, С-Петербург, стр. 446.

[2] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 135—136.

[3] 1836 წლიდან შამილი ძალმომრეობით იმორჩილებს და დაუნდობლად უსწორდება ურჩ მოწინააღმდეგეებს მთაში. მაგალითად, მან გაანადგურა ქუნძაქი. მარტო ხარადერხის 140 დამცველიდან მხოლოდ 17 გადარჩა ცოცხალი. ასეთივე ბედი ეწვია სხვებსაც, ვინც კი ბედავდა წინააღმდეგობას (საქ. სსრ შსს არქივი, ფონდი 1087, საქმე 347, ფ. 5).

შამილი არ ინდობდა მთის ხალხს, რომელიც აბსოლუტურ მონურ მორჩილებას არ იჩენდა მისი რეჟიმისადმი. ამას მრავალთაგან ადასტურებს ის სისხლიანი ეპიზოდი, რომელსაც 1844 წლის მარტში შამილის ბრძანებით ჰქონდა ადგილი სოფ. ცენტერსა და გურდალში. «Войдя в деревню, Шамиль отдал приказание истребить всех. Жители дрались отчаянно, но не могли спастись, и все 100 семейств, составлявших деревню, от 80-ти летнего старика до грудного ребенка погибли. ...Не довольствуясь этим, Шамиль направился со своим скопищем к хуторам Гурдали и там также истребил всех жителей... Все движимое имущество убитого наиба, состоявшее из 53 кримских ружей, 4-х т. баранов, 500 штук рогатого скота, 60-ти буйволов и около 30-ти т. руб. Шамиль взял себе»[1].

მიურიდიზმისა და შარიათის ამგვარი ძალდატანებით გავრცელება სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდა დაღესტნის თითქმის ყველა ადგილას. იგი, პირველ ყოვლისა, მიუღებელი და შეუწყნარებელი იყო მშრომელი ხალხისათვის. შამილის პირადი მდივანი მუჰამედ თაგირი ამის შესახებ გვაუწყებს: «Одни шли с неверными (русскими) вместе даже в войне против мусульман. Другие перемешивались с неверными днём и ночью»[2].

ახულგოსთან შამილის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მას ნაკლებ თანაუგრძნობდა დაღესტნის ხალხი და თვით დაღესტნის მშრომელთა გარკვეული ნაწილი—3 ათას კაცზე მეტი, რომლებიც, რუსეთის მხარეზე გადასულნი, თავგანწირვით ებრძოდნენ შამილს. ასევე შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ გუნიბში შამილის შეპყრობაში რუსებთან ერთად მონაწილეობდა დაღესტნის ცხენოსანთა პოლკი და დაღესტნის მილიციელთა რაზმები 5 ათასზე მეტი კაცით[3]. სწორედ ასეთი ვითარება აიძულებდა შამილს და მის თანამოაზრეთ, რომ 1839 წლიდან, ახულგოსთან მარცხის შემდეგ გასცლოდნენ დაღესტანს და თავიანთი მტრული მოქმედების ასპარეზად იმ ეტაპზე ძირითადად ჩეჩნეთი გაეხადათ.

მიურიდიზმი და შარიათი, რაც მთის ხალხებს იძულებით და სოციალური თანასწორობის იდეების დემაგოგიური ქადაგებით

---

[1] Сборник документ. матер., გვ. 231.

[2] Хроника Мухамеда Тахира ал-Карахи, стр. 33, М.—Л., 1942.

[3] А. Даниялов, Об извращениях в освещении Мюридизма и движения Шамиля, «Вопросы Истории», 1950, № 9, стр. 12.

ჯავს მოახვიეს, საწარმოო ძალთა განვითარების უდიდესი შემაფერხებელი ბორკილი იყო, რომელმაც გზა გადაუკვეთა ხალხის პროგრესისაკენ წინსვლას და მთიელები მიურიდთა გაბატონებული ფენის მძაფრი ექსპლოატაციის საგნად აქცია. განვითარების ისედაც დაბალ საფეხურზე მდგომი მთის ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გასცილებოდნენ პატრიარქალურ-ფეოდალურ სოციალ-ეკონომიურ ყოფას, მიურიდიზმისა და შარიათის გავრცელების შედეგად ხელოვნურად ჩამოაშორეს რუსეთისა და კავკასიის სხვა, შედარებით მოწინავე, მოძმე ხალხებს და ძალით ამოაგდეს რუსეთის კაპიტალისტური განვითარების საერთო ორბიტიდან. იქ ხელუხლებელი რჩებოდა მეურნეობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის დრომოჭმული ფორმები. მთის ხალხების სოციალ-ეკონომიური ჩამორჩენილობა მიურიდიზმისა და შარიათის მკვიდრი დასაყრდენი იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ შამილის მიურიდულ-თეოკრატიული ხელისუფლების ყველა ღონისძიება იქითკენ იყო მიმართული, რომ დაეტოვებინათ ხალხები ჩამორჩენილ მდგომარეობაში, სიბნელეში ჰყოლოდათ ისინი და ამ გზით კიდევ უფრო განემტკიცებინათ თავიანთი დიქტატურა.

შამილის სისხლიანი რეჟიმის ბატონობის პერიოდში მთის ხალხებში ამ ხალხთა სასარგებლოდ არც ერთი კულტურულ-ეკონომიური ღონისძიება არ განხორციელებულა. ისედაც დაბალ დონეზე მდგომი სამიწათმოქმედო კულტურა, გაუთავებელი ომების შედეგად, ერთიანად ეცემა; ასევე ნადგურდება მეცხოველეობაც, რომელიც წინათ საკმაოდ იყო ამ მხარეში განვითარებული.

კავკასიის მთის ხალხებში წინათ დიდად იყო განვითარებული აგრეთვე შინამრეწველობა; ხალხმა შესანიშნავად იცოდა სხვადასხვა ქსოვილების დამზადება; მაგალითად, სახელგანთქმული იყო დიდოური ნაბდის, ლეკური შალის წარმოება და სხვა, რომელნიც მრავლად ჩამოჰქონდათ საქართველოს ბაზრებზე გასაყიდად. აქ შესანიშნავად იცოდნენ ლითონის, კერამიკული საოჯახო საგნების ნაკეთობათა წარმოება, ფართოდ ეტანებოდნენ მეტალურგიის წარმოების სხვადასხვა დარგებს, კერძოდ, კალის, სპილენძის, ვერცხლისა და რკინის წარმოებას; სახელმოხვეჭილი იყო აქაური იარაღები: ხმლები, ქამარ-ხანჯლები, ცხენის მოკაზმულობანი და სხვა, რომელთა მწარმოებლები ადგილობრივი მთის ხალხები იყვნენ. კარგად ფლობდნენ ისინი იუველირ ხელოვნებასაც[1]. შინა-

[1] Н. Ф. Яковлев, Ювелирная кустарно-художественная промышленность в селении Кубачи-даг, Махачкала, 1926.

მრეწველობის ეს მდიდარი ასორტიმენტი საღდებოდა მეზობელ ხალხებში და, განსაკუთრებით, ფეოდალური საქართველოს ბაზრებზე. ქართველ მოსახლეობასა და მთის ხალხებს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირი არსებობდა ისტორიულად და შრომის ერთგვარ განაწილებასაც კი ჰქონდა ადგილი. საქართველოდან მთაში უხვად მიჰქონდათ საჭირო პურეული, ღვინო და ფუფუნების საგნები. მთის მოსახლეობა და ქართველობა საკუთარი შრომის პროდუქტების ურთიერთგაცვლას ახორციელებდნენ როგორც ფულადი ურთიერთობით, ისე პროდუქტების უშუალო გაცვლით.

ასეთი იყო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული კავშირი უხსოვარი დროიდან კავკასიის მთის ხალხებსა და საქართველოს მოსახლეობას შორის. კავკასიის მეზობელი ხალხების ეს კეთილმეზობლური დამოკიდებულება ირანისა და თურქეთის აგენტებისა და დაღესტნის ფეოდალური რეაქციული ზედაფენების მტარვალური მოქმედების შედეგად მინელდა და შეიცვალა. მათ მთის ხალხები აამხედრეს საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ. ისინი მოწყვიტეს მეურნეობას, შინამრეწველობას, ჩაჰკლეს მათში ყოველგვარი კულტურულ-ეკონომიური ინტერესი და ხალხი შეაჩვიეს მეზობელ მოძმე ხალხთა რბევას, რაც სისტემატური თავდასხმის გზით ხორციელდებოდა.

მთიელთა სახალხო მეურნეობა შამილის რეჟიმის დროს მთლიანად დაინგრა. მოისპო მეტალურგიული კულტურის ის ძველი სამეურნეო ტრადიციები, რომლითაც ეს ხალხები ერთ დროს სახელგანთქმული იყვნენ. მაგალითად: «На северо-восточном Кавказе есть Ископаемые богатства, но горцы, за редкими исключениями, по неумению, не пользовались ими и разрабатывали только соль (в окрестностях аула Энгели), серу (близ Черката, Щубута и Кикуна), селитру доставляли аулы Гуниб, Аточ, Хиндак, Толох и Хиндатль.

Кроме того, в горах Дагестана находились богатые железные руды (в окрестностях Веденя, Дарго и друг. местах), но горцы почти не занимались их разработкой и нужное количество железа покупали у русских. Залежи каменного угля близ Веденя по берегам реки Хулхулу, совершенно не привлекали внимание горцев... Во времене Шамиля были открыты в окрестностях горы Хонотля, близ Дарго залежи серебросвинцовой руды, но Шамиль запретил разработку, боясь, что народ, имея собственное серебро, станет приобретать у русских

массу ненужных вещей и спартанский образ изменится к худшему»[1].

შამილის რეჟიმი ზღუდავდა და აფერხებდა საწარმოო ძალების განვითარებას, მთის ხალხებს ფიზიკურ განადგურებას უქადდა და უხშობდა მათ კულტურულ-ეკონომიური წინსვლის გზებს[2].

* * *

აღმოსავლეთ კავკასიის მთიან რაიონებში რუსული მმართველობის დამკვიდრება გულისტანის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტიურად ბრძოლით ხორციელდებოდა.

ირანისა და თურქეთის აგენტებისაგან წაქეზებულმა და გაბრიყვებულმა ურჩმა ტომებმა ერმოლოვის სამხედრო ღონისძიებათა შედეგად მართლაც მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა.

ერმოლოვმა მთიელების მოქცევა საჩეჩნოს დამორჩილებით დაიწყო, რაც 1818 წელს განახორციელა კიდეც; 1819 წლიდან იგი დაღესტნის დამორჩილებისათვის იბრძვის. თავისი გალაშქრების საბაბად ერმოლოვი იყენებს ქუნძაქის ხანის ჩეჩნებზე დახმარების ფაქტს. ერმოლოვი იპყრობს ქუნძაქის სახანოს. იგი წორიგეობით ზედიზედ ამარცხებს როგორც დაღესტნის სხვა ცალკე სახანოებს, ისე თავისუფალ თემებს და დარგოში თავშეფარებულ ქუნძაქის, დარუბანდისა და სხვა ხანებს, რომელთაც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ აქეზებდნენ ირანისა და თურქეთის აგენტები. 1819 წლის ოქტომბერში სოფ. ლავაშთან ბრძოლებში დაღესტნის თავისუფალი თემები მარცხდებიან და ამ თემების მამასახლისები რუსეთის ერთგულებას იფიცებენ[3].

---

[1] Д. А. Пахомов, Кавказские горцы. Издание Каспары, стр. 93—94.

[2] სახელმწიფო მოღვაწისა და ცნობილი ქართველი მგოსნის გრ. ორბელიანის სიტყვებით ამ ომებში ხალხი ხედავდა «Только конечное свое разорение для обогащения Шамиля и утверждения верховной власти за его домом. Народонаселение сильно уменьшилось, оно состоит теперь из ⁷/₈ женщин и ¹/₈ мужчин. Все это озлобляет народ, ненавист которого сильна против Шамиля и он держиться только сильного привычки и страха, внушенного им народу двадцатилетным кровавим управлающем» (საქ. სსრ შსს ცენტრალური ისტორიული არქივი, განსაკუთრებული საქმეთა ფონდი 174, ფურც. 110.)

[3] დაღესტანი ჯერ კიდევ პეტრე I დროს დაიმორჩილეს და შეუერთეს რუსეთის იმპერიას, მაგრამ სულ მალე რუსეთის გავლენის მოსპობის მიზნით დაღესტანს შაჰ-ნადირის ურდოები შეესია; მან უამრავი ადამიანი დაუნდობლად გაწყვიტა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. დაღესტნის მკვიდრთა გმირული წინააღმდეგობის შედეგად ვერაგი დამპყრობლის ურიცხვი ჯარები ჩოხთან გარემოცვაში

1821 წლიდან დაღესტანსა და აღმოსავლეთ კავკასიაში მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ ერმოლოვი დასავლეთ კავკასიის დამორჩილებას ლამობდა. იგი მოქმედებას იწყებს ყაბარდოს, ჩერქეზეთისა და ყუბანის იქეთა მხარის დასამორჩილებლად, რომლებსაც თურქი და ინგლისელი დამპყრობლები ეხმარებოდნენ და აქეზებდნენ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსეთთან დაღესტნის შეერთებით ახალი ხანა დაიწყო მთიელთა ცხოვრებაში. საუკუნეების მანძილზე ირანისა და თურქეთის ამაოხრებელი შემოსევებითა და საწარმოო ძალთა განვითარებით დაბალ საფეხურზე მყოფ, ჩამორჩენილ დაღესტანში ამიერიდან დაიწყო საწარმოო ძალთა თანდათანობითი განვითარებისა და მთიელთა პროგრესის გზაზე გამოსვლის პერიოდი. დაღესტნის მსხვილი ფეოდალური სახანოები, რომელთა რიცხვი 15-დე აღწევდა, უყოყმანოდ შედიან რუსეთის ქვეშევრდომობაში და მათი თაოსნობით დაღესტნის მშრომელები რუსეთის გავლენისათვის ბრძოლებში ერთგულებისა და თავდადების არა ერთ მაგალითს უჩვენებენ.

მთაში შამილისა და მისი წინამორბედების მეთაურობით მიურიდიზმისა და შარიათის იძულებით გავრცელებას ახასიათებდა დაუნდობელი ბრძოლა რუსეთის მომხრე ფეოდალების წინააღმდეგ.

ამ უსამართლო ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებისა და მთიელი მშრომელი გლეხკაცობის მოტყუებით გადაბირების მიზნით შამილი ჩაგრული ხალხის, გლეხობის დამცველად და ფეოდალური ზედაფენების, ხანებისა და ბეგების, მოწინააღმდეგედ აცხადებდა თავის თავს. გამოდიოდა რა ცრუ ლოზუნგებით პრივილეგიურ წოდებათა განადგურებისა და მუსულმანთა თანასწორობის, თანასწორუფლებიანობისა და ცრუ დემოკრატიზმის დემაგოგიური ქადაგებით, შამილმა გარკვეულ მიზნებს მიაღწია. მან შეძლო გლეხობის ნაწილის მიმხრობა, გაანადგურა რუსეთის მომხრე ფეოდალების დიდი ნაწილი, ზოგი კი იძულებით გადმოიბირა. შამილის დესპოტურ-მონარქიული და კლასობრივ-თეოკრატიული იერარქიული სასტიკი რეჟიმი უმძიმეს ტვირთად დააწვა მთის მშრო-

---

მოამწყვდიეს და სულ გაანადგურეს; ამრიგად, შაჰ-ნადირმა დაღესტანში ფეხი ვერ მოიკიდა, თავისუფლებისმოყვარე დაღესტნელი ხალხის ნებისყოფა ვერ გატეხა და ვერ დაიმორჩილა იგი. ეს იყო დაღესტნელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შესანიშნავი ეტაპი ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საუკუნოვანი ბრძოლების ისტორიაში (Р. Магомедов, Разгром войск персидского завоевателя Надир-Шаха в горах Дагестана, Махачкала, 1940).

შელებს. შამილმა მთის ხალხებზე ხელაღებით გააბატონა თავისი უერთგულესი მიურიდები, რომლებიც სულ მალე თვით იქცნენ ფეოდალებად და გლეხობის უბოროტეს მყვლეფელებად. მიურიდებს მინიჭებული ჰქონდათ გლეხთა გასამართლების, გადასახადთა აკრეფის, შარიათის წესების მეთვალყურეობისა და სხვა უფლება [1].

მთის ხალხებს არასოდეს არ ახსოვდათ ექსპლოატაციის, ხალხის ძარცვისა და ძალმომრეობის ისეთი მკაცრი რეჟიმი, როგორიც შამილის სისხლიანი ბატონობის დროს დამკვიდრდა. შამილის ნაიბები უმდიდრესი ფეოდალები გახდნენ. მაგალითად, დანიელ ბეგი, ჰაჯი მურადი და სხვ. ნაძარცვით ისე გამდიდრდნენ, რომ მთის ვერც ერთი უმდიდრესი ფეოდალი მათ ვერ შეედრებოდათ.

იმამატისა და შარიათის სამხედრო ფეოდალურ-თეოკრატიული სისტემა წარმოადგენდა იმამისა და მიურიდთა თავგასულ ბატონობას, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი ანგარებითი მიზნები გამდიდრებულიყვნენ თავისი და მეზობელი ხალხების ძარცვით. ამ მეზობელ ხალხთაგან, როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიაში საქართველო ყველაზე უფრო მეტად იძარცვებოდა.

დაღესტნელი და მისი მეზობელი მთის ხალხები, როცა თანდათან გამოფხიზლდნენ და საბოლოოდ დარწმუნდნენ მიურიდიზმისა და შამილის დესპოტური რეჟიმის დამღუპველობაში, თვითონ დაუპირისპირდნენ შამილსა და მის რეჟიმს; ხალხმა იწყო გადასვლა რუსეთის მხარეზე, ისინი ჰქმნიდნენ თავდაცვის რაზმებს, უარს აცხადებდნენ გადასახადებსა და სამხედრო სამსახურზე; მაგ., „როცა შამილი თავისი მიურიდებიანად გუნიბისაკენ მიემართებოდა ყოისუს თემზე გავლით, მცხოვრებლები მას იარაღით ხელში შეხვდნენ“[2]. საყურადღებოა ასეთი ფაქტიც. „გზაში შამილს განუწყვეტლივ გააფთრებით ესხმოდნენ თავს ცდუნებით გაშმაგებული ღვთისმგმობელნი . . . სოფლების კუიადისა და რუგჯის სამიწათმოქმედო რაიონებში ჩასვლისას ამ აულების მცხოვრებლებმა მას გზა გადაუჭრეს და აიძულეს წასულიყო მდინარე ბეია-ორის ნაპირად მდებარე სოფელ ბეკ-მაჰომედში—წერს მუჰამედ თაგირი თავის ნაშრომში: „სამი იმამი“. მთის ხალხთა წინააღმდეგობა შამილის მოძრაობისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა 1850-იანი წლებიდან.

---

[1] «Сборник сведений о Кавказских горцах», вып. IV, «Заповеды мюридизма».

[2] «Кавказский сборник», 1879, ტ. IV, გვ. 238.

გრ. ორბელიანი ამის შესახებ 1859 წ. 14 მარტს დ. ჯორჯაძეს სწერდა: „ჩაჩანი მთლად ჩამოეცალა შამილსა, თვით დაღესტანშიაცა ყრუ არეულობაა. ხალხი მოთმინებისაგან გასულია ესოდენის სისხლის ღვრითა, გაოხრებითა“[1]. მიუხედავად ამისა, შამილის სისხლიანი რეჟიმის დამხობა ამ ხალხებს არაფრით არ შეეძლოთ დიდი რუსეთისა და მეზობელი კავკასიელი ხალხების დაუხმარებლად, რადგან მას ზურგს ინგლისი და თურქეთი უმაგრებდა და ხალხზე თავისი სამხედრო რეჟიმით ბატონობდა.

დღეს საბოლოოდ მხილებული და დადასტურებულია შამილის მოძრაობის რეაქციული ბუნება, მისი ანტიხალხური ხასიათი, რომელსაც თურქი და ინგლისელი დამპყრობლები ხელმძღვანელობდნენ. იგი თავის ამოცანად ისახავდა თურქეთისა და ინგლისის დაპყრობითი ინტერესებისათვის დაემორჩილებინა მთიელთა მოძრაობა კავკასიაში და კავკასიის ხალხებზე გაბატონებულიყო.

უკვე მზის სინათლეზე გამოტანილი საარქივო დოკუმენტებით მტკიცდება, რომ 1830-იანი წლებიდან დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ მთიელებში, როგორიცაა ჩერქეზები, ნატუხაილები, შაფსუღები და სხვ., მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის გავლენას გზას უკაფავდნენ და ფაქტიურად თაოსნობდნენ ინგლისის ცნობილი აგენტები ბელლი, ლონგვორტი, ნაიტი და სხვ.[2].

ამ დოკუმენტებიდან ნათლად მტკიცდება, თუ როგორი თავგამოდებით იბრძოდა შამილი ინგლისისა და თურქეთის პირდაპირი დავალებითა და სამხედრო დახმარებით კავკასიისა და შავიზღვისპირეთის მთლიანად მიტაცებისათვის, რუსეთისაგან მათი ჩამოშორებისა და თურქეთის მონობაში მოქცევისათვის[3].

ამავე დოკუმენტებიდან ისიც ნათლად ჩანს, თუ ამ რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ რუსი ხალხის მეთაურობით როგორი თავდადებით იბრძოდნენ კავკასიის ხალხები მთლიანად და მათ შორის თვით მთიელთა მოწინავე ფენები და მშრომელები.

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, 1937, ტ. II, გვ. 265.

[2] Шамиль—ставленник султанской Турции и английских колонизаторов. Сборник документальных материалов, Тбилиси, 1953.

[3] Е. Адамов, Л. Куталов, Из истории происков иностранной агентуры во время Кавказских войн, «Вопросы истории», 1950, № 11, стр. 106—125.

* * *

დაღესტანი, ჩერქეზეთი (ადიღე) და საჩაჩნო შამილის მიურიდებისა და ნაიბების მეთაურობით 30 წლის მანძილზე სისხლიან სამხედრო ბანაკად იყო ქცეული. შამილის სამხედრო ორგანიზაცია ძირითადად ამ სახით წარმოგვიდგება:

ყოველი ნაიბის სამფლობელო 300 ცხენოსან მხედარს შეიცავდა. აულიდან ყოველ 10 სახლს 1 მხედარი უნდა გამოეყვანა. მხედრის ოჯახი გადასახადისაგან თავისუფალი იყო. მხედრის შენახვა და შეიარაღება დანარჩენ 9 კომლს ევალებოდა, საერთოდ კი ყველა მამაკაცს 15-დან 60 წლის ასაკამდე იარაღის ხმარება უნდა სცოდნოდა, რადგან საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ ჯარში გაეწვიათ. მაშინ 10 მოსახლისაგან ეს ერთი რჩეული ინიშნებოდა დანარჩენთა მეთაურად.

ჯარში სასტიკი რეჟიმი ბატონობდა. უმცირესი დანაშაულისათვის სიკვდილით ისჯებოდა როგორც რიგითი მებრძოლი, ისე მეთაურიც.

შამილს პირადი დაცვა ჰყავდა. იგი 1000 მურტიზიკატორისაგან შედგებოდა, რომელთაც თვით შამილი ირჩევდა მიურიდთაგან.

1840 წელს თურქეთიდან სულთნის პირადი (საგანგებო) დავალებით შამილთან წარმოგზავნილ იქნა ჰაჯი უსუფი, რომელიც შამილის უპირველესი ნაიბი და უახლოესი მრჩეველი გახდა.

ამავე 1840 წ. შამილმა დააწესა სამხედრო ორდენი.

ყველა სახის სახალხო გადასახადი როგორც მეჩეთების, ისე სხვა ადგილებისათვის ძალაში იყო და ნაიბების ზედამხედველობით მათ მოლები და დერვიშები კრეფავდნენ და საერთო ხაზინაში შეჰქონდათ „სამღვთო ომის" საწარმოებლად. «Имение, убитых на войне, если они не оставили прямых наследников, обращается в общую военную кассу»[1].

მაგრამ შამილის შემოსავლის ყველაზე უდიდესი წყარო იყო მეზობელი ხალხების ნაძარცვი. ამაზე თვით შამილის პირადი მდივანი აჰაჯი-ალი გვაუწყებს: „ყველაზე დიდი შემოსავალი შამილს ჰქონდა ირიბისა და ულე-ყალეს მხრიდან, სადაც მუჰაჯირები ცხოვრობდნენ. იქიდან ისინი თავს ესხმოდნენ საქართველოს, აკუშას

---

[1] А. Гакстгаузен, Закавказский край, часть II, 1857, С-Петербург, стр. 214—215.

და სხვა ადგილებს და თავისი ნადავლის მეხუთედს შამილს აძლევდნენ".

ამრიგად, შამილის შემოსავლის ერთ ყველაზე უფრო უძლიერეს წყაროს მეზობელი ხალხებიდან ნაძარცვ-ნაგლეჯი შეადგენდა. საქართველო შამილის „მუჰაჯირებისა“ და ნაიბების მეთაურობით წარმოადგენდა ძარცვის ერთ მთავარ ობიექტს, საიდანაც შამილის შემოსავალი ძლიერდებოდა.

შამილი ყველა საშუალებით აქეზებდა მთიელებს მეზობელი ხალხების წინააღმდეგ და უღვივებდა მათ ძარცვისადმი ველურ მისწრაფებებს, რათა უფრო გადიდებულიყო მისი შემოსავალი.

შამილმა და მისმა წინამორბედმა ყაზი-მოლამ დაღესტნის ბევრი მდიდარი ფეოდალი დაარბია და გაძარცვა, ხოლო იმათგან გატაცებული ქონებით თავიანთი მდგომარეობა განიმტკიცეს; ამ გზით იმასაც მიაღწიეს, რომ ვინც გადაურჩა ამ რეპრესიას—თვით ბეგები და ხანებიც კი მიურიდებად და ნაიბებად გახდნენ და ხალხის ქონების დაუნდობელი ძარცვის შედეგად კიდევ უფრო მეტად გამდიდრდნენ. შამილი ამ ავაზაკების თავგამოდებული დამცველი და მეთაური იყო. მაგ., 1842 წლის მარტში შამილმა გაძარცვა და გაანადგურა რუსეთის მომხრე ყაზი-ყუმუხის მცხოვრებნი. ამის შესახებ თვით შამილი წერდა: „მე წამოვიყვანე... 500 ტყვე ურწმუნო და ჩვენი განდგომილები. ხანის ხაზინა და აურაცხელი უძვირფასესი განძი ჩემი გამარჯვების დავლაა“[1].

შამილის ძლიერება არსებითად მაინც თურქეთისა და ინგლისის სამხედრო დახმარებაზე იყო დამყარებული. თურქეთიდან მთაში უამრავ აგენტებთან ერთად დიდი რაოდენობის სამხედრო საჭურველი შეჰქონდათ. ამ ფაქტს კარგად ადასტურებენ შამილის ომების თანამედროვენი, საარქივო დოკუმენტები და სხვა ისტორიული წყაროები. ამიტომ სავსებით სწორია ავტორი, როცა წერს: «Упорство горцев объяснилось, главним образом, тем, что они получали все необходимое для борьбы из соседней Турций»[2].

ინგლისისა და თურქეთის დახმარებით იარაღი უმეტესად იგზავნებოდა შავიზღვისპირეთისა და მთიანი კავკასიის ყველა იმ უბანზე, ვინც შამილს ეხმარებოდა და საიდანაც მოსახერხებელი იყო ბრძოლა კავკასიაში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ.

---

[1] Акты, т. IX, стр. VIII.

[2] Покоренный Кавказ, стр. 464, 1904, С-Петербург.

მაგალითად, შეიარაღების მხრივ თითქმის უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ ჩერქეზები—«Вооружение черкесов было превосходное,—они в изобилии получали его через Турцию из Европы» —ეს იარაღი ჩერქეზეთიდან დაღესტანსა და ჩეჩნეთში შეჰქონდათ[1].

შამილი, რომლის რაზმები თურქეთმა და ინგლისმა შეაიარაღა, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა, დაუნდობლად არბევდა და ძარცვავდა კავკასიის ხალხებს, ასევე მთიელ ჩაჰმადიანთა „ურჩ" თემებსა და მეზობლებს; იგი არ ინდობდა თვით დაღესტნის ხალხს. შამილის მტარვალობის შედეგი იყო ის, რომ ბევრი სოფელი მთასა და საკუთრივ დაღესტანში ნასოფლარებად იქცა.

გარდა იმისა, რომ შამილი ინგლისისა და თურქეთისაგან ღებულობდა საუკეთესო იარაღს, მას ვედენოში გამართული ჰქონდა იარაღების საკუთარი წარმოება. შამილი დაძაბულ მდგომარეობაში გამოდიოდა 60.000 ჩვეულებრივ შეიარაღებული მეომრითა და 100-ზე მეტი ზარბაზნით. რაც შეეხება თოფის წამლის წარმოებას, მისი დამზადება ყოველ აულში იცოდნენ. გარდა ამისა, შამილს ჰქონდა თოფისწამლის ქარხანა. ლეკები ცივი იარაღის—ხმლისა და დაშნა-ხანჯლების წარმოების დახელოვნებული ხელოსნებიც იყვნენ.

შამილი და მისი უგავლენიანესი ნაიბი, მაჰმად-ემინი, მთის ხალხების გაბრიყვებისა და მოტყუების დიდი ოსტატები იყვნენ. შამილი ცნობილია როგორც თვალსაჩინო დემაგოგი, რომელიც მიურიდიზმსა და, საერთოდ, ისლამის სარწმუნოებას მოხერხებულად იყენებდა მთის ხალხების მოსატყუებლად და გადასაბირებლად. შამილი ისლამის სარწმუნოების შემქმნელი მუჰამედისადმი ეპიგონური მიბაძვით ზოგჯერ საკუთარ სამხედრო დამარცხებასაც კი ცბიერად იყენებდა მთიელებში თავისი გავლენისა და პატივისცემის ასამაღლებლად; მაგალითად, თავისი დამარცხება გიმრთან და გიმრიდან აშალტაში სამარცხვინო გაქცევას „ჰიჯრი" უწოდა (მექადან მედინაში მუჰამედის გაქცევის მსგავსად), ხოლო იმათ, ვინც თანახლდა შამილს ამ განსაცდელის ჟამს, „მუხაჯირები" უწოდა.

* * *

კავკასიის მთიელთა შორის ისლამის რეაქციული სექტის, მიურიდიზმის გავრცელების ორგანიზატორები, ისე როგორც კავკასიის ომების გამჩაღებლები, თურქეთისა და ინგლისის მოსყიდული აგენტები იყვნენ. ამ მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლები,

---

[1] Покоренный Кавказ, стр. 47.

როგორიცაა: შეიხ-მანსური, ისმაილ-ეფენდი, მუჰამედ-ასკერი ღაზი-მუჰამედი, ჰამზად-ბეგი და, განსაკუთრებით, შამილი, დაღესტნისა და ასევე მისი მეზობელი კავკასიელი მთის ხალხების დაუძინებელი მტრები იყვნენ. მათ, გარდა იმისა, რომ ფიზიკურ და ქონებრივ განადგურებამდე მიიყვანეს მთიელები, დიდი ხნით შეაჩერეს რუსეთის გავლენით წინსვლის გზაზე გამოსული ამ ხალხების კულტურული და გონებრივი განვითარება.

შემთხვევითი არ არის ის, რომ მრავალი ცდის მიუხედავად მიურიდიზმმა აზერბაიჯანელ ხალხში დასაყრდენი ვერ ჰპოვა. მიურიდიზმის მოციქულებმა თავიანთი ბოროტი საქმიანობა მთის ჩამორჩენილ ხალხებში, უმთავრესად დაღესტანში, ჩეჩნეთში, ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში, გააძლიერეს და აქ ხალხის გაბრიყვების საქმეში კიდეც მიაღწიეს ერთგვარ წარმატებებს.

კავკასიის მთის ხალხების გამოხსნა ბნელეთის მოციქულთა ბრჭყალებიდან და მათი დაყენება რუსეთის ორიენტაციის გზაზე ამ ხალხების ფიზიკურად გადარჩენის, მათი წინსვლისა და გაძლიერების საფუძველს წარმოადგენდა. ამიტომ მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა, თავისი ობიექტური შედეგებით, იყო გამათავისუფლებელი ხასიათისა.

მიურიდიზმი მთიელებში კავკასიის მხარის მთავარმმართველ ერმოლოვის დროს (1816—1827 წწ.) თურქეთიდან შემოგზავნილი აგენტების მოქმედებით თანდათან ახალ ნიადაგზე ღვივდება; საერთოდ კი, როგორც აღინიშნა, მიურიდიზმის გავრცელებისათვის კავკასიაში პირველი ნაბიჯები მე-18 საუკუნის ბოლოდან გადაიდგა თურქი აგრესორების მეთაურობით. სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება თურქეთის აგენტთა თაოსნობით აფხაზეთისა და აჭარის მკვიდრთა გამაჰმადიანების პროცესი. შეიხ-მანსური ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც 1780-იან წლებში დაიწყო ჩერქეზების გამაჰმადიანება და მიურიდიზმისათვის ნიადაგის მომზადება, მაგრამ იგი დამარცხდა. ამის შესახებ გენიალური ა. პუშკინი წერდა:

«Черкесы очень недавно приняли магометанскую веру. Они были увлечены деятельным фанатизмом апостолов корана, между коими отличался Мансур, человек необыкновенный, долго возмущавший Кавказ против русского владичества, наконец схваченный нами, умерший в Соловецком монастыре» («Путешествие в Арзрум»).

მიურიდიზმის გააქტივება და მძვინვარება კავკასიაში 1830-იანი წლებიდან იწყება, როგორც ინგლისისა და თურქეთის უსას-

ტიკესი პროტესტი იმ ბრწყინვალე გამარჯვებების გამო, რომელიც რუსეთმა მოიპოვა რუსეთ-თურქეთის (ასევე ირან-რუსეთის) ომში, საერთოდ, და, კერძოდ კი, კავკასიის ფრონტებზე. ამიერიდან, ინგლისისა და თურქეთის აგენტების აქტივობითა და მეთაურობით კავკასიის მთის ხალხები ისლამის რელიგიური ბანგით—მიურიდიზმითა და შარიათით გააბრუეს და „გიაურების“ შესამუსრად გამოაცხადეს ჰაზავატი (საღვთო ომი), რომელსაც სათავეში იმამები (რელიგიური, სამხედრო და სამოქალაქო მეთაური) ჩაუდგნენ. ასეთები იყვნენ ყაზი-მოლა (მოკლეს 1832 წ.), ჰამზად-ბეგი (მოკლეს 1834 წ.) და შამილი (1798—1871 წწ.), რომლის ბატონობა 1859 წელს განადგურდა.

ამ ბრძოლებს დიდი რუსეთი მეთაურობდა, ხოლო კავკასიის ხალხები მასში ცხოველმყოფელი აქტივობით მონაწილეობდნენ. ამ ისტორიულ ბრძოლებში კერძოდ საქართველო წარმოადგენდა რუსეთის ყველაზე უფრო მძლავრ დასაყრდენ ძალას; ამ ფაქტს კი, როგორც დავრწმუნდით, თავისი ისტორიული საფუძვლები გააჩნია.

## თავი მესამე

# რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ზრდა მიურიდული მოძრაობის წინააღმდეგ 30-წლიან ბრძოლებში

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაღესტნის ფეოდალების ყაჩაღური თავდასხმები საქართველოზე თანდათან დავიწყებას ეძლეოდა და კავკასიაში საყოველთაო მშვიდობა მკვიდრდებოდა. მაგრამ დაღესტანში მიურიდიზმისა და შარიათის დანერგვის და იმამატის ხელისუფლების განმტკიცების შედეგად ყაჩაღური თავდასხმები საქართველოზე ისევ განახლდა, მან ახალი სახე და ელფერი მიიღო, ახალ ვითარებასთან შეფარდებით.

ინგლისელ-თურქ დამპყრობთა და მათი აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობით 1830-იანი წლებიდან, როგორც დავრწმუნდით, ღვივდება მიურიდიზმი და შამილის რეაქციული მოძრაობა კავკასიაში. ეს იყო მათი მორიგი მძაფრი გამოლაშქრება რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ ომების გამჩაღებლად და ომის დამნაშავედ ინგლისელი და თურქი დამპყრობლები გვევლინებიან. ამ ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში კავკასიაში ამოწყდა ასიათასობით უდანაშაულო ადამიანი—ბავშვი, ქალი და მოხუცი, აოხრდა და საბოლოოდ განადგურდა მრავალი დაბა და სოფელი. გამწვავდა დამოკიდებულება კავკასიის მთისა და ბარის მეზობელ მოძმე ხალხებს შორის.

ყველა ამ ბოროტმოქმედების ფაქტიური ორგანიზატორი ინგლისელი და თურქი დამპყრობლები იყვნენ, ხოლო ისლამის კავკასიელი ბნელეთის მოციქულნი—იმამები და მიურიდები ამ აგრესორთა ფაქტიურ აგენტებად გვევლინებიან.

ინგლისელი და თურქი დამპყრობლები კავკასიაში მიურიდიზმის გავრცელებითა და შამილის სისხლიანი რეჟიმის გაძლიერებით მიზნად ისახავდნენ კავკასიელი ხალხების დამონებას, მათი საზოგადოებრივი განვითარების შეჩერებას, რუსეთისაგან კავკასიის ხალხების იძულებით ჩამოშორებასა და ოტომანთა იმპერიასთან შეერთებას.

ამიტომ მიურიდიზმისა და შამილის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ 30-წლიანი ბრძოლა კავკასიაში, რომელსაც დიდი რუსი ხალხი ეწეოდა, არსებითად იყო პროგრესულ-ისტორიული მნიშვნელობის სამართლიანი ბრძოლა, მიმართული ინგლისელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ გმირულმა ბრძოლებმა კავკასიის ხალხები იხსნა მონობისა და თურქეთის ბაზრებზე ტყვეებად გაყიდვისაგან. კარგადაა ცნობილი, რომ ტყვეებით ვაჭრობის ყოვლად სამარცხვინო საქმეს თურქი ბარბაროსი დამპყრობლები საუკუნეების მანძილზე ეწეოდნენ.

თუ წინათ ქართველ ხალხს ტყვეებით მოვაჭრე ამ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ძალების ამარა უხდებოდა, ახლა მიურიდთა მძარცველური ბრბოს წინააღმდეგ ბრძოლა სავსებით განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა,— შამილის წინააღმდეგ ბრძოლების მეთაურად და ორგანიზატორად კავკასიაში რუსეთი გვევლინება, საქართველო კი ამ ბრძოლების აქტიური მონაწილე ხდება.

## 1. მიურიდთა ცდები ცარიზმის კოლონიური რეჟიმით შევიწროებული მთიელების გადაბირებისათვის და მასების ბრძოლა მჩაგვრელთა ბატონობის დასამხობად

(ბრძოლების პერიოდიზაციის საკითხისათვის)

ისტორიული მთლიანი მოვლენის პერიოდებად და ცალკე ეტაპებად დანაწილება თითქმის მუდამ პირობითი ხასიათისაა და ამდენად იგი უდაოდ სერიოზულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. იგივე ითქმის ჩვენი საკვლევი ობიექტის შესახებაც. თუ ჩვენ მაინც იძულებული ვხდებით მივმართოთ ასეთ (სწორედ პირობითს) პერიოდიზაციას, იგი უმთავრესად ნაკარნახევია არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური პირობებისა (აღებული ხანისათვის) და თვით ამ მოძრაობის განვითარების ეტაპების გარკვევით, არამედ აქეთკენ მოგვიწოდებს ჩვენ თვით შამილისა და, საერთოდ, მიურიდული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლების შესწავლა.

მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ ბრძოლა არ წარმოადგენდა კომპანიური ხასიათის მოვლენას. ეს ბრძოლა ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა, იგი მოითხოვდა ხანგრძლივი ხასიათის მუდმივად მოქმედ ძალებს, რომლებიც შებოჭავდა და საბოლოოდ გატეხდა შამილის რეაქციულ-თეოკრატიულ სისხლიან რეჟიმს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში რუსეთს საიმედო დასაყრდენი და დამხმარე თვით კავკასიის ხალხისაგან ესაჭიროებოდა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიურიდიზმი და შამილის მოძრაობის ერთი ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი პერიოდი დაემთხვა რუსეთსა და თურქეთს შორის (თურქეთისადმი ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო დახმარებით) გააფთრებული ომის მძვინვარე პერიოდს (1853—1856 წწ.). თუ შამილი, როგორც თურქეთისა და ინგლისის საიმედო მოკავშირე კავკასიაში, ყირიმის კომპანიის მძიმე დღეებში თავისი ძალებით შესაფერ წინააღმდეგობას ვერ შეხვდებოდა, საშუალება ეძლეოდა ზურგიდან ჩაეცა მახვილი ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენისათვის და კავკასიაში თურქეთი გაებატონებინა.

დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ამ უაღრესად ძნელ ისტორიულ პირობებში ქართველი ხალხი გმირული თავდადებით უდგა გვერდში დიდ რუს ხალხს და თავგანწირვით იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ბრძოლა მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ შეიძლება სამ ძირითად ეტაპად დავყოთ: 1-ლი 1830-იანი წლებიდან ვიდრე 1853 წლამდე, ე. ი. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე; მე-2 ეტაპი რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდი (1853—1856 წწ.); მე-3 ეტაპი მოიცავს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დროს, ვიდრე მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის საბოლოო განადგურებამდე (1856—1859 წწ.).

სამივე ეტაპისათვის საერთო დამახასიათებელი ისაა, რომ შამილის წინააღმდეგ ქართველი ხალხი მუდამ თავდადებით იბრძოდა, თვლიდა რა ამ ბრძოლას საკუთარი ქვეყნის, ოჯახისა და ღირსების დაცვის საქმედ. ამიტომ იყო, რომ ხალხი მასობრივად იბრძოდა ამ დაუცხრომელი მტარვალისა და მშვიდობისმოყვარე მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრის გასანადგურებლად.

შამილის მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში საყოველთაო-სახალხო მოვლენად იქცა, იგი თვით ხალხიდან მოდიოდა. გლეხობა თავისი სურვილით მიდიოდა შამილის რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და კახეთის გლეხობის აქტივობა. ცნობილია, რომ კავკასიის 60-წლიანი ბრძოლის პერიოდში და შემდეგაც, ვიდრე 80-იან წლებამდე, სამხედრო-სავალდებულო ბეგარა საქართველოს მოსახლეობაზე კანონით არ ვრცელდებოდა და ხალხის მონაწილეობა ბრძოლებში ნებაყოფლობითი ხასიათისა იყო.

მიუხედავად ამისა, ძნელია ჩამოთვლაც კი საერთო მტრის წინააღმდეგ გადახდილ ყველა იმ ბრძოლისა, რომლებსაც მხოლოდ ქარ-

-თული სამილიციო ნაწილები აწარმოებდნენ ანდა ქართველთა ლაშქრისა და რაზმების მონაწილეობით მიმდინარეობდა. ჩვენ აქ მაგალითისათვის რამდენიმეზე შევჩერდებით. საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ შამილის წინააღმდეგ აღმართული ბრძოლის დროშა თავის ირგვლივ იზიდავდა და მტკიცედ რაზმავდა მშრომელი ხალხის ფართო ფენებს[1], ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ: ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვ. ქართული საზოგადოებრივი აზრი შამილის მოძრაობას იმთავითვე რეაქციულ და ანტიხალხურ მოძრაობად თვლიდა. რასაკვირველია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის აღმოცენებიდან, ვიდრე მათ საბოლოო განადგურებამდე, ქართველი ხალხი ამ რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდა.

ამიტომ, ჩვენი მიზანია საგანგებოდ შევჩერდეთ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებაზე ინგლისელ და თურქ დამპყრობთა აგენტის—შამილის რეაქციული მოძრაობის განადგურებისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლების მანძილზე, რომელიც ყირიმის კამპანიის უაღრესად დაძაბულ პერიოდსაც მოიცავს.

* * *

1830-იან წლებიდან რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისა და მათ შორის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის აგენტების წაქეზებითა და დაღესტნელი მიურიდების წინამძღოლობით ამოხრებელი თავდასხმები საქართველოსა და კავკასიის ხალხებზე კი არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გახშირდა. ამას მრავალი საბუთი ადასტურებს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი, რომელიც 1830 წლის 19 იანვარსაა შედგენილი, შეეხება სოფ. ყვარელიდან ლეკ-ფეოდალთაგან ბავშვების გატაცებისა და ხალხის გაძარცვის ფაქტს. გენერალმა ემანუელმა განაზოგადა ასეთი ფაქტები და 1830 წ. 14 აპრილს შედგენილ საბუთებში პასკევიჩს მოახსენა, რომ: «Турецкие чиновники, в горах находящиеся, и после заключения мира не перестают действовать против нас и-

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902, № 1784, 1785, 19 და 20 აპრილი. ბრძოლებში მონაწილე ბარისახოელი გლეხის მოგონება ჩაწერა დ. პავლიაშვილმა.

при том, как к ним доставлялись от турецкого правительства подарки и военные припасы для горских народов»[1]...

რუსეთის მხედრობა იცავდა ამიერკავკასიის ხალხებს ინგლისისა და თურქეთის აგენტთა მტრული მოქმედებისა და მიურიდთა ურდოების ძარცვა-განადგურებისაგან. მტრის წინააღმდეგ იერიში მიჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობას. მაგალითად, საქართველოს გრენადერთა პოლკისა და ქართული სამილიციო ნაწილების გაერთიანებული ძალებით ჩაქრობილი იქნა პროვოკაციული ღონისძიებებით გაჩაღებული ჭარ-ბელაქნის აჯანყება, რომელსაც თვით მიურიდები მეთაურობდნენ[2]. 1830 წლის ნოემბერში აღებულ იქნა ზაქათალის ციხე; ამ აქტის შესახებ გენერალი სტრეკალოვი პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

«Взятие Закатал есть, без сомнения, дело, приносящее честь оружию русскому»[3]. ამ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა მეომრებმა.

1830 წლის ბოლოს გენერალ სტრეკალოვის ცნობითვე თელავის მაზრაში, გარდა თუშებისა, შეგროვდა 400 ქვეითი და ცხენოსანი, ხოლო სიღნაღის მაზრაში — 2000 მილიციელი, რომლებიც 1831 წლის იანვარს როტმისტრ თავად იასე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დანიშნულ ადგილზე გამოცხადდნენ[4].

მიურიდები მაინც არ ცხრებოდნენ, ბრძოლა მათ წინააღმდეგ გრძელდებოდა.

გენერალ-მაიორი ალ. ჭავჭავაძე მოახსენებდა ბარონ როზენს, რომ 1832 წლის ივლისში მან ქართულ გრენადერთა პოლკის ნაწილებითა და მილიციელთა რაზმებით სოფ. ყვარელიდან ბელაქანიანის მიმართულებით გაილაშქრა დაღესტნელ-ჭარელ მეამბოხე თავდამსხმელთა წინააღმდეგ[5].

ყაზი-მოლას უერთგულესი ჰამზად-ბეგის მეთაურობით 1832 წლიდან მთაში, ჭარის ოლქში, აჯანყებები განახლდა. ჰამზად-ბეგმა

---

[1] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1105, საქმე 54, ფურც. 16.

[2] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 205.

[3] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორ. არქივი, ფონდი 548, საქმე 108, ფურც. 166.

[4] იქვე, ფონდი 548, საქმე 108, ფურც. 166.

[5] იქვე, ფონდი 1083, საქმე 82, ფურც. 27—28.

შეძლო ზაქათალის მახლობლად ბელაქანის, სოფ. მაცეხისა და კატეხის მკვიდრთა გადაბირებაც[1]. ჰამზად-ბეკის ურდოებმა იწყეს თავდასხმები საქართველოს სოფლებზე.

მეფის მთავრობამ გადამწყვეტი ზომები მიიღო მათ წინააღმდეგ. საქართველოში გამოცხადდა მილიციელთა რაზმების მორიგი გაწვევა. 1832 წლის აგვისტოში ბარონ როზენი გ. ვ. ჩერნიშევს მოახსენებდა, რომ «...Вызов был выполнен всеми жителями с такою готовностью и поспешностью, что даже нужно было уклониться от принятия всех желающих. Ни время полевых работ, ни значительные требования милиции не охлаждали рвения жителей»[2].

ჰამზად-ბეკის 6000 კაცისაგან შემდგარი ჯარი დამარცხდა მუხახის ხეობაში. მილიციელთა რაზმები ცხოველმყოფელი აქტივობით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. ქარში წესრიგი აღდგა. აჯანყება ჩააქრეს.

მიუხედავად ამისა, ინგლისისა და თურქეთის აგენტურა დღითი დღე აფართოებდა თავისი მტრული მოქმედების ასპარეზს მთაში.

მიურიდები თავს ესხმოდნენ დასავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე სოფლებს. ისინი შემოსევას იწყებენ აფხაზეთის სოფლებსა და დაბებშიც. მაგალითად, 1833 წლის 15 მარტს ბარონ როზენს გენერალ-მაიორი ვაკულსკი მოახსენებდა ჩერქეზთა ურდოს თავდასხმას ბზიფის ოლქის სოფ. ხოფზე, საიდანაც მძარცველებმა ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს, მოკლეს 5 კაცი და მრავალი დაჭრეს, გაიტაცეს 100 სულამდე პირუტყვი, გადასწვეს 6 მოსახლე; ჩერქეზებმა ანალოგიური თავდასხმები, 1000 კაცისაგან შემდგარი ბრბოთი, მოაწყეს გაგრასა და აფხაზეთის სხვა დაბებსა და სოფლებზე[3].

თურქეთის აგენტები 1830-იანი წლებიდან, როგორც ირკვევა, მონდომებით ცდილობდნენ მიურიდიზმის გავრცელებას საქართველოშიაც. მათ ამ მიზნით თავიანთ სამოქმედო ასპარეზად აურჩევიათ აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ჩრდილო რაიონები. სტრატეგიული თვალსაზრისით ეს ადგილები კავკასიაზე თურქეთის გავლენის გასავრცელებლად და მთის ხალხებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად უაღრესად დიდმნიშვნელოვან პუნქ-

---

[1] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1083, საქ. 82, ფურც. 28.

[2] Акты, т. VIII, № 903, стр. 961.

[3] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, განსაკუთრებული საქ. ფონდი, საქმე 34, ფურც. 18.

ტებს წარმოადგენდა. თურქი დამპყრობლები და მათი აგენტები იმაზე ოცნებობდნენ, რომ კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე კავკასიის მთის ხალხებზე და საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში თავიანთი გავლენის გავრცელებით, ხელსაყრელ მომენტში, გზა გადაეჭრათ რუსეთისათვის და ალყაში მოექციათ ამიერკავკასია. მტარვალებმა კავკასიის ზოგი ხალხი კიდევაც გააბრიყვეს.

თუ რას სჩადიოდნენ თურქი აგენტები ამ პერიოდში, კერძოდ აფხაზეთში, ამას ვტყობილობთ საქართველოს მთავარმმართებლის ბარონ როზენის 1832 წლის 9 მარტის ოფიციალური მიმართვით აფხაზეთის მთავრის, ჰასან-ბეი შერვაშიძისადმი, რომელშიაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: «Дошло до меня сведение, что с некоторого времени в окрестностях Сухум-кале проживают и поселяются прибывающие из разных мест праздношатающиеся турки, которые не занимаясь ни хлебопашеством и ничем полезным, разъезжают только по разным местам, обманывают тамошних жителей и имеют даже сношение с черкезами и другими хищниками»[1]. საბუთი მეტყველებს, რომ ეს „უქმად მოხეტიალენი“ თურქეთის ემისრები იყვნენ, რომლებიც, გარდა იმისა, რომ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი თურქეთის გავლენაში მოქცეული ჩერქეზების რეაქციონულ ელემენტებთან და საქართველოდან გატაცებული ტყვეების ვაჭრობას ეწეოდნენ, მონდომებით ქადაგებდნენ მიურიდიზმს აფხაზთა შორის. ამ აგენტების მოქმედება, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთით არ იფარგლებოდა; თუ რა სახისა იყო იგი, კერძოდ, სამეგრელოში, ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ბარონ როზენის ოფიციალური მიმართვა სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანისადმი, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: «В Анаклии усилилось поселение турок, которые не занимаясь хлебопашеством разъезжают по Мингрелии и Абхазии; обманивают торговлею неопытных и добродушных жителей Мингрелии, входят с ним в родственные связи, соблазняют некоторых даже к принятию магометанского закона, и имеют частные сношения с черкесами и другими горскими хищниками»[2].

---

[1] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2, საქმე 2641, ფურც. 3.

[2] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 2, საქმე 2641, ფურც. 2.

აქედან გარკვევით ჩანს, რომ სხვა მრავალ ბოროტმოქმედებასთან ერთად თურქი აგენტები ცდილობდნენ სამეგრელოს მკვიდრ მოსახლეობაში ისლამის სარწმუნოების გავრცელებას. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1832 წლით (თვე არა ჩანს). ამ პერიოდში კავკასიაში თურქი აგენტები მიურიდიზმს ავრცელებდნენ, ამდენად, ბუნებრივია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მიურიდიზმის ქადაგებელ თურქეთის აგენტებთან. ანალოგიურ ცდებს მიურიდიზმის გასავრცელებლად ადგილი ჰქონდა სვანეთში და, ნაწილობრივ, თუშ-ფშავ-ხევსურეთშიც. მაგრამ ამავე საბუთებით ცხადი ხდება, რომ საქართველოში თურქეთის აგენტების ამ ენერგიულმა მოქმედებამ მიურიდიზმის გასავრცელებლად ვერავითარი ნიადაგი ვერ ჰპოვა, წარმატებებს ვერ მიაღწია. პირიქით, ქართველმა ხალხმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მიურიდიზმს და წინ აღუდგა როგორც მის მქადაგებელ თურქეთის აგენტებს, ისე ე. წ. კავკასიის მთიელთა მიურიდულ მოძრაობას, რომელსაც შამილი და მისი წინამორბედები მეთაურობდნენ.

ქართველი ხალხი კავკასიაში მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის საწინააღმდეგო მძაფრ ბრძოლებში პირველ დღეებიდანვე ებმება. ამ ბრძოლის პირველი პერიოდი ხასიათდება მთიელებში მიურიდიზმის სწრაფად გავრცელება-გაძლიერებით და იმამატის ინსტიტუტის შექმნისათვის სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლებით. ამ ბრძოლებში თავიდანვე მონაწილეობდა შამილი მიურიდიზმის პირველ ხელმძღვანელებთან,—მის წინამორბედ ორ იმამთან—ყაზი-მოლასა და ჰამზად-ბეკთან ერთად. 1832 წელს გიმრთან სასტიკ ბრძოლებში მოკლეს ყაზი-მოლა, ხოლო მის მაგივრად ამიერიდან იმამად ჰამზად-ბეკი გოცალტელი გვევლინება, რომელიც შამილთან ერთად აგრძელებს სისხლიან ტერორს; ისინი ავარიის დამორჩილების მიზნით გაცოფებით შეესიენ ავარიის სახანოს, ვერაგულად ამოწყვიტეს ამ მხარის რუსეთის მომხრე ფეოდალური ზედა ფენები, ალყაში მოაქციეს ქუნძაქი და სასტიკი ბრძოლით დაიპყრეს ის. მაგრამ ქუნძაქელებმა ჰაჯი-მურადის მეთაურობით მალე შური იძიეს და 1834 წელს ჰამზად-ბეკი მოკლეს. ამიერიდან მიურიდულ მოძრაობაში მეთაურად და იმამად შამილი გვევლინება. შამილმა სასტიკი ტერორი დაამყარა მთიელებში და აშკარა დიქტატორი გახდა. მთა ამიერიდან სისხლიან სამხედრო ბანაკად იქცა. შამილი გააფთრებით აგრძელებს ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ.

როგორ გამოვლინდა ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილის მოქმედება მიურიდული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლებში? შევჩერდეთ დამახასიათებელ მოვლენებზე.

დამახასიათებელია, რომ საქართველოს თავადაზნაურული ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ამ პერიოდში უკვე უმეტესად სამხედრო სამსახურში იყო ჩარიცხული. რუსეთის არმიაში სამსახური მათ პატივისა და ღირსების საქმედ მიაჩნდათ. ამიტომ ქართველი თავად-აზნაურობის უწარჩინებულესი გვარების ჩამომავალნიც კი, როგორიც იყვნენ: ბაგრატიონები, მუხრანბატონები, ჭავჭავაძეები, ერისთავები, ორბელიანები, ბარათაშვილები და მრავალი სხვა, უკვე დიდი რაოდენობით იყვნენ რუსეთის სამხედრო სამსახურში და კავკასიაში რუს ოფიცრებთან ერთად საპატიო ადგილები ეჭირათ.

ისინი თურქ-დამპყრობელთა და მათი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი აღფრთოვანებით მიდიოდნენ და ბევრმა გმირის სახელიც კი მოიხვეჭა. მაგალითად, ჩვენი დიდებული მგოსნის ალ. ჭავჭავაძის მრავალმხრივი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი ბრძოლა ჭარელი მეამბოხე ლეკებისა და მიურიდიზმის წინააღმდეგ. იგი ჯერ კიდევ 1822 წელს გრ. ორბელიანთან ერთად იბრძოდა ჭარში, სადაც მოსყიდული აგენტები ავრცელებდნენ ხმებს რუსეთ-თურქეთს შორის ომის დაწყების შესახებ და ხალხს აჯანყებდნენ. ალ. ჭავჭავაძემ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში თანმხლები რაზმებით თავი ისახელა. 3 მარტს სოფ. კატეხის მახლობლად მან სწრაფი იერიშით აიღო მტრის გამაგრებული სანგრები და აჯანყებულები ერთიანად დაიმორჩილა, რის შედეგადაც იქ მშვიდობიანობა აღდგა. ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძემ რუსეთ-თურქეთის ომში დიდი გმირობა გამოიჩინა. ამ ომის დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ უჩვეულო სწრაფი ბრძოლებით აიღო ბაიაზეთი და დაიკავა სამი მთავარი ქალაქი: თოფრაკალე, ხამური და დიადინი. ალ. ჭავჭავაძე თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში შემდეგაც მონაწილეობდა.

ჩვენ შევეხეთ იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა ქართველი მოსახლეობა აჯანყებულ ჭარელთა დასამშვიდებლად 1830 წელს.მაგრამ რაკი მიურიდები არ სცხრებოდნენ, ბრძოლა არც ამის შემდეგ შენელებულა. 1832 წლის 15 ივლისიდან ალ. ჭავჭავაძეს დაავალეს იმ რაზმის უფროსობა, რომელიც კახეთს იცავდა დაღესტნის იმამის ყაზი-მოლას თანამზრახველის ჰამზათ-ბეკის ველური თარეშისაგან. ამაზე თვით ა. ჭავჭავაძე წერს: „ეს ექსპედიცია ბელაქნის ბლოკადისაგან გასანთავისუფლებლად გაიგზავნა

გენერალ როზენის განკარგულებით. მან კარგად შეასრულა ეს დავალება“[1].

1832 წელს კავკასიის მთავარმმართებლის ბარონ როზენის მეთაურობით დაღესტანში მოეწყო ცნობილი ექსპედიცია, რომლის შედეგადაც დაეცა გიმრი, მოკლეს პირველი იმამი ყაზი-მოლა და მძიმედ დაიჭრა შამილი; ბევრი ქართველი რიგითი მეომარი და ოფიცერი მონაწილეობდა ამ გმირულ ბრძოლაში. სხვა ქართველ ოფიცერთა შორის იბრძოდა გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი. მას ბრძოლა შამილის წინააღმდეგ შემდეგაც არ შეუწყვეტია და იყო გუნიბის აღების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. გიმრის ბრძოლაში აგრეთვე მონაწილეობდა ორბელიანი, მელიქიშვილი და სხვ.

მიურიდთა სისხლიანი შემოსევები უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ამიტომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა მიურიდთა წინააღმდეგ საქართველოს საზღვრების გასამაგრებლად საგანგებო სამხედრო ღონისძიებები განეხორციელებინა.ააგეს საკორდონო ე. წ. „სალეკო ხაზი“, რომელიც კახეთის დიდ მანძილზე იყო გადაჭიმული. მომენტის შესაბამისად ამ ხაზის მანძილი იცვლებოდა. ერთ დროს იგი იწყებოდა ს. ახმეტიდან და გრძელდებოდა ს. ფშავის, საცხენისის, ყარათუბნის, ლაგოდეხის, ჭარ-ბელაქნის, ზაქათალისა და მუხახის მიმართულებით. იყო პერიოდი, როცა სალეკო ხაზი არაგვიდან ღებულობდა სათავეს: ამ უზარმაზარ ხაზს იცავდა უმთავრესად რუსეთის რეგულარული მხედრობა და ქართული სამილიციო რაზმები. ანალოგიური ღონისძიებები განხორციელდა შამილის წინააღმდეგ სხვადასხვა დროს და მეტ-ნაკლები მასშტაბით ჩრდილო და დასავლეთ კავკასიაში. შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროებიდან ასევე გატარდა მკაცრი ღონისძიებანი, რათა მტკიცედ ჩაეკეტათ ხეობები, ზეკარები და ყველა გადმოსასვლელი გზა, რომლითაც კი შეეძლო შამილის რაზმებს მოსაზღვრე მშვიდობიანი მეზობელი ხალხების მიწა-წყალზე თარეში და ძარცვა.

ამრიგად, კავკასიაში შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად ათეული წლების მანძილზე მუდმივად განლაგებული იყო რუსეთის მხედრობის მეტად მრავალრიცხოვანი ნაწილები და ადგილობრივი სამილიციო რაზმები. ეს დიდ ტვირთად აწვა როგორც ხალხს, ასევე

---

[1] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., გვ. 27, ი. გრიშაშვილის რედ.

სახელმწიფოს[1]. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, მტერი ყველა ხელსაყრელ მომენტს მოხერხებულად იყენებდა და მეზობელ ხალხებზე ქურდულ თავდასხმებს თითქმის სისტემატურად აწყობდა. მაგალითად, გენ.-მაიორ კოცებუს 1838 წ. 21 ივლისის გრაფ. ჩერნიშევისადმი წერილით ვტყობილობთ, რომ შამილს შეუგროვებია დიდძალი ლაშქარი, გადაუბირებია ქისტები და ემზადებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთზე თავდასხმისათვის. ამ დროს ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ სევარსამიძეს დავალება მიეცა, მიეღო ზომები ამ მოსალოდნელი თავდასხმის აღსაკვეთად. მართლაც, სევარსამიძის ენერგიული ღონისძიებებით ეს თავდასხმა მოგერიებულ იქნა[2].

შამილის წინააღმდეგ მიღებულმა ამგვარმა საგანგებო ღონისძიებებმა და 1839 წელს რუსეთის მხედრობის გმირულმა შეტევამ გენერალ-ადიუტანტ გრაბეს სარდლობით ბრწყინვალე შედეგები მოიტანა. 1839 წლის მაისს კავკასიაში მყოფი მხედრობა მამაცი გენერლის გრაბეს მეთაურობით ორგზის შეიჭრა იმ ადგილებში, სადაც შამილის უმთავრესი ძალები იმყოფებოდნენ და აიძულა შამილი, რათა თავისი 16.000 კარგად შეიარაღებული მხედრებით პირისპირ ჩაბმულიყო რუსეთის მხედრობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. შამილმა სასტიკი მარცხი განიცადა და საგანგებოდ გამაგრებულ ახულგოს მიმართულებით დაიხია. გრაბემ თავისი ლაშქრით ფეხდაფეხ მისდია გაქცეულ შამილს და ალყაში მოაქცია იგი. ხანგრძლივი ალყის შემდეგ თავს დაესხნენ ახულგოს სიმაგრეში შეკედლებულ შამილის ჯარს და ორი დღის (21—22 აგვისტოს) სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს „მიუვალად“ აღიარებული ახულგო და შამილის წინააღმდეგობა. შემუსრეს შამილის ძალები, მაგრამ უმთავრესი მიზანი ამ ბრძოლისა,—

---

[1] შამილი, მთელი თავისი ძალებით იბრძოდა რა კავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორებისათვის, საომარი მოქმედების მთელ მანძილზე თავისკენ იზიდავდა რუსეთის მხედრობის უდიდეს ნაწილს და ამით უაღრესად დიდ ქმედით დახმარებას უწევდა რუსეთის მოწინააღმდეგეთა კოალიციას—ინგლისს, საფრანგეთსა და თურქეთს.

მაგალითად, რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წწ. ომის პერიოდში კავკასიაში მოქმედი 270.000 რუსი ჯარისკაცის დიდი ნაწილი შამილის თავდამსხმელი ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებით იყო დაკავებული. ფ ა დ ე ე ვ ი, Шестьдесят лет Кавказской войны, Тб., 1862, стр. 60—61.

[2] სსრ კავშირის შსს საარქივო მთავარი სამმართველო, სამხედრო ისტორიული არქივი, ფონდი ВУА, საქმე 6354, ნაწ. 1, ფურც. 1—7.

შამილის დატყვევება ან მისი მოსპობა,—ვერ განახორციელეს, შამილი დაიჭრა, მაგრამ მაინც მოახერხა გაქცევა. როგორც აღვნიშნეთ, შამილი ამიერიდან ჩეჩნეთში იწყებს მოქმედებას.

მიუხედავად ამისა, ახულგოს გამარჯვება კავკასიის ომების ისტორიაში ერთი ბრწყინვალე ფურცელია. ამ ბრძოლებში რუსი მხედრობის მხარდამხარ მონაწილეობდა ბევრი ქართველი რიგითი მეომარი და ჯარის მეთაური, რომლებმაც თავიანთი მამაცობით თავი ისახელეს. ამათგან აღსანიშნავია პოლკოვნიკი წიკლაური, პოლკოვნიკი ზაქარია ორბელიანი და მრავალი სხვა, რომლებმაც გრაბეს ამ სახელოვან ექსპედიციაში გმირობის სახელი მოიხვეჭეს[1].

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თვით მთიელების მოწინავე ფენები ახულგოშიაც თავგამოდებით იბრძოდნენ შამილის წინააღმდეგ. რუსების მხარეზე იყო, მაგალითად, გენერალ-მაიორი ახმედ-ხან მეხტულინსკი, რომელიც დააჯილდოეს სტანისლავის I ხარისხის ორდენით, რადგან იგი «Содействовал успеху как своею храбростью, так и своим знанием местности и горских народов»[2]. რუსებს ეხმარებოდა აგრეთვე შამხალ-ტარკოვსკი, თავადი ბეკოვი. მათ ახლდა 1316 მეომარი-მთიელი. სულ ამ ომში მონაწილე რუსეთის მომხრე დაღესტნის ფეოდალების თანხლებ ჯარისკაცთა რიცხვი 2046-ს აღწევდა[3].

---

[1] სსრ კავშირის შსს მთავარი საარქივო სამმართველოს სამხედრო ისტორიული არქივი, ფონდი ВУА, საქმე 6361, ნაწ. II, ფ. 66.

[2] სსრ კავშირის შსს მთავარი საარქივო სამმართველოს სამხედრო ისტორიული არქივი, ფონდი ВУА, საქმე 6667, ფურც. 10 და 60. საქმეში ასევე დაცულია 1839 წ. 5 სექტემბრის ბრძანება იმპერატორ ნიკოლოზ I-სა გრაბეს ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოების შესახებ (იხ. ფურც. 20).

[3] იქვე, დასახელებული ფონდი და საქმე. დამახასიათებელია, რომ კავკასიის მუსულმანურ მოსახლეობას რუსეთის მხედრობის მხარდამხარ თურქეთის საწინააღმდეგო არა ერთ ბრძოლებში მიუღია ცხოველმყოფელი მონაწილეობა. ამის შესახებ ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენ ვკითხულობთ: „თურქეთის წინააღმდეგ 1828 წლის კამპანიის განმავლობაში ჩვენი მუსლიმური პროვინციების ცხენოსანთა ლაშქარი...ფრიად ერთგულად მსახურობდა“ (Акты, ტ. VII, გვ. 813).

ამ კამპანიის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა კავკასიის მოსახლეობაში რუსეთის მამაცი მხედრობის მხარდამხარ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის სურვილი. ეს მისწრაფება გავრცელდა მთიელ ტომებშიაც, კერძოდ, ჭარ-ბელაქნის ლეკობაშიც. ისინი საჭიროებისამებრ ადგენდნენ რჩეულ მეომართა რაზმებს და ნებართვას თხოულობდნენ მთავრობისაგან მათ გამოყვანაზე. ამრიგად, შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსი მხედრობის ხელმძღვანელობით ცხოველმყოფელ მონაწილეობას ღებულობდნენ არა მარტო ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, არამედ თვით ლეკები, ავარელები, დაღესტნის მოსაზღვრე ზაქათალის, ყუბა-კუსარის და ჩრდილო კავკასიის მკვიდრთაგან შემდგარი ცალკე რაზმები (Акты, ტ. VII, გვ. 326. ასევე იხ. Бакиханов, Гулистан-Иран, Баку, 1926 г.)

ახულგოში შამილის სასტიკი მარცხის შემდეგ გენერალი გრაბე და რუსეთის სარდლობა ერთგვარ დამშვიდებას მიეცა. ისინი თითქოს დარწმუნდნენ, რომ შამილი ამიერიდან ფეხზე ველარ წამოდგებოდა, თუმცა ამ ლაშქრობის მიზანი—შამილის დატყვევება ან მისი განადგურება, ისევ განუხორციელებელი რჩებოდა. მცირე ყაბარდოში (ჩეჩნეთში) თავშეფარებული, მწარედ დამარცხებული და რამდენადმე იმედდაკარგული შამილი ასეთ ვითარებაშიაც კი დემაგოგიურად ცდილობდა რუსული მმართველობის წინააღმდეგ ხალხის ამხედრებას. იგი მოხერხებულად იყენებდა მეფის ადგილობრივი მოხელეების უხეშობისა და „პრისტავული“ მეთოდებით მხარის მართვის შედეგად ადგილობრივ მოსახლეობაში აღმოცენებულ უკმაყოფილებას, აგრეთვე ინგლისისა და თურქეთისაგან განოგზავნილ იარაღს და სათავეში უდგება ჩეჩნეთის დიდ აჯანყებას. აჯანყების საბაბად გამოიყენა გენერალ პულლოს მითითებით და ბოქაულების მოთხოვნით ხალხის განიარაღება, აგრეთვე მთავრობის ორგანოების ადმინისტრაციული და საგადასახადო, არსებითად უკანონო, მკაცრი ღონისძიებანი.

რუსეთის მოწინავე ადამიანები, ცარიზმის კავკასიელი მოხელეებისაგან განსხვავებით, სავსებით საწინააღმდეგო მოსაზრებისა იყვნენ კავკასიაში რუსეთის გავლენის გავრცელების გზებსა და მეთოდებზე. ისინი მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ ცარიზმის სისხლიან ძალმომრეობით უხეშ მეთოდებს, რასაც კავკასიის ხალხების დასამორჩილებლად იყენებდნენ, და თვლიდნენ, რომ მშვიდობიანი გზით, სავაჭრო, სამეურნეო თანამშრომლობითა და მჭიდრო კულტურული ურთიერთობის დამყარებით კავკასიაში ადვილად და თანდათანობით დამკვიდრდებოდა რუსეთის გავლენა და რუსი ხალხის კავკასიის ხალხებთან დამეგობრება. ამ მხრივ ადმირალ მორდვინოვს ეკუთვნის პირველი მეტად საყურადღებო ცდა და პროექტი[1], რომელიც არსებითად ერმოლოვის უსასტიკესი რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ერმოლოვს მიაჩნდა, რომ, კერძოდ, კავკასიის მთიელთა დამორჩილება შეიძლებოდა მხოლოდ ძალითა და იარაღით, მათთან ურთიერთობის სხვაგვარ მეთოდს იგი არ ცნობდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის, რომ ერმოლოვმა სამწუხაროდ ვერაფერი ვერ შეითვისა მორდვინოვის ამ პროექტიდან და იგი არც შემდეგში ყოფილა გათვალისწინებული.

---

[1] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 2, საქმე 392.

გენიალური რუსი მწერლები—პუშკინი, ლერმონტოვი და გრიბოედოვი, კავკასიაში რუსეთის გავლენას სთვლიდნენ რა პროგრესულ მოვლენად, მხარს არ უჭერდნენ ცარიზმის უხეშ ჩაგვრასა და ძალმომრეობას. მაგალითად, გრიბოედოვი თავისი პროექტით ცდილობდა კავკასიაში რუსეთის გავლენის სამეურნეო-ეკონომიური მშვიდობიანი გზით განმტკიცებას[1].

ცარიზმის მოხელეების უხეშობა, ჩაგვრა და ძალმომრეობა ადგილობრივი მოსახლეობისადმი ხშირად ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა; მაგალითად, გენერალ პულლოს არაფრით ჩამორჩებოდა ატამანი ვლასოვი, რომელიც სასტიკი ღონისძიებით ავიწროებდა და ჩაგრავდა ჩერქეზებს, აბაზგებსა და ნატუხაელებს, რითაც მათში უკმაყოფილებას აღვივებდა.

ცნობილია, რომ განის რუსიფიკატორულმა, უხამსმა და უდღეურმა ადმინისტრაციულმა და ეკონომიურმა რეფორმებმა 1840-იან წლებში საერთოდ გაართულა მეფის რუსეთის უამისოდაც მძიმე მდგომარეობა ამიერკავკასიასა და, კერძოდ, მთიანეთში. გაძლიერდა გლეხთა აჯანყებები საქართველოში და სხვ.; რუსეთის ცნობილი გენერალი დანიელბეგი ელისუელი განის რეფორმებისა და ახალი მძიმე საგადასახადო წესთა შემოღების პერიოდში შამილს მიემხრო და გადაუდგა რუსეთს. საჩეჩნოს მღელვარებაც და მათი გადასვლა შამილის მხარეზე, არსებითად, ამავე პერიოდს ემთხვევა.

მეფის რუსეთის მოხელეების—ბოქაულების, კაპიტან-ისპრავნიკებისა და სამხედრო ნაწილების უხეშმა კოლონიურმა ჩაგვრამ და მძიმე აუტანელმა საგადასახადო სისტემამ მთიელ (საჩეჩნოს) გლეხკაცობაში მღელვარება გამოიწვია. აქთავშეფარებული შამილი და მისი თანამზრახველნი ფართოდ აჩაღებენ შომწამვლელ პროპაგანდას აღელვებული ხალხის გადაბირებისა და შიმხრობისათვის ისე, რომ 1840

[1] ასევე ლერმონტოვი თავის ლექს „Валерик"-ში 1840 წელს იგი წერდა:

«А там вдали грядой нестройной,
Но вечно гордой и спокойной,
Тянулись горы—и Казбек
Сверкал главой остроконечной.
И с грустью тайной и сердечной
Я думал: жалкий человек.
Чего он хочет!..небо ясно,
под небом места много всем,
Но беспрестанно и напрасно
Один враждует он—зачем?»

იგივე აზრია გატარებული დიდი პუშკინის ცნობილ ლექსში „კავკაზი".

წლის გაზაფხულისათვის საჩეჩნოს დიდი ნაწილი უკვე აჯანყებული იყო და შამილის რაზმებში 4000-ზე მეტი კარგად შეიარაღებული მამაცი ადგილობრივი მებრძოლი ითვლებოდა, რომელთა რიცხვი დღითიდღე მრავლდებოდა.

თუ როგორ პირობებსა და ვითარებაში მოახერხა ასე სწრაფად შამილმა საჩეჩნოში გაძლიერება, ამას ნათლად მეტყველებს ერთი მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც დაცულია მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში. იგი შედგენილია 1840 წლის 1 აპრილს ყიზლარის ჟანდარმთა შტაბის ოფიცრის მაიორ პრიანიშნიკოვის მიერ შეფ-ჟანდარმის გენერალ-ადიუტანტის გრაფ ბენკენდორფის სახელზე და რამდენადმე ასახავს საჩეჩნოს აჯანყების ნამდვილ მიზეზებს. ჟანდარმერიაც კი იძულებულია აღიაროს, რომ საჩეჩნოს აჯანყებისა და შამილის გაძლიერების მიზეზი იყო კავკასიის ჯარების მარცხენა ფლანგის უფროსის გენერალ-მაიორ პულლოს სისასტიკე და უხეშობა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მან, მკვიდრი მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფის დროს, მიმართა არა მარტო მიუტევებელ იძულებას, არამედ უკანონო ძალდატანებასაც ისე, რომ გადასახადის ანგარიშში პულლოს მითითებით საჩეჩნოს მრავალი ოჯახი განადგურდა და გაიძარცვა. გენერალმა პულლომ ყური არ ათხოვა ხალხის აღშფოთებას და იქ, სადაც გლეხობას არ ჰყოფნიდა მოძრავი ქონება გაზრდილი გადასახადის დასაფარავად, იძულებით ჩეჩენთა პირადი იარაღიც კი მიჰქონდათ, რაჩაც დამამცირებლად იმოქმედა მთის ამაყ ხალხზე და აღაშფოთა საჩეჩნო[1]. ეს წელი მოუსავლიანი იყო, ამიტომ ხალხი უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა და შიმშილობდა. შამილმა ყველაფერი ეს მოხერხებულად გამოიყენა. მან აჯანყებული ხალხი დაარწმუნა, რომ თურქეთიდან თითქოს ჯარებისა და იარაღის გარდა სულთანის განკარგულებით დიდძალ პურსაც მოელოდა და სხვ.

* * *

ცარიზმის ადგილობრივ ხელისუფალთა მთის ხალხებისადმი შემავიწროებელმა უხეშმა მოპყრობამ მთიელები აალელვა. ეს ოსტატურად გამოიყენა შამილმა. მან შესძლო ხალხის მოტყუებით გადაბირება და ინგლისისა და თურქეთის დახმარებით ახალი დიდი

[1] მოსკოვის ცენტრალური საისტორიო არქივის მე-3 განყოფილება, მე-4 ექსპ., № 144, ფურც. 1—3.

ძალა შეკრიბა. 1840-იანი წლებიდან მან განაახლა ბრძოლა რუსე-თის წინააღმდეგ.

1840 წლის გაზაფხულზე შამილის წარმატებები ჩეჩნეთში მე-ტად თვალსაჩინო იყო. შეფ-ჟანდარმის გრაფ ბენკენდორფისადმი გაგზავნილი მოხსენება ყიზლარიდან 1840 წლის 1 აპრილის თარი-ღით «О Восстании против законной власти некоторых мирных аулов в Чечне, под начальством Шамиля» მრავალმხრივ საყუ-რადღებო საბუთია.

ამ მოხსენებით არწმუნებენ ბენკენდორფს, რომ ამ არასასია-მოვნო ამბების მიზეზი, გარდა უცხოეთის დაზვერვის მტრული მოქმედებისა, იყო უმთავრესად გენერალ პულლოს უტაქტობა და ყოვლად მოუფიქრებელი საგადასახადო ღონისძიება და, კერძოდ, ბრძანება ჩეჩნების განიარაღების შესახებ[1]. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ აჯანყებულ ჩეჩნეთში შამილის მხარეზე ერთბაშად აღმოჩნდა კარგად შეიარაღებული დიდი რაოდენობის მხედრობა. ამიერიდან შამილმა თავის სარეზიდენციო ცენტრად აირჩია აული დარგო (ჩეჩნეთი) და მისი მომიჯნე იჩქერის უდაბური ტყიანი ადგილები, საიდანაც აგრძელებდა ბრძოლებსა და თავდასხმებს მეზობელ ხალ-ხებზე. მაგალითად, 1840 წ. 9 სექტემბერს იგი თავს დაესხა ქ. მოზდოკს, სადაც გაძარცვა მოსახლეობა და დიდძალი ტყვეები წაი-ყვანა[2].

1842 წლის 25 მაისს შამილი 15.000 რჩეული მხედრით თავს დაესხა ყაზი-ყუმუხის სახანოს და ალყაში მოაქცია გენერალ არღუთა-შვილის სამხედრო ნაწილები, რომლებშიც შედიოდა რეგულარული ჯარის სამი ბატალიონი და 1160-მდე, უმეტესად ქართველი, მი-ლიციელი და ოფიცერი. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. აულ ქიულინთან შამილის ჭარბი ძალები სასტიკად დაამარცხეს და განდევნეს ყაზი-ყუმუხის სახანოდან[3]. ამავე 1842 წ. მაისში აულ რიჰის მიდამო-ებში მომხდარ ბრძოლაში ქართველი ოფიცრების ზაქარია ორბე-ლიანის, მაღალაშვილის, ყორღანაშვილისა და სხვათა მეთაურობით განადგურებულ იქნა შამილის ძლიერი რაზმები.

---

[1] მთავარი საარქივო სამმართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი მოსკოვში, III განყოფილება, IV ექსპედ., № 144, ფ. 1—3.

[2] ტყვეებს შორის იყო მაშინ მოზდოკში მცხოვრები ბევრი ქართველი და სომეხი. მოზდოკიდან წაყვანილი ერთი ტყვე სომეხი ქალი ანა, რომელსაც შა-მილმა სახელად შუანეტი უწოდა, შამილის ცოლი გახდა.

[3] С. Эсадзе, Штурм Гуниба и пленение Шамиля, ტფილისი, 1909, გვ. 124—125.

მაგრამ ეს გამარჯვებანი დაჩრდილა იმავდროულად წარმოებულმა სისხლიანი ბრძოლების შედეგებმა. 1842 წლის მაისს შამილის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში გენერალ-ადიუტანტმა გრაბემ დარგოსა და იჩკერის მიდამოებში დიდი მარცხი განიცადა, დაიღუპა 1700-მდე ჯარისკაცი და 60-ზე მეტი ოფიცერი.

ამ გამარჯვებით გათამამებულმა და გაძლიერებულმა შამილმა 1843 წელს მოახერხა ჩეჩნეთსა და დაღესტანში მთლიანად გაბატონება, თითქმის ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაგრისა და პუნქტის, რომლებიც რუსეთს ამ მხარეში ეჭირა, ხელში ჩაგდება. ამ ბრძოლებში დაიღუპა ბევრი რუსი და ქართველი ჯარისკაცი და მილიციელი.

შამილმა შეტევები განაგრძო 1843 წლის აგვისტოში 10.000 კაცისაგან შემდგარი ჯარით. მან სასტიკი ბრძოლით დაიპყრო უნცქელი და აქედან დიდი სისწრაფით დაიძრა ავარიისაკენ, სადაც აიღო მრავალი ადგილი და ქუნძაქის სიმაგრეში მყოფი რუსის მხედრობა ალყაში მოაქცია. ჯარმა ძლივს დააღწია თავი ალყას. ავარიის დაპყრობას მოჰყვა დაღესტანსა და ჩეჩნეთში შამილის ფაქტიური გაბატონება.

შამილის რაზმების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა, რადგან შამილის ურდოების სისტემატური თავდასხმები საქართველოს საზღვრებზე სულ უფრო მზარდ საშიშროებას უქმნიდა მშვიდობიან მოსახლეობას. მტერი ხელსაყრელ მომენტს არჩევდა და თავს ესხმოდა საქართველოს ისეთ სოფლებსა და დაბა ადგილებს, სადაც რუსეთის მხედრობა და მილიცია არ იდგა და საგანგებო დაცვა არ ეგულებოდა[1]. ასეთ ვითარებაში ან თვით მკვიდრ მოსახლეობას უნდა დაეცვა საკუთარი სახლ-კარი მძარცველთაგან, ანდა მთელი ოჯახის შემადგენლობით და ქონებით მტრის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, როცა საქართველოს სოფლებზე შამილისა და მისი ნაიბების ყაჩაღურ თავდასხმებს ერთსულოვანი ორგანიზებულობით უპირისპირდებოდა თვით ამა თუ იმ სოფლისა ან დაბის მშვი-

---

[1] მეფის მთავრობას შამილთან ბრძოლის ხანგრძლივ პერიოდში არა ერთხელ განუცხადებია ოფიციალურად, რომ „მიზანშეწონილია თვით ქართველებს მიეცეთ შესაძლებლობა დაიცვან თავი ლეკებისაგანო“. მართლაც, „ლეკეთის საკორდონო ხაზის“ დაცვა საქართველოს საზღვრებიდან დებულებით და ოფიციალური კანონმდებლობით ქართული სამილიციო რაზმების მოვალეობას შეადგენდა. მაგრამ „ლეკის ხაზს“ გარეთ რჩებოდა რიგი ისეთი ქართული სოფლები, რომლებიც დაცული არ იყო და მთიელებს ესაზღვრებოდა.

დობიანი მოსახლეობა. მშრომელი ხალხი ყველა საშუალებით იბრძოდა და იგერიებდა ამ მტარვალთა ულმობელ თავდასხმას.

## 2. ეპიზოდური ფურცლები საქართველოს გლეხობის გმირული ბრძოლის ისტორიიდან

ჩვენ აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის თუშ-ფშავ-ხევსურეთის გლეხკაცობის ბრძოლის რამდენიმე დამახასიათებელ ეპიზოდზე. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მიურიდთა მძარცველური ჯგუფები საქართველოს ამ კუთხეებზე სისტემატურ თავდასხმებს იწყებენ ჯერ კიდევ რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. მაგალითად, თელავის მაზრის უფროსი თავ. ჩოლოყაშვილი 1827 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ხოვენს მოახსენებდა, რომ 800 კაცისაგან შემდგარი რაზმი თავს დაესხა თუშეთის სოფელ დიკლოს, სადაც მრავალი მკვიდრი დახოცეს, დაჭრეს და ზოგიც ტყვედ წაასხეს დიდ ნადავლთან ერთად[1].

რუსეთის ადგილობრივ კავკასიელ მოხელეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ დაღესტნის ფეოდალურ მიურიდულ ელემენტებს თურქეთის ხელისუფალნი და მათი აგენტები აქეზებდნენ. მაგალითად, ჭილაშვილი მოახსენებდა კავკასიის ჯარების კორპუსის შტაბს, რომ „получена дагестанцами бумага от Порты, в коей она убеждает их поднять оружие против нас"[2].

ინგლის-თურქეთის აგენტების წაქეზებითა და ხელისშეწყობით დაღესტნელი მძარცველი მიურიდები სისტემატურად თავს ესხმიან საქართველოს მთიანი რაიონების მთელ რიგ სოფლებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შამილის რაზმების ესოდენ გააფთრებულ თავდასხმებს თუშ-ფშავ-ხევსურეთის გლეხკაცობა საკუთარი ძალებით იგერიებდა მეფის რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ქართული სამილიციო რაზმების დაუხმარებლად. მეფის მოხელეებისათვის სულ მალე კარგად გახდა ცნობილი ის საოცარი ვაჟკაცობა და გმირობა, რომელსაც არსებითად გაუმაგრებელი და შეუიარაღებელი საქართველოს მთის სოფლები შა-

---

[1] Шамиль—ставленник Турции и агент английских колонизаторов (Сборник документальных материалов). შ. ცაგარეიშვილის რედაქციით, საქ. სსრ შსს გამოც., თბ., 1953, გვ. 3. ჩვენ ამ წყაროს ყველგან შემოკლებით ვუწოდებთ: Сборник документальных материалов.

[2] იქვე, გვ. 4.

შილის ძალებთან ბრძოლაში იჩენდნენ. ამას ადასტურებს 1843 წლის ივლისში შედგენილი ერთი საყურადღებო ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „...Хевсуры и пшавцы при воинственном их духе и храбрости всегда сами защищали себя от нападений неприятеля, и я уверен, что они и в настоящее время вполне будут защищать свои границы...Примером их мужества может служить поступок шатильцев против неприятеля с сильным сборищем, которые состоят только из 43-х дымов"[1].

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ თუშ-ფშავ-ხევსურები, რომელთაც, როგორც წესი, ამ ვალდებულების გარდა ეხებოდათ მილიციაში გაწვევა, უაღრესად აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა სამილიციო რაზმების თითქმის ყველა ბრძოლაში.

მოვიტანოთ ზოგი დამახასიათებელი დოკუმენტი, რომელიც ნათელჰყოფს თუშ-ფშავ-ხევსურთა გმირობასა და მამაცობას მძარცველთა სისტემატური თავდასხმების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში.

ამის შესახებ დაცულია უამრავი დოკუმენტი, ჩვენ აქ რამდენიმეს მოვიყვანთ. ერთ საბუთში, რომელიც 1833 წ. 1 აგვისტოსაა შედგენილი, ვკითხულობთ: „19-го июля часть скопища хищников в числе более 100 человек была встречена в горах 40 человеками тушинцев, которые, несмотря на превосходство в числе, бросились на лезгин и обратили их в бегство"[2].

1833 წლის ივნისში კახეთს შემოესია ჰამზად-ბეკის ურდოები, რომელიც ვაჟკაცურად მოიგერიეს. ამ ბრძოლაში მრავალმა ქართველმა მეომარმა და მეთაურმა გამოიჩინა თავი და მთავრობის საპატიო ჯილდოები დაიმსახურა[3].

1836 წლიდან შამილმა გააძლიერა სისტემატური თავდასხმები თუშეთზე, რომლის გასაღებს სტრატეგიული თვალსაზრისით სოფ. დიკლო და შანაქო წარმოადგენდა. შამილის თავდასხმებიც ამ სოფელთა აოხრებით იწყება.

1836 წლის ნოემბერში შამილი თავს დაესხა სოფ. დიკლოსა და შანაქოს, რომელთაც ალყა შემოარტყა. გარემოცვაში მოქცეული გლეხები 29 დღის განმავლობაში ვაჟკაცურად იგერიებდნენ შამილის რაზმებს, რომლის 400 მეომარი სიცოცხლეს გამოასალმეს; „რაოდენიცა შეიძლებოდა ვხოცეთ ლეკნი ციხეებიდან და სახლებით-

[1] Сборник документальных материалов, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 39.

[3] იქვე, გვ. 42—46.

ვან“—ვკითხულობთ ბარონ როზენისადმი გაგზავნილ თუშეთის გლეხთა საჩივარში თუშეთის მოურავ ჩოლოყაშვილზე, რომელსაც ბრალად სდებდნენ ღალატსა და ამ სოფლების განადგურებაში მონაწილეობას.

როცა შეუძლებელი გამხდარა სოფლის დაცვა, არც ერთი თუში ტყვედ არ დანებებია მტერს. „რაც თოფის ამღებნი თუშნი იყვნენ, მანამ ერთიან არ დაიხოცნენ, თავიანთი ცოლშვილი არ დაანებეს[1]. როდესაც გაგვტეხეს, მამაკაცი გასწყვიტეს, დედაკაცნი და ყმაწვილები ტყვეთ წაასხეს ორასი სული, ცხვარი და ცოცხალი. რაოდენი ქონება წაიღეს — ამის მოხსენება შეუძლებელი არისო“, წერდნენ გლეხები[2].

აქ ზედმეტი არ იქნება შევჩერდეთ მოურავ ჩოლოყაშვილზე, რომელსაც გლეხები უჩივიან. გლეხების საჩივრიდან ჩანს, რომ მეფის ეს კარიერისტი მოხელე, ნაცვლად იმისა, რომ სათავეში ჩადგომოდა გლეხობას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოწინააღმდეგეს ეხმარებოდა და ვერაგული ღალატით ხელს უწყობდა სოფლის აოხრებას.

მაგალითად, როცა ალყაშემორტყმულმა თუშებმა მას კაცები მიუგზავნეს და სთხოვეს დახმარების აღმოჩენა, ჩოლოყაშვილმა წარგზავნილნი „დაიჭირა და მრავალი სცემაო“—წერდნენ გლეხები. გლეხებს 200 შეიარაღებული კაცისაგან შეუქმნია რაზმი, რომელიც მიდიოდა მეზობლების დასახმარებლად, მაგრამ ჩოლოყაშვილს ეს რაზმიც დაუშლია და უკანვე გაუბრუნებია. ადგილობრივ ხელისუფლებას რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი რაზმი გაუგზავნია განსაცდელში ჩავარდნილი სოფლების გამოსახსნელად. მოურავ ჩოლოყაშვილს დიკლოსა და შანაქოდან 10 ვერსის დაშორებით დაუბანაკებია ეს რაზმი და 12 დღის განმავლობაში მოქმედების უფლება არ მიუცია, სანამ ურდოები ამ სოფლების განადგურებას არ დაამთავრებდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ გარეწარ ჩოლოყაშვილს თავხედობა ჰყოფნია და სიცრუით აღსავსე პატაკიც კი გაუგზავნია როზენისა-

---

[1] არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს მტერს დიკლოს აოხრების შემდეგ, შენაქოს ასაოხრებლად წასულს, მარცხი განუცდია და სირცხვილეული უკან გაბრუნებულა (И. Цекаров, Дикло и Шенако, газ. «Кавказ», 1846, № 27), მაგრამ უტყუარი საარქივო დოკუმენტები აბათილებს ამ მოსაზრებას. ირკვევა, რომ მტერმა დიკლოსთან ერთად შენაქოც გაანადგურა.

[2] Сборник документальных материалов, გვ. 95—99. (სრული ტექსტი ამ საბუთისა იხილეთ აქვე, დანართში).

თვის, რომლითაც მტერზე გამარჯვებას მოახსენებდა და თურმე წყალობასა და ჯილდოსაც კი გამოელოდა[1].

თუშები თავიანთ მიმართვაში იუწყებოდნენ, რომ „თავის დღეში თუშეთი ასე არ წახდენილა უპატრონობით", „არც მეფეთა დროთა და არცა რუსეთის მთავრობაში არ წავმხდარვართ; დიდოცა, ლეკიცა და ქისტიც მრავალჯერ ყოფილან გაძდგარი, რომ ჩვენთვის არავის დაუკლიათ რა"[2]. ეს დოკუმენტი იმას მოწმობს, რომ თავისუფლებისმოყვარე თუშეთის მშრომელი გლეხკაცობის ხსოვნაში კვლავ ცოცხლობდა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლის გმირული ტრადიციები.

ქართულ ისტორიულ წყაროებს მართლაც კარგად შემოუნახავს არა ერთი და ორი ფურცელი იმის ნათელსაყოფად, რომ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ თუშ-ფშავ-ხევსურეთი, არა მარტო გმირულად იგერიებდა კარზე მომდგარ მტერს, არამედ მათ არა ერთხელ უხსნიათ ირანელ და თურქ დამპყრობთა თავდასხმით განსაცდელში ჩავარდნილი საქართველოს ბარის რაიონები.

შამილის ურდოები თუშებს გარდა სისტემატურად ესხმოდნენ თავს ხევსურებსა და ფშავლებს. მაგალითად, 1838 წლის 24 მარტს შედგენილ დოკუმენტში ამის შესახებ ვკითხულობთ: „В Хевсуретии почти каждый день бывает тревога"[3].

შამილი მოხერხებულად იყენებდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის წინააღმდეგ მოსაზღვრე ლეკ და ქისტ ფეოდალებს და მოსვენებას არ აძლევდა მოსახლეობას. 1841 წ. ივნისში შამილის ურდოთავს დაესხა სოფ. მუწოს. დაჰრეს 3 კაცი, გაიტაცეს 300 სული მსხვილფეხა და 400 სული წვრილფეხა პირუტყვი. შამილს სურდა მოსაზღვრე ქართული სოფლები დაემორჩილებია და თუშ-ფშავ-ხევსურეთი მის ქვეშევრდომობაში მოექცია. ამ ზრახვებს შამილს ისიც ულვივებდა, რომ ეს მხარე საკორდონო ხაზს იქეთ იყო და მათ დაცვაზე მთავრობა ნაკლებ ზრუნავდა; მათი დაცვა ისტორიულადაც თითქმის მთლიანად ადგილობრივ გლეხობას ეკისრებოდა[4].

შამილს რომ საქართველოს მთის რაიონების მიტაცება სურდა, ამას ადასტურებს 1841 წელს შედგენილი ერთი ოფიციალური დოკუ-

---

[1] Сборник документальных материалов, გვ. 95—96.

[2] იქვე, გვ. 96—99.

[3] იქვე, გვ. 141.

[4] იქვე, გვ. 199; М. Бросс е, Переписка грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 г. СПБ., 1861, გვ. 74—75, 229.

მენტი, რომელშიაც ვკითხულობთ: „...подтверждают единогласно, что в Кистинии собираются три отряда горцев, предполагающие напасть на деревни хевсурские и тушинские и Шамиль выслал несколько своих сообщников для предводительства, имеет намерение, устрашив тушин и хевсурцев, заставить их по примеру кистинцев, отложиться от нашего правительства“[1].

შამილის მიურიდების თავდასხმებმა და დიპლომატიამ მალე გამოიღო შედეგი. მათ შეძლეს მოეტყუებინათ და დაეშინებინათ ქისტები, რომლებიც შამილის ნაიბების ბრმა იარაღი გახდნენ. ისინი მუდამ თან ახლდნენ და ხშირად წინ უძღოდნენ შამილის რაზმებს საქართველოს სოფლების ამაოხრებელი შემოსევისას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მათი მოსაზღვრე თუშ-ფშავ-ხევსურეთისათვის. მათზე შამილის ურდოთა სისტემატური შემოსევების მიზანი, როგორც დავრწმუნდით, ამ მხარის საქართველოდან ჩამოკვეთა და შამილის მხარეზე გადაბირება იყო. 1842 წ. შამილს თუშებისაგან მორჩილება და გადასახადი მოუთხოვია, რასაც ადასტურებს 1842 წ. მაისში შედგენილი საბუთი, რომელშიც ვკითხულობთ: „Известный возмутитель Дагестана Шамиль прислал в Тушетию двух своих старшин для сбора податей, угрожал за недачу таковых нападением и разрушением всей Тушетии“[2].

მიურიდთა რაზმები გასაოცარი მონდომებით, მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ დაღესტნის საზღვრისპირა საქართველოს მთიანი რაიონების დამორჩილებას და ნაკლებად დაცულ თავისუფლებისმოყვარე თუშ-ფშავ-ხევსურთა დამონებას[3].

ამას მრავალთაგან ადასტურებს ერთი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „Бывший сподвижник Шамиля, Ахверды Магома с сею целью стремился разорить деревни на границах вверенной нам Хевсуретии, потом рассылаемые Шамилем мюриды проникли в деревни Тарагю, Митхо, Шатиль, Муцо, Эрдоти, Сахаина“[4]...

1843 წლის ივნისში პოდპოლკოვნიკი ავალოვი თავის პატაკში იუწყებოდა, რომ ახვერდი-მაჰომა დიდი რაზმით შეიჭრა ხევსურეთში, იწყო სოფლების რბევა და ძარცვა, მაგრამ მან საპასუხოდ სოფ. შატილელებისაგან სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. საბუთში ვკით-

---

[1] Сборник документальных материалов, გვ. 200—201.

[2] იქვე, გვ. 214.

[3] იქვე, გვ. 235.

[4] იქვე, გვ. 285—288.

ხულობთ: „...в Тушино-Пшаво-Хевсурском округе на границе Кистин, и после продолжавшегося сражения с тамошними жителями Ахверды-Магомет со скопищем 12 числа утром отступил от упомянутой деревни и тяжело ранен в спину выше лопатки пулей...при этом со стороны неприятеля убито на месте 45 человек, а у шатильцев урон с пленными 17 человек"[1].

შამილის უპირველესი და უმამაცესი ნაიბი ახვერდი-მაჰომა ამ ჭრილობით გარდაიცვალა. იგი სიკვდილამდე ატარებდა შამილის ყველაზე უფრო საპატიო ორდენს წარწერით:

„Нет такого-то храбрее,
Нет сабли его острее"[2].

ადგილობრივმა გლეხებმა სიცოცხლეს გამოასალმეს თავიანთი მოსისხლე მტერი ახვერდი-მაჰომა, რომელსაც უშუალოდ ჰქონდა დაკისრებული თუშ-ფშავ-ხევსურთა გატეხვა და დამონება.

მეფის ხელისუფლებამ შატილელების ეს გმირობა საგანგებო ჯილდოთი აღუნიშნავს. მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა ამ გამარჯვების აღსანიშნავად სოფ. შატილს აუშენა ეკლესია, რომლის კედელში მოუთავსებიათ ქვა ასეთი წარწერით:

„По высочайшему повелению в награду шатильцам за поражение Ахверди-Махмада и скопищ его в 1843 году. Выстроено по приказанию князя наместника Кавказского в 1849 году".

„უმაღლესისა ბრძანებისამებრ ჯილდოთ შატილელთა, დამარცხებისათვის ახვერდი-მახმადისა და მისთა შეყრილთა ჯართასა ჩყმგ წელსა შინა აღმშენებელ არს განკარგულებითა კნიაზისა ნამესტნიკისათა ჩყმთ წელსა"[3].

ქართლ-კახეთის სამეფოზე ლეკი ფეოდალების შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლებში თუშ-ფშავ-ხევსურეთს ყოველთვის საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც მოსაზღვრე პროვინციას. მეფე ერეკლემ 1774 წელს დამტკიცებული მორიგე ლაშქრის სავალდებულო სამსა-

---

[1] Сборник документальных материалов, გვ. 228.

[2] იქვე, გვ. 218.

[3] Р. Радде, Хевсурия и хевсуры, Записки Кавк. отдела русского географического общества, кн. XI, вып. 2, გვ. 224. წარწერიანი ქვა დღესაც დაცულია სოფ. შატილში და დატანებული ყოფილა კერძო პირის სახლის კედელში. ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 52.

ხურისაგან გაათავისუფლა თუშ-ხევსურები, რადგან ისინი დაღესტნის საზღვარს სდარაჯობდნენ მუდამ შეიარაღებულ საიმედო და თავდადებულ რაზმებით[1].

რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და მთაში მიურიდული მოძრაობის დაწყების შემდეგ, საქართველოს მთის მოსახლეობა მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; მათ ლეკ-ფეოდალებთან ერთად თავს ესხმოდნენ მეზობელი ქისტები, რომლებიც გადაბირებული ჰყავდათ ლეკ ფეოდალებს. თუშურ ფოლკლორში ხალხს შემოუნახავს ქისტების ბელადის მურთაზის შემოსევა, თუშთა სოფლებისა და ციხის გარემოცვა[2].

თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას უაღრესად საღი პოზიციები აურჩევია ბოლოლატე ალ. ბატონიშვილთან დამოკიდებულების საქმეში, არ უწამებია მისი გამარჯვება და არ დაუჯერებია მისი მატყუარა წერილებისათვის.

შამილის ბანდების წინააღმდეგ ქართველი ხალხის, კერძოდ თუში გლეხობის, გმირული ბრძოლები ღრმადაა აღბეჭდილი საგმირო ლექსებში, თქმულებებსა და მოგონებებში. ამ ბრძოლებს რიტუალური სახეც კი მიუღია და იგი ნათლად ვლინდება თუშეთში დაცული ხატობის (9 აგვისტოს) დღესასწაულთან დაკავშირებულ ინსცენირებაში—შეთესა და შამილის შებრძოლებაში[3].

ეთნოგრაფ ს. მაკალათიას ცნობით „დამწყალობლების შემდეგ ჭონთიის სერზე სუფრები გაიშალა, გაიმართა სმა და ლხინი. აჭიდავეს შამილი და შეთე. შამილი გადაცმული იყო ქისტურად, შეთეს თუშურად ეცვა. ორივე შეიარაღებული იყო ხის ხმლებით. შეთეს გულზე ეკიდა ჩვრის მენდლები და მხრებზე ჩინები ეკერა. ორივე ხის ხმლებით იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება წრეულს შეთეს დარჩა...გამარჯვებული შეთე მხიარულობდა და ხუმარის როლს ასრულებდა“[4]. თუშეთში დღემდე შემონახულ ამ უაღრესად საყურადღებო ფაქტს მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება შამილის მოძრაობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის მძაფრი ბრძოლების

---

[1] Р. Эристави, О Тушино-Хевсурском округе, Зап. Кавк. отд. ИРГ, Тифл., 1855; ასევე Мои заметки, «Кавказ», 1855, № 33 და ბუტკოვი, მასალები კავკასიის ისტორიისათვის, ტ. I, 1869, გვ. 288.

[2] ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, თბ., გვ. 33—34.

[3] შეთე გულუხაიძე იყო თუშთა ლეგენდარული გმირი, რომელმაც უკვდავჰყო თავისი სახელი შამილის ურდოებთან გმირულ ბრძოლებში. მასზე ხალხმა შესანიშნავი ლექსები და თქმულებანი შექმნა.

[4] „თუშეთი“, გვ. 206—207.

გარკვევისათვის. შეთესა და შამილის შებრძოლების ზემოთ მოყვანილი ინსცენირება თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით გვაგონებს ყეენობას, რომლითაც ქართულ ხალხურ ფოლკლორსა და სცენას გაშარჟებული ჰყავს ირანელი და თურქი დამპყრობლები ყეენის სახით, რომლის პროტოტიპადაც გვიან შამილი გვევლინებოდა.

თუშეთის გლეხობის გმირული ბრძოლა შამილის ურდოების წინააღმდეგ და მათ მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლზე, საარქივო დოკუმენტების გარდა, მოგვითხრობს დღემდე მოღწეული ხალხური ფოლკლორი და ეთნოგრაფიული მონაცემები.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ლექსთა სერია, რომელიც უთქვამს სოფ. დიკლოს მცხოვრებს, 71 წლის მოხუც თისო ბელადიშვილს და რომელიც მთლიანადაა ჩაწერილი 1931 წელს. მაგალითად, თუშეთის დასაპყრობად მისული შამილის რაზმი, ხათილ მუხამას მეთაურობით, თუშებს სასტიკად დაუმარცხებია, რის გამოც მეფის მთავრობას გლეხობა 3 წლით გადასახადისაგან გაუთავისუფლებია. ლექსში ამის შესახებ ვკითხულობთ:

„ლაას რომ დავეჯახენით მაღლა ხისოსა მთაზედა,
სამოცი ლეკი მოგიკალთ, ხმალნი გილეწეთ თავზედა,
ჩვენის თოფების ნაბექდით სისხლი აწვიმეთ გზაზედა,
ჩვენმა მთავრობამ შეიტყო, წიგნი დაწერა წამზედა,
ფოშტის ფული გვაპატია სამ წელიწადი კვამლზედა"[1].

დამახასიათებელია ისიც, რომ კავკასიის მთავარი ქედის მიღმა მცხოვრები თუშები, გარდა იმისა, რომ ასე მხნედ იცავდნენ თავიანთ სოფლებს, როგორც წესი, მუდამ ხალისით აძლევდნენ მთავრობას მილიციელთა რაზმებს და ყოველთვის იხდიდნენ ყველა სახის სახელმწიფო გადასახადს.

დიკლოსა და შენაქოზე თავდამსხმელი შამილის 10.000 კაცისაგან შემდგარი რაზმის უფროსად ლექსი დიდოელ ალდამს ასახელებს, აქვე მითითებულია ისიც, რომ ამ გამოლაშქრების წინ სამხედრო თათბირი ჰქონია შამილს:

— „ჰაჯი მურიმ ხუნზახელმა ყველა უთხრა იმამს პირსა:
მე იმათში ვერ გადავალ, არც ბილიკი ვიცი მთისა,
ალდამს ჰკითხეს დიდუელსა, იმან იცის იმათ მხრისა,
ის არის მათში ნავალი, რა წესი აქვთ თუშის შვილთა";
ალდამ უთხრა:
„მე ვყოფილვარ, დღენი იყვნენ ახალ წლისა

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, თბილისი, გვ. 37.

პური, ლუდი, არაყი მეტად მიმღებნი სტუმრისა"[1].

შამილს ამ ალდამისათვის დაუკისრებია თუშეთის დაპყრობა. ალდამი თავს დასხმია სოფ. დიკლოს. დიკლოელები შეუპოვრად შებმიან შამილის მრავალრიცხოვან რაზმს და გაჩაღებულა სასტიკი ბრძოლა.

— „ომობდა ოსორაული ვაჟი არ ზოგავს თავსაო,
ჯერ ხო თოფითაც ეომა, მემრ ხელი გაჰკრა ხმალსაო,
ხმალ-და-ხმალ გამოუვარდა, უწყალოდ სჭრიდა თავსაო".

თუშების გმირული ბრძოლა ალყაშემორტყმულ სოფ. დიკლოში დიდხანს გაგრძელდა. მოლექსე ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს:

„ზემო უბანში ომია, თოფების მოდის გრიალი,
ნოჯარვით მკვდარი აყარეს, ლეკები გულ შხამიანი
ერთმანეთ ეუბნებიან: „ვაჟკაცობის ეს დრო არი,
რაც სოფელში ჯარი გვიდგა დღეს მეთერთმეტე დღე არი,
თუ ოცამდე ვიცოცხლევით, მერე სიკვდილი რა არი".

როცა მტერი ვერაფერს გახდა კოშკებში გამაგრებულ მებრძოლ დიკლოელებთან, ეს კოშკები ცეცხლისათვის მიუციათ და ამ გზით მტერს ერთიანად ამოუწყვეტია გმირი დიკლოელები. გმირი დიკლოელების ეს ტრაღედია ლექსში ასეა გააზრებული:

— „დიკლოჩი ქალნი ატირდეს, მოსთქვამდეს ცრემლთა ფრქვევითა,
ავაჰმე ძმანო დაღლილნო დიდისა ხნისა ბრძოლითა,
დღე და ღამ დაუძინარო კოშკს სათოფრებთან ცქერითა,
პირშამურულნი წამლისგან თოფის უწყვეტი სროლითა,
პურ უჭმელებო, მშივრებო, წყურვილით პირგამომშრალნო".

არც მტერს დაჰყრია ხეირი და დიკლოსთან ბევრ მათგანს გაეთხარა საფლავი. დაღესტანს თურმე ასე მოთქვამდნენ ქალები:

„ბაგვაზში ქალი ატირდა, ამბავ რომ უთხრეს ქმრისა,
შენი ქმარი დიკლოს მოკლეს, თუშმა თავი მოაჭრისა.
. . . . . .
ნეტავ თუშნი რა ხალხია, რომ ამდენი დედა სტირსა,
ბევრი გულად ყმისა ცოლი დაღესტანსა ცრემლით სტირსა"[2].

---

[1] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 39—40.
[2] იქვე, გვ. 41—42.

ვახუშტი ბაგრატიონის თქმას, „თუშები არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი, მხედარნი წარმატებულნი"[1], კარგად ადასტურებს მოტანილი ეპიზოდები.

თუშ-ფშავ-ხევსურებმა საქართველოს სხვა კუთხის გლეხობისა და რუსი მეომრების მხარდამხარ, როგორც ვრწმუნდებით, მხნეობა და მხედრული გენია გამოამჟღავნეს უცხო დამპყრობლებსა და მის აგენტებთან ხანგრძლივ ბრძოლებში.

შამილის გავლენის წინააღმდეგ საქართველოს მთიელი მოსახლეობის ესოდენ თავგანწირული ბრძოლის პირობებშიაც კი მტერს მაინც მოუხერხებია და იმავე 1843 წელს ჩრდილო ხევსურეთის ორ სოფელში, სახელდობრ მუწოსა და არდონში, დროებით თავისი გავლენა გაუვრცელებია და ხალხი მძიმედ დაუბეგრავს. ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა პატაკი, რომელიც 1843 წ. 2 დეკემბერს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორისადმი წარუდგენია თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსს[2].

### 3. ქართული საზოგადოებრივი აზრი შამილის მოძრაობის შესახებ

1840-იანი წლებიდან შამილმა თითქმის მოახერხა მთიელთა გაერთიანება და საჩეჩნო-დაღესტანში ფაქტიური გაბატონება, ამიერიდან მან კიდევ უფრო გააძლიერა მოქმედება-შემოსევები. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ბრძოლამ შამილის წინააღმდეგ ფართო ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში, გარდა ქართველი გენერლებისა, ოფიცრებისა და რიგითი მებრძოლებისა, განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართველთა ქვეითმა ლაშქარმა, რომელიც შეადგინეს ჯერ კიდევ 1831 წელს იასე ანდრონიკაშვილის ინიციატივით და იმთავითვე კახეთის დასაცავად ე. წ. ლეკთა საკორდონო ხაზზე განალაგეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანი სწორედ ამ პერიოდიდან ებმება მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში, როცა იგი ავარიის მმართველად დაინიშნა. გრ. ორბელიანი განუწყვეტლივ 15 წელი ებრძოდა შამილის ურდოებს პირისპირ და დიდი როლი შეასრულა მიურიდიზმისა და შამილის განადგურების

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, გეოგრაფია, ტფილისი, 1904, გვ. 172.

[2] სსრ კავშირის შსს საარქივო მთავარი სამმართველოს სახელმწ. ისტორიული არქივი, მოსკოვი, IV ექსპედიცია, № 201. ფურც. 1. თუ რაოდენ დიდია საქართველოს მთიელთა, უმთავრესად თუშ-ფშავ-ხევსურთა, თავდადებული ბრძოლების მნიშვნელობა შამილის ურდოების წინააღმდეგ, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

საქმეში[1]. ქართველი ხალხის გმირული და მრავალრიცხოვანი ბრძოლის ისტორიიდან ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს.

მაგალითად, ქართველთა ქვეითი ლაშქრის ერთ-ერთ დანაყოფს სასტიკი ბრძოლა მოუხდა კახეთში, ლოფოთის ხეობაში შემოჭრილი შამილის მძარცველ ბრბოს წინააღმდეგ.

„ქართველთა ქვეითი ლაშქრის“ ისტორიკოსი ნ. ა. ვოლკონსკი გადმოგვცემს: ლეკების დიდი ჯგუფი დაეცა სოფ. გრემს, გაძარცვა იგი, რამდენიმე კაცი ტყვედ წაიყვანა და ისევ მთებისაკენ მოკურცხლა. სოფ. მატაანში იდგა ქართველთა ქვეითი ლაშქრის ასეული პოდპორუჩიკ სიმონ ჯანდიერის მეთაურობით. ქართველთა ლაშქარმა მტერს გზა გადაუჭრა და შეება, მაგრამ კლდესთან მიმწყვდეულნი 5-ჯერ მეტი მტრის ალყაში აღმოჩნდა. ბრძოლა 6 საათს გაგრძელდა. გმირები წყდებოდნენ, დაიღუპა 160 კაცი, ჯანდიერი მძიმედ დაჭრეს, მიუხედავად ამისა იგი გმირულად იბრძოდა და ხმამაღლა მოუწოდებდა თავის მებრძოლთ მტრის განადგურებისაკენ. მტერმა მოინდომა ჯანდიერის დატყვევება, მაგრამ ამაოდ, რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიყენებული ჯანდიერი ლომივით იბრძოდა და მტრის გვამები გროვად ეყარა მის წინ. ბოლოს, მტერმა ჯანდიერი თოფით განგმირა. ჯანდიერი შეცვალა ათისთავმა ვაჩნაძემ, რომელმაც ჯანდიერის მკვლელი იქვე ხანჯლით გაჩეხა, ისარგებლა ღამის სიბნელით და გადარჩენილი გმირი მებრძოლები, 60-კაცამდე, ბრძოლის ალყიდან გამოიყვანა[2]. ასეთივე სახელოვანი გმირი იყო აგრეთვე ზაალ ბარათაშვილი, რომელიც უფრო ადრე ამავე მძარცველთა ბრბოს უთანასწორო ბრძოლაში შეაკვდა.

გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი ორბელიანის ინიციატივით შედგენილმა ქართველ მილიციელთა რაზმებმა 1844 წ. 23 სექტემბერს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს შამილის მრავალრიცხოვან რჩეულ რაზმებზე სოფ. მაქრიანთან. ეს რაზმები შამილის

[1] გრიგოლ ორბელიანის მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლებზე, გარდა უამრავი ოფიციალური დოკუმენტისა, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მისი პირადი წერილები მეგობრებისა და ახლო ნათესავებისადმი. ეს წერილები ორ ტომად გამოსცა სახელგამმა 1936—1937 წწ. აკ. გაწერელიას რედაქტორობით. ამ წერილებს ჩვენ ქვემოთ გზა და გზა სათანადოდ ვიყენებთ.

[2] Н. А. Волконский, История грузинской пешей дружины, Тифлис, 1884, გვ. 146—148.

საგანგებო დავალებით იყვნენ გამოგზავნილნი კახეთის მოსაოხრებლად. ქართველმა მხედრობამ მტერი დაამარცხა და ამით „შური იძია წინანდელი დამარცხებისათვის“. შამილის რაზმებზე ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. დიდი მგოსანი ნ. ბარათაშვილის ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ—გლეხთა“ მიძღვნილია შამილის მოძალადე რაზმებზე ამ სამართლიანი შურისგებისადმი.

ნ. ბარათაშვილის ამ ლექსის დასრულებული სათაურია: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ—გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დ...ო...“.

„დ...ო...“ ინიციალებით ნ. ბარათაშვილი გულისხმობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალ გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანს, რომელიც ყოველთვის აქტიურად იბრძოდა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ[1]. ლექსში შესანიშნავადაა გადმოცემული ხალხის საყოველთაო აღტყინება შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში:

„ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა:
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა“.

მაშასადამე, ნ. ბარათაშვილს მიურიდიზმი და შამილის მოძრაობა კავკასიის „ბოროტ სულად“ მიაჩნდა.

შამილის მიურიდებისა და ნაიბების წინააღმდეგ თუშ მოხალისეთა გმირული ბრძოლებით აღფრთოვანებული ნ. ბარაათაშვილი წერს:

„ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოულალავნი,
ჰსდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი ცხვართა
მლალავნი!
თქვენი ჰირიმე, თუშებო, ბიჰობა თქვენი ქებულა,
მახვილი თქვენი მარადის დაღისტნელთ ქედზედ ლესულა!“

ბრძოლა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ ნ. ბარათაშვილს მიაჩნდა სამაგიეროს გადახდად იმ დანაშაულობათათვის, რასაც დაღესტნის ფეოდალები და შამილის რაზმები თავიანთი სისტემატური თავდასხმებით სჩადიოდნენ საქართველოში.

---

[1] А. Дюма, Кавказ, 1861, გვ. 445.

ნ. ბარათაშვილი აქვე იგონებს იმ დროსაც, როცა დაღესტნის ფეოდალები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ, საერთოდ, საქართველოს და, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის მამაპაპეულ სახლკარს სომხით-საბარათიანოს, და წერს:

„...Ჲე დაღისტნელნო, სომხითის კედელნი თქვენგან ნგრეულნი
მის ძეთა თქვენის თავებით ჰყონ ახლად აღმშენებულნი".

ქვემო ქართლი, საბარათიანო (სომხითი), ბარათაშვილების სამფლობელო, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე (ეკონომიურად და კულტურულად) დაწინაურებული კუთხე იყო. ამ კუთხის მკვიდრი იყო ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, მეცნიერი, პოეტი, ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ორბელიანებისა და ბარათაშვილების საგვარეულოდან. მე-18 საუკუნის მოღვაწეებიდან საკმაოა დავასახელოთ მარტო ორბელიანები: მეცნიერი საბა, ისტორიკოსი პაპუნა, სარდალი დავითი, პოეტი ვახტანგი და სხვა; თითქმის იგივე ითქმის ბარათაშვილებზე. საბარათიანოს მხარის ეს დიდი კულტურული ტრადიციები რამდენადმე მე-19 საუკუნეშიაც გრძელდებოდა. ამის გავლენა გარკვევით ემჩნევა ქართველ მგოსნებს ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანებს, ნ. ბარათაშვილს და სხვ. საბარათიანოს მკვიდრი გლეხური მოსახლეობა, ისე როგორც ორბელიანებისა და ბარათაშვილების ფეოდალური ოჯახებიც, მცირე გამონაკლისის გარდა, ამ დროს უკვე დაქცეული იყო. საბარათიანოს დაქცევა-გატიალება უმთავრესად დაღესტნის ფეოდალებისა და თურქი დამპყრობლების განუწყვეტელი ავაზაკური შემოსევების შედეგი იყო.

ეს სამწუხარო ისტორიული სინამდვილე აქვს მხედველობაში პოეტს, როცა ბრძოლის ამ ვითარებაში იგონებს მშობლიურ კერას,—სომხით-საბარათიანოს სასახლეთა კედლებს, დაღესტნის ფეოდალთაგან „ნგრეულს",—რომელიც დღეს მძარცველი მიურიდების თავებისაგან უნდა აშენდესო. ამრიგად, ბრძოლა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ საქართველოში რამდენადმე რევანშის ხასიათს ატარებდა.

ნ. ბარათაშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს შამილის წინააღმდეგ მიმართულ ამ სისხლისმღვრელ ომებს და თითოეულ წარმატებას ღრმად განიცდიდა.

შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველთა დასახელებული ქვეითი ლაშქრის გარდა, დიდი რაოდენობით მონაწილეობდა სამილიციო სახალხო რაზმები. ბრძოლებში მათი მამაცობის შესახებ ნ. ბარათაშვილი ჯერ კიდევ 1841 წ. 18 ოქტომბერს თავის ბი-

ძას გრიგოლ ორბელიანს ერთ-ერთ პირად ბარათში, სხვათა შორის, წერდა: „...დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ.—მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი. მილიციამ, როგორც იტყვიან, აასხელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში“[1].

1844 წლის 10 მაისს ნ. ბარათაშვილი ზ. ორბელიანს სწერდა: „ჩვენი ყმაწვილი კაცები ილია, ლევან, დავით, ბაკლანა...და ალექსანდრე ერისთავი სულ წასოვიდნენ შამილის დასაჭერად; ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა“[2].

შამილის წინააღმდეგ დარაზმულ ქართველ მილიციელთა როლი და რიცხობრივი რაოდენობა თუ რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს გრ. ორბელიანის წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი 1858 წ. 28 აპრილის თარიღით, სადაც ნათქვამია: „...22 სოტნა მილიცია გაიყვანეს მარტო კახეთიდან და ეხლავე დააყენეს ლინიაზე“[3]. ან კიდევ „დაღისტანი ახლა მოდაში შემოვიდა, სულ მანდეთკენ მოდიან ჩვენი ყმაწვილ-კაცნი“—წერს გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი.

1845 წ. ვორონცოვის თაოსნობით მოწყობილ ლაშქრობაში მასობრივად მონაწილეობდნენ ქართველთა მილიციის ნაწილები; მაგალითად, დარგოს აღებისათვის ბრძოლებში—„Грузинская милиция шла под начальством испытанного храбреца, кн. Меликова».

1845 г. 5 июля „Произошло сражение с горцами у горы Анчимеер, в которой отличились милиционеры-грузины“. „6 июля аул Дарго, столица Шамиля была уже взята“.

1849 г. „Кн. Аргутинский осаждал знаменитий аул Чох, но взять его не был в состоянии, зато на Лезгинской линии ген. Чилясв разгромил горцев у аула Хупро“[4].

შამილის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში ნ. ბარათაშვილის ბიძა, ილია ორბელიანი, ტყვედ ჩავარდა[5]. ამ სამწუხარო ფაქტის

---

[1] ნ. ბარათაშვილის წერილები (იხ. თხზულების დანართი), გვ. 81.

[2] ნ. ბარათაშვილის წერილები (იხ. თხზულების დანართი), გვ. 88.

[3] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 232 და 245.

[4] Покоренний Кавказ, Изд. А. А. Каспари, 1904, ს. პეტერბურგი, გვ. 477, 478, 491.

[5] გენერალ-მაიორი ილია ორბელიანი (1814—1853 წ.), გრ. ორბელიანის ძმა, გაბედული სარდალი იყო, იგი გმირულად იბრძოდა შამილისა და თურქების წინააღმდეგ. 1842 წ. შამილთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა, საიდანაც მალე გამოიხსნეს და 1844 წელს ისევ ენერგიულად იბრძვის ჩეჩნეთსა და დაღესტანში შა-

ჯამო ნ. ბარათაშვილმა თავის ბიძას გრ. ორბელიანს მიწერა წერილი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ შამილის ვერაგულ მოქმედებაზე, ილიკოს თანმხლებ 20 მეომრისათვის თავის მოკვეთისა და სხვა მხეცობის გამო, ილია ორბელიანს შამილისათვის უთქვამს— „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება. თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ჴელში ყოფნას“.

შამილს უპასუხნია— ...„თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო“. ამავე ბარათიდან რამდენადმე დასტურდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნ. ბარათაშვილს თითქოს ამ მძიმე განწყობილებით დაუწერია ლექსი „მერანი“, რომელსაც თითქო აბზობდა სევდამოცული ილია ტყვეობაში.

ნ. ბარათაშვილი ნათლად გვაუწყებს საკუთარ განცდებს, რომლის გავლენითაც მან თითქო დაწერა თავისი მარადუკვდავი მერანი: „...ილიას დაჭერა რომ შევიტყვე...ძალიან შევწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით...ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიას როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“. აქვე მოყვანილია ლექსი „მერანი“-ს ტექსტი მთლიანად და გენიალური პოეტი მოკრძალებით წერს ბიძას, პოეტ გრ. ორბელიანს: „არ ვიცი ეს ლექსი როგორ მოგეწონება“-ო[1]. ამრიგად, ყველაფრიდან ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილი შამილის წინააღმდეგ ბრძოლას, თითოეულ წარმატებას ამ ბრძოლებში, უსაზღვრო აღფრთოვანებით ეგებებოდა, ხოლო დამარცხებას—მეტისმეტად ღრმად განიცდიდა. ირკვევა, რომ თავისი გენიალური პოეტური შედევრი „მერანი“ მას დაუწერია და ილია ორბელიანისადმი მიუძღვნია იმ მძიმე სულიერი განწყობილების შესანელებლად, რო-

---

მილის წინააღმდეგ. ამავე დროს ბრძოლაში მასთანაა ქართული მილიციის ნაწილების მეთაური ლევან მელიქიშვილი. 1853 წელს ი. ორბელიანი ებრძოდა თურქებს და სიმაგრე ბაშკადიკლართან სასტიკ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა. დარჩა ერთი ვაჟი, რომელიც მის ცოლთან —ილია ბატონიშვილის ასულ ბარბარესთან ერთად კახეთიდან გაიტაცა შამილმა დანარჩენ ტყვეებსა და ნადავლთან ერთად დ. ჭავჭავაძის ოჯახის და კახეთის დარბევის დროს. დატყვევებულები რამოდენიმე თვის შემდეგ გამოიხსნეს. Дранс е, Пленники Шамиля, თბილისი, 1858, 52—6 და Акты, ტ. 10, 28, Э. А. Вердеревский, Плен у Шамиля, С.-Петербург, 1856, приложение, გვ. 29—42.

[1] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, იხ. მისი წერილები.

მელსაც თვით ავტორი განიცდიდა გამოჩენილი მეომრისა და საყვარელი ბიძის შამილთან ბრძოლებში ტყვედ ჩავარდნის გამო[1].

ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავები და ბევრი მისი პირადი მეგობარი შამილის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მაგალითად, ლევან მელიქიშვილი, ნ. ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი გიმნაზიიდან, წლების მანძილზე ებრძოდა შამილს, ხოლო 1846 წ. დაინიშნა ე. წ. ლეკის საკორდონო ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული მილიციის ორგანიზაციის განმტკიცებაში და შამილის განადგურების ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი იყო.

ამრიგად, გენიალური მგოსანი ნ. ბარათაშვილი, აგრეთვე ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვები თავიდანვე სწორ შეფასებას აძლევდნენ მიურიდულ მოძრაობას.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფეოდალური ინტელიგენციის მოწინავე ფენებში მიურიდულ მოძრაობაზე სწორი საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ 1835-იან წლებიდან შემუშავდა, რომლისგანაც არასოდეს არ გადაუხვევია ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს: ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, ე. ნინოშვილს და სხვ.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი შამილს „სისხლმოწყურებულ“ აბრაგთა მეთაურად თვლიდა. ასეთივე მოსაზრებისა იყო ი. გოგებაშვილი ლეკ აბრაგ ფეოდალებზე[2]. ქართულმა პრესამ, ჯერ კიდევ მე-19 საუკ. 50-იან წლებში, გრიგოლ ორბელიანის ვაჟკაცური ბრძოლები შამილის წინააღმდეგ პროგრესულ განმათავისუფლებელ მოვლენად მიიჩნია[3].

ქართული რევოლუციური მწერლობა და ისტორიოგრაფია განუხრელად აგრძელებდა იმ სწორ კონცეფციათა დაცვას შამილის რეაქციული მოძრაობის შესახებ, რომელიც გვიანდერძა ქართული კლასიკური მწერლობის დიდმა წარმომადგენლებმა.

მაგალითად, ეგნატე ნინოშვილი 1891 წელს, ახასიათებდა რა იმ უბედურებას, რაც ლეკ ფეოდალებს საქართველოსათვის მოჰ-

---

[1] ე. ა. ვერდერევსკის დასახელებულ ნაშრომს თან ერთვის ი. ორბელიანის მოგონება შამილთან ტყვეობაზე (გვ. 22—42).

[2] აკაკი წერეთელი, შამილის სიზმარი, თხზ., ტ. I, 1940, გვ. 12—14 და ი. გოგებაშვილის იავნანამ რა ჰქნა.

[3] გრ. ორბელიანის ნაწერების სრული კრებული, 1951, ა. გაწერელიას რედ. და შესავალი წერილით, გვ. IX.

ქონდათ, გულის ტკივილით წერდა: „...ვინ მოსთვლის რამდენი ქალი, კაცი და ბავშვი მოუტაცნიათ ლეკებს საქართველოდგან! ვინ მოსთვლის რამდენი მუშა ქართველი კაცი დაკლულა შეუბრალებელის ლეკის ბელადის ხელით" და სხვ.; ხოლო ე. ნინოშვილის დასკვნითვე უკანასკნელ დროს, როგორც საქართველოს, ისე დაღესტნის ისტორიული ცხოვრება შეიცვალა; „...ამ მიმდინარე საუკუნის შუაში, რუსეთისა და ქართველების ჯარმა შეიპყრეს შამილი... ამის შემდეგ მოისპო ქართველებსა და ლეკებს შორის მტრობა"[1].

ასეთია მოკლედ ქართული საზოგადოებრივი პროგრესული აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები შამილის რეაქციული მოძრაობის შესახებ.

### 4. მტრის თავდასხმების გააქტივება და ქართული სახალხო სამილიციო რაზმების შემდგომი გაძლიერება

1844 წ. დასასრულს მეფისნაცვლად და კავკასიის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა მ. ვორონცოვი. მას დავალებული ჰქონდა შამილის მოძრაობის დაუყოვნებლივ განადგურება, მათი თარეშის აღკვეთა.

ვორონცოვმა არ დააყოვნა და დიდი ძალებით გაილაშქრა შამილის სარეზიდენციო ცენტრის გასათავისუფლებლად. 1845 წ. ივლისში კავკასიის მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის სარდლობით აიღეს შამილის სარეზიდენციო ცენტრი დარგო.

რუსეთის მხედრობასთან ერთად ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინა მრავალმა ქართველმა რიგითმა მეომარმა და ოფიცერმა. მაგალითად, ამ ბრძოლაში ღირსეულად მონაწილეობდნენ გიორგი გურიელი, ლევან მელიქიშვილი, ორბელიანი, მაღალაშვილი, ჰილაშვილი, შალიკაშვილი, აბაშიძე და სხვ. ისინი შამილის წინააღმდეგ მოქმედი ქართული ჯარის ნაწილებისა და სამილიციო რაზმების ცნობილი ორგანიზატორები და მეთაურნი იყვნენ. ამავე პერიოდში ჩეჩნეთსა და დაღესტანში ბრძოლას განაგრძობდნენ გენერლები ილია ორბელიანი, ჰილაშვილი და სხვ. ჯერ კიდევ 1844 წ. გენერალ-ლეიტენანტი თავადი ბებუთაშვილი დაინიშნა იმ ჯარების სარდლად, რომლებიც დაღესტანში მოქმედებდნენ.

ამიერიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ადგილობრივ მოსახლეობისაგან მოხალისე მილიციელთა ცალკე რაზმების შედგენა და

---

[1] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 265—266.

მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ყველა რეზერვი[1]. ქართული სახალხო მილიციის რაზმებს თავისი არსებობა არ შეუწყვეტია კავკასიის ომების (1804—1864 წწ.) დამთავრებით. ცნობილია, რომ ქართული სახალხო მილიციის რაზმები განსაკუთრებული ხალისით ღებულობდნენ მონაწილეობას რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომში, რომელიც ღვიძლ ძმათა გამომხსნელ და გამათავისუფლებელ ომად მიაჩნდათ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი პროგრესული მოძრაობით გათვითცნობიერებულ ქართველ ხალხს, რომელიც ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებისა და ფორმირების სტადიაში იმყოფებოდა, თურქებისაგან მიტაცებულ საქართველოს

---

[1] საქართველოს ცენტრარქივში დაცულია ანონიმური ნარკვევი ქართული სამილიციო ნაწილების საბრძოლო წარმატებათა შესახებ, სადაც ვკითხულობთ: «Милиции принимали деятельное участие во всех веденных нами войнах, и внутри края и на прилегающих к нему внешних театрах военных действий» (ფონდი 167, საქმე 334).

სამილიციო ნაწილების როლი და მნიშვნელობა საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან, ვიდრე 1885-ან წლამდე, ე. ი. სანამ დაწესდებოდა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარა, დღითი დღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. როგორც დავრწმუნდით, განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს ამ ნაწილებმა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის 1826—1828 წლისა და 1828 — 1829 წ. ომებში, კიდევ უფრო გაიზარდა მათი როლი 1853—56 წწ. ყირიმის კამპანიის პერიოდში ისევე, როგორც შამილის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ბრძოლაში (რუსეთ-ირანის 1826—1828 წწ. ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის შესახებ საყურადღებო ნარკვევი მოეპოვება პროფ. ირ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა ს. იგი დაიბეჭდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, 1951, ტ. XXIV, გვ. 189). ჯერ კიდევ ერმოლოვისა და პასკევიჩის, ხოლო განსაკუთრებით კი ვორონცოვის მმართველობის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობის მილიციაში სამსახურს, გარდა იმისა, რომ მასობრივი გახდა, რამდენადმე ხანგრძლივი ხასიათიც მიეცა. მაგალითად, პასკევიჩის დროს შეიქმნა 40.000-მდე ცხენოსანი და ფეხოსანი მილიციელ მებრძოლთაგან შემდგარი ნაწილები, რომლებიც თანდათან ძლიერდებოდნენ და პერიოდულად კავკასიის თითქმის ყველა ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ახალ კონკრეტულ ვითარებასთან შეფარდებით საგანგებოდ მუშავდებოდა მილიციაში მოსახლეობის გაწვევისა და სამსახურის პირობები, შემოღებულ იქნა ახალი დებულებები და წესდებები. მაგალითად, 1845 წ. სალაშქროდ გასულ მილიციელთა შესანახი ხარჯებისა და შეიარაღების ერთი ნაწილი სახელმწიფომ იკისრა. ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი მილიციელთა რიცხობრივ ზრდასა და მათი საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებას. მოლაშქრეთა სამსახურის ვადაც გადიდდა.

ქართული სამილიციო ნაწილების გმირული საბრძოლო გზა რუსეთის რეგულარული მხედრობის მხარდამხარ სპეციალური შესწავლის საგანია. ჩვენ ამ საკითხს აქ მხოლოდ გაკვრით, საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ვეხებით.

სამხრეთი რაიონების გამოხსნა უდიდეს პერსპექტივებს უსახავდა. აშდენად, ეს პერიოდი სავსებით ახალი და თავისებური ეტაპია რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობისა და იგი სპეციალური შესწავლის ღირსია. აქ წინასწარ შეიძლება შევნიშნოთ მხოლოდ, რომ 1877—1878 წწ. ომის პერიოდში შეიქმნა ქართველ მოხალისეთა მრავალი რაზმი, ლაშქარი, მილიციელთა სახალხო მაალობრივი დანაყოფები და სხვა; მოინახა ქართული საბრძოლო დროშა, რომელსაც ქართველმა მეომრებმა სახელი მოუხვეჭეს ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის წინანდელ ომში. გენერალი ამილახვარი, მიუთითებდა რა ქართველ მეომრებს ამ დროშაზე, შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ქართველთა ლაშქარს: „Ребята, это знамя привыкло побеждать неприятеля. Под его сенью 4 июня 1854 г. мы одержали победу на Чолоке. Господь поможет нам и в сегодняшнем деле". Слова эти сбылись, и 4 июня 1877 года турецкая армия была разбита наголову у Драм-Дага", შენიშნავს ავტორი[1].

რუსეთ-თურქეთის ომებში მონაწილე ქართველების გმირულ თავდადებაზე, სხვათა შორის, ნათლად მეტყველებს მრავალი ჯილდო—ანას, სტანისლავის, ვლადიმირის, წმინდა გიორგის სხვადასხვა ხარისხის ორდენები, რომლებიც მიუღიათ ქართველ მეომრებს, ხოლო უკანასკნელთა სია შემოუნახავს ჩვენს არქივს[2].

რუსეთ-თურქეთის ომებში კავკასიის ფრონტზე დაჯილდოებულებს გულისხმობს თედო სახოკია, როცა იგი მეტად ტიპიურ, დამახასიათებელ ცნობას გვაწვდის გურიის ცხოვრებიდან. სახოკია წერს: „ხანში შესულთ ვერა ნახავთ გულზე ნიშანი რომ არა ჰქონდეს: წმინდა გიორგის ჯვარი, ან მედალი არ ეკიდოს სხვა და სხვა ომებში მიღებული მამაცობისა და თავგანწირვისათვის"[3].

თუ რამდენად დიდი იყო ქართველთა მონაწილეობა, კერძოდ, დარგოს ლაშქრობაში, ამაზე წარმოდგენას ერთი მაგალითიც მოგვცემდა: იმ ხუთი ძირითადი სამხედრო დანაყოფიდან, რომლებმაც 1845 წ. გაზაფხულზე შამილის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მარტო გენერალ ლიდერსის დანაყოფში ირიცხებოდა ოთხი ლაშქარი ქვეითი მილიციონერებისა 1000 მებრძოლით და ხუთი ასეული მილიციელი ცხენოსნებით. ამრიგად, მარტო ამ ერთ დანაყოფში 1500 რიგითი

[1] იხ. Л. Чиабришвили, Войны и грузины, 1915, გვ. 68—59.

[2] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 5, საქმე 4832 და 441.

[3] ჟურნ. „მოამბე", 1901, № 2, გვ. 51, წერილი მე-8.

მილიციელი იმყოფებოდა, გარდა ოფიცრობისა და რეგულარულ ნაწილებში გაერთიანებული სხვა ქართველ მეომრებისა.

ჩრდილო დაღესტნის ექსპედიციაში მონაწილეობის მიზნით მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონიდან, მაგალითად გორის მხრისა და ქსნის ხეობიდან, გაიწვიეს 500 ქვეითი, თბილისის მაზრიდან—500 ქვეითი, თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან 100 ქვეითი და 100 ცხენოსანი და ა. შ. მილიციელთა მთლიანი შეკრება 15 აპრილს მოხდა. გორის მხრის მილიციას მეთაურობდა შტაბს-კაპიტანი თავადი ერისთავი, თბილისის მაზრისას— თავადი ალექსანდრე ორბელიანი, თელავის მაზრისას—თავადი რევაზ მაყაშვილი, ცხენოსანთა ნაწილებს—პორუჩიკი თავადი ილია ორბელიანი, ქვეითებს—პორუჩიკი თავადი დავით ჭავჭავაძე. თუშფშავ-ხევსურთა ოლქის მილიციის ნაწილებს უშუალოდ თაოსნობდა თავადი ლევან მელიქიშვილი.

ამრიგად, მარტო ჩრდილო დაღესტნის ამ ექსპედიციაში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდან მონაწილეობდა 3000-ზე მეტი მილიციელი, რომელთაგანაც „Всего в конной милиции было 600 человек. Пешей милиции было 2440 человек. Главным начальником всей милиции был назначен Губернский предводитель Дворянства полковник князь Орбелиани"[1].

ყველანი 20 აპრილს შეიკრიბენ სოფელ ჩერვლენნუში და აქედან მიიღეს მონაწილეობა აულ დარგოსა და აკუშის ექსპედიციაში. 1845 წ. მ. ვორონცოვის მეთაურობით მოწყობილ ექსპედიციაში მოქმედი ქართველთა ეს ნაწილები კავკასიის ხაზის მარცხენა მხრიდან უტევდნენ მტერს. ამიტომ მთელი ეს ძალები პირველად ვლადიკავკაზში დააბანაკეს.

ამავე პერიოდში გურიაში, ქ. ოზურგეთში, პოდპოლკოვნიკ თავად მაჭუტაძის თაოსნობით შეიარაღდა 106 მილიციელი. მილიცია ოზურგეთიდან 12 მაისს გავიდა და საჩეჩნეთისაკენ გაემართა. ექსპედიციაში ენერგიულად მონაწილეობდნენ მილიციის ნაწილები სამეგრელოდან. სამეგრელოს მთავრის ძმის კონსტანტინე დადიანის მეთაურობით ქუთაისიდან (შესაკრები პუნქტიდან) გავიდა 150 ცხენოსანი მილიციელი და გაემართა გენერალ ლაბინცევის ნაწილებთან შესაერთებლად. ისინი თავგამოდებით მონაწილეობდნენ აჩხოს მიდამოებში სიმაგრეების მშენებლობასა და ბრძოლებში.

---

[1] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 167, საქმე 334.

ამრიგად, დარგოს აღების ოპერაციებში მონაწილეობდა დიდი რაოდენობის რუსის მხედრობა, როგორც მთავარი ძალა, და ათასობით ქართველი მილიციელი მებრძოლები ლევან მელიქიშვილის მეთაურობით. ვორონცოვმა მართალია შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია, მან დაარბია მტრის სოფლები, სიმაგრეები და რეზიდენცია დარგოც კი, მაგრამ თვითონაც დიდი დანაკლისი ნახა. აქ მოკლეს 3.000 რუსი და ქართველი მხედარი, დაიღუპა გენერლები პასეკი, ვიქტოროვი, პოლკოვნიკი კრივოშეინი, რონჟევსკი და სხვა მრავალი ოფიცერი. ამიტომ ეწოდა დარგოს ექსპედიციას სისხლიანი. ვორონცოვის ლაშქარი მტრის ალყაში მოექცა. მას გროზნოდან მაშველმა ძალებმა მიუსწრო გენერალ ფრეიტაგის მეთაურობით, გადაარჩინა ვორონცოვი და მისი ლაშქარი ტყვედ ჩავარდნას.

ამავე პერიოდში ქართული სამილიციო ნაწილების აქტიური მონაწილეობით წარმატებით ხორციელდებოდა შამილის თავდასხმების მოგერიება. მაგალითად, 1845 წ. მარტში შამილის ურდოები თავს დაესხნენ სოფ. შილდას, სადაც მოკლეს 15 კაცი და დაატყვევეს ბავშვები და ქალები; ამასთან ერთად, გაძარცვეს ეკლესია და მეზობელი სოფლები. მძარცველებს გზა გადაუღობა საკორდონო ხაზის ერთ-ერთი უბნის მეთაურმა, კაპიტანმა ჯანდიერმა[1].

ამავე 1845 წ. მაისში შამილის რაზმები შემოიჭრნენ ბეჟანიანის სიმაგრეებისა და ჭარ-ბელაქნის ასაოხრებლად. თავდასხმა ასევე გმირულად იქნა მოგერიებული საკორდონო ჯარისა და სამილიციო ნაწილების ერთობლივი მოქმედებით, რომელსაც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური მაიორი იოსელიანი ხელმძღვანელობდა. მტრის ვერაგული თავდასხმები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა არც ამის შემდეგ შეწყვეტილა; მაგალითად, 1848 წლის აპრილში შამილის ნაიბები თავს ესხმიან სოფ. ყვარელს და ნაფარეულს, ხოლო იმავე წლის მაისში კვლავ ნაფარეულს[2].

საქართველოს მშვიდობიან საზღვრისპირა სოფლებზე ამავე პერიოდში მეტად ხშირდება თურქეთიდან ცალკე ჯგუფური ყაჩაღური თავდასხმებიც. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ვორონცოვის თხოვნით და ჩერნიშოვის თანხმობით თურქეთის საზღვრებიდან თავდამსხმელებისა და მძარცველების წინააღმდეგ

---

[1] Сборник документ. матер., გვ. 240—243.

[2] იქვე, გვ. 247.

(საქართველოს საზღვრებიდან) საბრძოლველად შეიქმნა გურულების მუდმივი სამილიციო დანაყოფი. შეარჩიეს ბრძოლებში ნაცადი მოხალისეები და განალაგეს გურიის საკორდონო ხაზზე. მათ ბრწყინვალედ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა, გზა გადაუღობეს აგრესიულ თავდამსხმელთ 1845-იან წლებში[1].

ვორონცოვის ამ ლაშქრობათა შემდეგ რუსეთის სარდლობა ძირითადად სცვლის შამილთან ბრძოლების მეთოდებს და ტაქტიკას. კერძოდ, დარგოს ექსპედიციის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ შამილის ამა თუ იმ რეზიდენციის აღება არ აჩქარებს შამილის საბოლოო დამარცხებას.

თვით შამილიც ახულგოსა და დარგოს გაკვეთილების შემდეგ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ცალკე სიმაგრეების მშენებლობას და „მიუვალ" მთა ადგილებში საგანგებო გამაგრებას, რადგან იგი თვითონვე დარწმუნდა, რომ რუსეთის მხედრობისათვის აუღებელი სიმაგრე არ არსებობს. ამიტომ ამიერიდან შამილი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ომის წარმოების დროებით ხელსაყრელ პოზიციებისა და ცალკე სტრატეგიული საბრძოლო ადგილების შერჩევას; იგი ცდილობს პოზიციური ბრძოლების შეცვლას მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმების გაძლიერებით. რუსეთის სარდლობაც სცვლის ბრძოლის ტაქტიკას და შამილის საბოლოოდ განადგურების მთავარ საშუალებად მიაჩნია მტრის ძალების მთლიან ალყაში მოქცევა, ტყეების გაჩეხვა და გასავალი გზების ჩაკეტვა, სამხედრო სიმაგრეების აშენება და მთაში შემოსასვლელი გზების გაკეთება; ამ საშუალებებით კი მტრის დიდმნიშვნელოვანი სასიცოცხლო სტრატეგიული და ეკონომიური ადგილების თანდათან ხელში ჩაგდება. ამიტომ ამბობენ, რომ ამიერიდან, ე. ი. დარგოს ექსპედიციის შემდეგ, შამილის ძალების წინააღმდეგ მიმართული ხიშტი, უმეტესად, ცულითა და წერაქვით იქნა შეცვლილიო. ამ ტაქტიკამ უდავოდ თავისი შედეგები მოიტანა და ხელი შეუწყო მტრის საბოლოო განადგურებას. მაგრამ ეს ტაქტიკა მოითხოვდა ბევრ ცოცხალ ძალას. იმ პერიოდში რუსეთს საშუალება არა ჰქონდა ამ ამოცანის განსახორციელებლად ბევრი ჯარი გამოეგზავნა კავკასიის ფრონტზე, ამიტომ ეს ამოცანა ძირითადად უნდა გადაწყვეტილიყო

---

[1] 1877 წ. ომის დაწყებამდე ეს ნაწილი გადაკეთდა „გურიის მეორე ფეხოსანთა ლაშქრად", ხოლო 1887 წლიდან შეუერთდა რეგულარულ მსროლელ ლაშქარს.

კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოყენებითა და მასობრივი მონაწილეობით.

რაკი სახალხო სამილიციო სისტემამ გაამართლა თავისი დანიშნულება, ამიტომ სამილიციო ძალების შემდგომ გაძლიერებას დიდი ყურადღება მიექცა. ამრიგად, შამილის წინააღმდეგ მორიგ ბრძოლებში მილიციის როლი შეუდარებლად იზრდება.

იმ მიზნით, რომ მილიციაში მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენები ჩაბმულიყო, 1845 წელს ვორონცოვმა იმპერატორის თანხმობით შეიმუშავა მილიციაში მკვიდრი მოსახლეობის სამსახურის ახალი დებულება. ამ დებულებით მილიციელს ეძლეოდა დამატებითი იარაღი, ტყვია-წამალი, აგრეთვე მცირე თანხაც სახელმწიფოსაგან. ამ ღონისძიებებმა მილიცია აქცია კავკასიის არმიის დამხმარე უაღრესად სერიოზულ სამხედრო ძალად, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში.

*
* *

1840-იან წლებში შამილი, სახავდა რა რუსეთის წინააღმდეგ ახალ ავანტურისტულ გეგმებს, გარდა იარაღ-საჭურველისა თურქეთს სთხოვდა ადამიანებით (ცოცხალი ძალით) დახმარებას.

1844 წელს თურქეთის სულთანმა შამილთან დაღესტანში მიავლინა თავისი ფრიად საიმედო აგენტი ჰაჯი-უსუფი, რომელიც ამიერიდან გახდა შამილის დასაყრდენი და, როგორც თვით შამილი წერდა, „ნაიბთა შორის უპირველესი“. მთაში მივლენილი ჰაჯი-უსუფი არწმუნებდა შამილს, რომ სულთანი დაეხმარებოდა ყოველმხრივ, და ურჩევდა ხშირი მიწერ-მოწერა ეწარმოებინა სულთანთან. „ამ წინადადებით შამილმა შეადგინა წერილი სულთანისა და ეგვიპტის ფაშისადმი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მისი ძალები მცირეა რუსების ძალებთან შედარებით, რომ განუწყვეტლივ ეწევა მასთან ომს მუსულმანობის გასავრცელებლად და ითხოვდა მფარველობასა და დახმარებას“. სულთანი დახმარებას პირდებოდა, ოღონდ მაშინდელი საერთაშორისო ვითარება თურქეთს არ აძლევდა შესაძლებლობას ომი გამოეცხადებია რუსეთისათვის ან შამილისათვის გაეგზავნა ჯარები რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ თურქეთმა შამილთან ერთად მიზნად დაისახა საქართველოს გამუსულმანებული ქართველი მოსახლეობა აემხედრებინა რუსეთის გავლენის წინააღმდეგ და სამხრეთიდან მეორე ფრონტი გაეხსნა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მყოფი რუსი მხედრობისა და მათთან ერთად მოქმედ

შკვიდრი მოსახლეობისაგან შემდგარ მოხალისე მილიციელთათვის. სულთანი შამილს პირდებოდა ახალციხის დაპყრობას და აქედან დანარჩენ საქართველოზე გალაშქრებას. სამხრეთ საქართველოს რაიონები თურქეთ-ინგლისის აგენტებით აივსო. ისინი ფართო აგიტაციას აჩაღებდნენ ხალხში და ყველაფრით ცდილობდნენ მოსახლეობის სარეკრუტო სამსახურში ჩაბმას, რათა სამხედრო დახმარება გაეწიათ შამილისათვის.

საარქივო საბუთებიდან მტკიცდება, რომ შამილმა თავის მხრივ ამ დროს აგენტები დაგზავნა თურქეთის მფლობელობაში მყოფ საქართველოს სამხრეთ რაიონებში და თურქეთ-ინგლისის დახმარებით ყველა ღონისძიება იხმარა ხალხის გადაბირებისა და მოხალისე რაზმების შესადგენად. შამილი ამ მიზნით მოსყიდვისა და დემაგოგიური დაპირების მეთოდებს მიმართავდა. იგი სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებულ მკვიდრთა გასაბრიყვებლად შედგენილ თავის მოწოდებაში მოსახლეობას პირდებოდა ჯამაგირს—თითოეულ ცხენოსანს—250 ყურუშს, ხოლო ქვეითას—150 ყურუშს[1]. თუ რა მეთოდებით ცდილობდა შამილი სამხრეთ საქართველოს გამუსულმანებულ მკვიდრთა გადმობირებას ინგლის-თურქეთის დახმარებით, როგორ აიძულებდა ხალხს ამისთვის და როგორი იყო ვითარება ამ მხრივ, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ახალციხის მაზრის სამხედრო შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ სეტკოვის წერილი, რომელიც 1845 წლის 8 სექტემბერსაა შედგენილი[2].

---

[1] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 548, საქმე 341, ფურც. 96—101.

[2] აი ამ საბუთის ტექსტი: „...В Турцию прибыли от Шамиля 12 эфендиев, из них 4 находятся в Чалдыре, 2 в Аджарии, 2 в Ливане, 2 в Чуруксу и 2 отправились теперь в Абхазию. Эфендии эти действуют успешно за границей в пользу Шамиля, набирая охотников к нему на службу и, кроме того, приохочивая и самих жителей пограничных санджаков к нападению на Ахалцих уверением, что войска наши почти все уничтожены. Таким образом они собрали в Аджарии 4000 человек, в Лаллельском (sic) санджак под предводительством сына Абди-бека Дада-Паши 2000 человек, и Гелакской бек Аслан-Паша имеет для них в готовности 500 конных. С этими силами, на другой день по окончании рамазана, они намерены направиться через Чалдырский санджак в пределы паши, где их встретят с значительными силами казахцы, борчалинцы, карабахцы и жители других татарских провинций и пропустят для соединения с Шамилем. Потом, есть ли намерение эфендиев исполнится, то беки пограничных Ахалцихскому уезду санджаков сделают нападение на Ахалцих». საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფ. 548, 3, საქმე 341, ფ. 49.

თურქეთის საზღვრებიდან საქართველოზე მზადდებოდა თავდასხმა, რათა სულთანს უშუალო კავშირი დაემყარებინა შამილთან. ამ მიზნით დღითი დღე ძლიერდებოდა შამილის აგენტების დაუცხრომელი მოქმედება. საშიშროება იქამდე გაიზარდა, რომ ახალციხის მოსახლეობა სტოვებდა სახლ-კარს და ქალაქიდან იხიზნებოდა[1].

თურქეთ-ინგლისის ამ მტრულმა ღონისძიებებმა შამილისათვის ლაშქრის შესაგროვებლად ნაყოფი ვერ გამოიღო. ისინი გამუსულმანებულ ქართველთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ხალხი მასობრივად აჯანყდა და მძაფრად დაუპირისპირდა თურქ დამპყრობთა სარეკრუტო პოლიტიკას და სამხედრო ხარჯებისათვის გაზრდილი გადასახადების გადახდას. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ამ აჯანყებამ აჭარაში, ართვინისა და არტაანის მხარეში. აჯანყება დაიწყო ზემო აჭარაში.

აჯანყებებით დამფრთხალი თურქეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ხელი აეღო ამ განზრახვაზე და მათი დაპირებაც შამილისადმი ვერ იქნა შესრულებული[2].

თურქეთი ვერ ახერხებს სამხრეთ საქართველოს ჩათრევას ამ სისხლისმღვრელ უსამართლო ბრძოლებში. 1845-იან წლებში შამილს განზრახული ჰქონდა რუსეთის მხედრობის ალყაში მოქცევა, მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალა.

ამავე პერიოდში, 1844 წლიდან, შამილი საქართველოსა და კავკასიის სხვა მეზობელ ხალხებზე თავისი გავლენის მოსაპოვებლად

---

[1] ამ ფაქტის დამადასტურებელია დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1845 წ. 14 სექტემბერს და მიმართულია ახალციხის მაზრის უფროსისადმი: „Жители Старого города, от получаемых ежедневно непрятных слухов о нападении на город семейства свои отправляют в ближайшие деревни.

По настоящее время выехало до 60 семейств. Причина такой торопливости и страха, как я узнал по секрету, то, что они не надеются на защиту в крепости, ибо при подобных тревогах в прошлых годах их туда не впущали.

Почтенейше доносят о сем Вашему Высокоблагородию я покорнейше прошу поспешить распоряжением о принятии имущества жителей заблаговременно в крепость, а в случае крайности—и семейства их; если жители увидят, что имущество их принимаются, то они могут несколько успокойться,—без того я совершенно не имею средств удержать их от переселения в деревни". იქვე, ფონდი 548, საქ. 341, ფ. 99.

[2] დოკუმენტები საქართველოს სამხრეთ რაიონების გამუსულმანებულ ქართველთ ამ აჯანყების შესახებ დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. ვინაიდან ჩვენ განზრახული გვაქვს ამ საბუთების გამოქვეყნება სათანადო შესავალით, მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ავრცელებს ყალბ ხმებს იმის შესახებ, რომ, თითქოს, იგი შვილია უცხოეთში გადახვეწილი, რუსეთის შეურიგებელი მოწინააღმდეგის საქართველოს მეფის შვილის ალექსანდრე ბატონიშვილისა[1].

ამავე პერიოდში შამილი ინგლის-თურქეთის მითითებით მიზნად ისახავს საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელი უმთავრესი გზის—საქართველოს სამხედრო გზის დაჭერასა და რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტას. სამხედრო ისტორიკოსი ესაძე ამის შესახებ წერს: „Удар был рассчитан в чувствительное место Кавказской линии на главный коммуникационный путь из России в Закавказье“[2].

ამ ბრძოლებში შამილი დამარცხდა. მან, მართალია, ამ შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ საერთოდ ეს პერიოდი მაინც ხასიათდება შამილის სამხედრო წარმატებებით.

1845 წ. ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებით გათამამებული შამილი ფართო გეგმებს ისახავს და თავისი ბატონობის ასპარეზის გაფართოებისათვის იბრძვის. 1846 წ. აპრილში შამილმა ყაბარდოს დაპყრობა განიზრახა. იგი ასევე მიზნად ისახავდა საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების ხელში ჩაგდებას და საკუთარი კონტროლის დაწესებას. მაგრამ შამილს ეს განზრახვა, როგორც აღვნიშნეთ, დროზე შეუტყვეს და გენერალ გურკოსა და ფრეიტაგთან ბრძოლებში შამილმა სასტიკი დამარცხება განიცადა.

1846 წლის 15 ოქტომბერს შამილი მწარედ დამარცხდა. რუსეთის მხედრობამ აიღო აული ქუშითი (ჩრდილო დაღესტანი). ქუშითის ბრძოლის ფაქტიური სარდალი იყო გრ. ორბელიანი, რომელმაც დრაგუნთა კარგად გაწვრთნილი ნაწილებით და მილიციელებით დაამარცხა მტრის დიდი ძალები, რომელსაც პირადად შამილი და მისი მამაცი ნაიბი ჰაჯი-მურადი თაოსნობდა. აულ ქუშითის ეს ბრძოლა კავკასიის ომის ისტორიაში ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენაა.

---

[1] ამას ადასტურებს პოლკოვნიკ ვიქტოროვის საყურადღებო აღწერა ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „Шамиль начал выдавать себя за сына грузинского царевича Александра, дабы тем обширнее поколебать спокойствие Закавказского края“. სრული ტექსტი ამ აღწერისა დაცულია სსრ კავშირის სამხედრო ისტორიულ არქივში, მისი ნაწყვეტი იხილეთ, Сборник докум. матер., გვ. 236.

[2] ს. ესაძე, Штурм Гуниба и пленение Шамиля, 1909, გვ. 173.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა პირობებში მოიპოვეს ეს გამარჯვება, ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მოვუსმინოთ თვით ამ გამარჯვების ორგანიზატორს, ინფანტერიის გენერალს გრ. ორბელიანს. ქუშითის ბრძოლის შესახებ გრიგოლ ორბელიანის ძმისადმი, ილია ორბელიანისადმი 1846 წ. 25 ოქტომბერს მიწერილ ბარათში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „—შამილმა აიღო სრულებით წუდახარი, დასწვა, დასდაგა და გადმოვიდა ხოჯალმაქაა, ეს მშვენიერი სოფელიც განაცრდა...ასეთი შიში და არეულობა მოხდა, რომ დერბენდის გზიდამ ფოშტები ახსნეს...14 ამ თვისას ჩვენი ოტრიადი მივიდა ლავაშასა. შამილმა რა ჰსცნა ჩვენი იქ მისვლა, თვითონ ულლუყალიდამ გადმოვიდა ქუშითაში, და ჰაჯიმურად დიდის ცხენოსნის და ქვეითის ჯარით დააყენა ყაყამაქს, ამ განზრახვით, რომ ჩვენი ჯარი ორ ცეცხლს შუა დარჩეს“[1].

გრ. ორბელიანის მეთაურობით ცხენოსანი ნაწილები შექრილან იმ სოფელში, სადაც მტერი იყო დაბანაკებული. ამის შესახებ თვით გრ. ორბელიანი განაგრძობს: „შევიჰქერით ცხენოსანნი სოფელში, დაფრთხა ეს ამოდენი ჯარი მტრისა და დაუწყეთ ხმლით ჩეხა და კაფა...ქუჩებში შეიქმნა ხმლის ტრიალი...ამ დროს ჰაჯიმურად, რომელმაც ჯერ არ იცოდა შამილის გაქცევა, მოუხდა დიდის კავალერიით არიერგარდსა. აქ დახვდა ზურაბის მეორე შვილი ზაქარია (ორბელიანი, აფშერონის პოლკის კომანდირი—ა. ი.) და სულ ბრე ადინა. კნიაზ კუდაშევიც მოსწვდა დანარჩენის დრაგუნებითა და ხოჯამალქის ხეობამდის ჰზდიეს“[2].

გრ. ორბელიანის ცნობით ამ ბრძოლის შედეგად რუსეთის მხედრობას დარჩა: „მრავალი ბაირაღები, შამილის ბარაბანი და ცული, რომლითაც აჰრევინებდა თავებსა. მისი ქულაჯა და ცხენი... მრავალი საქონელი და თოფიარაღი. 300-მდის ტყვე დავიჰირეთ და მგონია ათასამდი დაიხოცა იმათი, თვით მიურიდები ანგარიშობენ დანაკარგსა 1200 კაცსა... ამ გამარჯვებამ დაამშვიდა ეს არეული, აშლილი მხარეო“—წერს ორბელიანი[3].

ამ ბრძოლაში გმირულად იბრძოდა ქართული მილიცია და ქართველ მეთაურთაგან კაპიტანი ესტატე მაჩაბელი.

შამილის განადგურებისათვის წარმოებული ბრძოლებიდან ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გენ. არღუთაშვილისა

---

[1] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, აკაკი გაწერელიას რედაქციით, ტ. I, გვ. 129—130.

[2] იქვე.

[3] იქვე.

და გრ. ორბელიანის სარდლობით შამილის ცნობილი სიმაგრეების—გერგებლისა და სალთის აღება 1847 წელს.

აულ გერგებლის აღების გამო გრ. ორბელიანი 1848 წ. 21 ივლისს თავის ძმას, ილია ორბელიანს, სწერდა:

ალყაშემოვლებული გერგებილი „მისცეს ცეცხლს, კედლები და ბურჯები ინგრეოდა საშინლად და ამავე დროს რვა მორტირით მოდიოდნენ ბომბები და სახლებსაც ისროდნენ ცაში. ამ საშინელს ცეცხლს მტერმა გაუძლო მხოლოდ ერთი დღე, და რა ნახეს მათ ციხის კედლები და ბურჯები ასე ადვილად დანგრეული, ღამე გაიპარნენ“[1].

შამილის მეთაურობით წამოწყებულ ომს განადგურებამდე მიჰყავდა მთიელები. შამილი თვითონ სწვავდა და ანადგურებდა მთიელთა სოფლებს, როცა იგი ვეღარ ახერხებდა მათ დაცვას. ამის შესახებ გრ. ორბელიანი 1848 წ. 16 აგვისტოს თავის ძმას ილია ორბელიანს სწერდა:

„...საშინელი გაოხრება: სალტას, ქუდალას, ყუჰპას, კოჰორს იდგნენ ორი ათასი კომლი კაცი, მგონია უფრო მეტი. ახლა სად არიან რა იქმნენ.—წლეულს გერგებელიც ამ გვარად გალეწეს. დარჩა მხოლოდ ცალიერი სალი კლდე“[2].

თავისი გმირული თვისებებით მრავალი ოფიცრისგან გამოირჩეოდა არტილერისტი ალექსანდრე მუხრანბატონი, რომელიც გრიგოლ ორბელიანის სარდლობით აულ გერგებლის აღების დროს ვაჟკაცურად იბრძოდა.

გერგებლის ბრძოლა და რუსეთის მხედრობის იქ მოპოვებული გამარჯვება ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აულ გერგებილის აღებისათვის იმავე 1848 წ. გრ. ორბელიანს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა. შამილის წინააღმდეგ ამ გმირულ ბრძოლებში თავდადებისათვის ასევე დააჯილდოეს გრ. ორბელიანის ბევრი სხვა თანამებრძოლი.

მგოსანი და სარდალი გრ. ორბელიანი თვითდამშვიდებას არ ეძლეოდა. მან ერთი წლის შემდეგ არანაკლები გამარჯვება მოიპოვა მტერზე. 1849 წ. 18 ივლისს გრ. ორბელიანი შედარებით მცირე ძალებით ანაზდეულად შეიჭრა შამილის ცნობილ ციხე-სიმაგრე აულ ჰოხში და აიღო იგი. ჰოხს იცავდნენ შამილი და მისი რჩეული

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 180.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 183.

ნაიბები, რომლებსაც დაატოვებინეს ბაირაღები და იარაღის საწყობები. თვით შამილი და მისი ნაიბები გრ. ორბელიანს ევდოკიმოვთან ერთად თვლიდნენ პირადად მისი და მისი რეჟიმის ყველაზე უფრო საშიშ მტრად; მას არა ერთხელ განუცხადებია: „ევდოკიმოვი და ორბელიანი ჩემი ყველაზე დიდი მტრები არიან დაღესტანშიო“. შამილი რომ გრ. ორბელიანის დაუძინებელი მტერი იყო და ყოველთვის დიდი მონდომებით ეძებდა მისი დაღუპვის მომენტს, ამას გვიდასტურებს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1849 წლის 23 აპრილს დერბენდის გუბერნიის ჟანდარმთა კორპუსის ოფიცერთა შტაბის მიერ შეფ-ჟანდარმ გრაფ ორლოვის სახელზე[1].

გრ. ორბელიანი მტრის ამ მოულოდნელ თავდასხმას არამცთუ გადაურჩა, არამედ გამოიჩინა დიდი მამაცობა და ბნელ ღამეში მტერს (არსებობს გადმოცემა—საცვლებამარა) გამოუდგა და დიდი ზიანიც მიაყენა. შამილს შურისძიების გრძნობა არ ასვენებდა.

1850 წელს შამილის ბანდები თავს დაესხნენ ჭარ-ბელაქანის მაზრას და ააოხრეს. მოკლეს მაზრის უფროსი ზაქარია ერისთავი, რომელიც გაბედულად იცავდა ამ მხარეს მტრის შემოსევისაგან.

ამავე წელს გენერალი გრიგოლ ორბელიანი დანიშნეს ე. წ. ლეკის საკორდონო ხაზის უფროსად. მასვე დაევალა ჭარ-ბელაქნის დაცვის გაძლიერება და ლეკის ხაზზე დაბანაკებული მცველი ჯარების სარდლობა. ეს ის პერიოდია, როცა შამილისა და მისი მიურიდების მიერ გაბრიყვებული მთიელები თანდათან რწმუნდებიან, თუ საითკენ მიჰყავდა ისინი შამილის დიქტატურულ სისხლიან ტერორს და მასთან დაკავშირებულ უსასრულო სისხლის ღვრას. ბარათში, რომელიც 1850 წლის 11 აპრილს მიუწერია გრ. ორბელიანს ძმისადმი, ილიასადმი, ამის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „კარგი ნიშანია...რომ ხალხის ჰაზრი მიურიდებზე იცვლება ნელნელა“[2]. პირადად შამილსა და მის ცნობილ ნაიბს ჰაჯი-მურადს

---

[1] ამ დოკუმენტით ვტყობილობთ, რომ 1849 წ. 14 აპრილს ღამით შამილის უმამაცესი ნაიბის, ჰაჯი-მურადის მეთაურობით მტრის 500 კაციანი რჩეული ლაშქარი მოულოდნელად დაესხა თავს თემირხან-შურს, «Цель набега их на Шуру, как полагают была для грабежа и убийства генерал майора князя Орбелянова, к которому Хаджи Мурат питает вражду» (სსრ კავშირის შსს მთავარი საარქივო სამმართველოს ცენტრ. სახელმწიფო ისტ. არქ. III განყ. 1 ექსპ. საქ. № 199, ფ. 22—23).

[2] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 207.

შორის მტრობა ჩამოვარდა და შინაგანი ბრძოლა გაჩაღდა. შამილმა დაძლია ჰაჯი-მურადი და გადააყენა ნაიბობიდან. ამის შესახებ 1851 წელს გრ. ორბელიანი თავის ძმას ილიას სწერს: „ჰაჯიმურად გამოუცვლია შამილს ნაიბობიდან...,აუკლია იმის სახლკარი და ნაიბობა მიუცია ჰანკა ფათალისათვის, სურხაი ხანის შვილი,—ჩემი ნოქერი იყო, ფინთი, უჯიშო, უჭკუო და უვაჟკაცო, არ ვიცი რა ფიქრი მოსვლია შამილას ამის ნაიბობა"[1].

ტერორსა და მეზობელი ხალხების ძარცვაზე დამყარებული შამილის ანტიხალხური სისხლიანი რეჟიმი შეირყა და რღვევა იწყო, როგორც კი რუსეთის მხედრობამ შეძლო დაეკეტა ყველა გასასვლელი „ლეკის ხაზით", საიდანაც შამილი თავდასხმებს ახორციელებდა მეზობელ ხალხებზე. შამილის მდივნის მუჰამედ თაგირის ცნობით, ამიერიდან, გარდა იმისა, რომ უზდენების ძარცვა და ექსპლოატაცია იზრდება, ნაიბებმა ერთმანეთს დაუწყეს ძარცვა, გავრცელდა დასმენა, ძალადობა და ურთიერთშორის შუღლი.

უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობა შამილის რაზმების უკანდახევისას განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს შამილის პირად ქონებას.

გლეხობას ბრძოლა მობეზრდა, ზურგი შეაქცია შარიათს და შამილის დამარცხებას იყენებდა იმისათვის, რომ მოლაპარაკება გაება მოსაზღვრე რუსებთან და მასობრივად გადასულიყო მათ მხარეზე. ამ პერიოდიდან იმამატის შინაგანი ანარქია იჩენს თავს, შამილს გადაუდგა ზოგიერთი ერთგული ნაიბიც.

1851 წ. 6 ოქტომბერს გრ. ორბელიანი სვიმონ შალიკაშვილს შამილსა და ჰაჯი-მურადს შორის გაწვავებული ბრძოლის შესახებ სწერდა: „ჰაჯიმურადი აბუნტდა და გადასულა სოფ. ს ი უ ხ ს.. გადუტანია იქ ზარბაზნები და ძალიან გაუმაგრებია სანგრებითა. შამილი და სულთანი მიაულან ნაიბებით და ჯარითა, შემოსდგომიან სამი დღე, მაგრამ ჰაჯი-მურადს ძალიან დაუმარცხებია, ბევრი ტყვე და ცხენები წაურთმევია"[3]. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ შამილმა სასტიკად დაამარცხა ჰაჯი-მურადი.

ცნობილია, რომ ამ მარცხის შემდეგ ჰაჯი-მურადი რუსეთს მიემხრო, 1852 წ. 13 თებერვალს ჰაჯი-მურადი ზაქათალაშიაც კი

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 19.

[2] А. Руновский, Мюридизм газават в Дагестане по объяснению Шамиля, «Военный вестник», № 42.

[3] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 27.

სწევეია გრ. ორბელიანს; ამის შესახებ თავის ძმის, ილია ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში იგი წერს: „ჰაჯი-მურადი აქ მოვიდა ჩემთან სტუმრად, მაგრამ ყოველდღე ავდარია და ვერსაით ვერ წავედით, მხოლოდ ვანადირე-კი რამდენჯერმე მწევრებითა"[1].

შამილის ავაზაკური თავდასხმებით დიდად შეწუხებული იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურები, განსაკუთრებით თუშები. შამილის რაზმები ქურდულად ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, სტაცებდნენ ცხოველებს, საკვებს, ავეჯს და თან მიჰყავდათ ტყვეები, რომელთა გამოსყიდვისათვის შემდეგში დიდი რაოდენობის ფულს ითხოვდნენ. დაზარალებული თუშები ვაივაგლახით იშვიათად თუ ახერხებდნენ შამილის რაზმების მიერ გატაცებული ქონებისა და ტყვეების უკან დაბრუნებას; 1851 წ. 21 აგვისტოს გრ. ორბელიანი თავის ძმას ილიას სწერდა: „თუშებმა კიდევ გაიმარჯვეს: ათასი სული ცხვარი მორეკეს ქისტებიდამ. გუშინ მთლად ჭარელები გავგზავნე მთაში გოდორდალთან გზის წასახდენად, ასე რომ ცხენოსანმა ველარ გამოვლოს. აბა სად გაგიგონია უწინდელს დროში, რომ ჭარელები გზებს ახდენდნენ ლეკების საზიანოდ?"[2].

შამილის რაზმები თავისას არ იშლიდნენ, ისინი დროდადრო ახერხებდნენ და თავს ესხმოდნენ საქართველოს და მის მოსაზღვრე რაიონებს. ერთ-ერთი ამგვარი მორიგი თავდასხმის გამო 1851 წ. ივლისში გრ. ორბელიანი ილიას სწერდა: შამილის რაზმები „...29 ივნისსა მოუხდნენ ყოდორის ციხესა, სამჯერ ბაირაღებით, წივილკივილით, მოიტანეს იერიში კოშკზედა, მაგრამ სამჯერვე დაბრუნდნენ შერცხვენილნი: მაშინ ერთი პარტიაც გამოჩნდა შილდის ხეობაში, და ესეცა ფიცხლავ გაიქცა, რა ნახეს გამოსული მდევარი და როტა რუსისა"[3].

მტრის თავდასხმები არ ნელდებოდა და ხშირ-ხშირ ატყდებოდა თავს საქართველოს. მტრის ქურდული თავდასხმების მოგერიება ძნელი ხდებოდა თვით საგანგებო საკორდონო ხაზის მრავალრიცხოვან დამცველთათვისაც კი. მაგალითად, 1851 წ. 13 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას სწერდა: „ყობასჩოლიდამ შეატყობინეს ბელაქნელებსა საქონლის მოტაცება კახეთი-

---

[1] ჰაჯი-მურადი შემდეგში ამხილეს, მან რუსეთსაც უღალატა და გაქცევის დროს მოკლეს. ამის შესახებ 1852 წ. 4 მაისს თავის ძმას, ილია ორბელიანს, გრიგოლი სწერს: „ჰაჯი-მურადის ჩაძაღლება ძალიან მიამა, თუმცა კი არ უნდა მომხდარიყო ამგვარად, აქაურ ხალხსაც იამა ძალიან".

[2] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 19.

[3] იქვე, გვ. 13.

დამ; იმ საზარალს ღამეში აფხაზოვმა მოაგროვა 40-მდის ბელაქნელი და წავიდა გზის შესაკვრელად.—ორს ვერსზედ ბელაქნიდან ერთბაშად ზედ წააწყდა იმ პარტიას, აქაც მისცეს ცეცხლი, დააყრევინეს სამი ქართველი ტყვე და დაფანტეს ეს პარტია... ჯერ არ ვიცი რამდენი ჰყავს მტერსა მკუდარი, მაგრამ ერთი ასეთი მკუდარია, რომ ჰღირს ასს კაცსა. ეს გახლავთ ბელაქნელი ყაჩაღი ლ ა ლ ა ა ბ დ უ ლ - ქ ე რ ი მ ო ღ ლ ი,—ერისთავის მკვლელი"[1].

დასასრულს აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ მძაფრი ბრძოლის მანძილზე, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტხანს გრძელდება, როგორც დავრწმუნდით, საქართველო უშუალოდ განიცდის შამილის რაზმების სისტემატურ ვერაგულ თავდასხმებს და ძარცვა-გლეჯას; ამიტომ, ბუნებრივია, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხი მასობრივად მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ სისხლმღვრელ ბრძოლებში და, განუყრელად უდგა რა გვერდში დიდ რუს ხალხს, ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მტერზე[2]. ვფიქრობთ, ზემომოყვანილი საილუსტრაციო დოკუმენტური მასალა აღნიშნულის უდავო დამადასტურებელია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხედრობა ძალ-ღონეს არ იშურებდა და ადგილობრივი მოსახლეობის ესოდენ აქტიური მონაწილეობით თავგამოდებით იბრძოდა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ, ამ პერიოდში მტრის განადგურება მაინც ვერ მოხერხდა, თუმცა მტერს სერიოზული ჭრილობები მიაყენეს და ამიტომ იგი საკმაოდ შერყეული შეხვდა მომდევნო პერიოდის დიდ ისტორიულ ბრძოლებს; განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1850-იანი წლებიდან შამილი დაუცხრომლად ცდილობს კავკასიის მარჯვენა ფლანგზე—ჩერქეზეთში (ადიღეი) მტკიცედ ფეხის მოკიდებას და მკვიდრთა გადმობირებას, რათა უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა თურქეთსა და ევროპასთან. ამ მიზნით მან იქ მეთაურად დანიშნა თავისი ყველაზე უფრო სანდო, უგავლენიანესი ნაიბი მაჰმად-ემინი, რომელიც საგანგებოდ იყო მოვლენილი თურქეთიდან[3].

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შამილი რუსეთსა და თურქეთს

---

[1] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. II, გვ. 21.

[2] ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე შამილის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებისათვის გრიგოლ ორბელიანის ღვაწლი შესაფერად იქნა დაფასებული. ეს ფაქტი ნათელ გამოხატულებას პოულობს 1853 წლის 2 მარტს გამოქვეყნებულ სიგელში (იხ. გაზ. „Кавказ", 1853, № 24).

[3] „Вопросы истории", 1950, № 11 და „Покорен. Кавказ", გვ. 493—94.

შორის მოსალოდნელი ომის შესახებ ადრიდანვე იყო ინფორმირებული; ამიტომ იგი საჭირო სამზადისსაც ეწეოდა. ამის შესახებ მაჰმად-ემინი შემდეგს გვაუწყებს: „ჩვენ ველოდით ომს რუსეთსა და თურქეთს შორის, მე ვიცოდი ომის შესახებ კონსტანტინოპოლში მყოფ ჩვენი კომისრების მეშვეობით"[1]. სწორედ ამ ომზე ამყარებდა შამილი მთელ თავის იმედებს მისთვის გამოუვალი მდგომარეობიდან და იმამატის შიგნით აღმოცენებული მომაკვდინებელი კრიზისისაგან თავის დასაღწევად. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომმა მართლაც გაახანგრძლივა შამილის სისხლიანი ბატონობა მთის ხალხებზე.

შექმნილი კონკრეტულ-ისტორიული პირობების საფუძველზე განსაკუთრებით დიდი იყო ქართველი ხალხის მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წწ. ომში. იგი გამოვლინდა უფართოესი მასების აქტივობასა და თავდადებულ გმირულ ბრძოლებში თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ქართული მილიციის ნაწილების შექმნა 1853—56 წწ. მეტად მასობრივ და ცხოველმყოფელ ხასიათს იღებს.

კავკასიის სარდლობის 1854 წ. ბრძანებით თურქეთისა და შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად დამატებით შეიქმნა 10 ასეული სამილიციო ნაწილები, ხოლო 1 მაისს თურქეთის საზღვარზე უკვე იმყოფებოდა 90 ასეული. შეიქმნა ცალკე წოდებრივი რაზმები და გაერთიანებები.

მაგალითად, თურქეთიდან საომარი მოქმედების დაწყების პირველი დღეებიდანვე შეიქმნა „Горийская княжеская и дворянская дружина" ...„Тифлисская княжеская и дворянская дружина".

გორის ნაწილის მეთაურად დაინიშნა გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი პორუჩიკი ერისთავი, ხოლო თბილისისა— ბარათაშვილი.

ჩვენ ხელთ გვაქვს ზუსტი ცნობები ამ პერიოდში ქართველ მილიციელთა რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ, რომლებიც ჩაბმული იყვნენ ბრძოლებში.

ესენი იყვნენ: გურულების ქვეითთა 12 ასეული, იმერეთის 6 ასეული, სამეგრელოს 2 ასეული. ცხენოსანთა: იმერეთის 12 ასეული, სამეგრელოს 6 ასეული. გარდა ამისა, ახალციხის 2 ასეული, ოსეთის — 1, გორის — 5 ქვეითა და 5 ცხენო-

---

[1] „Русское слово", 1860, გვ. 235.

ხანი, თბილისის — 5 ქვეითა, ახალქალაქის — 5 ცხენოსანი. 15 ასეული შეგროვდა კახეთში. სულ 81 ასეული. აქ არ შედის თუშ-ფშავ-ხევსურეთის, სვანეთისა და სხვათა დანაყოფები. «Начальником всей этой милиции был полковник князь Андроникашвили»[1].

სამხედრო თავდაცვითი მდგომარეობის გართულებასთან ერთად შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა ქართული მილიციის რაოდენობა, იგი 143 1/2 ასეულამდე აღწევდა.

გარდა ამისა, შამილის წინააღმდეგ ლეკის საკორდონო ხაზზე განლაგებული იყო საქართველოს ქვეითი ლაშქარი, კახეთის 18 ასეული მილიცია, ჭარ-ბელაქნის—5, თუშ-ფშავ-ხევსურეთის 11 1/2 ასეული, კასპიის მხარეზე—16 1/2 და კავკასიის მხარიდან—32 ასეული.

1854 წ. ივლისში თბილისის დაცვის გაძლიერების მიზნით თბილისის თავადაზნაურობის, მოქალაქეებისა და ამქრებისაგან შეადგინეს ქალაქის („Ополченец") მოლაშქრეთა რაზმები, რომლებსაც სათავეში გენერალ-მაიორი თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი ჩაუდგა. ამ მოხალისეთა რაზმებში სულ მალე გამოცხადდა 1500 კაცი თავისი იარაღით, ხოლო 5.000—უიარაღოდ. ეს ლაშქარი დაიყო წოდებების მიხედვით ცალკე შემადგენლობებად და სამხედრო ერთეულებად თვით მუხრანსკისავე ხელმძღვანელობით.

1855 წელს მილიციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: იმერეთის ცხენოსანთა 21 ასეული და ქვეითთა 28 ასეული, გურიის ქვეითთა 28 ასეული, სამეგრელოს ცხენოსანთა 17 და ქვეითთა 10 ასეული, სამურზაყანოს ცხენოსანთა 2 და ქვეითთა 2 ასეული, სულ ცხენოსანთა 40 ასეული და ქვეითთა 68 ასეული[2].

ომერ-ფაშას შემოსევის შემდეგ მილიციელ მოხალისე-მოლაშქრეთა რიცხვი დიდად გაიზარდა. მაგალითად, დეკემბერში გურიის რაზმებში იმყოფებოდა: იმერეთის ხუთი 400-კაციანი ცხენოსანთა და ერთი ასკაციანი რაზმელი მილიციელი; გარდა ამისა, ხუთი ხუთასკაციანი დრუჟინა — სულ 46 ასეული, ასევე გურიის 10 ასეული ქვეითთა ლაშქარი და სხვა.

გარდა ამისა, ლეკის ხაზის დასაცავად გამოყვანილი იყო აღმოსავლეთ საქართველოდან: 10 ასეული ქართული ლაშქარი, მო-

---

[1] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს სახელმწიფო ისტ. არქივი, ფ. 167, საქმე 334.

[2] იქვე.

ხალისე ცხენოსანთა — 6 ასეული; თელავისა და სიღნაღის მაზ-რებიდან — 32 ასეული; თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან — 13 1/2 ასეული მილიციელი, ამასთანავე კასპიის მხარეთა დასაცავად გაწვეული იყო 24 1/2 ასეული და სხვ[1].

1856 წლის მარტში გამოიცა ბრძანება მილიციის ახალი რაზ-მების გაწვევის შესახებ, მაგრამ პარიზის საზავო ხელშეკრულებამ, რომელიც მალე დაიდო, შეაჩერა მილიციაში მოსახლეობის შემდ-გომი გაწვევა. მარტის ბრძანებით გაწვევა ეხებოდა ქ. თბილისის მოქალაქეებს, რომლის უფროსად გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკი უკვე წინასწარ იყო დანიშნული. მარტო თბილისის მოქალაქე მო-ხალისეთა რიცხვი ამ დროს წინასწარი გაანგარიშებით 6158 აღ-წევდა.

თურქ-დამპყრობთა და შამილის წინააღმდეგ ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მასობრივად ჩაბმულ ქართულ სამი-ლიციო ნაწილებს, როგორც რუსეთის რეგულარულ ჯარის ნაწილთა დამხმარე ძალას, ამ უკანასკნელთან შედარებით ბევრად ძნელ პი-რობებში უხდებოდათ ბრძოლა. მასობრივი ეპიდემია, შიმშილი და სხვა ხშირად დღეს უსწრაფებდა მებრძოლებს. მაგალითად, თუ რამდენად დიდი ყოფილა შემმუსრავი ეპიდემიის შედეგები ლეკის საყარაულო პუნქტებსა და საკორდონო ხაზებზე, ამას მოწმობს გრ. ორბელიანის წერილი ძმისადმი, ზაქარიასადმი თემირხანშურიდან, რომელიც დაწერილია 1846 წ. 1 ივნისს. გრ. ორბელიანი წერს: „დოხტური იყო გამოგზავნილი აქა განგებ იმისთვის, რომ აქაურს ღოშპიტალში შეამციროს ის საშინელი смертность, რომლითაც 1844 წ. იხოცებოდნენ თვეში ხუთასი კაცი"[3]. დოკუმენტებით დას-ტურდება, რომ დახოცილთა დიდ ნაწილს სამილიციო რაზმებში გაერთიანებული „ლეკის საკორდონო ხაზის" დამცველი ქართველი გლეხკაცობა შეადგენდა.

ასეთია არასრული სურათი კავკასიის ფრონტზე რუს მხედრო-ბასთან ერთად ქართველი ხალხის, მისი სამილიციო ნაწილების მასობრივი საბრძოლო მონაწილეობის შესახებ 1855 წლამდე. ეს მონაწილეობა შემდეგში რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომის პერიოდში, როგორც აღინიშნა, უფრო გაღრმავდა, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ არ ვეხებით[2].

---

[1] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს სახ. ისტორიული არ-ქივი, ფონდი 167, საქ. 334.

[2] იქვე.

[3] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 124.

## თავი მეოთხე

## საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება ყირიმის კამპანიისა და მიურიდთა დივერსიების პერიოდში

### 1. საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება ყირიმის კამპანიის დასაწყისში

ყირიმის კამპანია (1853—1856 წწ.) და მისი შედეგები დიდ ისტორიულ მოვლენად რჩება ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ყირიმის ომმა და რუსეთში აღმოცენებულმა გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ძირფესვიანად შეარყია მეფის რუსეთის ბატონყმური რეჟიმი, სერიოზულად შელახა ცარიზმის საერთაშორისო გავლენა და დასაბამი მისცა „პირველ დემოკრატიულ აღმავლობას რუსეთში", რომელიც 1860-იანი წლებიდან უაღრესად ძლიერდება[1].

ინგლის-საფრანგეთისა და თურქი დამპყრობლების რუსეთის წინააღმდეგ კოალიციურმა გამოლაშქრებამ ყირიმთან ერთად ამიერკავკასია და, განსაკუთრებით, საქართველო სისხლისმღვრელი ომების ასპარეზად გადააქცია. ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა ერთხელ კიდევ შემოწმდა და ცხადად დადასტურდა მისი ძლიერება და სიმტკიცე. ყირიმის კამპანიის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის მდგომარეობა უაღრესად თავისებური და მძიმე იყო. გარდა იმისა, რომ საქართველოს სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრებიდან გააფთრებით თავს ესხმოდნენ თურქი დამპყრობლები, ზურგიდან შამილი ემუქრებოდა მახვილის ჩაცემით.

მიურიდიზმი და შამილის მოძრაობა ამიერიდან ახალ ეტაპში შედის და ახალი თავისებურებით ხასიათდება. შამილისა და მის მიურიდთა მტარვალური მოქმედება ამ პერიოდში მთლიანად განპირობებულია აღმოსავლეთის, ანუ ყირიმის ომის საერთო მოვლენებით და, კერძოდ კი, საქართველოსა და კავკასიის ფრონტებზე წარმოებული ისტორიული, არსებითად კოორდინირებული, ბრძოლებით.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. XXX, გვ. 192, რუს. გამოცემა.

ინგლის-თურქეთის სარდლობისა და მათი აგენტების უშუალო ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივად გააქტიეებული შამილის მთელი საბრძოლო მოქმედება ამ პერიოდში განუყრელად დაკავშირებული და ერთიანად კოორდინირებული იყო მოკავშირეთა სარდლობის სამხედრო ოპერატიულ გეგმასთან. რუსეთი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. განსაკუთრებით გართულდა ვითარება კავკასიაში. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას ისიც აძნელებდა, რომ მოკავშირეებმა რუსეთის ძალთა დაქსაქსვის მიზნით იგი აიძულეს ომი ეწარმოებია იმპერიის ვრცელი ტერიტორიის ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ფრონტებზე. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ბრძოლების ასპარეზად იქცა თეთრი და შავი ზღვის სანაპიროები, წყნარ ოკეანეზე რუსეთის გასასვლელი—კამჩატკა, ფინეთის ყურე, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამთავროები, საქართველოსა და კავკასიაში თურქეთის მოსაზღვრე ყველა რაიონი.

ყირიმის ომის პერიოდში კავკასიის ფრონტი განსაკუთრებული მნიშვნელობის ფრონტად იქცა. საომარი მოქმედება ამიერკავკასიის საზღვრებზე დაიწყო და სისხლისმღვრელი ბრძოლები არ შეწყვეტილა პარიზის საზავო ხელშეკრულების დადებამდე. საქართველოსა და კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში. ქართველმა ხალხმა ამ ომში უდიდესი თავდადება გამოიჩინა. იგი არ შეუდრკა მსხვერპლს და არ შეუშინდა მოსისხლე მტრის მიერ საკუთარი მიწა-წყლის ოკუპაციას, დამპყრობლების წინააღმდეგ გააჩაღა სახალხო გამათავისუფლებელი ომი და რუსეთის ჯარების მხარდამხარ კავკასიის ყველა ფრონტზე მანამდე არ გაუგდია ხელიდან იარაღი, ვიდრე მტერი არ გაანადგურა.

საომარი მოქმედების დაწყებამდე ბევრად ადრე თურქეთის სულთანმა შამილს მიმართა საგანგებო ფირმანით, რომლითაც გააცნო კავკასიიდან რუსეთის განდევნის თავისი საიდუმლო გეგმა და მისცა ომისათვის გაძლიერებით მომზადების სპეციალური დავალებები. სულთანი მოუწოდებდა შამილს, რომ მომავალ „დიდ სამღვთო“ ომში მას თავი ესახელებინა ახალი საგმირო საქმეებითა და დიდებით.

შამილი, ომის დაწყებიდანვე, ახალი ენერგიით აჩაღებს ბრძოლას და სულ უფრო აძლიერებს შეტევებს რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ აკმაყოფილებდა ინგლის-თურქეთის მაშინდელ ხელისუფალთ.

1853 წელს, ომის დაწყებისთანავე, თურქეთის სულთანი აბდულ მეჯიდი დაბეჯითებით ავალებდა შამილს რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ ომში უფრო მეტი თავდადებით მოქმედებას, ხოლო სამაგიეროდ პირდებოდა კავკასიაში ყველა ხანსა და თავადზე სრული ბატონობის უფლების მინიჭებას. ამასთანავე, სულთანი შამილს არწმუნებდა: „შევეცდები შეგიქმნა დიდი სახელი შენი სიმამაცისა და იმის შესახებ, რომ შეგიძლია ალაჰის გულისათვის გასწირო სიცოცხლე და ქონება. ჩემგან დიდ ჯილდოებს მიიღებ სამსახურისათვის, გარდა იმისა, რომ ღმერთი დაგაჯილდოებს საიქიოში“ [1].

შამილი სულთანის ამ მოწოდებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. მან პირობა აღუთქვა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა „ქრისტიანების წინააღმდეგ“ და ახალი ენერგიით შეუდგა მზადებას ლაშქრის გამრავლება-მზადყოფნისათვის. შამილი უმეტესად იძულებით, დაშინებით და ტერორისტული მეთოდებით ახერხებდა მთის ხალხების თავის მხარეზე გადაბირებას და ლაშქარში გაერთიანებას. აი, ამის მეტად საყურადღებო ერთ-ერთი დოკუმენტი, საიდანაც დასტურდება, რომ როცა შამილი მოუწოდებდა ტაბასარანელებს და კაიტაღელებს თურქეთის მხარეზე ომში მონაწილეობის მისაღებად, ამავე მოწოდებასთან ერთად ხალხს ემუქრებოდა: „Если вы не сделаете так, как мы говорим, то после того, как вы попадаете под нашу власть то вы себя вините тогда, а не нас. Тогда вы будете каяться, но ваши каяния не заставят нас сжаловаться над нами“ [2]. შამილისა და თურქეთის სულთანის მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს ტერიტორიიდან წარმატებით ხორციელდებოდა თურქეთის თბილისელი კონსულის სეიდ-მაჰმად-ემინ-ბეის მეშვეობით, ვიდრე მოხდებოდა ამ უკანასკნელის მხილება, როგორც აგენტისა. გარდა ამისა, კარგადაა გამორკვეული ისიც, რომ ინგლისსა და საფრანგეთს ამავე პერიოდში კავკასიაში თავისი აგენტურის დიდი ქსელი ჰქონდათ გაბმული.

საყურადღებო დოკუმენტებით ფარდა ეხდება სულთანისა და

---

[1] საბუთი დაცულია დაღესტნის მუზეუმში, საინვენტარო № 13661. მომყავს ა. ა. დანიალოვის წერილიდან Об извращениях в освещении мюридизма и движения Шамиля, რომელიც გამოქვეყნებული იყო „Дагестанская правда“-ში 1950 წ. 28 ივლისს.

[2] იქვე.

შამილის ამ საიდუმლო ურთიერთობას[1]. ირკვევა, რომ თურქეთის თბილისელ კონსულს თავის ირგვლივ ჯაშუშების მთელი ხროვა ჰყავდა შემოკრებილი. ეს ფაქტი შეუმჩნეველი მაშინაც არ დარჩენილა. ამაზე მეტყველებს თბილისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლის კოლუბიაკინის 1853 წ. 19 აგვისტოს თარიღით შედგენილი საიდუმლო მოხსენება, გაგზავნილი გრ. ორბელიანისადმი, რომელშიაც ლაპარაკია თბილისში თურქეთის კონსულის სეიდ-მაჰმად-ემინ-ბეის ამ ჯაშუშური საქმიანობის შესახებ[2]. ამასთანავე, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შამილთან ასევე უშუალოდაა დაკავშირებული ინგლისი და მისი აგენტები და უწევენ მას ყოველმხრივ დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1854 წ. 23 მაისს მარქსი წერდა, რომ ინგლისის «Эскадра под командой контрадмирала Лайонса, должна вступить в связь с черкесами, в особенности с вождем их, Шамилем»; იქვე აღნიშნულია: «Одновременно мы узнаем, что сюда же плывет турецкий флот, который везет необходимые для черкесов предметы вооружения» [3].

რუსეთ-თურქეთის ომის დროს ინგლის-საფრანგეთის დაზვერვის ძირგამომთხრელი მუშაობა კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ არაჩვეულებრივად გაცხოველდა. თურქეთის სარდლობასა და შამილთან მჭიდრო კავშირში მოქმედებდა ინგლის-საფრანგეთის მრავალი აგენტი, მაგ., გრაფი მეფრე, ფ. ლონგვორტი, შამპოუზონი, როზმორდიუკი და სხვ. რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის მოქმედი აგენტურის მტრული საქმიანობა კავკასიაში ხელს უწყობდა შამილის გავლენის ზრდას მთის ხალხებში, აწვდიდა სამხედრო საიდუმლო ცნობებს მოკავშირეებს, აბრიყვებდა მთის ჩამორჩენილ ხალხებს და ამარაგებდა მათ იარაღით.

---

[1] ინგლისელმა და თურქმა დამპყრობლებმა, როგორც ეს უამრავი დოკუმენტით მტკიცდება, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე და ომის პერიოდში განსაკუთრებით გააძლიერეს სამხედრო დახმარება შამილისადმი, მთა თავიანთი აგენტებით აავსეს. „То Турция, то Англия высылала к нам множество агентов подстрегателей, доставлявших им оружие, порох и постоянно разжигавших их против русских. За поимку одного их таких Эмиссаров, англичанина Беля даже была назначена довольно крупная премия. „Покорен. Кавказ.", стр. 433.

[2] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს სახ. ისტ. არქივი, ფონდი 11, საქმე 2408, ფ. 2—3 და სხვ.

[3] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. X, გვ. 39—40.

შამილთან ასევე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეგვიპტის ფაშა მუჰამედ-ალი, რომელიც თურქეთის სულთანის დავალებით კავკასიის მთიელებს აფრთხილებდა და ურჩევდა, რომ მთლიანად დამონებოდნენ შამილს. „შამილ-ეფენდი დავნიშნე თქვენს შაჰად, გამოვუგზავნე მას ორი ბეჭედი და გავალებთ მისდამი სრულ მორჩილებას“ [1].

ამგვარად, ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფალნი ისე, როგორც თურქეთის სულთანი, დიდ იმედებს ამყარებდნენ შამილზე და ყველაფრით ეხმარებოდნენ მას.

მათი აზრით, კავკასიის ფრონტზე, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მოკავშირეთა ჯარები და შამილის ლაშქარი ერთმანეთს უნდა შეერთებოდნენ და ამ გზით კავკასია მთლიანად მოეკვეთათ რუსეთისაგან. მტერს ეს უკანასკნელი გეგმა სავსებით რეალურად მიაჩნდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სევასტოპოლი დაიკავეს და აქედან ყირიმში გაბატონებით საბოლოოდ იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი ამ ავაზაკური გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში. ამით აიხსნება ის, რომ თურქეთის, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველებმა კავკასიის ფრონტზე თავი მოუყარეს დიდძალ ჯარს.

1854 წ. აპრილში შეპყრობილ იქნა ინგლის-თურქეთის ჯაშუში, რომელსაც აღმოაჩნდა შამილის მიერ შედგენილი კავკასიის რუკა და წერილები ანატოლიაში მოქმედ თურქეთის სარდლობის სახელზე.

თურქეთისა და მოკავშირეთა ბოროტი მისწრაფებანი მიპყრობილი იყო კავკასიისა და ყირიმისაკენ. ისინი ყველა ღონისძიებით ცდილობდნენ ყირიმისა და კავკასიის რუსეთისაგან ჩამოგლეჯას და აქ თურქეთის გაბატონებას. მოითხოვდნენ რუსეთის გაძევებას ყუბანისა და თერგის გადაღმა.

ამ დიდი მასშტაბის ბრძოლებში ქართველმა ხალხმა, კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, უდავოდ დიდი როლი ითამაშა. შევჩერდეთ ფაქტებზე.

თურქეთმა ომის გამოცხადებიდან სულ მალე ბათუმში სელიმ-ფაშას სარდლობით 36.000 მეომრისაგან შემდგარი კორპუსი გადმოსხა; თურქთა მეორე საჯხედრო დანაყოფმა ისე, რომ ომი ჯერ არც კი იყო გამოცხადებული, 5.000-კაციანი ლაშქრით, რომელსაც რენეგატი ალი-ბეგ თავდგირიძე სარდლობდა, გადალახა

---

[1] „Акты“, ტ. IX, გვ. VI.

ჩოლოქი და სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ მოახერხა შეკვეთილის დაპყრობა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო მტრის ძალები ახალციხის მიმართულებით, რომელსაც აბდი-ფაშა სარდლობდა; აქ 40.000 კაცზე მეტი ლაშქრისაგან შემდგარი მტერი რეზერვებს დღითი დღე აძლიერებდა; ასევე, აფხაზეთ-სამეგრელოს მხრიდან საქართველოში შემოსაჭრელად, ინგლის-საფრანგეთის მითითებით, გააფთრებით ემზადებოდა 30.000-იანი ლაშქარი ომერ-ფაშას სარდლობით.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, როგორც აღვნიშნეთ, და, განსაკუთრებით, ომის პერიოდში ინგლის-თურქეთის მეთაურობით კავკასიის მთიანეთში, უმთავრესად დასავლეთ რაიონებში, გაჩაღდა დიდი მასშტაბის დაზვერვითი და აშკარა დივერსიულ-აგენტურული საქმიანობა. მაგალითად, ჩერქეზეთში ამ პერიოდში გაიგზავნა ცნობილი სამხედრო აგენტი სეფერ-ბეი; ანაპაში 1854 წ. ჩამოვიდა ინგლისის აგენტი ლონგვორტი, რომელიც ცდილობდა 6.000 მთიელი მეომრის შეგროვებას, მათს შეიარაღებას და გადაყვანას ყირიმის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთის მდგომარეობა შავი ზღვის სანაპირო სტრატეგიულ ადგილებში მეტად დაძაბული გახდა. მტერმა მოხერხებულად ისარგებლა მდგომარეობით და რეგულარული ჯარებისაგან დაცლილი ზღვისპირეთი დაიპყრო. იგი შეიჭრა აფხაზეთსა და სამეგრელოში და მთელ დასავლეთ საქართველოს დიდი საშიშროება შეუქმნა.

გაქრა შავიზღვისპირეთის სიმაგრეთა ხაზი, რომელიც 1830-იან წლებში დიდი მსხვერპლის ფასად — სოჭის, ტუაფსეს სუბაშისა და სხვათა გათავისუფლების გზით აიგო. კერძოდ, ანაპა იქცა მტრის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტად შავიზღვისპირეთიდან საქართველოში რუსეთის მოქმედი ძალების წინააღმდეგ.

კავკასიაში მყოფი რუსის მხედრობა ერთ დროს თითქმის მთლიანად დაკავებული იყო შამილის თავდასხმებისაგან „ქვეყნის დასაცავად“ და განლაგებული იყო ე. წ. „ლეკის საკორდონო ხაზზე“. ახლა კავკასიის სარდლობა იძულებული იყო ამ ხაზებიდან მთელი ჯარები თურქეთის ფრონტზე გადაესროლა და რუსეთიდან დამატებით გამოეთხოვა ძალები. გრ. ორბელიანის ერთი პირადი ბარათიდან ჩანს, თუ როგორ და რა პირობებში გადაყავდა მხედრობა საკორდონო ხაზიდან ფრონტზე. ამის შესახებ იგი თავის ძმას, ილიას სწერდა: „აქედამ რაც კი შეიძლებოდა გამომაცალეს ხელიდამ ჯარები დიდის თავაზით, დიდის თხოვნით „Если нельзя

мы спорить не можем“ და ამგვარი ბევრი ჰანგები, მოდი და ნუ გაუგზავნი და უარი ჰსთქვი?“ [1].

დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირა სიმაგრეთა აგებას (შეკვეთილიდან ანაპამდე) დიდი მსხვერპლი დასჭირდა. ახლა კი ხელაღებით წაიყვანეს იქედან ჯარები და საგარნიზონო ნაწილებისაგან დააცარიელეს. ამის მიზეზები მხოლოდ ის იყო, რომ ნიკოლოზ I და რუსეთის მაშინდელი სარდლები ვერ ითვალისწინებდნენ კავკასიის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და უგულებელყოფდნენ სტრატეგიას. ასევე დააცარიელეს რიონისპირა საომარი მოქმედების ასპარეზი, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს თავდაცვის სიმაგრეები. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ომერ-ფაშას საექსპედიციო კორპუსმა დროებითი წარმატება მოიპოვა ამ მხარეში, სანამ დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა დამპყრობ ომერ-ფაშას ლაშქრის წინააღმდეგ რუსეთის მხედრობასთან ერთად საყოველთაო-სახალხო ხასიათის ომს არ გააჩაღებდა.

შავი ზღვის სანაპირო ხაზიდან რეგულარული მხედრობისწაყვანის წინააღმდეგი იყვნენ მეფის ხელისუფლების როგორც ადგილობრივი მოხელენი, ისე სამხედრო წრეები. მაგალითად, ა. ზისერმანი წერდა: „მთელი ეს სამწუხარო ოპერაცია უკვე ჩვენს სასტიკად დამარცხებას უდრიდა. ჩვენ მივატოვეთ სიმაგრეები და ნაგებობანი, რომელთა შექმნა დიდძალი სისხლი და ფული დაგვიჯდა, მივატოვეთ, რადგან შეუძლებელი იყო მათი ერთდროული დაცვა, ერთი მხრივ, მოწინააღმდეგის ფლოტისა და, მეორე მხრივ, ჩერქეზთა იერიშებისაგან. შავი ზღვის სანაპირო ხაზის დატოვება წარმოადგენდა იმ პირქუში ეპოქის ერთ-ერთ სავალალო მოვლენას“ [1]. ამიტომ იყო, რომ ომერ-ფაშას ურდოების წინააღმდეგ ფაქტიურად იბრძოდა რუსეთის მცირერიცხოვანი მხედრობა, გურიის რაზმი, დასავლეთ საქართველოს სამილიციო ნაწილები და სხვა მცირე შენაერთები.

ცნობილია, რომ ყირიმის ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე საქართველო და ამიერკავკასია საომარი მოქმედების ასპარეზად იქცა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა.

კავკასიის ფრონტზე შექმნილი დაძაბული მდგომარეობის

---

[1] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. II, გვ. 77.

[2] «Русский архив», 1892, стр. 510.

გამო იმპერატორი ნიკოლოზ I კავკასიის მეფისნაცვალს მ. ვორონცოვს მწუხარებით სწერდა: „ჩვენი მდგომარეობა ძალზე ძნელია, ვინაიდან უკვე აშკარაა ინგლისის მტრობა... მთელი ჩემი იმედი შენს მოქმედებაზეა. მსურს და ვიმედოვნებ, რომ შენ არა მარტო განდევნი თურქებს, არამედ გადახვალ გადამწყვეტ შეტევაზე... მაგრამ უწინარეს ყოვლისა შენი ჯანმრთელობა აღდგენილი უნდა იქნეს ისე, რომ, შეჯდები რა ცხენზე, შენს გმირებს გაუძღვე ახალი დიდებისაკენ“ [1].

მიიმე სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა კავკასიის ფრონტიდან მტრის ბევრად ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში ბრწყინვალე წარმატებას აღწევს. მაგალითად, 1853 წლის დასასრულს მტრის დიდი ძალები ახალციხესთან, ბაშკადიკლართან, ალექსანდროპოლსა და აწყურთან სასტიკად გაანადგურეს რუსეთის ჯარებმა, რომლებსაც გენერლები ანდრონიკაშვილი, ორბელიანი, ჭავჭავაძე, მურავიოვი და ბებუთოვი სარდლობდნენ.

ომის დასაწყისშივე საქართველოს საზღვრებზე რუსეთის მხედრობის შესანიშნავმა წარმატებებმა და თურქეთის სერიოზულმა მარცხმა რუსეთის საზოგადოებრიობაში გაზარდა „ოპტიმიზმი დამხნეობის ახალი მოზღვავება გამოიწვია“ [2].

ადმირალ ნახიმოვის ხელმძღვანელობით სინოპის 1853 წლის ისტორიულმა გამარჯვებამ და თურქეთის ფლოტის კატასტროფულმა განადგურებამ თავზარი დასცა აგრესორებს და უაღრესად დიდი გავლენა იქონია ომის მსვლელობაზე.

ამ გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებით აღსანიშნავია კავალერიის გენერლის თავ. ივ. ანდრონიკაშვილის ბრწყინვალე გამარ-

---

[1] Акты, т. X, стр. 769.

[2] ე. ბ. ტ ა რ ლ ე, ყირიმის ომი, ტ. I, გვ. 247. კერძოდ ანდრონიკაშვილის ამ გამარჯვების შესახებ გრ. ორბელიანი 1853 წ. 22 ნოემბერს თავის ძმას ილიას სწერდა: „მთავარმართებელი უკეთ ბრძანდება, ანდრონიკოვის გამარჯვებამ გააცოცხლა“ (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 79). გარდა იმისა, რომ ახალციხესთან ამ ბრძოლაში განადგურდა მტრის დიდი რაოდენობის ცოცხალი ძალა, ამასთანავე მეტად დიდი იყო ნადავლი, რომელიც ხელთ იგდო რუსეთის მხედრობამ. ამაზე გრ. ორბელიანი 1853 წ. 23 ნოემბერს დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა: „ანდრონიკოვის გამარჯვებას ხომ შეიტყობდით; გუშინ ელიზბარ ერისთავი მოვიდა დონესენიით, რომ თორმეტის ზარბაზნების გარდა, რომელნიცა წაართვეს ოსმალებსა, კიდევ ორი ზარბაზანი ეპოვნათ გადაგდებულნი ხევში, დიდი მაღაზეინი პურისა, ამმუნიციისა, огромные запасы пороха и разных разностей, დარჩათ ჩვენს ჯარსა“ (გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. II, გვ. 84).

ჯვება აწყურსა და ახალციხესთან (1853 წლის ნოემბერი), სადაც 30.000 ჯარისკაცისგან შემდგარი თურქთა კორპუსი სასტიკად დაამარცხა შედარებით მცირერიცხოვანმა რუსმა და ქართველმა მეომრებმა. ასევე, გენერალ ბებუთოვის მხედრობამ შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ბაშკადიკლართან და სხვ. კავკასიის ფრონტებზე რუსეთის მხედრობის ამ გამარჯვებებმა დასაბამი მისცეს აალ წარმატებებს და სხვა მორიგ გამარჯვებასთან ერთად (როგორიც იყო ჩოლოქის, ყარსისა და სხვა გამარჯვებანი) რამდენადმე განსაზღვრა დასაღუპად განწირული თურქეთის ანატოლიის მხედრობის ბედი და რუსეთის მხედრობის გამარჯვებანი აღმოსავლეთის ომში.

რუსეთის მხედრობის ამ ბრწყინვალე წარმატებებისა და თურქეთის ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ინგლის-საფრანგეთის სარდლობისგან შამილმა საგანგაშო მითითება მიიღო—დაუყოვნებლივ გამოელაშქრა რუსეთის ჯარების ზურგში და თავისი დივერსიული თავდასხმებით დეზორგანიზაცია შეეტანა რუსეთის მხედრობაში, მიეზიდა დიდი ძალები თავისაკენ და ეხსნა თურქეთი განადგურებისაგან.

შამილმა მოკავშირეების დავალება დაუყოვნებლივ შეასრულა; მან 1853 წლის ნოემბერში რჩეულ მებრძოლთაგან შემდგარი რაზმებით გამოილაშქრა კავკასიის ფრონტებზე მოქმედი რუსეთის მხედრობის ზურგში და, გარდა თურქეთის მხედრობის გადარჩენისა, სხვა უფრო დიდი მიზნებიც დაისახა. იგი შეშოიჭრა ჭარ-ბელაქნიდან, მოისწრაფოდა წინ თბილისისაკენ და სურდა საქართველოს მიწა-წყალზე თურქეთის ჯარებთან შეერთება. ამ ფაქტს თავის დროზე ადასტურებდა შამილის თანამედროვე რუსული და ევროპული პრესა, რომელზე დაყრდნობით კ. მარქსი აღნიშნავდა:

1853 წ. „ნოემბრის ბოლოს შამილმა თავგანწირვით სცადა გაჭრილიყო სამხრეთისაკენ, რათა უშუალოდ შეერთებოდა თურქეთს. მისი ჯარების რიცხვი განისაზღვრებოდა 10—16 ათასი კაცით. ამტკიცებენ, რომ მიურიდები, რომლებიც შეადგენენ მის საუკეთესო ჯარებს, დამარცხდნენ და განადგურებული არიან“ [1].

მართლაც, შამილის ეს თავდასხმა გმირულად მოიგერიეს მინგრელსკის პოლკის მეომრებმა და მილიციელთა რაზმმა, რომელთაც გენერალი გრ. ორბელიანი სარდლობდა. განსაცდელში ჩავარდნილ ამ ნაწილს მოკლე დროში მიუსწრო და უდიდესი დახ-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IX, გვ. 611.

მარება აღმოუჩინეს გენერალ არღუთაშვილის ჯარებმა, რომელთა ერთობლივი მოქმედებით სამარცხვინოდ ჩაიშალა შამილის ავანტურისტული გეგმა და მოპოვებულ იქნა გამარჯვება[1].

მტრის ავანგარდს პირველად გრ. ორბელიანმა გადაუღობა გზა და დაამარცხა.

მაგრამ რაკი მტერს ძალები ემატებოდა, მან ალყაში მოაქცია მესელდიგერის ციხე და ზაქათალა საფრთხეში ჩააგდო. როცა გრ. ორბელიანის ჯარის ნაწილები ციხეს იცავდნენ და მუხახის ხეობაში გმირულად იგერიებდნენ შამილის ჭარბ ძალებს დანიელბეგისა და ყაზი-მაჰმადის მეთაურობით, კასპიის მხარეთა გამგებელმა და დაღესტნის ჯარების სარდალმა გენერალმა მ. არღუთაშვილმა მოახერხა მთიანი დაღესტნის ურთულესი გზების გადალახვა დიდი ლაშქრით და, როცა ჭარ-ბელაქანში მაშველმა ძალებმა მიაღწიეს, შამილი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო[2].

* * *

1854 წლიდან მტერი დასავლეთ საქართველოსა და შავიზღვისპირეთიდან ახალ დიდ შემოტევას აძლიერებს. დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით დიდი საფრთხე დაემუქრა 1854 წ. ზაფხულში, კერძოდ გურიის საზღვრებზე, სელიმ-ფაშას 35.000 ლაზისტანელთა კორპუსის შემოჭრის შედეგად; მტერმა თავისი ჭარბი ძალებით დაიპყრო ოზურგეთი, გაძარცვა ხალხი და წინ მოიწევდა. იგი მოხერხებულად სარგებლობდა იმით, რომ იმ დროს იქ რეგულარული ჯარი ცოტა იყო. თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი ხალხი შურისძიების ძლიერმა გრძნობამ მოიცვა. სელიმ-ფაშას ჭარბი ძალების შეკავებისა და განადგურების საქმეში, რუსეთის რეგულარული მხედრობის ხელმძღვანელობით, დიდი როლი ითამაშა ქართველთა ცალკე სამხედრო დანა-

---

[1] «Кавказский сборник», Вторжение Шамиля в Джаробелаконский округ в 1853 году, т. XI, стр. 499—520, აგრეთვე «Кавказский сборник», т. IX, стр. 495—521.

[2] შამილის ლაშქარზე მოპოვებული ამ შესანიშნავი გამარჯვებებისათვის გრ. ორბელიანმა მრავალ სხვა თანამებრძოლთან ერთად მაღალი ჯილდო მიიღო. მას მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი და ანნას I ხარისხის ორდენი.

გრ. ორბელიანი ამ დროს (1851—1854 წწ.) კასპიის მხარეთა გამგებელი და დაღესტნის ჯარების სარდლის თანამდებობების დროებით აღმსრულებელი იყო, ხოლო 1855 წლიდან დანიშნეს კასპიის მხარეთა გამგებლად და დაღესტანში დაბანაკებული ჯარების სარდლად (გენ. არღუთაშვილის ადგილზე).

ყოფებმა და მრავალრიცხოვანმა ქართულმა სამილიციო ნაწილმა. გენერალი ივ. ანდრონიკაშვილი, მელიქიშვილი და სხვა გამოჩენილი ქართველი ოფიცრობა (ამილახვარი, ერისთავი, გურიელი, დადიანი და სხვა) ქართველთა ამ მასობრივი სამილიციო რაზმების ნამდვილი ორგანიზატორები იყვნენ.

დასავლეთ საქართველოში მოქმედ ჯარებსა და მილიციელებს ამ დაძაბულ პერიოდში სარდლობდა გენერალი ანდრონიკაშვილი. 1854 წ. 27 მაისს შეტევაზე გადმოსული თურქთა ჭარბი ძალები, ხასან-ბეგ თავდგირიძის მეთაურობით, ნიგოითთან გაჩაღებულ ბრძოლაში გენ. ანდრონიკაშვილმა ერთიანად გაანადგურა. აქვე თავი ისახელა პოლკოვნიკმა ერისთავმა (მოსპო სამი ბატალიონი და თურქთა 9.000 რიგითი ჯარისკაცი), ხოლო 4 ივნისს გენერალი ანდრონიკაშვილი თვითონ გადავიდა შეტევაზე და ჩოლოქის დიდ ბრძოლებში მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან სასტიკად დაამარცხა სელიმ-ფაშას 35.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი კორპუსი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის იარაღით მოქმედებდა.

1854 წ. 4 ივნისს ჩოლოქზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად მეტად დიდი იყო ნადავლი, რომელიც რუსეთის მხედრობას დარჩა. ამათგან აღსანიშნავია: მტრის 3 ბანაკი მთლიანად და 36 დროშა, უამრავი თოფ-იარაღი, ზარბაზანი და სხვა, რომლებიც თურქებს ინგლისისა და საფრანგეთიდან ჰქონდათ მიღებული. ამიერიდან ლაზისტანის კორპუსი სელიმ-ფაშას სარდლობით უკვე აღარ არსებობდა.

ჩოლოქზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების გამო გენერალ-ლეიტენანტი თავადი ანდრონიკაშვილი კავკასიის არმიის მთავარსარდალს ქართველ მილიციელთა გმირულ თავდადებაზე შემდეგს მოახსენებდა:

„ქართლის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მხედრობა— ფეხოსნები და ცხენოსნები—რუს ჯარისკაცთა ჩამოყალიბებული მწყობრის ღირსეული თანამოლაშქრენი იყვნენ. ისინი მოწინააღმდეგისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ არა მარტო მტრის უკან დახევის დროს, არამედ ჯერ კიდევ თვით გამარჯვების მოპოვებამდე. მილიციელთა ხმლები წარმატებით მოქმედებდა ჯარისკაცთა ხიშტებთან ერთად“ [1].

1854 წლის ზაფხულში ჩოლოქზე და ნიგოითში მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი დიდ საფრთხეს უმზადებდა თურქეთს

---

[1] Акты, т. X, გვ. 32.

და შესანიშნავ პერსპექტივებს უქმნიდა რუსეთის მხედრობას შემდგომი წინსვლისათვის.

თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლა კავკასიის ფრონტზე ახალ ეტაპში შედიოდა. სწორედ ამ პერიოდში რუსი მხედრობის ერევნის რაზმმა აიღო ქალაქი ბაიაზეთი. გენერალ მურავიოვის სარდლობით ყარსის მიმართულებით წარმოებული წინსვლა და სამაგალითო მზადება გაშლილი ფრონტით შეტევისათვის აჩქარებდა თურქეთის განადგურებას ამ ომში.

1854 წ. 17 ივლისს რუსთა მხედრობამ ბაიაზეთის მიმართულებით ბრწყინვალედ გაიმარჯვა თურქეთის ლაშქარზე. ა. ი. ერანგელის ჯარებმა ჩილინგილთან ისე დაამარცხა თურქეთის მხედრობა, რომ ამის შემდეგ ამ ფრონტის ლაშქარმა, — უმეტესად ქურთებმა,—უიმედოდ ჩათვალა ბაიაზეთის დაცვა, დატოვა ფრონტი და თვითნებურად თავიანთ სახლებში დაბრუნდა.

რუსეთის მხედრობა 19 ივლისს თითქმის უბრძოლველად შევიდა ქ. ბაიაზეთში. ქალაქში რუსეთის ჯარს დარჩა საფრანგეთისა და ინგლისიდან მიღებული დიდძალი სამხედრო იარაღი — საჭურველი.

ამ პერიოდში (1854 წ. ივლისი) გენ. ბებუთოვმა ყარსის მიმართულებით კურიუკ-დარასთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგის 60.000 მეომარი 3-ჯერ ნაკლები ძალებით, რაც კავკასიაში საომარ მოქმედებათა მობრუნების ახალ პუნქტად იქცა.

სწორედ მტრისათვის ამ უაღრესად კრიტიკულ პერიოდში ინგლის-საფრანგეთის სარდლობის კორდინირებული გეგმით შამილს დაეკისრა მაქსიმალურად გაეძლიერებია თავისი აქტივობა და არ დაეზოგა ძალები რუსეთის მხედრობისადმი დივერსიათა მოსაწყობად და ზურგიდან მახვილის ჩასაცემად. მართლაც, შამილმა 1854 წელს ორგზის სცადა გამოჭრა სამხრეთისაკენ თურქთა ჯარებთან შეერთების მიზნით. შამილის ეს ლაშქრობანი შეფარდებული იყო ნიგოითისა და ჩოლოქის ოპერაციებთან, სადაც გენ. ანდრონიკაშვილმა სძლია მტერს[1].

---

[1] ჩოლოქზე ჩადენილი გმირობისათვის ქართველ ხალხს ჯილდოდ გადაეცა დროშა და სიგელი, რომელზედაც სხვათა შორის ეწერა:

«...В изъявление особенного монаршего благоволения к храбрым действиям грузинской дружины охотников, сказанной блистательной победе, одержанной за рекой Чолоков, 4 июня 1854 г. над турецким корпусом, мы... жалуем грузинскому народу Георгиевское знамя» (Чиабрищвили Д., Воины и грузины. Петербург, 1915, стр. 57).

ჩოლოქზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ლაშქარი გენერალ ივ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით დაიძრა გენ. ბებუთოვის ნაწილებთან შესაერთებლად; მაგრამ გზაზე, 1854 წ. ივლისის დასაწყისს, ბორჯომის ხეობაში შეიტყეს, რომ შამილი მთელი თავისი ძალებით კახეთს შემოესიაო. ანდრონიკაშვილიც თავისი ლაშქრით თბილისზე გავლით კახეთისაკენ გაეშურა, რათა ეს მხარე შამილის ამაოხრებელი შემოსევისაგან დაეცვა.

ამრიგად, იმ დროს, როცა ყარსის მიდამოებსა და დასავლეთ საქართველოში და კავკასიის სხვა ფრონტებზე სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა თურქეთის ურიცხვი ურდოების გასანადგურებლად, შამილი, სრულიად მოულოდნელად, მთელი თავისი ძალებით საქართველოს შემოესია.

ამ ყაჩაღური თავდასხმით შამილს გადაწყვეტილი ჰქონდა სწრაფად შემოჭრილიყო საქართველოში თავისი რჩეული ცხენოსანთა მარბიელი რაზმებით ჭარ-ბელაქნის მხრიდან, გადმოელახა ალაზანი და ყარაღაჯისა და დედოფლის წყაროზე გამოვლით დაძრულიყო თბილისის მიმართულებით. შამილის მეორე დიდ დანაყოფს, დიდოეთიდან თუშეთში გამოვლით, კახეთში შემოჭრა ჰქონდა დაკისრებული, რათა თელავის გზით სწრაფად დასხმოდა თავს თბილისს და ამ გზით დაეპყრო იგი, ხოლო თბილისიდან უშუალო კავშირი დაემყარებინა თურქეთის მხედრობასთან და შეერთებოდა მას. ამ ვერაგული და სასოწარკვეთილი ავანტიურისტული გეგმის განხორციელება შამილმა განიზრახა სწორედ იმ პერიოდში, როცა საქართველოში მყოფი რუსეთის მხედრობის ძირითადი ძალები, მოხალისეებისა და ქართველთა სამილიციო ნაწილთან ერთად, გააფთრებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი თურქეთის წინააღმდეგ. შამილის წინააღმდეგ მოწყობილ საკორდონო ე. წ. „ლეკის ხაზზე“ კი ძალიან მცირე სასაზღვრო რაზმები იდგნენ.

* * *

რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წწ. ომების პერიოდში კავკასიის ფრონტზე შექმნილი ესოდენ სერიოზული მდგომარეობა რუსეთის მხედრობას კავკასიაში და ქართველ ხალხს კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ (1855 წ. 25 ოქტომბერი), რაც ომერ-ფაშამ გადალახა მდ. ენგური და სამეგრელოს შემოესია. შამილი უშუალოდ იყო დაკავშირებული ომერ-ფაშასთან.

შამილი ომერ-ფაშას ოფიციალურად სწერდა, რომ „გამოვედი თქვენთან შესაერთებლად, მაგრამ ჩვენი შეერთება შეუძლებელი გახდა იმ ბრძოლების გამო, რომლებიც ჩვენსა და ქართველ თავადებს შორის მოხდაო". ახლა საჭიროა ვიცოდეთ: რა ბრძოლები გადაიხადა ქართველმა ხალხმა, რომ წელი მოწყვიტა შამილს და სამოკავშირო გადაწყვეტილებაზე ხელი აალებინა, ვინ იყვნენ ბრძოლის ორგანიზატორები და რა შედეგები მოჰყვა მას?

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას ყირიმში შექმნილმა მდგომარეობამ, როგორც დავრწმუნდით, მოითხოვა მნიშვნელოვანი რაოდენობის ძალების კავკასიიდან იქ გადასროლა. თურქეთმა ამ დროს უამრავი მხედრობა მოაყარა საქართველოს საზღვრებს; დიდი საფრთხე დაემუქრა ამიერკავკასიას, ვინაიდან თურქეთ-ინგლისის სარდლობის მტკიცე გადაწყვეტილებით თურქთა ლაშქარსა და შამილის ურდოებს საქართველოს მიწა-წყალზე შეერთების გზით კავკასია (ყირიმითურთ) რუსეთისაგან უნდა ჩამოეჭრათ.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში ამიერკავკასიას, შამილისა და მაჰმად-ემინის მტარვალური შემოსევების გამო, ზურგიდან მოელოდა მახვილის ჩაცემა, ამიტომ მას ფაქტიურად ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლეკეთის საკორდონო სტრატეგიულ ხაზს. ეს ხაზი კი არ იყო მყარი და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მანძილი. იგი ვითარების მიხედვით იცვლიდა მანძილს, იცვლებოდა მისი დამცველი ძალების რაოდენობა.

მაგალითად, 1850-იან წლებში ეს ხაზი გადაჭიმული იყო მდინარე არაგვიდან ნუხამდე, სადაც მიჯაჭული იყო დიდი რაოდენობის რეგულარული ჯარი და მილიციელთა მრავალრიცხოვანი რაზმები.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე უმაღლესი მთავარსარდლობისა და პირადად იმპერატორის განკარგულებით საკორდონო ხაზზე განლაგებულ რეგულარულ ნაწილთა დიდი უმრავლესობა კავკასია—თურქეთის ფრონტზე იქნა გადასროლილი, რამაც ხაზი და მისი ძალები საგრძნობლად შეასუსტა. გენერალი გრ. ორბელიანი წინაღუდგა მთავრობის ამ ღონისძიებას. იგი თავის მოსაზრებას ოფიციალურად გამოსთქვამდა და წერდა: „გაცილებით იოლად შეიძლებოდა იმერეთში, სამეგრელოსა და

ვურიაში მყოფი ჯარების შემცირება... ვიდრე იმათგან დაღესტნის გათავისუფლება“ [1].

ორბელიანმა ალბათ არ იცოდა, რომ დასავლეთ საქართველო, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავი ზღვის საგანგებოდ გამაგრებული სანაპირო, რომელიც უდიდესი მსხვერპლის გაღებით შეიქმნა, აგრეთვე მთელი აფხაზეთი, 1854 წლიდან, თითქმის მოიშალა და დაცარიელდა რუსეთის რეგულარული მხედრობისაგან. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ეს მხარე ომერ-ფაშას ლაშქართა სათარეშოდ იქცა და მტრის წინააღმდეგობის გატეხა ვერ შეძლო ამ მცირერიცხოვანმა რეგულარულმა ძალებმა და მისმა დამხმარე ადგილობრივ მილიციელთა მოხალისე რაზმებმა.

1855 წ. სექტემბერში ინგლის-თურქეთის სარდლობამ სოხუმში გადმოსხა დიდი დესანტი, რომელსაც ომერ-ფაშა სარდლობდა. ლაშქრის გადმოსხმას წინ უძღოდა და თან ახლდა ინგლის-თურქეთისა და საფრანგეთის აგენტების გაცხოველებული დაზვერვითი და აშკარა დივერსიული მოქმედება. მაგალითად, სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშა დაბინავდა ფრანგი მეფაბრიკის, აბრეშუმის მწარმოებლისა და ვაჭრობა-აღებმიცემობის სახელით ცნობილ,—ფაქტიურად საფრანგეთის აგენტის,—როზმორდიუკის სახლში, საიდანაც მტრის სარდლობა ღებულობდა ყოველგვარ საჭირო ცნობებს. უცხოეთის დაზვერვას ასეთი „მწარმოებლები“ მაშინ მრავლად ჰყავდა საქართველოში.

ომერ-ფაშას სამეგრელოში შემოსევის დღიდან დასავლეთ საქართველო ერთიან საბრძოლო ბანაკად იქცა. ხალხმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა მტერს, თვით დედოფალი ეკატერინე დადიანი მთებში გაიხიზნა, მტერს არ ჩაბარდა და შეურიგებელი ბრძოლა გაუმართა თურქებს. მტერმა სამეგრელოში დასაყრდენი ვერ ჰპოვა და დიპლომატიურ ხრიკებს მიმართა; დაცულია ეკატერინე დადიანისადმი ომერ-ფაშას ცბიერი დიპლომატიური წერილები, რომლითაც ცდილობდა დაემშვიდებინა მასიურად აღშფოთებული ხალხი; თურქი დამპყრობელი ეკატერინეს ემუდარებოდა გამოცხადებულიყო მასთან, იგი პირდებოდა ეკატერინეს რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას (იგულისხმება სამეგრელოს თურქეთის პროტექტორატის ქვეშ გადასვლით), მაგრამ მტრის ეს ოინები უშედეგო აღმოჩნდა. მაგალითად, 1855 წ. 31 ოქტომბერს ომერ-ფაშა თავისი ამ ბოროტი ზრახვის შესახებ ზუგდი-

[1] რუსეთის არქივი, 1869 წ., წიგნი 9, გვ. 86.

ადან ეკატერინე დადიანს სწერდა: „... მონდობილი მაქვს დავარწმუნო თქვენი უგანათლებულესობა. რომ ჩემს უავგუსტოესს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს სრულებით არა სურთ შეეხონ სამეგრელოს მართვა-გამგეობას, ან რაიმე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაში.

ამით მხოლოდ ისა სურთ. რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი იყვნენ" [1].

მეტის-მეტად დიდი იყო აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის აგენტების ფ. ლონგუორტისა და შამპუაზონის ანალოგიური ცდები. მაგალითად, სამეგრელოში მივლენილი ინგლისის აგენტი ფ. ლონგუორტი 1855 წ. 6 დეკემბერს წერდა: „მისის უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის მთავრობამ კავკასიის ქვეყნებში აგენტად გამომგზავნა. პატივი მაქვს გამოვუცხადო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მზად გახლავართ შეგარიგოთ თქვენა და მარშალი ომერფაშა, სარდალი ოსმალოს ჯარებისა. თუ კიდევ არ დაუბრუნდებით თქვენის სამთავროის რეზიდენციას, ჩვენის აზრით. ამას არასასურველი შედეგი მოჰყვება როგორც თქვენთა უფლებათა. ისე თქვენთა ქვეშევრდომთა ბედ-იღბლის შესახებ. მათი მდგომარეობა დღითიდღე გაუსაძლისი ხდება"... ინგლისის აგენტი ამასთანავე არწმუნებს ეკატერინეს, რომ „ჩემი ამხანაგი; ბატონი შამპუაზონი, აგენტი საფრანგეთის სახელმწიფოსი, დროებით სხვაგან გეახლათ. მაგრამ მე ვკისრულობ იმას. რომ ამ საგნის შესახებ ჩვენ ორივე ერთის აზრისანი ვართ და მისის მთავრობისაგან იგივე დარიგება აქვს, როგორიც მე ჩემისაგან. იქნება თქვენმა უგანათლებულესობამ საჭიროდ დაინახოთ გეახლოთ თქვენთან. თქვენი სურვილი მაშინ შემიძლია აღვასრულო, თუ უბრძანებთ გზაში არაფერი შემემთხვეს"... ფ. ლონგუორტი [2].

ინგლისის მეორე აგენტი სამეგრელოში, რომელიც ომერ-ფაშასთან იყო. ეკატერინე დადიანს სხვათა შორის წერდა: „...ჩვენ გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი უგანათლებულესობა კი ყოყმანობს! ნება გვიბოძეთ, ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი უგანათლებულესობა ბრძანდებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევრდომი რუსეთისა". „...გრაფი მეფრე" [3].

---

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, სახელგამი, 1934, გვ. 26.
[2] იქვე, გვ. 43—44.
[3] იქვე, გვ. 45—46.

ომერ-ფაშა მიზნად ისახავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს დაპყრობას, იქიდან ყარსში გაჭრას და შამილის დახმარებით თბილისის დაპყრობას, ამ გზით კი კავკასიის ჩამოკვეთას რუსეთისაგან. ამ მიზნით, გარდა მეგრელებისა, ომერ-ფაშა თავის მატყუარა პროკლამაციებით გურულებსაც მიმართავდა და არწმუნებდა: „...ჩვენ, ვიმყოფებით რა ინგლისსა და საფრანგეთთან კავშირში, ღვთისა და მათი დახმარებით ვცდილობთ გამოგგლიჯოთ თქვენ რუსების ხელიდან... ახლა გიცხადებთ თქვენ, რომ სულთანის მხედრობა თქვენი ხსნისათვის სისხლს ღვრის, რომ თქვენ მოგენიჭოსთ წყნარი ცხოვრება და მიიღოთ ბედნიერება სულთანისაგან. დიდი სულთანისაგან ამ პროკლამაციის დამტკიცებას ვადასტურებ შავი ზღვის ქვეყნების მბრძანებელი სერასკირი ომერ-ფაშა"[1].

ბატონყმურ უღელში გაბმულ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა გადაბირების მიზნით ომერ-ფაშას საგანგებო მოწოდებით მიუმართავს გლეხობისადმი, რომლითაც საბატონო გლეხობას პირდებოდა ბატონყმობისგან განთავისუფლებას[2].

ამავე პერიოდში ომერ-ფაშას მჭიდრო სამხედრო კავშირი ჰქონდა შამილთან. შამილის მდივნის, ჰაჯი-ალის გადმოცემით «Турецкий Омер-Паша, достигнув Кутайса, прислал к Шамилю письмо, чтобы он со всеми силами пришел соединиться с ним. Шамиль выступил с 15-ю тысячами человек и тремя орудями из Дарго»[3]...

ომერ-ფაშასა და შამილის ოინებმა და ცბიერებამ ვერ გასჭრა. ქართველი ხალხი დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ ომერ-ფაშასა და შამილს გამანადგურებელი ცეცხლითა და მახვილით შეხვდა. მტერი დამარცხდა.

თურქეთი ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურმა ფენებმა პროვოკაციულად წააქეზეს და გაბრიყვებით ჩაითრიეს სამხედრო მოქმედებაში, რათა ომის შედეგებით მოხერხებულად ესარგებლათ და გაძლიერებულიყვნენ. ამ საკითხის შესახებ გრ. ორბელიანის მოსაზრება რამდენადმე უნდა გამოხატავდეს კიდეც მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზრს, როცა 1853 წლის 12 ოქტომბერს იგი კონსტანტინე თარხნიშვილს თურქეთის შესახებ სწერდა:

---

[1] Акты, т. XI, ст. 355.

[2] იხ. დანართი.

[3] ციტატა მომყავს „Дагестанская Правда-ში" 1951 წ. ნოემბრის 30 გამოქვეყნებულ ა. ნოვიჩევის წერილიდან: Роль Англии и Турции в провокации войны Шамиля против России.

თურქეთს „რა იმედი აქვს, თუ მართლად სხვა სახელმწიფოები ჩამოეცალნენ? და ანუ რა სარგებლობას მოიპოებენ ბრძოლაში, გარდა ჯარის გაწყვეტისა და ფულის ხარჯვისა?—რამდენჯერ აგრე ოსმალო მისულა განწირულებამდის ანგლიის და ფრანციის პოლიტიკითა და კიდევ დაბრმავებულნი მიჰსდევენ მათ რჩევასა“ [1].

გამორკვეულია, რომ რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წწ. ომში შამილის მოქმედება კავკასიაში და მისი ბრძოლები მთლიანად კოორდინირებული იყო და კოალიციური სახელმწიფოების—თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთის სარდლობის ერთიანი სამხედრო სამოქმედო გეგმიდან მომდინარეობდა. ამიტომ საქართველოზე შამილის სამივე გამოლაშქრება მიზნად ისახავდა თბილისის დაპყრობას და საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარებისა და შამილის ლაშქრის შეერთებას. კერძოდ, 1854 წ. შამილის გამოლაშქრების შესახებ კ. მარქსი გარკვევით სწერდა: „საქართველოში შეჭრით შამილმა მოახდინა სასოწარკვეთილი ცდა გაჭრილიყო სამხრეთისაკენ, რათა უშუალოდ დაკავშირებოდა თურქებს“ [2].

თურქეთისათვის საქართველოზე შამილის ველური თავდასხმების მნიშვნელობის შესახებ ინგლისის პრესა თავის დროზე აშკარად წერდა: „Турецкая армия была спасена от уничтожения диверсией, предпринятой Шамилем“.

ვიდრე შამილი გაბედავდა და 1854 წ. ზაფხულში საქართველოს შემოესეოდა, თურქეთმა ოფიციალურად მიანიჭა შამილს საქართველოსა და ჩერქეზეთის არმიების გენერალისიმუსის წოდება და, ამასთანავე, ამიერკავკასიის მეფის ტიტული. დოკუმენტებით ირკვევა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს შამილი თურქეთის ამ გულუხვი წყალობისა და მისთვის აღმაფრთოვანებელი ოფიციალური დიდი ტიტულის მინიჭების შესახებ სათანადო განმარტებას აძლევდა მთის ხალხებს და მოუწოდებდა მათ თავგანწირვით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ, რათა გაემართლებინათ სულთანის „ეს დიდი ნდობა“.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები ამაზე წერდნენ:

„შამილს მიმოწერა ჰქონდა თურქეთის სულთანთან. შამილს შეჰპირდნენ, რომ თბილისის აღების შემდეგ მიიღებდა კავკასიის მეფის ტიტულს. შამილმა ოფიციალურად მიიღო პორტა-

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 71.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IX, გვ. 611.

საგან ჩერქეზეთისა და საქართველოს არმიის გენერალისიმუსის წოდება"[1].

ამავე საკითხს ეხება გრ. ორბელიანი 1854 წ. 22 მაისს ბაბალე საგინაშვილისადმი მოწერილ კერძო ბარათში, სადაც სწერდა: „შამილმა ხალხსა გამოუცხადა, რომ ხონთქარმა მიწყალობაო მთლად კავკაზი და ეგრეთვე თბილისიცა და ერევანიცა, დიახ კარგი წყალობაა", ირონიულად შენიშნავს ავტორი, ხოლო აქვე ბაბალე საგინაშვილს ხუმრობით სწერს: „ქალებსა კი უფრო უნდა გიხაროდესთ, რადგანაც ამის ბალებისა და ვეჩერებისათვის დიდი ტუალეტი არ მოგინდებათ: და ახლა შამილს დიდის გულით მოსდომებია ერთი კარგი ლამაზი ქართველი ქალი, რომელმანცა სხუათა შორის, უნდა ასწავლოს ჩვეულება ქართველებისა: და აბა რომელი ემზადებით, შენ თუ წელნაზი თამარი?"[2].

თურქეთი, ინგლისი და საფრანგეთი, თავიანთი სამხედრო ინსტრუქტორების, აგენტების, საკუთარი იარაღებისა და სხვა საშუალებებით დახმარების გარდა, აქეზებდნენ შამილს, აბრიყვებდნენ მთიელ ხალხს, რათა რუსეთის წინააღმდეგ ემოქმედათ, რაც შეიძლება მეტის გააფთრებით[3].

ომერ-ფაშას შემოსევის გამო შექმნილი უდიდესი საშიშროებიდან თავის დაღწევის მიზნით ადგილობრივმა მმართველობამ კურსი აიღო პარტიზანულ ბრძოლებზე. ამ მიზნით კავკასიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი მურავიოვი თავის პროკლამაციაში ქართველი ხალხისადმი წერდა: „დადგა დრო, როდესაც თქვენ უნდა დაამტკიცოთ მთელი ქვეყნის წინაშე, რომ თქვენა ხართ ჩამომავალი იმ წინაპრებისა, რომლებიც სახელოვნად ებრძოდნენ მტრებს საუკუნეთა განმავლობაში. ...მე დარწმუნებული ვარ, რომ მამაცი თავადაზნაურობის მაგალითს გაყვება იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ყველა წოდება. მოქალაქეებიც, თავისუფალი სოფელიც,

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. X, გვ. 124.

[2] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 89.

[3] 1854 წლის შემოსევისას შამილი თბილისის აღებას და თურქეთის ჯარებთან შეერთებას რომ ისახავდა მიზნად, ამას მრავალი სხვა დოკუმენტიც ადასტურებს.

«...Шамиль, направляясь к пределам Кахетии, имел в виду самые решительные намерения—нападение на Тифлис; причем рассчитывал, что турецкая армия будет ему содействовать с противоположной стороны» (იხ. Сборник документальных материалов, I, გვ. 400).

საბატონო გლეხიც, ამხედრდით, ძმებო, და ღვთის სახელით შემუსრეთ თქვენი ძველის ძველი მოსისხლე მტერი“ [1].

მთავარსარდლის მოწოდებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა. საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობა ერთსულოვნად დაირაზმა მტრის შესამუსრად. მეფის მთავრობამ მისთვის ამ უაღრესად მძიმე დღეებში ხელი შეუწყო და ზხარი დაუჭირა ხალხს თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

მოსახლეობის საყოველთაო შეიარაღება აზიური თოფებითა და სხვა სახის იარაღით მთავრობის დახმარებით განხორციელდა.

კავკასიის ფრონტზე შექმნილ ამ უაღრესად მძიმე დღეებში ქართველმა ხალხმა გამოიჩინა დიდი ერთგულება და ისტორიული თავდადება როგორც საკუთარი სამშობლოსადმი, ისე დიდი რუსი ხალხისადმი. ქართველი ხალხის ამ დიდ დახმარებას აღნიშნავდა მეფის რუსეთის ისეთი მოხელეც კი, როგორიც იყო გენერალი მურავიოვი. იგი წერდა: ამ დაძაბულ პერიოდში, „ხშირად შეიძლება შეხვდეთ მილიციის რიგებში გვარის გადაბერებულ ფუძემდებელს, მისი შვილებითა და შვილიშვილებით“[2]; დამახასიათებელია ისიც, რომ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ მასობრივად ამდგარი იმერეთის მოსახლეობა მაქსიმალურად იყენებდა პარტიზანული ბრძოლებისათვის ხელსაყრელი მშობლიური ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებს. გაზ. „კავკაზის“ კორესპონდენტის მართებული შენიშვნით: „არ არსებობს პარტიზანული ბრძოლებისათვის უფრო მოხერხებული მხარე, ვიდრე იმერეთი და სამეგრელო... მოსახლეობის წინააღმდეგობისა და მფრინავი რაზმების თავდასხმების დროს იგი შეიძლება ადვილად და თავისთვის ზარალის მიუყენებლად იქცეს მტრების ვრცელ საფლავად“ [3]. ეს ასეც მოხდა. კორესპონდენტი შენიშნავს, რომ „მოსახლეობა, რომელიც იცნობს ყველა ბილიკს ტყეებში, ამხედრდა მტრის განსადევნად და გასაჟლეტად. თურქეთის ჯარები, რომლებიც მოვიდნენ ქვეყნის დასაპყრობად, უსახელოდ იღუპებიან, როგორც გარეული მხეცები ტყეებსა და ჭაობებში“ [4]. რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობას თავისი სასურველი შედეგები მოჰყვა. კავკასიის ფრონტზე მკვიდრი მოსახლეობის ცხოველმყოფელი მონაწილეო-

---

[1] Акты, т. XI, გვ. 112.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] გაზ. „კავკაზი“, 1854, № 31.

[4] გაზ. „კავკაზი“, 1856, № 17.

ბითა და მხარდაჭერით რუსეთის მხედრობამ კავკასიის ფრონტებზე ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა, რამაც სერიოზული გავლენა იქონია როგორც ომის საერთო მსვლელობაზე, ასევე საზავო პირობების განსაზღვრაზედაც.

## 2. კახეთში შამილის დიდი რაზმების ამაოხრებელი შემოსევა და მისი შედეგები

რუსეთ-თურქეთის ომის დროს შამილი ინგლისისა და თურქეთის დახმარებით ძალიან გათავხედდა. იგი არაფერს იშურებდა მოკავშირეთა დასახმარებლად. მოკავშირეთა ჯარებისა და შამილის ლაშქრის შეერთების გეგმის შესაბამისად შამილმა ორჯერ სცადა გამოჭრილიყო საქართველოში და აქედან უშუალო კავშირი დაემყარებინა კავკასიის ფრონტის თურქეთის მხედრობასთან.

პირველად შამილი გამოიჭრა ზაქათალის მხრიდან 1853 წლის დამლევს, ხოლო მეორედ—1854 წ. ზაფხულში. კახეთზე თავდასხმითა და იქიდან წინსვლით იგი ცდილობდა ამ ბოროტი მიზნის განხორციელებას. ორთავე შემოტევა სამარცხვინო მარცხით დამთავრდა, მტერმა მიზანს ვერ მიაღწია.

კახეთზე შამილის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ საკორდონო ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსმა წინასწარ აცნობა პირადად გენ. ლ. მელიქიშვილს.

მაიორ ბარათაშვილის უტყუარ ცნობებზე დაყრდნობით (რამდენადაც იგი ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო) ირკვევა, რომ მელიქიშვილმა შეძლო შამილის ანწუხელი ნაიბის ხარა-იბრაგიმის გადმობირება. მელიქიშვილი მისგან სისტემატურად ღებულობდა საიდუმლო საიმედო ცნობებს შამილის სამხედრო ღონისძიებების შესახებ [1].

მელიქიშვილმა იცოდა, რომ შამილს გადაწყვეტილი ჰქონდა 1854 წ. ზაფხულში თავს დასხმოდა კახეთს, ამიტომ იგი წინასწარ ღებულობს ზომებს. აღადგენს და ამარაგებს ციხე-სიმაგრეებს, აძლიერებს საყარაულო დაცვას, პირადად აფრთხილებს თუშეთის ოლქის უფროსს ჩოლოყაშვილს, გავაზის მხარის გამგებელს კაპიტან აფხაზოვს, ყვარლის სიმაგრის დამცველთა დრუჟინის კომან-

---

[1] Майор князь Баратов. Описание нашествия скопищей Шамиля на Кахетию в 1854 году. Кавказский сборник, т. 1, Тифлис, 1876, გვ. 240.

დირს პოლკოვნიკ ქობულაშვილს, პოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძეს, მაიორ თუმანოვს და სხვ.[1].

აქვე მელიქიშვილი იძლევა იმის უაღრესად მოფიქრებულ და საფუძვლიან გეგმას, თუ როგორ უნდა ემოქმედათ კახეთზე შამილის თავდასხმის შემთხვევაში ხელისუფლებასა და ხალხს[2].

მელიქიშვილმა, მართალია, წინასწარ იცოდა, რომ შამილი 1854 წ. ზაფხულისათვის ემზადებოდა კახეთზე თავდასხმისათვის, მაგრამ მან ზუსტად არ იცოდა, თუ საიდან, რომელი მხრიდან, რა გზებით განახორციელებდა მტერი ამ თავდასხმას. იგი ფიქრობდა, რომ მტრის ეს თავდასხმა უფრო მოსალოდნელი შეიძლებოდა ყოფილიყო ზაქათალის მხრიდან. ამიტომ მთელი თავისი საქმიანობა და ყურადღება ამ მხარის დაცვა-გამაგრებისაკენ იყო მიპყრობილი და თვითონაც იქ იმყოფებოდა. შამილმა თავისი მოჩვენებითი მანევრებით მართლაც ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ 1853 წლის მსგავსად ამ ჯერადაც თითქო მას ამ მხრიდან უნდა დაეწყო ბრძოლა კახეთში შემოსაჭრელად. ამიტომ კახეთის უშუალოდ დაცვა შედარებით მეორეხარისხოვან ამოცანად იქცა, ხოლო ძირითად ამოცანად დაისახა ზაქათალის მხრიდან კახეთის დაცვა, რასაც პირადად ლ. მელიქიშვილი ჩაუდგა სათავეში.

შამილმა, სანამ კახეთში შემოიჭრებოდა, ამხილა და დასაჯა თავისი ანწუხელი ნაიბი ხარა-იბრაგიმი, რომელიც საიდუმლო ცნობებს აწვდიდა მელიქიშვილს, ხოლო კახეთზე თავდასხმა განახორციელა სავსებით სხვა გზებითა და მიმართულებით, ვიდრე ამას მელიქიშვილი მოელოდა. ამიტომ მელიქიშვილმა შედარებით მოგვიანებით შეიტყო მტრის შემოსევა კახეთში და, ვიდრე იგი თავისი ძალებით მტერს შეხვდებოდა, შამილის ურდოებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

შამილი კახეთში შემოიჭრა 1854 წლის 3 ივლისს. მისი ჯარები უკვე სოფ. შილდას აოხრებდნენ, ისე, რომ გენერალ დ. ჭავჭავაძის

---

[1] მაგალითად, თელავის მაზრის უფროსს პოლკოვნიკ კულმანს ჯერ კიდევ 1854 წ. 18 აპრილს ლ. მელიქიშვილი სწერდა:

«При настоящем положении дел на Кавказе, нельзя сомневаться в том, что Шамиль замышляет нынешним летом вторгнуться в наши пределы всею массою повинующихся ему горцев. При этом, по всей вероятности, целью его будет не одно разорение покорных нам жителей или тревожение линии, но достижение самых решительных результатов».

[2] Маїор князь Баратов. Описание нашествия скопищей Шамиля на Кахетию в 1854 году, Кавказский сборник, т. 1, Тифлис, 1876, გვ. 241—244.

ნაწილების გმირული წინააღმდეგობა გათავხედებული მრავალრიცხოვანი მტრის შეკავებას ვეღარ ახერხებდა[1].

მტერმა მოხერხებულად ისარგებლა ამ გართულებული მდგომარეობით და ადგილობრივი ხელისუფლების დაბნეულობით. მან მთლიანად გაძარცვა და გადაწვა სოფლები: ენისელი, შილდა, გრემი, ტურისციხე და მრავალი სხვა. 4 ივლისს ლაშქარმა ალაზანი გადალახა, დაარბია და გაძარცვა მრავალი სოფელი: უკანას-

[1] შამილის კახეთში შემოჭრითა და კახეთის აოხრებით აღშფოთებული გრ. ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძისადმი პირად ბარათში (1854 წ. 30 ივლისი) ამ აოხრების მიზეზად სთვლის იქაურ მმართველ კულმანის უზრუნველყოფასა და დაუდევრობას.

კახეთის დაცვას ამ პერიოდში ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რადგან შამილის შემოსევას სხვა მიმართულებით მოელოდნენ. ამიტომ ამ მხარის ადგილობრივი ხელისუფლება და ჯარის ნაწილები ვერ აღმოჩნდნენ სათანადოდ მომზადებულნი თავდაცვისათვის. ამას ადასტურებს გენერალ დ. ჭავჭავაძის წერილი იგივე კულმანისადმი, რომელშიც იგი სწერს:

«Сегодня в 7 часов утра мы были атакованы большими конными и пешими неприятельскими силами... г. г. сотенные командиры, как и люди, вели себя примерно. Потеря у неприятеля огромная. С нашей стороны убитых немного... Помощи нам до сих пор никакой не дано, а этими средствами нет возможности предпринять нам решительного.

Просьба моя к тебе очень большая и она важная—доставить нам сегодня-же два пуда пороху и свинцу четыре пуда, а то мы рискуем остаться без выстрела. Ради бога, скорей помоги нам порохом и свинцом» (იხ. Майор князь Баратов. Описание нашествия скопищей Шамиля на Кахетию в 1854 году. Кавказскій сборник, т. I, Тифлис, 1876, стр. 252—253. 3. VII—1854).

მაშველი ძალების მიღებისა და დახმარების მიზნით გენერალი დ. ჭავჭავაძე აქვე მოახსენებდა კულმანს:

«Средство моё в настоящее время состоит из двух рот Мингрельского полка, батальона Тифлисского полка и 400 чел. милиционеров (იქვე, გვ. 254).

ასეთ დაძაბულ ვითარებაში დახმარების ნაცვლად დავით ჭავჭავაძეს კულმანი წერდა:

«Вы не можете предпринять ничего решительного против огромных скопищ Шамиля» (იქვე, გვ. 255). იარაღ-საჭურველთა მარაგის სიმცირის მხრივ ანალოგიური იყო მდგომარეობა სხვა უბნებზედაც. მაგალითად, ქობულოვი ასევე ამ იმედდაკარგულ კულმანს თხოვდა:

«...у нас совершенно нет уже патронов для милиции и поэтому покорнейше прошу вас прислать, только при сильном конвое, снаряды» (იქვე, გვ. 257).

ადგილობრივი ხელისუფლების ასეთი უდარდელობა და უპასუხისმგებლობა ბუნებრივია აძნელებდა და ხელს უშლიდა მეომრებს წარმატებით დაეცვათ კახეთი.

კნელად თავს დაესხნენ სოფ. წინანდალს. აქ გლეხკაცებთან ერთად დიდად დაზარალდა დ. ჭავჭავაძის ოჯახი. ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი დაწვეს დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის დიდებული სასახლე-კარი. ხანძარმა შთანთქა ჩვენი საამაყო მგოსნის ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი სახელოვანი სიძის, რუსეთის გენიალური მწერლის გრიბოედოვის მდიდარი ბიბლიოთეკისა და პირადი არქივის ერთი ნაწილი[1]. შამილის ურდოები არც ამით დაკმაყოფილდნენ. მათ ჭავჭავაძის სახლკარისა და ისტორიული მამულის გაჩანაგების შემდეგ დ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრები: ანა ჭავჭავაძე (მეუღლე დავითისა ხუთი შვილით), ბავშვთა აღმზრდელი ფრანგი ქალი დრანსე და გრიგოლ ორბელიანის რძალი, ახლად დაქვრივებული (ცოლი ილია ორბელიანისა) ბარბარე მცირეწლოვანი ვაჟით და სხვა მრავალი ტყვედ წაიყვანეს.

მხოლოდ ამ ერთი ოჯახიდან ტყვედ წაიყვანეს 23 ქალი, ბავშვი და მოხუცი, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის და ნინო. დ. ჭავჭავაძის მეუღლეს ანას გზაზე, მიურიდის გამხეცებულ ცხენზე გაკრულს ხელიდან გაუსხლტა ძუძუმწოვარი ბავშვი და ცხენებმა ფეხებით გასრისეს უმანკო არსება (ტყვეები ვედენოში მიიყვანეს)[2].

---

[1] ჟურნალ „ოგონიოკი", 1949, № 42, ი. ანდრონიკაშვილის წერილი.

[2] ტყვედ წაყვანილი ჭავჭავაძის ოჯახის გამოხსნისათვის შემდეგში გაიმართა მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა. შამილმა ტყვეებში მოითხოვა მილიონი მანეთი და რუსეთში ტყვედ წაყვანილი შვილისა და დისწულის დაბრუნება. ამ მოლაპარაკებაში აქტიურად მონაწილეობდა გრ. ორბელიანი. მან შამილთან კაციც კი გაგზავნა რამდენიმეჯერ, რადგან ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვეობაში იმყოფებოდა გრიგოლის რძალი, მეუღლე ილია ორბელიანისა (უკანასკნელი თურქებთან ბრძოლაში ერთი წლის წინათ დაიღუპა). გრიგოლ ორბელიანი ტყვეების გამოხსნის საკითხთან დაკავშირებით შამილის პირობების გამო 1854 წ. 22 სექტემბრის ბარათში ქეთევან ორბელიანს სწერდა: „შამილს ერთი მილიონი ფული, თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები ეთხოვა. ფულზე კიდევ როგორმე შეიძლება მორიგება... მაგრამ შვილის მიცემას იყაბულებს თუ არა ჩვენი ხელმწიფე, არ ვიცი" (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 105).

1 ოქტომბერს მასვე სწერდა: „შამილა ითხოვს თავის შვილსა, დისწულსა და ორთა სხვათა ტყვეთა, რომელნიცა ეს თხუთმეტი წელიწადია გაგზავნილი არიან რუსეთში. ამის გარდა ითხოვს ერთს მილიონს ფულსა,—მეტს არ თხოულობს,— აბა მოდი და აასრულე ეს მისი თხოვნა" (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 106).

შამილის ვაჟი ჯემალ-ედინი ტყვედ ჩავარდა 1839 წ. ახულგოს ოპერაციების დროს. შემდეგ იგი რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა და მიაღწია პორუჩიკის ხარისხს, ვიდრე მამას დაუბრუნდებოდა (გარდაიცვალა 1858 წ. დაღესტანში). მოლაპარაკების შემდეგ შამილი მილიონის ნაცვლად 40.000 მანეთზე დათანხმდა. 1854 წლის ბოლოს ნიკოლოზ I-მა ნება დართო დაბრუნებოდა შა-

დ. ჭავჭავაძის 22 ოთახისაგან შემდგარი სახლიდან ტყვეებთან ერთად მიურიდებმა გაიტაცეს დიდძალი ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ჭურჭელი და ქსოვილები.

ტყვედ წაყვანილი ფრანგი ქალი დრანსე, აღმზრდელი დ. ჭავჭავაძის შვილებისა, სასახლეში შეჭრილ მიურიდთა ბარბაროსობაზე თავის შთაბეჭდილებებს საოცარი უშუალობით გადმოგვცემს. იგი წერდა: „ისმოდა გაშმაგებული ყვირილი ლეკებისა, მათ დარტყმაზე ხმაურით ცვიოდა შუშები, ჰრაჭუნობდა ავეჯი, აწკრიალდა სკივრები, ვერცხლეულობა, ჩვენამდე მოდიოდა ორი ფორტოპიანოს არეული ხმები, რომელთა კლავიშზედ უშუალოდ აბრახუნებდნენ ველურები". აუწერელი იყო დარბეულ სოფელთა გლეხობის მდგომარეობა.

ამრიგად, კახეთს საერთოდ დიდი უბედურება დაატყდა თავს. შამილის ურდოებმა დიდად დააზარალეს საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე, გაძარცვეს, გადაწვეს მრავალი სოფელი, დაატყვევეს და მოკლეს ამ მხარის ბევრი მკვიდრი. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც რამდენადმე გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან კახეთში შამილის ურდოების შემოსევის შედეგებზე. ირკვევა, რომ ამ შემოსევის შედეგად 1000-მდე ოჯახი დაზარალდა. ბევრი მოკლეს, ტყვედ წაიყვანეს 670 კაცი, დაწვეს 400-მდე მოსახლის (თავადებისა და გლეხების) კარმიდამო, დაანგრიეს, გაძარცვეს, გადაწვეს ჭირნახულით სავსე ბეღლები, ღვინის მარნები, წისქვილები, გაიტაცეს 4000-მდე მსხვილფეხა რქიანი საქონელი, მრავალი ცხენი და წვრილფეხა პირუტყვი.

---

მილს ვაჟი და ამის შემდეგ ქართველი ტყვეების.—ჭავჭავაძისა და ორბელიანის ოჯახების.—გამოხსნის საკითხიც დადებითად გადაწყდა. 1855 წ. იანვარში შამილის ვაჟი სტავროპოლში ჩამოიყვანეს. ამის შემდეგ, როცა დ. ჭავჭავაძემ ფული გადაუხადა შამილს და ვაჟიც მიუყვანა, ტყვეები საქართველოში გამოგზავნა. ტყვეების გაცვლა მოხდა 1855 წ. 10 მარტს ჩეჩნეთში. Д р а н с е, Пленники Шамиля, 1859, Тбилиси, გვ. 170—179; Акты. т. XI; Обзор событий в Дагестане в 1855 и 1856 годах, «Кавказский сборник», т. XII, стр. 484—487.

გენერალ დ. ჭავჭავაძემ ტყვეების გამოსახსნელად საჭირო 40 ათასი მანეთი სესხად აიღო რუსეთის სახელმწიფო ბანკიდან და იძულებული გახდა იქვე დაეგირავებია თავისი შესანიშნავი მამულები—წინანდალი, ნაფარეული და მუკუზანი. უდიდეს ვალებში ჩავარდნილ დ. ჭავჭავაძეს ერთადერთ გამოსავლად შემდეგში ისღა დარჩა, რომ აღებული ვალების ანგარიშში ხელი აეღო მამაპაპისეულ მამულებზე და იგი რუსეთის იმპერატორის საკუთრება გახდა.

მარტო ერთი მოსახლის, დავით ჰაჭაჭაძის ზარალი შამილის ამ შემოსევის შედეგად შეაფასეს 106.000 ოქროს მანეთად[1].

კახეთზე შამილის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე მაიორი თავადი სულხან ბარათაშვილი ამ ამაოხრებელი შემოსევის შესახებ წერს: „Это было ужасная картина... неприятель, не довольствуясь сожжением Шилды, переправился через Алазань и предавал всё в буквальном смысле огню и мечу"[2].

შამილი კახეთში ხალხის სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდა. გლეხკაცობა მასობრივად აღსდგა თავდამსხმელ მძარცველთა წინააღმდეგ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მას. ამ ისტორიულ ფაქტს მრავალი დოკუმენტი ადასტურებს[3].

გლეხობა და მოქალაქეები, რომლებიც შამილმა ტყვედ წაიყვანა საქართველოდან, უკიდურეს გაჭირვებასა და შიმშილს განიცდიდნენ და აუტანელ ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ; მათ იძულებითი გათათრების მიზნით სასტიკად დევნიდნენ და ავიწროებდნენ. ამას მოწმობს ახლახან გამოქვეყნებელი ბევრი საყურადღებო დოკუმენტი. მაგალითად, თელავიდან ტყვედ გატაცებული გლეხი იაგორ იაგორის ძე 1853 წელს მშობლებს და ძმებს სწერდა:

---

[1] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს სამხ.-ისტორიული არქივი, ფ. 4, საქმე 382, ფურც. 3, 4 და Сборник документальных материалов, გვ. 116.

[2] «Описание нашествия скопищ Шамиля на Кахетию в 1854 году», «Кавказский сборник», т. I, Тифлис, 1876, გვ. 237—267.

[3] მაგალითად, 1854 წ. 8 ივლისს შედგენილ რაპორტში გენერალ-მაიორი მელიქიშვილი იუწყება ქართველი ხალხის იმ გმირულ წინააღმდეგობაზე, რომელსაც კახეთში შამილის ნაიბები და თანმხლები ურდო წააწყდა. იგი წერს:... «но улицам сел. Шилды вскоре загорелся самый кровавый рукопашный бой. Помощник начальника резервной дружины, штабс-капитан князь Чавчавадзе и сотрудник князь Ратиев служили для всех примером изумительной смелости. Штабс-капитан Бидзина Чолокаев и кн. Каралов, поручик кн. Михаил Джорджадзе и Давид Чолокаев беспрестанно врезывались со своими сотнями в густые толпы горцев. Это упорное сопротивление привело в неистовую злобу неприятеля... но, наконец, героическое мужество и стойкость милиционеров восторжествовали над численным перевесом горцев. На улицах сел. Шилды оставлено до 480 тел противника» (იხ. Сборник документальных материалов, გვ. 393 და 416).

აქვე ბრძოლაში თავი ისახელეს ლევან ჩოლოყაშვილმა, ევ. შალიკაშვილმა, ივანე ბაგრატიონმა და სხვ. (იქვე, გვ. 394). კახეთის მკვიდრი გლეხობა რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ გმირულად ებრძოდა მტერს. ერთი ოფიციალური დოკუმენტით ვტყობილობთ, რომ ვერ შეხვდებოდით გლეხს, რომელსაც მტრის წინააღმდეგ ამ სასტიკ ბრძოლებში თავი არ გამოეჩინა.

„...ამ დარგოში დიდად შეწუხებულს მამუშავებენ და მშიერს მინახავენ... ასე რომ მუცლსა არ მიიღობენ და უწყალოდ მამუშავებენ. ახლა ასე მეუბნებიან: აქ ჩვენს რჯულზე უნდა მოიქცეო. იმისათვის დიდად მაწუხებენ. ...შენი, ჰირიმე მამავ! მიშველე რამე, ეგებ გამომიყვანო ამ ტყვეობიდან“ [1].

შამილი ჩვეულებრივ ტყვეების გამოსყიდვაზე ამჯერად არ თანხმდებოდა და მხოლოდ ტყვეთა გაცვლით შეიძლებოდა გამოხსნა. ეს ართულებდა ტყვეთა გამოხსნას. ამას ადასტურებს გრ. ორბელიანის პატაკი ბარიატინსკისადმი 1855 წ. 4 იანვარს. გრ. ორბელიანი იუწყება, რომ სოფ. დარგოში კახეთიდან გატაცებული უამრავი ტყვე აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, განიცდიდნენ საშინელ შიმშილსა და შევიწროებას. გრ. ორბელიანის ცნობითვე არამცთუ ტყვეები, არამედ თვით მთიელები თავიანთ სოფელშიც შიმშილობდნენ, რადგან შამილის ამაოხრებელ შემოსევებს დაერთო მოუსავლიანობა და პური არა ჰქონდათ [2]. საბოლოოდ ცნობილია, რომ ტყვეების გამოხსნა მხოლოდ შამილის განადგურების შემდეგ მოხერხდა.

კახეთის აოხრების შემდეგ ე. წ. საკორდონო ხაზის გამაგრებას მეტი ყურადღება მიექცა. აქ ცალკე სამხედრო ნაწილების გარდა გადმოისროლეს მილიციელთა რაზმები გენ. ანდრონიკაშვილის ჯარებიდან.

შამილის ბანდებს საქართველოში შემოჭრის საშუალება თითქმის მოესპო. მიუხედავად ამისა, შამილმა 1855 წ. მესამეჯერ კიდევ სცადა საქართველოში შემოჭრა, მან ეს უკანასკნელი ცდა დაუკავშირა ყირიმის კამპანიის გართულებულ ამბებს, სამეგრელოში შემოჭრილი მტრის მოჩვენებითი წარმატების პერიოდს. მაგრამ შამილის ეს ცდა სავსებით უშედეგო აღმოჩნდა.

ამის შესახებ 1855 წ. 13 სექტემბერს კონსტ. თარხნიშვილს გრ. ორბელიანი სწერდა: „ლევანის მხარეს გაითარეშა შამილის შვილმა, მაგრამ ისე დახვედროდენ, რომ სულ კუდით ქვა ესროლინებინათ და პირშერცხვენილი დაბრუნდა. არ ვიცი ახლა რას დააწყობს შამილი სევასტოპოლის ჩვენგან თავის დანებების ამბავზედ“ [3].

---

[1] Сборник документальных материалов, გვ. 458—459

[2] იქვე, გვ. 445. კახეთზე 1854 წ. თავდასხმის შედეგად შამილის მიერ გატაცებული ტყვეების შესახებ იხ. ვერდერევსკის ნარკვევი Плен у Шамиля, в трех частях, С-Петербург, 1856 და ფრანგი ქალის დრანსეს მოგონებანი Пленники Шамиля», 1858

[3] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 140.

ამრიგად, შამილის უკანასკნელი ცდა ისეთ ვითარებაში, როცა რუსეთს მოკავშირეებთან ომში გართულებული ჰქონდა მდგომარეობა, შემოჭრილიყო საქართველოში და შეერთებოდა ომერ-ფაშას ჯარებს, რომლებმაც ყირიმში გაიმარჯვეს და სამეგრელოზე თავდასხმას ამზადებდნენ, უშედეგო აღმოჩნდა. შამილი უკუაგდეს რუსეთის ჯარებმა და ადგილობრივი მოსახლეობის სამილიციო რაზმებმა, რომლებსაც გენერლები ანდრონიკაშვილი, ლევან მელიქიშვილი, დ. ჭავჭავაძე და სხვ. მეთაურობდნენ.

გენერალი გრ. ორბელიანი მალე თვითონ გადავიდა შეტევაზე შამილის წინააღმდეგ; 1855 წლის ნოემბერში იგი ძლიერი მხედრობით ტაბასარანში შეიჭრა, დაიპყრო ტაბასარანი, რომელიც მანამდე შამილის მიურიდებისა და შარიათის მიუვალ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა. 15 ნოემბერს გრ. ორბელიანი შამილზე თავისი ამ გამარჯვების შესახებ ყაფლან ორბელიანს სწერდა: „ამ ჟამად გახლავარ ტაბასარანში ჯარითა, სადაც ორი სოფელი ამოვთხარე ძირიანათ და ახლა ვაკეთებ გზასა ყაზიყუმუხში, პირდაპირ დერბენდიდან გადასასვლელად“ [1].

კახეთზე შამილის ვერაგული თავდასხმა, მშვიდობიანი მოსახლეობის გაძარცვა, გაწყვეტა და დატყვევება ხალხის საყოველთაო რისხვას იმსახურებდა.

ხალხის მასების ერთსულოვანი და თავგანწირული ბრძოლა კახეთში შემოჭრილი შამილის ყაჩაღური რაზმების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია.

### 3. ინგლის-თურქეთის ჯარების დამარცხება ყარსში და ომერ-ფაშას ლაშქრის განდევნა სამეგრელოდან

ყირიმის კამპანიის პერიოდში განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის ჯარების სარდალი ომერ-ფაშა სევასტოპოლის ოპერაციებში მონაწილეობის შემდეგ დიდი სადესანტო ჯარით ჯერ ბათუმში ჩამოდის, ხოლო 1855 წლის სექტემბერში სოხუმში შეიჭრა და აქედან სამეგრელოს შემოესია.

1855 წ. 25 ოქტომბერს ომერ-ფაშამ ენგური გადმოლახა 30.000 ჯარისკაცით და სასტიკი ბრძოლების შემდეგ აიძულა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის 5.000 მეომრისაგან შემდგარი ნაწილები უკან დაეხიათ.

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 150.

ენგურის ნაპირზე, კოკისა და კახათის მიდამოებში მტრის წინააღმდეგ მცირერიცხოვანი რუსის ჯარი და მილიციელთა ლაშქარი თავგამოდებით იბრძოდა. ბრძოლა პირველად მდინარის კალაპოტში დაიწყო და მტერმა სამჯერ აჩვენა რუსეთის მხედრობას ზურგი. მიუხედავად ამისა, მტერმა მოახერხა წინ წამოწევა და სამეგრელოს სოფლებისა და ქალაქების დარბევა. თურქმა დამპყრობლებმა გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს სამეგრელოს მთავრის სასახლე და ბაღი ზუგდიდში. გაძარცვეს ხალხი და სისხლიანი ტერორით მათ დამონებას ცდილობდნენ. ამ ამბების მომსწრე კ. ბოროზდინის ცნობით ომერ-ფაშამ „გადაჰბუგა მთელი დაბა, მთავრის სასახლე... ხოლო ბაღებში ხეები სულ ძირში დააჭრევინა... ის საუცხოვო ბაღი მიწასთან იქნა გასწორებული“ [1]. ომერ-ფაშას სამხედრო წარმატებებს დასავლეთ საქართველოში მაჰმად-ემინი უწყობდა ხელს. ცნობილია, რომ შამილის სისხლიანი დიქტატურა და მართვა-გამგეობის სამხედრო-თეოკრატიული სისტემა ბევრად შორდებოდა დაღესტან-საჩეჩნოს ფარგლებს. შამილის უგავლენიანესი ნაიბი და მოადგილე მაჰმად-ემინი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ანალოგიური მეთოდებითა და ტერორისტული სისტემით, მიურიდიზმისა და შარიათის წესების დანერგვით ახერხებდა მთიელთა ძალმომრეობით დამორჩილებას.

მაჰმად-ემინი რეპრესიებით, დამსჯელი ექსპედიციებითა და ამაოხრებელი თავდასხმებით ხალხს ახვევდა მიურიდიზმისა და შარიათის წესებს. საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ მაჰმად-ემინის მტრულ მოქმედებას ხალხი, გლეხობა. სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა [2].

მაჰმად-ემინმა 1855 წელს ერთ დღეს ხელაღებით ჩამოახრჩო 150 ადიღელი, რომლებმაც უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ საქართველოზე თავდასხმისათვის დაძრულ ომერ-ფაშას ჯარებთან ლაშქრობაში შესაერთებლად.

მაჰმად-ემინი ჯერ კიდევ 1850-იანი წლებიდან სისტემატურად ესხმოდა თავს შავი ზღვის სანაპირო ხაზის დამცველებს, მაგრამ რუსეთის მამაცი მეომრები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მტრის ამ თავდასხმებს. მაჰმად-ემინი მიზნად ისახავდა დაღესტანთან დასავლეთ კავკასიის დამაკავშირებელ ყველა სტრატეგიულ ადგილზე სრული კონტროლის დაწესების უზრუნველყოფას. ამ მიზანს

---

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი.

[2] პროფ. ე. ბურჭულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა (სახელგამი, 1953).

ემსახურებოდა აგრეთვე მისი განზრახვა გაბატონებულიყო ყარაჩაისა და აფხაზეთში. შამილს, მაჰმად-ემინის მეშვეობით, დასავლეთ კავკასიიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა თურქეთის სულთანთან. მაგალითად, ცნობილია, რომ შამილმა თურქეთის სულთნის მიერ ბოძებული დროშა და მედლები კონსტანტინეპოლიდან მაჰმად-ემინის მეშვეობით მიიღო[1]. მაჰმად-ემინი უშუალოდ იყო დაკავშირებული საქართველოში შემოჭრილი თურქეთის საექსპედიციო ჯარების სარდალ ომერ-ფაშასთან და სოხუმში პირადად ეახლა ომერ-ფაშას. იგი დახმარებას ალუთქვამდა 20-ათასიანი ჩერქეზთა ლაშქრით. მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა, ჩერქეზი ხალხი წინ აღუდგა ამ გეგმას.

სამეგრელოში შემოჭრილ თურქ დამპყრობელ ომერ-ფაშას რაზმებში იბრძოდნენ მაჰმად-ემინის ახლო მეგობრები და მეომრები. მაგალითად. ალ. ფალავას ხელმძღვანელობით 60 კაცისაგან შემდგარმა საგვარეულო რაზმმა (ფალავებმა) ფერხარდ-ფაშას რაზმელებზე პირისპირ ბრძოლებში სრული გამარჯვება მოიპოვა, მათ მრავალი მოუკლეს და შერცხვენილი უკუ აქციეს. აქ მოკლულ თურქთა შორის აღმოჩნდა შამილისა და მაჰმად-ემინის პირადი მეგობარი და მათი მეაბჯრე, ცნობილი თავადი ჩუი[2].

დადასტურებულია, რომ ფერხარდ-ფაშას რაზმში დიდ უმრავლესობას ჩერქეზი მიურიდები და მათი თანმხლები ამალა შეადგენდა.

1855 წლის ნოემბერში რუსეთის მხედრობამ მურავიოვის სარდლობით თურქეთის უდიდესი ციხე-სიმაგრე და სტრატეგიული პუნქტი ყარსი აიღო. ყარსის აღებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის მსვლელობაზე და დააჩქარა საზავო ხელშეკრულების დადება. თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ყარსს და როგორი იყო საერთო განწყობილება მოკავშირეთა ჯარებში ყარსის დაცემის შედეგად, ამას მოწმობს ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1855 წლის 12 დეკემბერს. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „Падение Карса имеет огромное значение для здешнего края и, можно надеяться, оно яснее всего истолкует Турции безполезности для нея союза с Западными державами; Омер-Паша не защитит своими войсками Анатолии, в которой нет сочувствия к этой войне. По последним сведениям, он отступает к Редут-Кале и кавалерия наша его преследует... Несчастный гарнизон Карса

---

[1] Акты, т. XII, стр. 1405.

[2] Акты, ტ. X, XI, გვ. 117—118, 189—190.

прибывает в Тифлисе и возбуждает сострадание. Нищета и болезность пленных турок показывают, до какого бедственного состояния доведены они были наглым упрямством Вильямса. Сераскир и Паши прибывшие в Тифлис, от души ненавидят англичан и просили одной милости,—отделить их от Вильямса и его свиты"[1].

ომერ-ფაშა მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს მთლიანად დაპყრობის შემდეგ ყარსში შეჭრას. ამიერიდან, როცა ყარსი რუსებმა აიღეს, უკვე ყველაფერი გვიან იყო.

ომერ-ფაშას ამ სავალალო მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ თურქეთის ლაშქრის ყარსში დამარცხება, რის შედეგად ეს სიმაგრე რუსებმა აიღეს, ომერ-ფაშას დაბრალდა.

ყარსის აღების შემდეგ სამეგრელოში შემოჭრილი თურქეთის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ეტაპში შევიდა. რუსეთის მხედრობის ამ ბრწყინვალე გამარჯვებით აღფრთოვანებული ქართული სამილიციო რაზმები და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა გაორკეცებული ენერგიით აძლიერებს ბრძოლას ისე, რომ პარიზის საზავო ხელშეკრულების დადების წინა თვეში ომერ-ფაშას თარეში საქართველოს მიწა-წყალზე ფაქტიურად აღიკვეთა. ამას ადასტურებს იმ ამბების მომსწრე და მონაწილე კ. ბოროზდინი, რომელიც წერს:

„1856 წლის თებერვალში გურულებისა და მეგრელების მილიციებს რამდენჯერმე მოუვიდათ ოსმალ დამპყრობლებთან შეტაკება, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის პირველთ რჩებოდათ, რადგან ადგილმდებარეობა ზედმიწევნით იცოდნენ და მტერსაც მოულოდნელად ესხმოდნენ თავზე... მეგრელებსა და ოსმალებს შორის უკანასკნელი შეტაკება მოხდა ხორგასა და ყულევს შუა. თავადმა ჯაიანმა და გუბერნიის სეკრეტარმა გაბუნიამ მდ. ხობისწყალზე დაინახეს ნავი, რომელშიაც ოსმალი ჯარისკაცები ისხდნენ, მილიციონერებით დაეცნენ, ზოგი ტყვედ წამოასხეს და დანარჩენი დახოცეს, ყულევთან ჯარისკაცები მოაშველეს, მაგრამ მეგრელებმა ისინი დაამარცხეს... ოსმალოს კამანდა ყულევში გააქციეს და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდნენ. ეს იყო უკანასკნელი სურათი იმ სისხლისღვრის დრამისა, რომელიც მდ. ინგურზე იქნა დაწყებული"[2].

---

[1] სსრ კავშირის შსს საარქივო მთავარსამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, მოსკოვი, მე-3 განყ. 1-ლი ექსპედ., № 23, ფურც. 56—57.

[2] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 49—50.

ყარსის იერიშებში რუსეთის მხედრობის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი მოლაშქრეებიც. ამიერკავკასიის მრავალეროვანი ცხენოსანთა კორპუსისაგან ქართველი მეომრები თავიანთი გარეგნობითაც კი იპყრობდნენ ყურადღებას. ამ ამბების მონაწილის ცნობით „ყველა ჩვენგანს შორის ქართველ თავადაზნაურთა რაზმი მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი მდიდრული ტანისამოსით, შესანიშნავი იარაღითა და ლამაზი ცხენებით“[1]. საბუთებით ისიც ირკვევა, რომ მრავალ მათგანს თავი უსახელებია სასტიკ ბრძოლებში; მაგალითად, ყარსის ცნობილი იერიშის (1855 წ. 17 სექტემბერს) დროს გმირობით სახელგანთქმული კაზაკების მხარდამხარ ისინი თავს არ ზოგავდნენ, მსხვერპლს არ ერიდებოდნენ და შეძლეს მტრის ერთ-ერთი მთავარი შტაბის კარავზე რუსეთის დროშა აეფრიალებინათ. ამ იერიშის დროს გმირულად დაღუპულა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილიშვილი[2].

ყარსის აღებისათვის ბრძოლებში 1855 წელს გმირ ქართველთა რაზმი მთლიანად დაჯილდოებულ იქნა დროშით, ხოლო მებრძოლები—ორდენებითა და მედლებით.

ამ რაზმის შესახებ ჩვენამდე ასეთ საყურადღებო ცნობას მოუღწევია: „ყველა ისინი თავიანთი ეროვნული ტანსაცმელით იყვნენ გამოწყობილნი, ჰყავდათ საკუთარი ცხენები, ჰქონდათ თავიანთი ძველებური საჭურველი, რაც მათ წინაპრებმა დაუტოვეს უაზღვრო გულადობასა და მამაცობასთან ერთად. ...ამ რაზმებში ბევრი იყო მოხუცი 60 წლის ქართველი, რომლებიც ომში წავიდნენ, რათა მამაცურად დაელიათ სიცოცხლის დღენი და მიეცათ მომავალი თაობისათვის მამა-პაპათა გმირობით სიამაყის უფლება“[3].

ყარსის დაცემის შემდეგ ომერ-ფაშაა სამეგრელოში, რასაკვირველია, აღარ ედგომებოდა. იგი ამიერიდან უწესრიგოდ იხევა უკან.

ქ. ბოროზდინი, ეხებოდა რა სამეგრელოდან თურქეთის ჯარების უკანდახევის მიზეზებს, აღნიშნავდა, რომ: „ლაშქრობის მიზანი—გენ. მურავიოვის ჩამოცილება ყარსის ბლოკირებისაგან—ვერ

---

[1] სამხედრო კრებული, 1861, № 3, გვ. 87 (რუს.).

[2] იქვე, გვ. 101—103.

[3] ქართველთა ამ რაზმის ერთი ჯგუფის ფოტოსურათი გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“ 1944 წ. 1 სექტემბრის № 199; იგი რამდენადმე წარმოდგენას იძლევა მაშინდელ ქართულ ეროვნულ ჩაცმულობასა და მეომართა შეიარაღებაზე.

იქნა მიღწეული. მაგრამ მეორე მხრივ—უკანდახევა გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ თვით ქვეყნის შიგნით მან (ომერ-ფაშამ—ა. ი.), ყოველგვარი ცდების მიუხედავად, ვერ შეძლო კავშირის დამყარება მოსახლეობასთან, ვერ გადაიბირა ხელისუფალნი თავის მხარეზე".

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, აჯამებდნენ რა ყირიმის კამპანიის შედეგებს და ამხელდნენ რა ინგლისის პრესის ტრაბახს, აღნიშნავდნენ: „მთავრდება რუსების მესამე... კამპანია აზიაში. ყარსი და მისი ოლქი დაპყრობილია; სამეგრელო განთავისუფლებულია მოწინააღმდეგისაგან; უკანასკნელი, რომელსაც ჯერ კიდევ შეუნარჩუნებია ბრძოლის უნარი, — თურქეთის არმიის რაზმი ომერ-ფაშას არმიიდან, — მნიშვნელოვნად დაუძლურებულია რიცხობრივად და მორალურად... და თუ ამ წარმატებებსა და დაპყრობებს დავუპირისპირებთ იმ ფაქტს, რომ მოკავშირეებმა დაიკავეს სევასტოპოლის სამხრეთი ნაწილი, ქერჩი, კინბურგი, ევპატორია და ჩერქეზეთის რამდენიმე ნავსადგური, ცხადი ხდება, რომ მოკავშირეების მიღწევები არც ისე დიდია, რათა გამართლებულ იქნეს ინგლისის პრესის ბაქიობა"[1].

ამ ამბების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი დამთავრდა და საზავო ხელშეკრულება გაფორმდა (1856 წ. მარტი), რომლის შედეგად, როგორც ცნობილია, კავკასიის მხრიდან იმპერიის სახელმწიფო საზღვრები უცვლელი დარჩა; ინგლის-საფრანგეთის ვერაგული ზემოქმედებით თითქმის გაბათილდა და თურქეთს დაუბრუნდა ამ ომში რუსეთის მხედრობისა და ამიერკავკასიის ხალხთა გმირული ბრძოლებით გამოხსნილი ყველა ადგილი.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. X, გვ. 591 (რუს.).

# თავი მეხუთე

## მიურიდული მოძრაობის განადგურება და კავკასიის ომების დამთავრების ისტორიული მნიშვნელობა

1856 წ. რუსეთ-თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადებამ შამილი აღაშფოთა. „გავიგე ამ მატყუარა-მოღალატეებთან ზავის ჩამოგდების ამბავი“-ო, უხეშად სწერდა იგი თურქეთის სულთანს. შამილი არ სცნობდა ამ საზავო ხელშეკრულებას. მას საჭიროდ მიაჩნდა საკუთარი ძალების ამარა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო მეტი გააფთრებით გაგრძელება. აქედან თავისთავად აშკარაა ის სამხედრო ავანტიურიზმი, რომლის გზაზედაც საბოლოოდ დაადგა შამილი. აქვე შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, რომ ეს პერიოდი ხასიათდება მიურიდიზმის უკიდურესი კრიზისით. მთის ხალხები ამიერიდან, თითქმის მასობრივად, უნდობლად ეკიდებიან ამ მოძრაობას, იმამატის ინსტიტუტს მთლიანად და მის მიურიდებს, რადგან მათ დაამკვიდრეს აშკარა ძალმომრეობა, ძარცვა-გლეჯა, ტერორისტული მეთოდებით ხალხზე ბატონობა და ის გაუთავებელი სისხლისმღვრელი ბრძოლები, რაც საყოველთაო გაჩანაგებას იწვევდა, რასაც მთის ხალხები ათეული წლობით იძულებით იტანდნენ. ახლა კი მოთმინების ფიალა აღევსო ხალხს, ისინი გათვითცნობიერდნენ.

წავიდა ის დრო, როცა მიურიდიზმის ფანატიზმით გაბრიყვებული და აღგზნებული მთიელი თანაუგრძნობდა და ბრმად ენდობოდა შამილსა და ხალხის მყვლეფელ მის ნაიბებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში; ხალხს თვალი აეხილა. მიურიდები ბოლოს ისეთი უსასტიკესი მძარცველები გახდნენ, რომელთა მსგავსზე წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა წინათ ჰქონოდა მთის თავისუფალ ხალხებს.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამიერიდან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მიურიდებს წინანდებურად აღარ შეეძლოთ გაეყოლებინათ მთის ხალხები, თვით შამილის ერთგულ ფენებიდანაც კი.

ეს პერიოდი იმითაა დამახასიათებელი, რომ ამიერიდან რუსეთს საშუალება ეძლეოდა მნიშვნელოვანი ძალები გადმოესროლა

შამილის წინააღმდეგ და მძლავრი დარტყმით გაენადგურებია იგი; თუმცა ასე ერთბაშად შამილის განადგურება მაინც არ მომხდარა და რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბრძოლა 4 წელიწადს გაგრძელდა. ამის მიზეზი იყო ინგლის-თურქეთის შემდგომი ყოველმხრივი დახმარება შამილის ძალებისადმი რუსეთის წინააღმდეგ, რაც კვლავ გრძელდებოდა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც; ამის შესახებ 1856 წლის 14 ნოემბერს ბარიატინსკი საგარეო საქმეთა მინისტრს მოახსენებდა: «Военные и коммерческие пароходы посторонних нации довольно часто появляются на восточном берегу черного моря, перевозят торговцев и имеют сними на берегу сношения, для нас особенно вредные в том отношении, что появление их и отсутствие нашего крейсерства поддерживают в горцах уверенность в содействии против нас Турции и Англии и предают вас словам Сефер-бея и подобных ему возмутителей, доверяющих горцев, что они подданные Турецкого султана и должны во всем повиноваться поставленным им властям»[1].

არსებობს უამრავი სხვა დოკუმენტი, რომლებითაც ნათლად დასტურდება, რომ ინგლის-თურქეთის დახმარება შამილის რეაქციული მოძრაობისადმი გრძელდებოდა განუწყვეტლივ და სისტემატურად ამ მოძრაობის სრულ განადგურებამდე[2]. მეფის რუსეთმა მიზნად დაისახა ამიერიდან შამილისათვის ყველა მხრიდან ალყა შემოერტყა და სათანადო ზომები მიეღო ინგლის-თურქეთის ამგვარი მტრული მოქმედების წინააღმდეგ; ამ ღონისძიებათა შედეგად მტერი რკინის გამოუვალ რკალში მოექცა. ეს რკალი, კავკასიის სარდლობის ენერგიული მოქმედებით, დღითი დღე ვიწროვდებოდა. ამ მეთოდით შამილის წინააღმდეგ ბრძოლას ის შედეგი მოჰყვა, რომ 1859 წლის 25 აგვისტოს, აულ გუნიბთან უკანასკნელი საბედისწერო გაბრძოლების შემდეგ, შამილი კავკასიის მეფისნაცვალს, ბარიატინსკის, ტყვედ დანებდა.

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შამილის წინააღმდეგ ბრძოლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე საბრძოლო ოპერაცია, რომლებშიაც დამარცხება იგემა შამილმა.

ცნობილია, რომ 1857 წელს გრ. ორბელიანმა აიღო შამილის ძლიერი ციხე-სიმაგრე ძველი და ახალი ბურთუნაი და მთლიანად

---

[1] «Акты»..., т. XII, стр. 705—706.

[2] Сборник документальных материалов, თბილისი და журн. «Вопросы истории», 1951, № 6.

დაიპყრო სალათავია. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლას შამილის ბატონობის განადგურებისათვის, ამის შესახებ მოვუსმინოთ თვით შამილის მდივან-მწიგნობარს, ჰაჯი-ალის: «Народ говорил, что этот год принадлежит князю Орбелиани, а потому нет пользы сражаться с ним. Потеря в Кишен-Аухе и Буртунае простиралось до 300 убитыми и 450 ранеными; убито три храбрых наиба: Гитаинау наиб Гидатля, Шамхал наиб Гиндзлала и Бегалала, и Исмаил наиб Технуцала. Ни в каком походе не было убито столько наибов». შემდეგ ავტორი განაგრძობს: «Шамиля можно было уподобить овце, схваченной волком за шею и потерявшей всякую надежду на спасение"[1].

გრიგოლ ორბელიანი შამილის გასანადგურებლად წარმართული ამ ოპერაციების შესახებ უაღრესად საყურადღებო დეტალებზე ჩერდება მეგობრებისა და ნათესავებისადმი მიმართულ პირად წერილებში. ეს დეტალები და საბრძოლო შესანიშნავი ეპიზოდები ცხოველმყოფელი რეალობით გვიხატავს იმ გმირული ბრძოლების ხასიათს, რომელსაც ლაშქარი ეწეოდა მტრის წინააღმდეგ. ამ ლაშქარში ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ქართველობა, უმთავრესად, მილიციის სახით.

გრ. ორბელიანის ბარათები გარკვევით ადასტურებენ, რომ მიურიდიზმი და შამილის მოძრაობა ამ პერიოდში სრული დაცემის გზაზეა და შინაგანად იხრწნება. შამილს შორდებიან და რუსეთის მხარეზე იწყებენ ჯასობრივად გადმოსვლას ჯებრძოლები და ზოგი ერთგული ნაიბიც კი. თვით შამილიც, უკვე მოხუცებულობაში შესული, თითქოს ველარ იჩენდა წინანდებურ გაბედულებას ბრძოლებში და ადვილად ურიგდებოდა მარცხს, რომელსაც მას რუსის მხედრობა ზედი-ზედ აყენებდა.

გრ. ორბელიანი 1857 წლის 1 ივლისს ქეთევან ორბელიანს სწერდა: „სალათავიის და ტეხნუცალის ნაიბები დაიხოცნენ, შტიკებზედ აგებულნი, და მათთან მრავალნი მწიგნობარნი ყადიები, რომელთა წიგნები, ბეჭდები, ნიშნები მომიტანეს სალდათებმა ფეშქაშად.— მას აქეთ შამილა გაჯდა განზედ და მიყურებს კბილების კრაჭუნით. მეც ჩემთვის მძიმედ ვზივარ და ვაკეთებინებ გზებსა, ხე-ტყესა, კირსა, ქვასა და სხუათა მასალათა, რომელნიცა არიან საჭირონი ასაშენებლად ციხისა ამ ადგილსა"[2].

---

[1] Сказание очевидца о Шамиле, Гаджи-али (перевод с арабского) «Сб. свед. о Кавк. горцах», Тифлис, 1873, т. 7, стр. 51.

[2] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 196.

1857 წ. 10 სექტემბერს ამაზედვე ყაფლ. ორბელიანს სწერდა: „თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში, სადაც ვაშენ ციხესა. შამილიც იყო დიდის ჯარითა, ქურდსავით ტყეში იდგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდან, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირპირ ჩამტვრეული მირბოდა... 29-ს კათათვესა კიდევ დამარცხდა, 250 მოუკლეს და 70 დავიჭირეთ და კიდევ ამის გარდა 1-ს აგვისტოს დავამარცხეთ და 12 დავიჭირეთ, და ბევრი დახოცეს.—დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ბ ა შ ე ნ ა გ ქ ო ნ დ ე ს, რ ო მ მ ე ი ს ი ნ ი დ ა თ ვ ს ა ვ ი თ ვ ა ღ რ ი ა ლ ე დ ა კ ა ხ ე თ ი ს ს ი ს ხ ლ ი ა ვ ი ღ ე“[1].

გრ. ორბელიანი აქვე იუწყება: „ამას წინათ სალათავიის ნაიბი გამოვიდა 116 სულითა და მის შემდეგ ყოველს დღეს მორბიან ცოლშვილითა“[2]. აი, როგორ მარცხდებოდა და იშლებოდა შინაგანად იმამატის ინსტიტუტი.

1857 წლის 6 ოქტომბერს გრ. ორბელიანი დიმ. ჯორჯაძეს სწერდა: „გუშინ დილით, ცისკრის ჟამსა, ავიღე ბურთუნაი, უკანასკნელი ძალა შამილის სალათავიაში... ახლა შამილისაგან აშენებულს ციხეში მყუდროდ და მოსვენებით ჰსდგას ჩვენი სამი ბატალიონი ოთხის ზარბაზნითა“[3].

1857 წლის 2 ნოემბერს ბ. საგინაშვილისადმი მიწერილ ბარათში სწერდა: „წლევანდელი ზაფხული და შემოდგომა განვიდა ჩემთვის მეტად დიდს შრომაში, მაგრამ ეს მანუგეშებს, რომ ჩ ვ ე ნ ი ს ი ს ხ ლ ი ა ვ ი ღ ე შამილის კისრიდამ; სულ რჯული გავაგდებინე, მივამტვრიე-მივამსხვრიე მრავალჯერ, ბევრი დავატყვევე, მრავალი დაუხოცე, მიმოვფანტე მისი ჯარი... თვითონაც გამექცა შამილი აქედან და ახლა ჰზის დარღოში“[4]. გრ. ორბელიანის ამ ბარათებში მოტანილი ცნობები, რაკი ოფიციალური საბუთებიც ადასტურებენ, შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ.

შამილის განწირულ მდგომარეობას კარგად ამჩნევდნენ ინგლის-თურქეთი, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობდნენ მის გამოხსნას; კერძოდ, ინგლისის საკონსულოები ამიერკავკასიასა და ირანში თავიანთი აგენტებით, რომლებიც 1858 წელს განსაკუთრებით გააქტივდნენ, ახლო კავშირში იმყოფებოდნენ შა-

---

[1] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. II, გვ. 206 (ხაზგასმა ჩვენია—ა. ი.).

[2] იქვე, გვ. 209.

[3] იქვე, გვ. 216.

[4] იქვე, გვ. 226. მტერზე მოპოვებული ამ გამარჯვებისა და რუსეთის არმიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, რაც გრ. ორბელიანს ჰქონდა, 1857 წელს ებოძა გენერალ-ადიუტანტობა.

შილთან. ამის შესახებ გრ. ორბელიანი (უკვე თბილისში მყოფი, მაგრამ შამილის ამბებით ბოლომდე დაინტერესებული) 1858 წლის 28 აპრილს დიმიტრი ჯორჯაძისადმი მიწერილ ბარათში სწერდა: „ანგლიის კონსული, დანიშნული ყიზილბაშისა მხარეს, მიდის ბაქოზედ და იქიდამ პარახოდით გილან-მაზანდარანისაკენ, და რა საკვირველია, რომ რუსეთისათვის საკეთილოს არას დააწყობს, სუხუმშიაც იჯდება ანგლიის კონსული და რაღა თქმა უნდა, რომ მრავალგვარი ინტრიგები გაკეთდება მისგან მთაში ჩვენ სავნებლად“[1].

1859 წ. გაზაფხულიდან დიდი მზადების შემდეგ დაიწყო გადამწყვეტი შეტევები შამილის წინააღმდეგ. მზადებას შეტევისათვის ჯერ კიდევ 1858 წლის დასაწყისიდანვე შეუდგნენ. ჯარის ნაწილებთან ერთად ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეგროვდა დიდი რაოდენობის მოლაშქრე-მოხალისეები და მილიციელები. ქართველი ხალხი მონაწილეობდა ამ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლებში მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის საბოლოოდ გასანადგურებლად. თუ რაოდენ დიდი იყო ქართველი გლეხების მონაწილეობა ამ ლაშქრობაში, ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ხევსურეთის სოფელ ბლოში, ხევსური გლეხის აფშინა გიგიაურის მოგონება, რომელიც შამილის შეპყრობის უშუალო მონაწილე ყოფილა. გიგიაური სხვათა შორის გადმოგვცემს:„... შამილის დასაჭერად ჯარში წამლალეს—ჩვენ ვისაც გვსურდა თავი ნებით წავედით, ვისაც არა წილი ყრით“...

„რუსიც, ფშაველიც, ხევსურიც, მილიციონიც ლეკეთისაკენ წავედით, მელიქიშვილის ჯარში მივედით.

დავარბიეთ ლეკეთი, შევიპყარით შამილი. გავიმარჯვეთ. ერთ სოფელში 70 ქართველის ტყვე ყოფილიყო გადაყვანილი... გადმოვრეკეთ საქართველოში ის ტყვეები, წამოვედით: რუსიც, მილიციონი, თუში, ფშავი, ხევსური.

... მას იქით აღარ ვიცით სად იყვ შამილა

... წაუვიდ ლეკებსაც ის დროი, აღარც ტყვე მიუდიოდ, ველარც ჯარ გარდმადიოდ კახეთჩი. მას იქით გატყდა ლეკეთი“[2].

თუ რაოდენ დიდი იყო ქართველ მილიციელთა მონაწილეობა შამილის წინააღმდეგ ამ უკანასკნელ ბრძოლაშიც, ამაზე გარ-

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 239

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1784—85, 19 და 20 აპრილი, მოგონება ჩაწერილია ბარისახოში და გამოქვეყნებულია ჩამწერისავე დ. პავლიაშვილის ხელმოწერით.

ქვეულ წარმოდგენას იძლევა გრ. ორბელიანის ბარათი მოწერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი 1858 წლის 28 აპრილს, რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:„... 22 სოტნა მილიციისა გაიყუანეს მარტო კახეთიდამ და ახლავე დააყენეს ლინიაზე; შენ იფიქრე რა შევიწროებულს მდგომარეობაში იქნება კახეთი, რომელიცა ყოველს თვეს უნდა აძლევდეს ორიათასს თუმანზე მეტსა, მხოლოდ ამ ერთის საგნისათვის საჯამაგიროს“[1].

დაიწყო გადამწყვეტი დღეები შამილის შესამუსრად. ამის შესახებ, ჯერ კიდევ 1859 წ. 14 მარტს შამილის წინააღმდეგ ამხედრებულ დიმიტრი ჯორჯაძეს გრ. ორბელიანი სწერდა: „...თოთხმეტი ბატალიონით... და ურიცხვის მილიციითა მიალეწეთ ყოველივე, რაიცა წინაალგიდგეთ. ახლა ჩვენია დრო!— ამისთანა შემთხვევას ძნელად ღა იპოვნით: ჩაჩანი მთლად ჩამოეცალა შამილასა; თვით დაღესტანშიაცა ყრუ აღრეულობაა, ხალხი მოთმინებისაგან გასულია ესოდენის სისხლის ღვრითა და გაოხრებითა; რაღას უყურებთ“[2].

შამილის მდგომარეობა განწირული იყო. მაგრამ იგი თავის იმედებს კვლავ ინგლის-თურქეთის დახმარებაზე ამყარებდა; მაგალითად, 1859 წლის მარტში, შამილის უახლოესი თანამებრძოლების 50 უგავლენიანესი ნაიბისა და მიურიდის ხელმოწერით, ჩერქეზების სახელით პეტიციას გზავნიან თურქეთის სამხედრო მინისტრის რიზა-ფაშას სახელზე. ამ პეტიციიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ ეხმარებოდა თურქეთ-ინგლისი შამილს იმ პერიოდშიაც კი, როცა მისი სისხლიანი თარეშის დღეები დათვლილი და დასაღუპავად განწირული იყო. აი, ზოგი დამახასიათებელი ადგილი ამ პეტიციიისა: „... ჩვენ ვამაყობთ თქვენი მონაწილეობით, რომელსაც კვლავ გვიწევთ საერთოდ ჩვენს თანამემამულეებს, და შეგვიძლია მხოლოდ მადლიერი ვიყოთ იმისათვის, რომ თქვენ არ ივიწყებთ ჩერქეზ ხალხს და სულგრძელად მონაწილეობას იღებთ ჩვენს მდგომარეობაში, გვაძლევ დროგამოშვებით ხან აშკარად, ხან ფარულად, სიტყვიერად თუ წერილობით, სასარგებლო რჩევადარიგებასა და საიდუმლო ცნობებს... მთელი ჩერქეზი ერი ბედნიერია და ამაყობს ამ კეთილი განწყობილებით, რის ახალ დადასტურებასაც ჩვენ ვხედავთ თქვენი ალმატებულების დაპირება-

---

[1] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. II, გვ. 239.

[2] იქვე, გვ. 265.

ში, განაგრძოთ ფარული მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვიღებდით თქვენი აღმატებულებისაგან, ისევე, როგორც არა ერთი სასარგებლო ხელმძღვანელობით, რომლის მიზანია უფრო მეტად გაზარდოს ყველა ჩვენი თანაშემამულის გულმოდგინეობა და მამაცობა. ყველა ამ კეთილმყოფელობისათვის ერთსულოვნად აღგითქვამთ დავემორჩილოთ სულთანს და თქვენს აღმატებულებას... ეს დახმარება და კეთილი განწყობილება, — სწერენ შამილის თანამებრძოლები თურქეთის სამხედრო მინისტრს, — თქვენი მხრივ, უეჭველია, დიდ ძალას შეგვმატებს. ჩვენ ჩამოვუთვალეთ თქვენს ადიუტანტს ყველა საგანი, რაც აქ აუცილებლად გვესაჭიროება. იგი გადმოგცემთ ამ საგანთა დაწვრილებით ნუსხას და გთხოვთ: მოგვაწოდოთ ამ ნუსხის მიხედვით ყველაფერი, რაც შესაძლებელი აღმოჩნდება; ჩვენ აგრეთვე ვარწმუნებთ თქვენს აღმატებულებას, რომ თქვენი ბრძანების თანახმად ჩვენ გადავწყვიტეთ არ დავნებდეთ და განვაგრძოთ ომი"[1]. ყველაფერი ნათელია, ეს დოკუმენტი ფარდას ხდის ინგლის-თურქეთის აგენტურის მოქმედებას მთაში და ამასთანავე ნათლად ამჟღავნებს შამილის სამხედრო ავანტიურიზმს.

შამილის წინააღმდეგ შეტევა 1859 წლის გაზაფხულიდან დაწყებული უჩვეულო წარმატებით მიდიოდა: მტერი იძულებული იყო ზედი-ზედ დაეტოვებია მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის უმთავრესი სტრატეგიული სიმაგრეები. იგი ამიერიდან ნაკლებ ახერხებდა დახმარების მიღებას ინგლის-თურქეთისაგან. შამილის მოძრაობა და მიურიდიზმი განწირული იყო დასაღუპად, მტერი კი ბრძოლას მაინც დიდის სისასტიკით აგრძელებდა, 1859 წლის გაზაფხულზე რუსეთის მხედრობამ შამილი გამოდევნა თავისი ცნობილი ციხე-სიმაგრე ვედენოდან. ვედენოს აღება დიდი გამარჯვება იყო, მტერს აქ ჰქონდა იარაღის დიდი წარმოება და საომარი მასალის საჭირო მარაგი. ეს გამარჯვება შამილზე თბილისში საგანგებოდ აღუნიშნიათ. 1859 წ. 11 აპრილს ამის შესახებ გრ. ორბელიანი დ. ჯორჯაძეს სწერდა: „ვედენოს აღება ვიდღესასწაულეთ დიდად. რა განჰხდა ეს სასიხარულო ამბავი, მოიგლიჯა თბილისი და მიუხდა მთავარმართებელს ზურნა-ნაღარით, ურა, ურათი და ამავე ჟამს მეტეხიდამ შეიქმნა ზარბაზნის სროლა და ყოველივე აწათი ერთხმიანობა, ჟივილ-წივილი მართლად შეარყევდა გარეშე არესა. — იმავე დღესა იყო მილოცვა, მოლევნა სიონში.

[1] «Акты»..., ტ. XII, გვ. 809.

და რაზვოდი ყაბახზე. მახლაზ კარგად იდღესასწაულეს ძლევა მტერთაზედა"[1].

სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე მისული, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სიმაგრეებიდან გამოდევნილი და დარბეულ-დამარცხებული შამილი უკანასკნელად შეიხიზნა აულ გუნიბში, „მიუკალ“ მთაში, მაგრამ «Князь Тарханов и Канановнч со своими отрядами стали у подошвы горы.

В 1859 г. в ночь на 25-ое августа князь Тарханов... со страшными трудностями, при помощи веревок и лестниц, взошли на верхнюю площадь Гуниба. Бой продолжался не долго, мюриди были перебиты... выхода не было. В полуразрушенной сакле, опустив седую голову на руки, сидел Шамиль. В 4 часа пополудня, 25-го августа 1859 года Шамиль сдался Князю Барятинскому»[2].

გუნიბის სიმაგრეში აღნიშნულ პირებთან ერთად პირველი შეიჭრა თურქისტანიშვილი და სრესელი, მათ მიჰყვნენ დანარჩენები. მტერი გატყდა, ტყვედ დანებდა.

ასე დასრულდა შამილის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები. ამ ისტორიული გამარჯვების შედეგად ნ. ჩერნიშევსკი წერდა: „მადლობა ღმერთს, ახლა კავკასია აღარ შთანთქამს ყოველწლიურად 25.000 რუს ჯარისკაცს, ერთ-ერთი წყლული, რომელიც რუსეთს აუძლურებდა, განიკურნა“[3]. 25.000 ჯარისკაცში, რომელსაც ჩერნიშევსკი ასახელებს, შედის ქართველი და კავკასიელი ხალხები, რომლებიც რუს ჯარისკაცებთან ერთად კიდევ უფ-

---

[1] გრ. ორბელიანი. წერილები, ტ. II, გვ. 265.

[2] «Покорение Кавказа», გვ. 448—449. გუნიბის აღებასა და შამილის დატყვევებაში ქართველ ოფიცერთა, რიგით მებრძოლთა და მილიციელთა რაზმების ვაჟკაცური მონაწილეობის შესახებ ბარიატინსკი სამხედრო მინისტრ სუხოზანეტს 1859 წ. 27 აგვისტოს მოახსენებდა: «... войска... под личным начальством генерал-майора кн. Тархан-Моуравова с такими же трудностями и с таким же блистательным мужеством поднялись на Гуниб. Взойдя на высоты, кн. Тархан-Моуравов направил шедшие в голове стрелковую роту Грузинского гренадерского полка под командою подпоручика Микеладзе и сотню конно-иррегулярного полка с есаулом Джафар-ага, а вслед за ним и гренадерский батальон под командою подполковника Габаева в обход аула, а часть к палатке Шамиля и в тыл устроенных на восточном скате укреплений“ (Сборник документ. матер., გვ. 491). Шамиль С-Петербурге, подробное описание взятие его в плен и его жизни и семействе, 1859, გვ. 17.

[3] ნ. ჩერნიშევსკი, თხზ. კრებული, ტ. 14, გვ. 381 (რუს.).

რო მეტად წყდებოდნენ და ეკონომიურად ნადგურდებოდნენ შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. როგორც დავრწმუნდით, ამ წყლულის განკურნებაში დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა და ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შამილის განადგურებაში.

1858 წლის დასაწყისს გრიგოლ ორბელიანი შამილის წინააღმდეგ მოქმედი ფრონტიდან თბილისში სამოქალაქო სამსახურში იქნა გადმოყვანილი. ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის აზრი გამოხატა ჟურნ. „ცისკარმა", როცა იგი ლექსით მიესალმა გრ. ორბელიანის ჩამოსვლას თბილისში. ამ ლექსში ვკითხულობთ:

„მომესმა მოსვლა ტფილისს ქალაქსა თქვენი გრიგორი.
განშორდი კავკასს მისთა საფრთხეთა სად გმირთ ეს სწორი,
მუსრე შამილის მწყობრი და რაზმი, მთანი და გორი"[1].

დიდ და პატრიოტულ საქმედ მიაჩნდა თვით გრიგოლ ორბელიანს ის ბრძოლები, რომელნიც ქართველმა ხალხმა რუსეთის მხედრობასთან ერთად ათეული წლობით აწარმოვა შამილის მოძრაობის წინააღმდეგ. ეს ფაქტი გარკვევით ჩანს „შვილებისადმი პასუხში", სადაც გრ. ორბელიანი წერს:

„მამანი თქვენი.
თავის დროს ძენი
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი,
ოსმალ-სპარსები,
დაღესტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეს"[2].

---

[1] „ცისკარი", 1858, გვ. 3—4.

[2] ინტერესმოკლებული შეიძლება არ იყოს, თუ აქვე გაკვრით მაინც შევეხებით გრ. ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის გზას:

გრ. ორბელიანმა განვლო მკაცრი სამხედრო სკოლა; იგი ერმოლოვთან ერთად იბრძოდა 1822 წელს ჭარელი ლეკების დასამორჩილებლად ალაზანთან. 1826 წ. შამქორთან, ირანელების წინააღმდეგ მონაწილეობდა ყველა ომში პასკევიჩის დროს 1828—1831 წწ. მანძილზე და გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა ოფიცერმა.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იგი გადაასახლეს, აგრძელებს სამხედრო სამსახურს პოლონეთში, ხოლო საქართველოში 1838 წ. ბრუნდება.

1843 წ. გრ. ორბელიანს ნიშნავენ ავარიის მმართველად და ებმება ხანგრძლივ ბრძოლებში მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ. 15 წელი ებრძოდა შამილს. 1844—47 წწ. დაღესტნის ჯარების სარდლად გენ.-ლეიტ. ვ. ო. ბებუთაშვილი ითვლებოდა. გრ. ორბელიანი ხშირად სცვლიდა მას. 1848 წ. აულ გერგებილის აღებისათვის მას გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა. 1850 წ. გრ. ორბელიანი „ლეკის ხაზის" უფროსად ინიშნება.

შამილის დატყვევებასთან დაკავშირებით თავადაზნაურობა ქართველი ხალხის სახელით ბარიატინსკის სახელზე გაგზავნილ მილოცვაში წერდა:

„რამდენად მცირე იყო პოლიტიკური გავლენა საქართველოსი ქვეყანაზე, იმდენად ძლიერი იყო საქართველოს ზნეობრივი ძალა და მონაწილეობა კაცობრიობის განვითარებაში. განგებამ დაიფარა საქართველო ათასგვარ ჭირსა და ბოროტებაში, ვითარცა მომფენი ქრისტიანობისა ამიერკავკასიის ერთა შორის; საქართველო ებრძოდა ისლამის მიმდევართ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

დღეს... აღსრულდა წმინდა დანიშნულება საქართველოსი, დაუსრულებელი ომი დამთავრდა, ტყვედ ჩავარდნილნი ბრუნდებიან თავთავიანთ ოჯახებში, მშვიდობა გამეფდა იქ, სადაც ათასწლობით მიწის მუშაკისათვის იარაღი და გუთანი განუყრელი იყო“ [1].

---

1853 წ. შამილის წინააღმდეგ საბრძოლო გამარჯვებისათვის გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი ებოძა.

1854 წ. გრ. ორბელიანი კასპიის მხარეთა გამგებლის დროებით აღმსრულებლად დანიშნეს, ხოლო 1855 წ. მ. არღუთაშვილ-მხარგძლის გარდაცვალების შემდეგ დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

1855 წ. ორბელიანმა სასტიკად დაარბია ტაბასარანი, ყაითაღი, ხოლო 1857 წ. აიღო უძლიერესი პუნქტი ძველი და ახალი ბურთუნაის სიმაგრეები და დაიპყრო სალათავაი. ამავე წელს გრ. ორბელიანს ებოძა გენერალ-ადიუტანტის ხარისხი.

1858 წ. გრ. ორბელიანი დაღესტნიდან თბილისში გადმოიყვანეს სამოქალაქო სამსახურში. არსებობს მოსაზრება, რომ ბარიატინსკიმ ეს გააკეთა იმ მიზნით, რომ უსასრულო ომებში სისხლიდან დაცლილ შამილზე გამარჯვების დიდების სახელი მხოლოდ მას დაემკვიდრებია.

პატივმოყვარე ბარიატინსკი ასევე მოექცა კავკასიის ომების ვეტერანს, შამილის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, გენერალ მელიქიშვილს, რომელიც შამილის განადგურების წინა პერიოდში გადააყენა ჭარ-ბელაქანის ოლქისა და ლეკეთის საკორდონო ხაზის უფროსის თანამდებობიდან და მის ადგილზე ბარონი გენერალ ვრევსკი დანიშნა.

თავისი ასეთი მოქმედებით რამდენადმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს ნ. ო. სუხოზანეტს, გენ. მელიქიშვილის ახალ თანამდებობაზე განწესებასთან დაკავშირებით მოახსენებდა:

«Я и теперь буду Вас, просить со всею откровенностью о Генерал-Майоре князе Меликове...

... Я считаю его одним из способнейших генералов на Кавказе и имею в виду поручить ему со временем одну из высших должностей (სსრ კავშირის სამხედრო ისტორიული არქივი, ფონდი ВУА, საქ. 6667, ფურც. 63.)

[1] А. Л. Зисерман, Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, სამ ტომად, 1889—1891 წლები.

კერძოდ, ქართველი თავადაზნაურობა ამ აქტით სთვლიდა, რომ რუსეთმა საქართველოს მიმართ შეასრულა დიდი ხნის წინათ დადებული პირობა, რომ იგი საქართველოს საგარეო მტრებისაგან დაიცავდა. ამიტომ ამ ისტორიული გამარჯვების უკვდავსაყოფად სახალხო დღესასწაულის დამკვიდრება მოითხოვდა[1].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთება და შამილის მიურიდულ-თეოკრატიული რეჟიმის დამხობა მართლაც დიდი ისტორიული მოვლენა იყო როგორც კავკასიის, ისევე რუსეთის ხალხებისათვის.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გამოხსნითა და შამილის რეჟიმის განადგურებით საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეწყდა ათეული წლების მანძილზე უდანაშაულო ხალხთა სისხლის ღვრა, ძარცვა და სისტემატური თავდასხმები, მთის მშრომელი ხალხები კი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გამოხსნას მოკლე დროში მოჰყვა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში შამილის მიურიდთა და ნაიბთა ბატონობის დამხობა (1864 წ. მაისი) და მთელს კავკასიაში რუსეთის ბატონობის დამკვიდრება. ამიერიდან კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყება. მთის ხალხები რუსეთის მეშვეობით მოწინავე კულტურისა და ეკონომიური აღორძინების გზას დაადგნენ.

კავკასიის ომების დამთავრებას და მის შედეგებს კ. მარქსი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ერთ უდიდეს მოვლენად თვლიდა[2].

---

[1] Е. Марков. Очерк Кавказа... СПб, 1904, გვ. 507.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXIII, გვ. 128 (რუს.).

## თავი მეექვსე

# კავკასიის ომების გავლენა ყმა გლეხობის მძიმე მდგომარეობაზე და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება საქართველოში

ქართველი მშრომელი ხალხი კავკასიის ყველა ომში თავდადებულ ბრძოლას ეწეოდა დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ და მისი ხელმძღვანელობით. მშრომელი ხალხი თავის ამ ისტორიულ მისიას ასრულებდა უაღრესად ძნელ დროში და მისთვის მეტად მძიმე სოციალ-ეკონომიურ პირობებში—ბატონყმობის სასტიკი ექსპლოატაციისა და ცარიზმის სულისშემხუთველი ჩაგვრის რეჟიმის პირობებში.

ქვეყნის ამაოხრებელმა ხანგრძლივმა ომებმა და ამ ომებში მშრომელი ხალხის მასობრივად მონაწილეობამ შეაფერხა საწარმოო ძალების განვითარება, გააუარესა მოსახლეობის ისედაც დაბალი ცხოვრების პირობები, უკიდურესობამდე გაზარდა ექსპლოატაცია და გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი. გლეხობა ფეოდალური ექსპლოატაციისა და სავაჭრო-სავახშო კაპიტალის ბარბაროსული ყვლეფის ობიექტი გახდა. სისტემატურ ომებში ჩაბმული მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად კიდევ უფრო იზრდებოდა ფეოდალური საბეგრო გადასახადები და მრავლდებოდა როგორც ამ გადასახადთა სახეობები, ასევე მათი ნორმებიც.

ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიური პრაქტიკა ჰქმნიდა ისეთ ურთიერთობას, რომელიც სცილდებოდა წერილობითი კანონით ნებადართულ ფარგლებსა და მის ნორმებს; ბატონყმური წყობილება თვით ამყარებდა ისეთ მდგომარეობას, რომელიც გათვალისწინებული არ იყო კანონით[1].

მებატონეთა მიერ ყმა-გლეხობის ექსპლოატაცია ნაკლებ ნორმირებული, თვითნებური და საზღვარდაუდებელი იყო. მხოლოდ ამით აიხსნებოდა, რომ თითქმის თითოეულ სამთავრო-სათავადოში, ფეოდალურ მამულსა და სხვა სახის მფლობელობაში ეს ვალდებუ-

[1] А в а л о в, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I.

ლება სხვადასხვანაირი იყო, იმისდა მიხედვით, თუ როგორ სოციალურ-ეკონომიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული ეს ვალდებულებანი და თუ რა ქონებრივი შეძლებისა იყო და განვითარების რა საფეხურზე იმყოფებოდა როგორც გლეხის, ისე მემამულის მეურნეობა; არსებითად ეს იყო იმის მიზეზი, რომ უამრავი სხვადასხვა სახელწოდების საბეგარო გადასახადს იხდიდა ყმა გლეხი მებატონის სასარგებლოდ.

ყმა გლეხის უუფლებო მდგომარეობასა და უსასტიკესი ექსპლოატაციის შესახებ მეფე ვახტანგ VI კანონთა კრებულში, რომელიც ძირითადად ძალაში რჩებოდა საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე, მრავალ ადგილს ვხვდებით. მაგალითად, ამ კანონით:

ბატონმა რომ მოკლას ან დაასახიჩროს თავისი გლეხი, ამ უკანასკნელს და მის მემკვიდრეს არა აქვთ უფლება მოსთხოვონ მას დაკმაყოფილება.

გლეხს არ აქვს უფლება რაიმე გაყიდოს ან იყიდოს თავისი ბატონის დასტურის გარეშე.

თუ გლეხი უშვილოდ გარდაიცვალა, არავის არ აქვს უფლება გლეხის უძრავ ქონებაზე, ნაყიდის ჩათვლით, გარდა მისი ბატონისა.

როგორც გლეხი, ასევე ისიც, რაც მას აქვს, ბატონს ეკუთვნის.

ბატონის ცემისათვის გლეხმა უნდა ზღოს ხელის მოკვეთით ან გადაუხადოს ბატონს ამის ფასი, ხოლო პირადი გინებისა და გაბრაზებისათვის უნდა ზღოს ენის წართმევით ან გადაუხადოს ამის ფასი და სხვა მრავალი.

გლეხთა ესოდენ შემაძრწუნებელ უუფლებობას ფეოდალთა სრული თვითნებობა და გლეხების უცხოეთში მონებად გაყიდვაც ემატებოდა, რაც უდიდეს ეროვნულ უბედურებას მოასწავებდა. დამპყრობ ირან-ოსმალეთისა და მოღალატე ფეოდალების თვითნებობით „მთელი კავკასია მონათა ერთიან ბაზრად იყო გადაქცეული... მამელუკთა და ბაღდადის გურჯების მთელი ჯარები სულ ერთიანად კავკასიელი მონებისაგან შედგებოდა. თურქეთისა და სპარსეთის ყველა თეთრკანიანი მონა კავკასიიდან გამოჰყავდათ, თურქეთის ჰარამხანები სავსე იყო კავკასიელი ქალებით"[1]. კერძოდ, საქართველოდან აუარებელი მონები გაჰყავდათ გასაყი-

[1] რ. ფ ა დ ე ე ვ ი, კავკასიის ომის 60 წელი, 1860, თბილისი, გვ. 16—17 (რუს.)

დად. ამასთანავე უსაზღვრო იყო გლეხობის სიღატაკე; ჟ. შარდე-ნის ცნობით გლეხები თითქმის შიშველ-ტიტველი დადიოდნენ და მათი სიღატაკე უმაგალითო იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მართალია, თანდათანობით ალიკვეთა მონებით ვაჭრობა და რამდენიმედ რეგ-ლამენტირება მოხდა ყმა გლეხების საბეგარო ვალდებულებებისა მებატონეთა სასარგებლოდ, მაგრამ მიუხედავად ამისა რაკი ბატონ-ყმობა დარჩა და ამასთანავე ახალმა წინააღმდეგობებმაც იჩინა თავი,—კოლონიური ჩაგვრის, რუსეთის მხედრობიაათვის პურითა და ტრანსპორტით მომსახურების, სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ვერაგული ყვლეფისა და სოფლად აღმოცენებული სხვა სახის სოციალ-ეკონომიური წინააღმდეგობები მძიმე ტვირთად დააწვა ყმურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს გლეხკაცობას. რაც შეეხება სისტემატურ ომებს, რომლებიც ათეული წლების მან-ძილზე გაგრძელდა კავკასიაში, იგი უდიდეს გავლენას ახდენდა ად-გილობრივი გლეხობის ისედაც მძიმე მდგომარეობასა და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაზე საზოგადოდ.

ხანგრძლივ ომებში ქართველი ხალხის მასობრივმა მონაწი-ლეობამ და შამილის თავდასხმებმა საქართველოს სოფლებზე დი-დად გააუარესა ბატონყმური საქართველოს უმთავრესი მწარმო-ებელი ძალის, გლეხკაცობის მდგომარეობა.

მილიციაში სისტემატური სამსახური და სათვალთვალო პუნქტზე ყარაულობა, ცხენისა და ხარ-ურემის მუდამ მობილიზე-ბულ მდგომარეობაში ყოფნა, საბატონო, სახელმწიფო და სამხედ-რო-საბეგარო გადასახადები და ვალდებულებები, აგრეთვე ფულა-დი და ნატურალური საბეგარო გადასახადები უმძიმეს ტვირთად დააწვა გლეხკაცობას გარდა იმისა,რომ მოსწყვიტა იგი მეურნეო-ბასა და ოჯახს.

გლეხობის დიდი ნაწილი მევახშეების ქსელში გაება [1]. სავაჭ-რო და სავახშო კაპიტალისტური ელემენტები მოხერხებულად იყე-ნებდნენ გლეხობის ამ გაჭირვებულ მდგომარეობას. მაგალითად, სიღნაღის თავადაზნაურთა წინამძღოლის აფხაზის 1837 წ. მოხსე-ნებიდან ვტყობილობთ, რომ გლეხობა სხვადასხვა სახის საყარაუ-ლო, საბეგარო და სახელმწიფო ფულადი გადასახადების დასაფა-რავად წლის მოსავალს ჩალის ფასად ჰყიდიდა მევახშე ვიგინდა-

[1] პ. გუგუშვილი, მევახშეობის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნეში.

ჩაზე წინასწარ, ვიდრე მოსავალს აიღებდა და თვითონ მთელი ოჯახით კი იძულებული ხდებოდა წლის განმავლობაში ეშიმშილა. ასევე, იყო შემთხვევები, როცა გლეხი იძულებული იყო სესხი აეღო მევახშისაგან (მაღალ პროცენტში) მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში, მოსავლის მიღებამდე ერთი წლით ადრე.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა მევახშის ბადეში გახვეული გლეხობა ვერ იხდიდა ვალს, ვერაფოდეს ვერ აღწევდა თავს კაბალას და მევახშე ვიგინდარას ყმა ხდებოდა უმნიშვნელო თანხის გადაუხდელობით. 1825-იანი წლებიდან ასეთი შემთხვევები იმდენად მასობრივი ხასიათისა გახდა, რომ ხელისუფლების ორგანოები იძულებულნი შეიქნენ მასში ჩარეულიყვნენ იმ მიზნით, რომ მევახშეთაგან აღებული ვალების გადახდით დავალიანებული გლეხი სახელმწიფო საკუთრებად გამხდარიყო და ამ გზით სახაზინო გლეხები გამრავლებულიყვნენ[1].

საქართველოს გლეხობის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ საკორდონო ხაზებზე საყარაულოდ განწესებული იყო ათასობით რუსის ჯარისკაცი და ადგილობრივი სამილიციო რაზმები, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ადგილობრივ მოსახლეობას და, პირველ ყოვლისა, ღარიბ გლეხობას.

სოფლებიდან საყარაულო უბნებზე გლეხკაცობის მორიგეობით გაგზავნა ეკისრებოდა ნაცვლებს, რომელთა შორის მექრთამეებიც ერია და სოფლის შეძლებული ფენები ხშირად თავისუფლდებოდნენ სავალდებულო სამსახურისაგან, ამიტომ ეს მძიმე ტვირთი ფაქტიურად სოფლის ღარიბ გლეხებს დააწვა კისერზე. იყო ისეთი შემთხვევები, როცა შეძლებული გლეხები ფულით ქირაობდნენ ღარიბ გლეხობას და გზავნიდნენ საყარაულო სავალდებულო სამსახურში[2].

მაგალითად, კახეთის გლეხების მძიმე მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობს 1845 წელს შედგენილი ერთი საყურადღებო დოკუმენტი (თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის მაყაშვილის ჩანაწერი). იგი გვაუწყებს, რომ კახეთი გარშემორტყმულია მძარცველი ლეკებითა და თათრებით. 1844 წლის ძლიერი შიმშილობის დროს, როცა კოდი პურის ფასი 3 მანეთამდე გაიზარდა და უამრავი ოჯახები დაიმშა, გლეხობას როგორც თავი-

---

[1] ლენინგრადის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 1149, ანაწერი 1, საქმე 5, ფურც. 2—3.

[2] Сборник документ. матер., გვ. 179.

სი სავალდებულო სამსახური, ასევე საკუთარი ურმებისა და ცხენების გაყვანა ქვეყნის თავდაცვისათვის არ შეუნელებია. ამ მხარის გლეხობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ურიცხვი ჯარების აქ დაბანაკებამ. მათ პურის დაფქვისათვისაც კი მეტად შორეულ სოფლებში უხდებოდათ გასვლა, რადგან ადგილობრივი წისქვილები მხედრობის პურის ფქვას ვერ ადიოდა, ხოლო წყლის ნაკლებობის გამო ბაღ-ბოსტნების მორწყვაც კი აკრძალული იყო. ადგილობრივი გლეხობის საცხოვრებელ ბინებს იკავებდნენ ჯარის ნაწილები, რომელთაც გლეხობა ამარაგებდა სათბობით. გლეხობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა კომუტაცია და სააქციზო მაღალი გადასახადები[1].

უფრო მოგვიანებით (1863 წ.), თვით კახელი მებატონეებიც იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ შამილის ამაოხრებელი შემოსევებით გატანჯული გლეხების მდგომარეობა აუტანელი იყო. „მდგომარეობა კახეთისა დაღისტნის დამშვიდებამდე შემაძრწუნებელი იყო... 1859 წლამდე თვითეული სახლის ყოველნი ჰასაკოვანი წევრნი მაგარი დაიარაღებულნი დარაჯობდნენ თავის სახლობას, უეცრად მტრის ზედა დასხმისაგან... მრავალნი მათგანი უმეტესსა ნაწილსა წელიწადისასა განატარებდნენ სამსახურში თავის სახლობისაგან განშორებულნი...

1830 წლიდან დაწესდა კახეთში ქართული მხედრობა სახელწოდებით ქართული ქვეითა მილიცია, რომელიც იყო შემდგარი 500-ის კაცისაგან თავადთა და აზნაურთ სოტნებისა და ურიადნიკების დაწყობით... ზემო ხსენებულს მილიციას გარდა კახელებს ჰყავდათ სხვა და სხვა ადგილებში ალაზანს გაღმა, ბექანიანში, რამდენიმე ასი კაცი, გამოღმაცა ლინიაზე ეგრეთვე ასასობით სხვადასხვა მხარეზე საბრძოლველად იგზავნებოდნენ, როგორც სხვათა უეზთაგან ქვეითი თუ ცხენოსანი“[2]. გლეხთა მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც დაწესდა ე. წ. ლეკის საკორდონო ხაზი. ამის შესახებ იმავე დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ყოველივე ეს შეწუხება გარდათმენილად კახეთისაგან ნამეტნავად დროთაგან დაწესებისა აქ კორდონის ლინიისა, სადაც ამ მცირე სივრცეზედ ტრიალებდა შვიდი ათასიდგან რვა ათას კაცამდინ რუსის მხედრობა“[3]. აქვე მითითებულია, თუ რა ვალდებულებანი

---

[1] Сборник документальных материалов, გვ. 276—279.

[2] „შეკრება ოცდაერთის პირისა“... ვსარგებლობთ პ. გუგუშვილის პუბლიკაციით—„ქართული ჟურნალისტიკა“, გვ. 409—410 და პროფ. შ. ჩხეტიას საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950, გვ. 144—145.

[3] იქვე.

ეკისრებოდა გლეხობას ჯარის სურსათით, ტრანსპორტით და გათბობით უზრუნველსაყოფად, მათ მონაწილეობაზე სიმაგრეების მშენებლობაში და სხვა. კახეთის მაგალითი რამდენადმე ტიპიურია, მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

კახეთის მოსახლეობის საპატიო როლს, მათ მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლსა და თავდადებაზე შამილის მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლებში თვით ოფიციალური დოკუმენტებიც აღიარებენ. ერთ-ერთ ასეთ საბუთში ჩვენ ვკითხულობთ:

«Такова безукоризненная преданность Кахетинских уездов, которые отвоевали постоянные повинности, подобно коим не испытывала ни одна из губерний Закавказья»[1].

ქართველი გლეხების თავდადება ადრეც იყო ცნობილი. ბევრად ადრე, ვიდრე შამილის მოძრაობა დაიწყებოდა და მის წინააღმდეგ ბრძოლები გაჩაღდებოდა, საქართველოს გლეხობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომში და ქმედით დახმარებას უწევდა რუსეთს, მის მხედრობას მტერზე გამარჯვების მოპოვებაში.

აი, რას ამბობენ ამის შესახებ ისეთი გამოჩენილი ადამიანები როგორიც არიან ალ. გრიბოედოვი და ალ. ჭავჭავაძე. ისინი ახასიათებენ საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობის ერთგულ სამსახურს რუსეთის მხედრობასთან 1820-იან წლებამდე, ე. ი. იმ პერიოდამდე, ვიდრე მიურიდიზმი და შამილის მოძრაობა გაჩაღდებოდა. გრიბოედოვი ამის შესახებ წერს: «Но послушаем, с другой стороны, отзыв Закавказского жителя, обремененного беспрерывными пожертвованиями в пользу родной страны, так что сам у себя не признает никакой собственности, ибо она от него ежеминутно требуется на издержки во время войны, на содержание пограничных караулов, на городские расходы, на квартирование войск; и нельзя будет соболезновать о бедственном его состоянии»[2]. ალ. გრიბოედოვი, ჩერდება რა კერძოდ საქართველოზე, მის მდგომარეობას ადარებს რუსეთის სხვა მხარეებს და აღნიშნავს:

«Наконец, последнее вторжение персиян, за которое граф

---

[1] Сборник документальных материалов, გვ. 455.

[2] Из «Вступления к проекту Грибоедова», изд. Шляпкина. Полн. собр. соч. Грибоедова, 1889, Москва, გვ. 150.

Паскевич-Эриванский отомстил с толкою славою для России и ныне преследуемые им успехи в турецких пашалыках, стоили закавказским провинциям чрезвычайных пожертвований и более всего Грузии, особенно несущей бремя войны. Можно смело сказать, что с 1826 года по сие время она хлебом, скотом вьючным и тяглым, погонщиками и проч. в сложности более истратила от своего достояния, нежели бы то могла сделать самая цветущая из Российских областей, между тем как населением и величиной равняется только трем уездам из губерний Великороссийских»[1].

ჩვენი სახელოვანი პოეტი გენერალი ალ. ჭავჭავაძე ეხება ამავე ფაქტს და წერს: „ურმებისა და საქონლის მოთხოვნა ჯარების მოძრაობის დროს, პროვიანტისა და ბარგის გადასაზიდავად ფრიად უზომო იყო... საქართველოს ყოველწლიურად, მშვიდობიანობის დროსაც კი უფასოდ გაჰყავდა 112.154-მდე ურემი ხარ-კამეჩით შებმული და 99.780 სატვირთო ცხენი თავისი ჩალანდრებით". ალ. ჭავჭავაძის ცნობითვე — „ამაზე ნაკლები არ იყო მეორენაირი ბეგარა", ჯარების შესანახი სურსათის მოსახლეობისაგან აკრეფა „მცირედი ფასის მოცემით"[2]. ომიანობის დამაბულ ვითარებაში, რასაკვირველია, ამგვარი საბეგარო გადასახადები საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობისაგან სისტემატურად იზრდებოდა; კერძოდ, იგივე ითქმის 1826—1829 წლებში ირანსა და თურქეთთან (კავკასიის ფრონტიდან) რუსეთის ომების დროს; თუმცა ალ. ჭავჭავაძე აქვე დასძენს, რომ პასკევიჩის მმართველობის დროს ამგვარი საბეგარო გადასახადები შემცირდაო[3].

გადასახადების სიმძიმე და ბატონყმური ექსპლოატაცია უფრო სასტიკი გახდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ბრძოლა მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის წინააღმდეგ, ე. ი. 1830-იანი წლებიდან.

---

[1] Из «Вступления к проекту Грибоедова», изд. Шляпкина, გვ. 139.

[2] ალ. ჭავჭავაძე, თხზულ., ი. გრიშაშვილის რედ., 1940, გვ. 247.

[3] მაგალითად, მხოლოდ 1827 წელს სამხედრო უწყებას საქართველოს მოსახლეობიდან წაუყვანია 9951 მეხრე, 38.855 ურემი ქირის გადიდებით და 23.047 უქიროდ, 43.077 ჩალვადარი ქირით და 8.257 კი უქიროდ (იხ. პროფ. ი. ანთელავას სტატია „1826—1828 წ. რუსეთ-ირანის ომი და საქართველო" დაბეჭდილი აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, 1951, ტ. XXIV, გვ. 167). დამახასიათებელია, რომ გარდა ტრანსპორტისა გლეხობა ჯარს აძლევდა პურს და სხვა სახის სურსათს როგორც სახელმწიფო გადასახადების, ისე რეკვიზიციის წესით მტკიცე უდაბლეს ფასებში და შეწირვის წესით; აკეთებდა გზებს და მონაწილეობდა თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობაში.

დასახელებული ფაქტები და მათი ანალიზი, ვფიქრობთ, ზემოთ ნათქვამის უდავო დამადასტურებელია.

შამილის მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ბატონყმური ექსპლოატაციისა და მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრით განაწამები საქართველოს გლეხობა არა ერთხელ ამხედრებულა მემამულეებისა და ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ; 1841 წელს გურიისა და 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყებები მათ შორის ყველაზე უფრო მასობრივი იყო და რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მიზნებს ისახავდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთ საქართველოს გლეხობის შემაძრწუნებელი მდგომარეობა ომერ-ფაშას შემოსევის პერიოდში[1]. როცა მთელი დასავლეთ საქართველოს გლეხობა სისხლისმღვრელ ბრძოლებში იყო ჩაბმული, მებატონე-მემამულეები გლეხობის ექსპლოატაციას უფრო აძლიერებდნენ. ამის შედეგად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, გახშირდა გლეხთა აჯანყებები იმერეთში, სამეგრელოში და სხვ. 1857 წელს იმერეთის (ბაღდათისა და ამაღლების) გლეხთა აჯანყების გამოძიების მასალებით დასტურდება, თუ რამ აიძულა გლეხობა აჯანყებულიყვნენ. მაგალითად, აჯანყების მონაწილე უჩვენებდა: „სახალხო მილიციის დროს გლეხებს ვალდებულად გვხდიდნენ სალაშქროდ საკუთარი ცხენებით გავმგზავრებულიყავით; გარდა ამისა, ლაშქარში მონაწილე გლეხს თითოეული ლაშქრობისას დამატებით ვერცხლის ათ მანეთს გვახდევინებდნენ. ამავე დროს ჩვენი მემამულემებატონეები თავისთვის იტოვებდნენ ურმებით სურსათის გადაზიდვისათვის მთავრობიდან მიღებულ თანხებს, ასევე იმ თითო ჩერვონეცსაც, რომელიც მთავრობის მიერ დაწესებული იყო მილიციონერთა ხელფასად, და სხვ." [2].

ეს დოკუმენტები ტიპიურია და გარკვევით გამოხატავს იმერეთის თავადაზნაურობის უკანონო თვითნებობას ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი გლეხობისადმი. იგი წარმოდგენას იძლევა გლეხების ექსპლოატაციის შემდგომ გაძლიერებაზე ომის პერიოდში.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში საქართველოს ფეოდალური რეაქციული ზედაფენები გამდიდრების მიზნით უფრო დიდ სისაძაგლეს სჩადიოდნენ; ისინი, გარდა იმისა, რომ არ ზოგავდნენ გლეხობას, სარგებლობდნენ შექმნილი მდგომარეობით და ტყვეთა ვაჭრობასაც კი აჩაღებდნენ.

---

[1] Н. И. Чейшвили, К истории борьбы грузинского народа, Труды Батумского гос. пединститута, т. II, 1952.

[2] „საისტორიო მოამბე", ტ. I, 1945, გვ. 310—324.

გლეხთა ასეთ ექსპლოატაციასა და მებატონეთა ბარბაროსობას ნიღაბს ხდის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური უტუ მიქავა, რომელიც 1857 წელს აცხადებდა: „ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი სამშობლო წალეკილ იქნა ოსმალთა ჯარების მიერ. მტერი ანადგურებდა ყველაფერს, რაც მას ხელში ჩაუვარდებოდა. შველას ჩვენ არსაიდან არ მოველოდით. რუსის ჯარი წავიდა ჩვენგან, ხოლო ჩვენმა ბატონებმა დახმარების ნაცვლად იწყეს ჩვენი გოგოების და ბიჭების მიტაცება და მათი გაყიდვა ოსმალებზე... წავიდა ოსმალებიც და ჩვენი ბატონებიც მოგვდგნენ უწინდებულზე უარესად, თვით ოსმალებზე უარესადაც“[1]...

აი, სანამდე მივიდა მაშინდელი სოციალურ-ეკონომიური სისტემისა და ბატონყმური წყობილების სიდამპლე, მისი სისაძაგლე.

ქართველ გლეხკაცობას, იბრძოდა რა თავგამოდებით მემამულეებისა და ცარიზმის სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, არასოდეს არ წამოუყენებია მოთხოვნა ვა ოყოფოდა საქართველო რუსეთს. პირიქით, ისინი მთელ თავიანთ საუკეთესო მისწრაფებებს და უკეთეს მომავალს რუს ხალხთან მჭიდრო კავშირსა და ურღვევ მეგობრობაში ხედავდნენ.

ქართველ მშრომელ ხალხს ურყევად სწამდა, რომ მხოლოდ რუს ხალხთან კავშირში და მათი ხელმძღვანელობით შეიძლებოდა გარეშე მტრის მოგერიება, ცარიზმისა და მემამულეების დამხობა, მხოლოდ რუსი ხალხის უძლეველი ძალით შეიძლებოდა ირან-თურქეთის ამაოხრებელი შემოსევების საბოლოო ალაგმვა და საქართველოს მშვიდობიანი კულტურულ-ეკონომიური განვითარების უზრუნველყოფა. რუსი ხალხის საუკეთესო შვილებმა—დეკაბრისტებმა და რევოლუციურმა დემოკრატებმა პირველმა აღმართეს თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, რომელიც თავის ირგვლივ აერთიანებდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს დიდი რუსი ხალხის მეთაურობით[2].

---

[1] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, მოგონებანი ამიერკავკასიაზე, გვ. 144.

[2] თუ როგორი თავდადებითა და ერთგულებით იბრძოდა ქართველი გლეხკაცობა რუს ხალხთან ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთო მტრის წინააღმდეგ თურქ დამპყრობელთა და ასევე მისი აგენტის შამილის მძარცველთა ურდოსთან, ჩვენ უკანასკნელად აქ კიდევ ერთ ფაქტს მოვიტანთ. 1853 წლის ოქტომბრის ბოლოს შედგენილი ერთ საყურადღებო დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ როცა შამილის ურდოები ჭარ-ბელაქანს შემოესია და კახეთს სერიოზული საფრთხე დაემუქრა, მილიციელთა ლაშქრის შეყრა იწყეს, გლეხობა «... Узнав об опасности... поспешили со всех мест прибыть на защиту родины и многие явились на сборные пункты, не заходя в свои дома. Пастухи, сошедшие с гор, ос-

ქართველი ხალხის ერთსულოვანი ბრძოლა კავკასიის ომებში და, აგრეთვე, შამილის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ბრძოლებში თავადაზნაურობას, გლეხობას, მოქალაქეებს, ვაჭრებს, ხელოსნებსა და სამღვდელოებას ერთნაირი ზრახვები ჰქონდათ და ერთი საერთო სურვილი ამოქმედებდათ. საბუთებით მტკიცდება, რომ ამ საზოგადოებრივ კლასებსა და წოდებებს, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებდათ, ეს ინტერესები ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე და შეცვლილი სოციალურ-ეკონომიური პირობების შესაბამისად განსხვავებული ხასიათისაა ჰქონდათ.

თავადაზნაურობისა და სამღვდელოების შავი ფრთის მცირე ჯგუფს ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინა ჯეროვანი დასკვნის გაკეთება როგორც შექმნილი ვითარებიდან, ისე უნიადაგო 1832 წლის შეთქმულების შედეგებისაგან და კვლავ ფუჭად ოცნებობდა საქართველოს სამეფოს აღდგენაზე; ისინი განაგრძობდნენ მთავრობასთან ოპოზიციაში ყოფნას და პასიურად თანაუგრძნობდნენ შამილის თავგამოდებულ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. ეს ფენა კვლავ ალექსანდრე ბატონიშვილის ავანტიურისტულ-დინასტიურ დრომოჭმულ თვალსაზრისზე რჩებოდა, ემხრობოდა რუსეთის დამარცხებას და მზად იყო კავშირი დაემყარებინა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული რეაქციის ყოველგვარ ძალებთან, მათ შორის შამილთანაც; მაგრამ ასეთნი ცოტანი იყვნენ და მათი რიცხვი დღითი დღე მცირდებოდა. საზოგადოდ, ქართველი თავადაზნაურობის უდიდესი უმრავლესობა, აგრეთვე სამღვდელოება, შამილის რეჟიმისა და შარიათის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ გვევლინება. მაგრამ ზოგ მათგანს ამ ბრძოლებში პირადული და აშკარა კარიერისტული ზრახვები ამოქმედებდა. ამის საილუსტრაციოდ თუშეთის მოურავის ჩოლოყაშვილის ზემოთ დასახელებული მაგალითიც საკმაოა.

მეტად სხვა და ნათელი პოზიცია ჰქონდათ გლეხებსა და მოქალაქეებს (ნაწილობრივ ვაჭრებსაც). მათი რწმენით რუსეთისა

---

тавляли свои стада под надзор стариков и детей, а сами присоединялись к милиции, даже заболевшие не хотели уходить домой» (Сборник документальных материалов, გვ. 363).

ასეთია უტყუარი დოკუმენტები იმ უსაზღვრო თავდადებისა და პატრიოტიზმის დამადასტურებელი, რასაც ქართველი გლეხები იჩენდნენ შამილთან ბრძოლებში.

და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები, განსაკუთრებით, თურქეთისა და ირანის (და მათი აგენტების) წინააღმდეგ ბრძოლებში, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, თითქმის დაემთხვენ ერთმანეთს. მათი ღრმა მრწამსით რუსეთისა და საქართველოს ამ საერთო მტრებთან ბრძოლაში რუსეთის სამხედრო დამარცხება ქართველ ხალხს უდიდეს უბედურებას მოუტანდა, რადგან ეს დამარცხება საქართველოს ტერიტორიის სისხლიან ოკუპაციას გულისხმობდა და შაჰ-აბასისა და აღა-მაჰმად-ხანის მტარვალების ამბების განმეორებად ჰქონდათ წარმოდგენილი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ქართველ მშრომელ ხალხს, აგრეთვე თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მოწინავე ნაწილს (მაჰმადიანობის გზის გადასაღობად) არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გულგრილი დამოკიდებულება გამოეჩინა კავკასიის ომებისადმი და უშუალო, ცხოველმყოფელი მონაწილეობა არ მიეღო ამ ბრძოლებში.

რუსი მხედრობის მხარდამხარ და რუსეთის სამხედრო გამარჯვების მოსაპოვებლად ბრძოლებში მონაწილეობით ქართველმა ხალხმა იცოდა, რომ სამშობლოს დაცვასთან ერთად ეს ომები საქართველოს კუთვნილი მიწების გამოხსნასაც ისახავდა მიზნად. სწორედ ხალხის მასების ამგვარი რწმენა და მოქმედება იყო იმის საფუძველი, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარებმა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერით წარმატება მოიპოვეს და ისტორიული პროგრესული მისიაც ღირსეულად შეასრულეს; ეს აზრი კარგად გამოხატა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ, როდესაც რუსებისა და ქართველების მეგობრობაზე თქვა:

„ჩვენი საბრძოლო ძმობა ნამდვილი
იყო თურქეთის ზარის დაცემა".

შამილის მოძრაობისადმი საქართველოს საზოგადოებრივი კლასებისა და (საქართველოში გადმონაშთად კვლავ არსებული ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების) სამთავროსათავადოების დამოკიდებულების ერთგვარი გამოცდის პერიოდს წარმოადგენდა ყირიმის კამპანიის ხანა, როცა ყირიმში გამარჯვებული ომერ-ფაშას ურდოები დასავლეთ საქართველოში შემოიჭრა.

აფხაზეთსა და სამეგრელოში ომერ-ფაშას შემოჭრამ რამდენადმე შეასუსტა აფხაზეთის მთავრისა და სამეგრელოს ფეოდალური ზედაფენის ნაწილის რუსეთთან ერთგულების რწმენა. მაგრამ ეს არ ითქმის გლეხობაზე.

გლეხობის მასობრივად გადაბირების მიზნით, ომერფაშამ ცრუ მოწოდებები გაავრცელა, რომ იგი თითქოს გლეხობას ან-

თავისუფლებდა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ომერ-ფაშა სასტიკად მოტყუვდა. გლეხობა მიხვდა ამას და თავდადებით აგრძელებდა ბრძოლას ომერ-ფაშას ურდოების წინააღმდეგ. გლეხობა ასევე იბრძოდა სამეგრელოს ავტონომიას ამოფარებულ ადგილობრივ მებატონეთა ბატონყმური უმკაცრესი ექსპლოატაციის წინააღმდეგ და გადაჭრით მოითხოვდა რუსული მმართველობის დამკვიდრებას სამეგრელოში, ისევე როგორც ეს იმერეთში იყო.

* * *

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ მოკლედ შევჩერდებით სახალხო მილიციის სოციალური შემადგენლობისა და ორგანიზაციის ზოგიერთ საკითხზე.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ქართული სახალხო სამილიციო რაზმების სოციალური შემადგენლობის გარკვევა და მისი ორგანიზაცია, შეიარაღება და ყოფა-ცხოვრება სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ამჯერად იგი ჩვენი კვლევის საგანს რამდენადმე შორდება. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მილიცია შედგებოდა სახაზინო და საბატონ.ო გლეხობისაგან, მოქალაქე ხელოსნებისა და თავადაზნაურობისაგან. სამილიციო სამსახურში მოსახლეობის გამოყვანის ორგანიზაცია და მათი დარაზმვა ძირითადად მინდობილი ჰქონდა თავადაზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო მარშლებს და მათ ადგილობრივ წარმომადგენლებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად. მილიციელთა რაზმების შედგენა ტერიტორიულ პრინციპზე იყო აგებული და მისი დაკომპლექტება ცალკე წოდებების მიხედვით ხდებოდა. არსებობდა გლეხური, თავადაზნაურული და შერეული სამილიციო რაზმები. როგორც წესი, რაზმთა მეთაურებად თავადაზნაურობა ინიშნებოდა. რაზმები ათეულებად, ასეულებად, ხუთასეულებად და ათასეულებად ნაწილდებოდა. ათეულის მეთაურად უმეტესად გლეხობა იყო. რაზმები არსებობდა დროებითი და მუდმივი, ცხენოსანი და ფეხოსანი. რაზმის მეთაურები, რომლებიც თავადაზნაურობიდან იყვნენ, თვითნებურად ექცეოდნენ რიგით მილიციელებს; გაბატონებული იყო ჯოხის დისციპლინა, მექრთამეობა და აშკარა ბატონყმური მორჩილება. მეთაურები ხელაღებით ითვისებდნენ მილიციელთა უბადრუკ ხელფასს და მთავრობის ჯილდოებსაც არ აძლევდნენ დამსახურებისამებრ და უკანონოდ ანაწილებდნენ[1].

---

[1] „საისტორიო მოამბე“, ტ. I, გვ. 313. შ. გაბრიჩიძის პუბლიკაცია „საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში 1857 წელს“.

მილიციელი გლეხები ვერ ურიგდებოდნენ რაზმის მეთაურთა ასეთ შევიწროებას, დევნას და აშკარად ლაპარაკობდნენ მათ უკანონო მოქმედებაზე. ამით აიხსნება ის, რომ გლეხობა ჯერ კიდევ 1828 წლიდან იწყებს ბრძოლას, რათა მილიციაში გაწვეული გლეხური რაზმების მეთაურად არა თავადაზნაურობა ყოფილიყო დანიშნული, არამედ თვით გლეხობის მიერ არჩეული და მათი სანდო რიგითი ამხანაგი, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო მათი გულისთქმის გაგება.

გლეხობის ეს კანონიერი მოთხოვნა ნათლად გამოვლინდა 1829 წლის ქართლ-კახეთის გლეხობის მღელვარების პერიოდში და აისახა სათანადო დოკუმენტებში[1].

მილიციაში გაწვეულნი შემდეგში კიდევ უფრო მეტი გაბედულობით აგრძელებდნენ ბრძოლას თავიანთი უფლებების დაცვისათვის, მაგრამ ცარიზმის მოხელეები და თავადაზნაურობის რეაქციული ელემენტები დათმობაზე არ მიდიოდნენ და ებრძოდნენ გლეხთა ამ კანონიერ მოთხოვნას.

მე-19 საუკუნის 45-იანი წლებიდან, მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს, ბეჯრად უფრო განმტკიცდა ბატონყმური ჩაგვრა და გაძლიერდა ბატონეთა უფლებები. მ. ვორონცოვი საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხური მოსახლეობის წინააღმდეგ, მათი უფრო დათრგუნვის მიზნით და არისტოკრატიულ-ფეოდალური ფენების ბატონობის კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად, მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს. მ. ვორონცოვი ამ პოლიტიკის შესახებ წერდა: „ყველგან, სადაც კი ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზე იმყოფება (სწორედ ასეთად მიაჩნდა მას საქართველო და ამიერკავკასია—ა. ი.), მთავრობისათვის გაცილებით უფრო ძნელია მთელ მასებზე მოქმედება, ვიდრე ერთ წოდებაზე, რომელიც უფრო განათლებულია და, მაშასადამე, მეტი გავლენა აქვს. აქ კი (კავკასიაში) ამ მხარის პოლიტიკური მდგომარეობის გამო სიძნელე კიდევ უფრო საგრძნობია და, ამიტომ, არამცთუ არ უნდა „ხელვყოთ“ უმაღლესი წოდების უფლებები, არამედ ყოველმხრივ დავიცვათ და გავაძლიეროთ, ვინაიდან მხოლოდ არისტოკრატიულ საწყისს შეუძლია დაძლიოს ის დემოკრა-

---

[1] ცნობა მოტანილია ჩვენ მიერ საპუბლიკაციოდ მომზადებული დოკუმენტების კრებულიდან: „მასალები ქართლ-კახეთის 1829 წ. გლეხთა მღელვარების ისტორიისათვის“.

ტიული მიმდინარეობა, რომელიც განვითარდა და ასე ღრმად გაიდგა ფესვები (მხარეში) და რომლის წინააღმდეგაც აქამდე, სამწუხაროდ, გარდა იარაღისა არავითარი საყრდენი არ ყოფილა დაპირისპირებული" [1].

ვორონცოვისა და ცარიზმის სხვა უგავლენიანეს მოხელეთა მიერ შემუშავებული საქართველოსა და კავკასიის მართვის ეს გეზი და ვერაგული პოლიტიკა განუხრელად ხორციელდებოდა და კიდევ უფრო ღრმავდებოდა გლეხობის დამონება მანამ, ვიდრე ბატონყმობა არ გაუქმდა.

მაგალითად, ცარიზმის კავკასიელი მოხელეები ბარიატინსკის მეთაურობით 50-იან წლებში თვლიდნენ, რომ მიურიდიზმისა და შარიათის გავრცელების მთავარი მიზეზი მთაში ის იყო, რომ რუსულმა მმართველობამ თავის დროზე შეზღუდა მთის ფეოდალური უგავლენიანესი ფენები, მათი უფლებები და ბატონობა ხალხზე, რაც ადათობრივ სამართალს ემყარებოდა. რუსული მმართველობის მიერ მთის ადათობრივი სამართლის შერყევამ ხელი შეუწყო შარიათის კანონთა დანერგვას ფართო მასებში და გააერთიანა ხალხი ერთ ძალად, რომელიც მიურიდების მეთაურობით რუსული მმართველობის მოსპობისათვის დაირაზმნენ. შამილის დატყვევების შემდეგ მიურიდიზმი რომ კვლავ არ აღმოცენებულიყო, ბარიატინსკი მოითხოვდა ფეოდალური ექსპლოატაციის გაღრმავებას და მთის არისტოკრატიული ზედაფენების გაძლიერებასთან ერთად მოსახლეობის უფართოეს ფენებში ქრისტიანობის მასობრივად აღდგენა-დანერგვას [2].

ცარიზმისა და მებატონეების ამ ახალ, მძლავრ შეტევას საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩაგრული გლეხობა რევოლუციური აჯანყებებით პასუხობდა; მაგალითად, იმერეთსა და სამეგრელოში 1857 წელს თითქმის ერთდროულად იფეთქა გლეხთა აჯანყებებმა, გლეხებმა იარაღს მიმართეს. ცარიზმის სატრაპები, გარდა იმისა, რომ სისხლში ახრჩობდნენ ამ აჯანყებებს, ღონისძიებებს სახავდნენ, რომ ასეთი აჯანყებები არ განმეორებულიყო. ბარიატინსკის საგლეხო პოლიტიკის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ცნობილი მილიუტინი იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან პირა-

---

1 Орест Семен, великая головщина. Аграрный вопрос и крестьянская реформа на Кавказе, 1911, Киев, გვ. 15.

2 А. Л. Зиссерман, Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, т. II, გვ. 277—279.

-დი საუბრის გადმოცემისას. იგი ბარიატინსკს წერდა: იმპერატორ ალექსანდრე მეორეს „Мысль ваша о применении колонизации к постепенной эмансипации помещичьих крестьян в Грузии, весьма понравилась“ [1]. აი, როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ცარიზმის კავკასიელ მოხელეებს ბატონყმობის გაუქმებია წინ მასობრივად აჯანყებული საქართველოს გლეხკაცობია დათრგუნვა, მათი შემდგომი დამონება და ქვეყნის სრული კოლონიზაცია.

---

[1] А. Л. Зиссерман, Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, т. II, გვ. 145.

## თავი მეშვიდე

## ისლამის ბნელეთის მოციქულთაგან გამოხსნილი მთის ხალხები ახალი ცხოვრების მოპოვებისათვის ბრძოლის დიად გზაზე

კავკასიის მთიანეთში მიურიდიზმისა და შარიათის სისტემაზე დამყარებული იმამატის რეაქციული მმართველობის შედეგები შამილის შეპყრობითა და მისი კალუგაში გადასახლებით, რასაკვირველია, ერთბაშად არ აღმოფხვრილა.

შამილის რაზმების განადგურებით, მისი მიურიდების შეპყრობით იმამატის სისტემა კავკასიაში, მართალია, ხერხემალში გადატყდა და აღმოსავლეთ კავკასიაში რუსული მმართველობა დამკვიდრდა, მაგრამ იგივე არ ითქმის დასავლეთ კავკასიის შესახებ; აქ ინგლის-თურქეთის ყოველმხრივი დახმარებითა და მათივე სახელმოხვეჭილი აგენტისა და შამილის თანამებრძოლის მაჰმად-ემინის მეთაურობით მიურიდების მიერ გაბრიყვებული ჩერქეზი ტომების ფეოდალური ფენები კვლავ აგრძელებდნენ შეურიგებელ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ და უარს აცხადებდნენ მორჩილებაზე.

მეფის მთავრობა შამილის დამარცხების შემდეგ დასავლეთ კავკასიაში ომის მშვიდობიანი გზით დამთავრებას ცდილობდა. ამ მიზნით ცარიზმის მოხელეები ყოველმხრივ შეეცადნენ თვით შამილის ავტორიტეტის მოხერხებულად გამოყენებით მაჰმად-ემინი რუსეთის მაარეზე გადაებირებინათ და ამ გზით ბოლო მოღებოდა ომს დასავლეთ კავკასიაშიაც.

შამილმა მართლაც საგანგებო ბარათით მიმართა როგორც მაჰმად-ემინს, ისე ჩერქეზებს და მოუწოდა უბრძოლველად დამორჩილებოდნენ რუსეთს. ასეც მოხდა. ჩერქეზულმა ტომებმა — ნატუხაელებმა, თემირგორელებმა, ბზედუხებმა, აბაძეხებმა, აგრეთვე ყაბარდოელებმა და სხვათა უმეტესობამ დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე, ხოლო შედარებით მცირე რეაქციულმა ნაწილმა მაჰაჯირობა არჩია და თურქეთში გადასახლდა.

სწორედ ააეთი, თითქოს, მშვიდობიანი გზით მთავრდებოდა ყოველივე, რომ ინგლის-თურქეთის აგენტების ხელახალი ენერგიული ამოქმედებით ჩერქეზეთში კვლავ არ გაჩაღებულიყო მომ-

წამლელი პროპაგანდა დამშვიდებული ხალხის ხელახლად ასამხედრებლად რუსეთის წინააღმდეგ და კვლავ არ გაებრიყვებიათ ხალხი, — არ დაერწმუნებიათ ყალბი ხმებით, რომ თითქოს ჩერქეზეთში შავი ზღვიდან სულ მალე ინგლის-თურქეთის სადესანტო დიდი ჯარები მოედინება დასახმარებლად, მოაქვს იარაღი, სურსათი და სხვ.

ინგლის-თურქეთის აგენტურის მეთაურობით, მართლაც, 1861 წლიდან აჯანყებები ჩერქეზეთში მწვავე ხასიათს ღებულობს,—მათ დაარღვიეს რუსეთის ერთგულების ფიცი და იარაღით იწყეს მოქმედება.

ხელისუფლების ყოველგვარი ცდა მშვიდობიანად დაემთავრებია ომი, უშედეგო აღმოჩნდა. 1862 წლიდან რუსეთის მხედრობა სახელოვან გენერალ ევდოკიმოვის მეთაურობით შეტევაზე გადავიდა. ასეთ ვითარებაში მაჰმად-ემინი სტოვებს აჯანყებულ ხალხს და მთიელთაგან ნაძარცვი დიდი ქონებით თურქეთში გარბის. გაბრიყვებული და მოტყუებული ჩერქეზები უიმედო ბრძოლაში მიატოვეს, აგენტებმა კი თავს უშველეს.

რუსეთის სარდლობის მიერ შემუშავებული გეგმით 1864 წლისათვის დასავლეთ კავკასია საბოლოოდ იქნა დამორჩილებული და დამშვიდებული, რითაც კავკასიის ომები დამთავრდა. მთელ კავკასიაში რუსული მმართველობა დამკვიდრდა, ინგლის-თურქეთის აგენტურამ სასტიკი მარცხი განიცადა. მაგრამ თურქეთის აგენტებმა — მოლებმა და შეიხებმა მზაკვრული ქადაგებით ჩერქეზეთის დამარცხებულ ტომებს ახალი უბედურება დაატეხეს თავს. დაიწყო ე. წ. მაჰაჯირული მოძრაობა, რომლის შედეგად ჩერქეზულ ტომთა თითქმის ნახევარი იძულებით თურქეთში იქნა გარეკილი.

ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა გზაში გაწყდა უბინაობით, უსახსრობით, შიმშილით, ეპიდემიითა და ცხოვრებისათვის სრულებით შეუფერებელ ადგილებში მათი ჩასახლების შედეგად. ის, ვინც განადგურებას გადაურჩა, დაიწყო მათი ასიმილაციის სწრაფი პროცესი და ხელაღებით იძულებით გათურქება. თურქეთში მაშინ ლტოლვილ ჩერქეზთა შთამომავლობა დღეს სრულიად გადაგვარებულია.

სავსებით საწინააღმდეგო მდგომარეობაშია დღეს თავისუფალი საბჭოთა ქვეყნის ჩერქეზეთის მოსახლეობა, რომელთა წინაპრები არ აყვნენ თურქეთის აგენტების მაცდუნებელ პროპაგანდას, დარჩნენ თავიანთ სამშობლოში ანდა თავი დააღწიეს თურქეთში გადასახლებას და უკანვე დაბრუნდნენ სამშობლოში. სრ-

კავშირის ხალხთა ერთიან დიდ ოჯახში ჩერქეზ ხალხს აქვს თავისი ავტონომია. შექმნილია ჩერქეზეთის ეროვნული ოკრუგი და ადიღეს ავტონომიური ოლქი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა ჩერქეზთა ეროვნული კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების პირობები. ყოველმხრივ გაიფურჩქნა და აყვავდა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა; დასაბამი მიეცა ამ ხალხთა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმეს.

* * *

დამახასიათებელია, რომ ინგლის-თურქეთის აგენტურა კავკასიაში მიურიდიზმისა და შარიათის განადგურების შემდეგაც არ ცხრება და კვლავ აგრძელებს მტრობას რუსეთისა და კავკასიის ხალხების წინააღმდეგ.

ინგლის-თურქეთის რეაქციული ფენების დაპყრობითს მოქმედებაში შამილის განადგურების შემდეგ, ახალ ვითარებასთან შეფარდებით, კვლავ დიდ როლს თამაშობდა და მოხერხებულად იყო გამოყენებული ისლამის რელიგიის მსახურთა დაზვერვის მთელი ორგანიზაციები. მათი საქმიანობა ინგლისის მიერ წაქეზებული თურქეთის იმპერიალისტური ზრახვების პანთურქიზმისა და პანისლამიზმის რეაქციული იდეების პროპაგანდას ემსახურებოდა და ამ გიჟური იდეების განხორციელებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში გადაიზარდა.

თურქეთისა და ისლამის აგენტები მგზავრების, „გეოგრაფების", შეიხების, დერვიშ-მათხოვრების, მიურიდების, სასწაულთმოქმედების, მარჩიელებისა და სხვა მაწანწალა ცრუმარქვია ავანტურისტების სახით, მსახურობდნენ რა უცხოეთის დაზვერვის ორგანოებში, დაძრწოდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა მაჰმადიანურ ხალხებში. ისინი მუდამ განსაკუთრებული აქტიურობით მოქმედებდნენ კავკასიის ხალხებში (უმთავრესად მაჰმადიანურ ტომებში), რუსეთის სახელმწიფოს ძლიერების ძირის გამოთხრის მიზნითა და თავიანთი ბოროტი საქმიანობის გასაძლიერებლად.

ი. ბ. სტალინის განსაზღვრით „რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პანისლამიზმსა და პანთურ-

ქიზმს კონტრრევოლუციური ელემენტები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ"[1].

ამრიგად, ომის გამჩაღებელ თურქ რეაქციონერთა პანთურქისტულ ნაციონალისტურ რასობრივ ბოდვას, თურქი ტომების „უპირატესობის" შესახებ, თან ერთვის პანისლამიზმის ყბადაღებული მავნე ლოზუნგი. თურქი იმპერიალისტების ამ პოლიტიკურ-რელიგიურ, არსებითად არქირეაქციულ, იმპერიალისტურ ზრახვებს ინგლისელი იმპერიალისტების კარნახით ქადაგებდნენ თურქეთისა და ისლამის მოსყიდული აგენტები.

ინგლის-თურქეთისა და გერმანიის ეს პირწავარდნილი აგენტები თავიანთ ჯაშუშურ საქმიანობას განსაკუთრებით აცხოველებენ პირველი იმპერიალისტური ომის წინა პერიოდში და ომის დროს. დამახასიათებელია, რომ ისინი შამილის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებით ენერგიულად ამოქმედდნენ. მაგალითად, შამილის დამარცხებიდან და შეპყრობიდან ცოტა ხნის შემდეგ ამიერკავკასიაში ჩამოვიდა თურქეთის აგენტი ჰაჯი-მემედი, რომელიც, ამიერკავკასიის შეიხ-ისლამის განმარტებით, „...ყარსის გზით მიდის კონსტანტინოპოლში, რათა მთავრობას მოახსენოს ყველაფერი, რაც ნახა"[2].

პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების წინ თურქეთი კვლავ აძლიერებს მტრობას რუსეთის წინააღმდეგ, გზავნის სამხედრო აგენტებს და ისლამის ჯაშუშთა მრავალრიცხოვან „მოციქულებს"[3].

ირკვევა, რომ თურქეთის გამოცდილი ჯაშუშის, პანისლამიზმის მქადაგებლის, ვინმე ყარაბეგოვის საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ახალგაზრდა თურქთა" რეაქციულ პარტიასთან[4].

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 444.

[2] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ცენტრ. ისტ. არქივი, ფონდი 15, საქმე 7789.

[3] მაგ., 1908 წ. თურქეთმა თავის საკონსულოებთან თბილისში, ყარსსა და ბათუმში დანიშნა ვითომდა სავაჭრო წარმომადგენლობა. სინამდვილეში ეს „წარმომადგენლობანი" იყვნენ თურქეთის არმიის უმაღლესი განათლების მქონე ოფიცრები, მისი შემოწმებული ჯაშუშები, რომლებიც რუსეთის არმიის სამხედრო ძლიერების ძირგამოთხრას ლამობდნენ (იგივე ფონდი, საქმე 121, ფურც. 3).

1908 წ. 6 მარტს ოფიციალური ცნობით ვტყობილობთ, რომ: «Из Турции приезжают (фахи) духовные курды для пропаганды среди пограничных курдов о войне. Они проповедывают, что кавказские курды присоединились к своим турецким соплеменникам».

კომენტატორი მათ სავსებით მართებულად უწოდებს: «Апостолы войны". (იგივე ფონდი, საქმე 42, გვ. 203).

[4] 1912 წლის 14 დეკემბერს შედგენილი დოკუმენტით ირკვევა, რომ პანისლამიზმის გამოჩენილი აგენტი ყარაბეკოვი ახერხებს ბაქოში დამკვიდრებას

ისლამის სამოსელში გახვეული უცხოეთის დაზვერვის ასეთი და ამის მსგავსი უფრო საშიში აგენტურა რუსეთის წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ უფრო გაძლიერდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ამიერიდან ბრძოლამ შეუდარებლად უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო[1].

---

და იქ მუსულმანურ ხალხებში პანისლამიზმის მავნე იდეების ქადაგებას (საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ცენტრ. ისტორიული არქივი, ფონდი 15, საქმე 352, გვ. 2—3).

1913 წლის 14 ივნისს ერზერუმში მყოფი რუსეთის კონსული კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ: «Эрзерумский проповедник Ахмед Эхсан Эффенди, по прозвищу Араб-Ходжа, который в начале нынешнего года произносил в мечетах зажигательные речи против России»... ამავე დოკუმენტით ვტყობილობთ, რომ ერზერუმში მას წმინდანად თვლიდნენ. «Прибыл он из Египта и хорошо говорит по английски... в феврале месяце текущего года, партия «Единение и прогресс» в Эрзеруме намеревались командировать в Дагестан... за последнее время он весьма сошелся с эрзерумскими военными властями» (იგივე ფონდი, საქმე 352, ფურც. 1—14).

მართლაც, თურქეთის ამ აგენტს, არაბ-ხოჯად წოდებულს, სულ მალე მოუხერხებია და შემოპარილა კავკასიაში; ისე, რომ იგი 1913 წ. ივლისის დასაწყისს უკვე ყარსისა და არდაგანის მიმართულებით მოქმედებდა.

ამის შემდეგ იგი მალე ბაქოში გამოჩნდა, სადაც ქადაგებდა მუსულმანებში და ცდილობდა მათ გადაბირებას რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ისლამის მოციქული (იგივე ფონდი 15, საქმე 352, ფ. 19).

[1] მაგ., შემთხვევითი არ იყო, რომ თურქმა ინტერვენტებმა სამოქალაქო ომის წლებში დაღესტანში შექმნეს შამილის სახელობის კონტრრევოლუციონური რაზმები, რომლებიც იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ. ცნობილია ისიც, რომ ანტისაბჭოური რეაქციული ავაზაკური ბანდა დაღესტანში გოცინსკის მეთაურობით შამილის დროშით იბრძოდა და უშუალოდ ინგლისთურქეთისაგან ღებულობდა დახმარებას. ამ მიზნით, ინგლის-თურქეთის აგენტთა მიერ 1920 წ. დაღესტანში საგანგებო დავალებებით გადმოგზავნილ იქნა შამილის შვილიშვილი საიდ-ბეგი; მაგრამ მტრული ძალების ამ მოქმედებამაც მიზანს ვერ მიაღწია. დაღესტნის ხალხებმა განდევნეს ისინი. შამილის მემკვიდრეები დღესაც დაძრწიან ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტების კარდაკარ, რომლებიც, ჰკვებავენ რა თავიანთი ნასუფრალით, მათ იყენებენ საბჭოთა ხალხებისა და დემოკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკების ბატონობის დროს საქართველო ამ კონტრრევოლუციური ბანდების თავშესაფრად იქცა. ს. ორჯონიკიძე, ეხებოდა რა ამ ფაქტს, აღნიშნავდა:

„გავიხსენოთ უკანასკნელი ამბები დაღესტანში - აჯანყება, გამოწვეული ინგლის-საფრანგეთის ოქროთი შამილის შვილიშვილის მიერ, რომელიც გაემგზავრა თბილისიდან ლაგოდეხში... ლაგოდეხის შტაბი, დაარსებული დაღესტანში აჯანყებისათვის. დასასრულ, გავიხსენოთ ცნობილი მოწოდება, ყუბანისა და თერგის განთავისუფლების კომიტეტისაგან, გამოცემული თბილისში“ (გაზ. „კომუნისტი“, 1921, მარტის 10).

ომის გამჩაღებელი იმპერიალისტური მაგნატები რელიგიას მოხერხებულად იყენებენ მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიის წინააღმდეგ. პანისლამიზმი და პანთურქიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმის ყოვლად რეაქციული და დამპალი იდეოლოგიის მქადაგებელთა არსენალიდან ახლანდელ ვითარებაში მიმართულია საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის მოყვარე ხალხთა წინააღმდეგ.

კავკასიის ხალხები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მტკიცედ დარაზმულნი კომუნისტური პარტიის გარშემო, ფხიზლად იცავენ საბჭოთა სამშობლოს ახალი ომის გამჩაღებელი ყველა ჯურის აგრესორებისაგან და ერთსულოვნად იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

შამილის მოძრაობის ხასიათის მეცნიერულად ახსნას და გარკვევას, ამ მოძრაობის რეაქციული ბუნების მხილებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ისევე, როგორც პანთურქიზმისა და პანისლამიზმის დროშით ახალი ომის გამჩაღებელი იმპერიალისტების ბოროტი ზრახვების გამოცნობას. ნიღაბი აეხადა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ცრუ ისტორიულ კონცეფციებს, რომლებიც შამილის რეაქციულ მოძრაობას ეროვნულ-გამათავისუფლებელ პროგრესულ მოძრაობად ასაღებდნენ და ისტორიის ფალსიფიკაციას ახდენდნენ. სამწუხაროდ, ამ ყალბ შეხედულებას დიდხანს ჰქონდა გასავალი ჩვენშიაც; მას იზიარებდა ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსიც[1].

---

[1] ეს ყალბი კონცეფცია რელიეფურად აისახა გ. ჰუსეინოვის წიგნში: „აზერბაიჯანის მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან" (1949 წელი), რომელშიაც ვკითხულობთ: „მეფის კოლონიური რეჟიმისა და ადგილობრივ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლებში აზერბაიჯანელ გლეხობას აღაფრთოვანებდა აგრეთვე შამილის მოძრაობა" (იხ. გვ. 61 რუსული გამოცემისა). საქართველოშიაც ასევე ყალბად იყო გააზრებული შამილის მოძრაობა. მაგ., ალ. ფრონელის შრომა „მთის არწივი შამილი" (გამოიცა 1914 წ.) მთლიანად აგებულია აშკარა მცდარი და ყალბი კონცეფციის საფუძველზე, ე. ი. საქმე გვაქვს ისტორიის აშკარა ფალსიფიცირებასთან. ფრონელი ბრმად ეწევა შამილის პიროვნებისა და ბრძოლების იდეალიზაციას; იგი ვერ ამჩნევს იმ უბედურებას, რაც ამ ვერაგმა დიქტატორმა და აგენტმა კავკასიელ ხალხებს და, კერძოდ, საქართველოს მოუტანა, ამიტომ მისთვის არსებითად გაუგებარი და აუხსნელი დარჩა იმ ბრძოლის ნამდვილი შინაარსი, მიზნები და მნიშვნელობა, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა შამილის მოძრაობის წინააღმდეგ დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ და მისივე ხელმძღვანელობით. იგივე ითქმის ივ. ხატიშვილის დაუმთავრებელ წერი-

* * *

მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის განადგურების შემდეგ დიდი დრო გავიდა. მას შემდეგ კავკასიის მთის ხალხები კულტურულად და ეკონომიურად უმაგალითოდ დაწინაურდნენ. ისინი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხების მხარდამხარ გაბედულად იბრძოდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის დაამხობად და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად დაღესტნის ხალხმა, ისე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხმა, მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია თავისი ეკონომიური და კულტურული განვითარების გზაზე. ამ საფუძველზე განხორციელდა უდიდესი ამოცანა — ჩამოყალიბდნენ ახალი, სოციალისტური ერები. საყურადღებოა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობითა და მისი კულტურული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა მთის ხალხთა ლიტერატურა და დამწერლობა ლეკურ, ავარულ, ლაკურ, დარგოულ და კუმუხურ ენებზე.

დაღესტნელი ხალხი ამაყობს თავიანთი შვილით, ჩვენი დროის ჰომეროსის, სულეიმან სტალსკის სახელით, რომელმაც უკვდავი და შთამაგონებელი სტრიქონებით უმღერა მთიელთა ახალ ბედნიერ ცხოვრებას, მათი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს.

---

ლებზე: „დაღესტნის იმამი შამილი" (დაიბეჭდა ჟურნალ „მოგზაურში" 1903 წელს № 1, 2, 7, 8-ში. წერილები დაუმთავრებელია). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიულ მწერლობაში შამილის მოძრაობის შესახებ აქ აღნიშნულის გარდა ვხვდებით რამდენიმე საგაზეთო სტატიასაც, მაგალითად, გაზეთ „ივერიაში", „დროებაში" და სხვა. უკანასკნელად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, სამწუხაროდ, დიდხანს მიურიდიზმისა და შამილის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოჩენილ საზოგადო და სამხედრო მოღვაწეებს ჩრდილი ჰქონდათ მიყენებული იმიტომაც, რომ ისინი ებრძოდენ შამილს, „ვითომდა კავკასიის ხალხების ამ გამანთავისუფლებელს". მაგალითად, ასე ექცეოდნენ გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც, როგორც დავრწმუნდით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შამილის განადგურების საქმეში, სახელოვან მგოსანს ნ. ბარათაშვილს, რომელიც ასევე შამილის მოძრაობის შეურიგებელი მტერი იყო, ალ. ჭავჭავაძესა და სხვ., რომელთაც არსებითად სწორი თვალსაზრისი გააჩნდათ შამილის რეაქციულ მოძრაობაზე. წვრილბურჟუაზიული მენშევიკური მწერლობა და ისტორიოგრაფია ცდილობდა შამილის მოძრაობაზე უკვე გამომუშავებული საზოგადოებრივი სწორი აზრის გაბათილებასა და რევიზიის გაწევას.

გაიფურჩქნა და აყვავდა ამ ხალხთა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ასევე მეტად საყურადღებოა მათი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის საერთო საქმეში. დაღესტნის ხალხთა ეს წარმატებანი, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა ხალხების მიღწევები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგია.

დიდმა „ოქტომბრის რევოლუციამ... ერთი დაკვრით დაამსხვრია ჩაგვრის ბორკილები, გადაატრიალა ძველი ურთიერთობა ხალხთა შორის, ძირი გამოუთხარა ძველ ეროვნულ მტრობას, ნიადაგი გაუწმინდა ხალხთა თანამშრომლობას და მოუპოვა რუს პროლეტარიატს მისი სხვა ტომელი ძმების ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და აზიაშიც"[1]. სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში დიდი რუსი ხალხი უფროსი ძმაა. რუსი ხალხი ი. სტალინმა დაახასიათა, როგორც „... ყველაზე უფრო გამოჩენილი ერი ყველა ერთა შორის, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან"[2].

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა დიდი და უძლეველი ძალაა. „ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო"[3].

კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე საუკუნოდ გაჰქრა შუღლი და მტრობა მთიელ კავკასიელ ხალხებს შორის[4], რომელსაც ინგლისელ-თურქი აგენტები, ისლამის სარწმუნოებას ამოფარებული მიურიდები და იმამები იძულებითა და აშკარა ძალმომრეობით ნერგავდნენ.

დაღესტნელი ხალხის სიყვარული სამშობლოსა და თავისუფლებისადმი, მათი ბრძოლა უცხო დამპყრობლებისა და ექსპლოატატორული ზედაფენების წინააღმდეგ დაუსრულებელ სისხლისმღვრელ ომებში პოულობდა გამოხატულებას. მთიელთა ამ უსასრულო სისხლისმღვრელი ომების არსი კარგად გამოხატეს ქართველმა მწერლებმა ტიციან ტაბიძემ, ს. შანშიაშვილმა და სხვ. პიესა „ანზორის" გმირის სიმღერაში ჩვენ ვისმენთ მართალ სიტყვებს:

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 203.

[2] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 368.

[3] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 132.

[4] ლ. ებანოიძე, სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა, სახელგამი, 1953 წ.

„დაღესტანს ომი რათ უნდა
სისხლით მოირწყო მიდამო“...

ქართული ისტორიოგრაფიის უმდიდრეს და უძველეს ტრადიციებს, „ქართლის ცხოვრების“ შესანიშნავ ფურცლებს სიყვარულით შემოუნახავს ცნობები ქართველი და დაღესტნელი ხალხების ერთობისა და საუკუნოვანი მეგობრობის შესახებ; რასაკვირველია, შემთხვევით მოვლენად ვერ მივიჩნევთ იმ მეტად საყურადღებო ფაქტს, რომელიც დღესაც ცოცხლობს კავკასიის ხალხებში და ასე მოხდენილად გამოხატა გუნიბელმა მეწისქვილე კოლმეურნემ, მოხუცმა აბდულა ხიზრიევმა დაღესტნელი და ქართველი კოლმეურნე გლეხობის საზეიმო შეხვედრისას გუნიბში — „კავკასიის მთები საერთო დედაა, რომლის ერთი ძუძუთი ჩვენ ვიკვებებით, მეორეთი კი ქართველები“[1].

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის პროგრამის განსახორციელებლად, რაც დასახა კომუნისტურმა პარტიამ, მილიონობით კოლმეურნე გლეხი თავდადებით იბრძვის. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ახალი ვალდებულებანი იკისრეს და ერთმანეთს შეეჯიბრნენ დუშეთისა და გუნიბის რაიონების მეცხოველეობის კოლმეურნეობები. გუნიბისა და დუშეთის რაიონის მოწინავე რიგითი კოლმეურნე-მწყემსები, მწველავები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და ბრიგადირები წერილებს უგზავნიან ერთმანეთს, ებმებიან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში და გულწრფელად უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. მაგალითად, გუნიბის რაიონის სოფ. სოგრატლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა გაჯიბაი ციხილოვამ გულთბილი წერილი მოწერა დუშეთის რაიონის გველეთის კოლმეურნეობის მწველავ მარიამ სეთურიძეს. მან მიიღო ქართველ კოლმეურნეთა გამოწვევა შეჯიბრებაში და იკისრა ახალი ვალდებულებები. დუშეთის რაიონის სოფ. ჩოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მეფურიშვილმა წერილი მიიღო გუნიბის რაიონის სოფ. ჩოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სტალინური პრემიის ლაურეატ ისლამ ისლამოვისაგან. ქართველი კოლმეურნეები ეწვიენ გუნიბელ კოლმეურნეებს.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1954, 16 დეკემბერი, გვ. 3. წერილი დაღესტნიდან „დაუვიწყარი შეხვედრები“.

გაზ. „კომუნისტისა“ და „დაგესტანსკაია პრავდას“ ფურცლებზე საქართველოსა და დაღესტნის კოლმეურნეთა მეგობრული გოინოზების გამომზევება დაიწყო. ქართველ და დაღესტნელ ხალხთა მეგობრობა დღითი დღე ღრმავდება. საუკუნო დავიწყებას მიეცა შავბნელი დრო. დაღესტნელი და ქართველი ხალხი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობითა და ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის დიადი დროშით ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვების ნათელი გზით.

## დ ა ს კ ვ ნ ა

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა ჩაისახა, განვითარდა და განმტკიცდა უცხო დამპყრობლებთაგან სამშობლოს დაცვისათვის საუკუნოვან, სამართლიან ბრძოლებში. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა მე-15—16 საუკუნეებში იწყება, როცა ირან-თურქეთის უსამართლო ომებით მომაკვდინებელი საშიშროება დაემუქრა ქართული სახელმწიფოებრივობის არსებობას; ჩვენი ქვეყნის ეს საუკუნოვანი მტრები ასევე იპყრობდნენ რუსეთის სამხრეთის რაიონებსაც. ამ საერთო მტრის, ირან-თურქეთის წინააღმდეგ სამშობლოს დაცვისათვის ერთობლივ ბრძოლებში ისახება რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა.

მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის მიჯნაზე ირან-თურქეთის აგრესიულმა ამაოხრებელმა ომებმა აიძულა ქართველი ხალხი უფრო მეტად განემტკიცებია თავისი საბრძოლო თანამეგობრობა დიდ რუს ხალხთან. ამიერიდან საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება მკვიდრ ნიადაგს პოულობს რუსეთ-საქართველოს ეკონომიური და კულტურული კავშირის შემდგომ სისტემატურად ზრდასა და გაღრმავებაში.

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატი. ამ ისტორიული ტრაქტატით გაფორმებულმა საბრძოლო თანამეგობრობამ უდიდესი შეშფოთება გამოიწვია არა მარტო შაჰის ირანსა და სულთანის თურქეთში, არამედ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ ზედა ფენებშიც. ამიერიდან ბრძოლა ახალ პირობებსა და ვითარებასთან შეფარდებით ბევრად ფართო ასპარეზზე იქნა გადატანილი; ირან-თურქეთის აგრესიებს საქართველოსა და კავკასიაში ფაქტიურად ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია უდგება სათავეში. ძლიერდება აგენტურა და დაზვერვა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კავკასიის მთის მაჰმადიანი ხალხები რუსეთსა და საქართველოზე აემხედრებინათ. მე-19 საუკუნის დასაწყისს საქართველოს რუსეთთან შეერთებით ახალი ხანა დაიწყო მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორიაში. რუსი და ქართველი ხალ-

ხების საბრძოლო თანამეგობრობა აწიერიდან სავსებით ახალ სტადიაში შედის.

იმპერიალისტური ინგლის-საფრანგეთის წაქეზებით მე-19 საუკუნის 1-ლ მესამედში რუსეთის წინააღმდეგ გაჩაღებულ ირან-თურქეთის ომებში რუსეთი დიდ წარმატებებს აღწევს. დიდად იზრდება რუსეთის გავლენა აღმოსავლეთში. ამ ომებში ღრმავდება და ახალი სიძლიერით გამოვლინდება რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ძალა და მისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებითა და რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებით კავკასიაში რუსეთის გავლენის ზრდა წარმოადგენდა პროგრესულ ისტორიულ მოვლენას, რომელიც თავისი ობიექტური შედეგებით ირანელ-თურქ დამპყრობთა ჩაგვრიდან კავკასიის ხალხების გამოხსნისა და მათი მიწა-წყლის განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული.

1830-იანი წლებიდან რუსეთთან პირისპირ ბრძოლებში დამარცხებული ირანელი და თურქი დამპყრობლები ბრძოლის მეთოდებს სცვლიან და თავიანთი აგენტურით — მიურიდიზმისა და შამილის მოძრაობის ძირგამომთხრელი მოქმედებით კავკასიაში რუსეთის საწინააღმდეგო ახალ დივერსიულ ომებს აჩაღებენ.

შამილის რეაქციული მოძრაობის 30-წლიან ბრძოლებში, რომელიც ყირიმის კამპანიის უაღრესად დაძაბულ პერიოდსაც მოიცავს, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობა არაჩვეულებრივად იზრდება და ღრმავდება; ეს საბრძოლო თანამეგობრობა მასობრივი და სახალხო ხასიათისა ხდება. რუსი და ქართველი ხალხების ამ საბრძოლო თანამეგობრობამ გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს. დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც წარმატებით იქნა მოგერიებული როგორც ინგლისელ-თურქ დამპყრობთა ყველა შემოტევა კავკასიაში, ისე შამილის სისტემატური დივერსიული გამოლაშქრებანი.

ინგლის-თურქეთისა და შამილის კოორდინირებული სამხედრო მოქმედებანი იქეთკენ იყო მიმართული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთისა და შამილის ლაშქრის შეერთებით მომაკვდინებელი მახვილი ჩაეცათ რუსეთის გავლენისათვის აღმოსავლეთში და კავკასიის ხალხები კვლავ დაემონებინათ. ბატონყმური ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის მეტად მძიმე პირობების მიუხედავად, ქართველი ხალხი ერთსულოვნად უპირისპირდება რუსი და ქართველი ხალხის საერთო მტრებს; ამ ომებში რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა, კავკასიის მოძმე ხალხთან ერთად, ბრწყინვალე წარმატებებით ხასიათდება. ისტორიის გაკვე-

თილებითა და უტყუარი ისტორიული საბუთებით დასტურდება კავკასიის ომების შესანიშნავი ისტორიკოსის გენერალ ფადეევის დიდი ხნის წინათ წარმოთქმული სიტყვები:

„ვიდრე ქართველები ჩვენთან ერთად ძმურად დგანან, რაც უნდა მოსდეს, შეუძლებელია კავკასიის არმიის განდევნა ქვეყნიდან, რომელიც ესოდენ მამაცი ხალხითაა დასახლებული და ვიდრე ჩვენ მტკიცედ ვდგევართ საქართველოში, არავითარი დროებითი წარუმატებლობა მოსაზღვრე მუსლიმანებთან საშიშროებას არ წარმოადგენს და ყოველთვის ადვილად გამოსწორდება. ამ თვალსაზრისით ადვილად შეიძლება შეფასდეს საქართველოს გულწრფელი ერთგულების მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის"[1].

გენერალ ფადეევის ეს საყურადღებო დაკვირვება შეეხება იმ პერიოდს, როცა ქართველ ხალხს არ ეხებოდა კანონით სამხედრო სავალდებულო სამსახური (ე. ი. 1887 წლის წინაანას) და რუსი მხედრობის მხარდამხარ კავკასიის ყველა ომში ხალხი ნებაყოფლობით მონაწილეობდა. ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული ამ ბრძოლების დიდი მნიშვნელობა მშვიდობიანი ცხოვრებისა და ეკონომიური განვითარებისათვის. 1887 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობაზე სამხედრო-სავალდებულო ბეგარა გავრცელდა. ქართველი ხალხი ამიერიდან უფრო ორგანიზებულად მონაწილეობდა რუსეთის ყველა ომში და რუს მეომრებთან ერთად იმპერიის ყველა საზღვარზე საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერიდან ქართველი ხალხის ცნობიერებაში სამშობლოს ცნებაც ახალ შინაარსს ღებულობს და უფრო ფართოვდება. მაგრამ იმის გამო, რომ მე-20 საუკუნიდან იცვლება თვით ომების ხასიათი, პრინციპულად განსხვავებული ხდება მასების დამოკიდებულება ამ ომებთან.

მეფის რუსეთის ბრძოლა კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელებისათვის 1720-იანი წლებიდან იწყება. იგი დაკავშირებულია პეტრე I-ის ცნობილ ლაშქრობასთან. მეფის რუსეთის ლტოლვა კავკასიაში ფეხის მოკიდებისა და გავლენის გაძლიერებისათვის ამიერიდან მეტ-ნაკლები აქტივობით არ შენელებულა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1739 წლიდან ბელგრადის საზავო ხელშეკრულების შემდეგ რუსეთის ხელისუფალთა მიერ საგანგებოდ ე. წ. **კავკასიის ხაზის** შექმნა.

კავკასიის ხაზი, რომელიც გადაჭიმული იყო ასტრახანიდან

---

[1] რ. ს. ფ ა დ ე ე ვ ი, კავკასიის ომების 60 წელი, ტ. II, გვ. 157 (რუს.).

კიშინიოვამდე და მოიცავდა მოზდოკის, გეორგიევსკის, სტავროპოლის, ეკატერინოგრადისა და იმპერიის სამხრეთი რაიონების სხვა სტრატეგიულ-ისტორიულ სიმაგრეებს, წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს პლაცდარმს აღმოსავლეთში და, კერძოდ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენის თანდათანობითი ზრდისათვის.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის პირველი (1768—1774) და მეორე (1787—1791) ომის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა რუსეთის პოზიციები აღმოსავლეთსა და, კერძოდ, კავკასიაში; ყირიმის შეერთებისა და 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ არაჩვეულებრივად განმტკიცდა რუსეთის გავლენა, გაძლიერდა თვით კავკასიის ხაზის სამხედრო-პოლიტიკური როლი, მისი ორგანიზაცია და ზემოქმედება ამიერკავკასიასა და კავკასიის მთის ურჩ ტომებზე; ამრიგად, კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლა, რომელიც მე-18 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო, არ შენელებულა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ ბრძოლის 1-ლი ეტაპი, შეიძლება ითქვას, ყირიმის გამოხსნითა და საქართველოს შეერთებით დასრულდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას რუსეთის შემდგომი გაძლიერებისა და მისი გავლენის ზრდისათვის აღმოსავლეთში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კ. მარქსი სტატიაში „ყარსის დაცემა“ გვაძლევს იმის განსაზღვრას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის საქართველოს შეერთებას, რომ საქართველოს შეერთების შემდეგ თბილისი რუსეთის მთავრობის ცენტრალურ პუნქტად იქცა აზიაში, სადაც თავმოყრილი იყო კავკასიაში მოქმედი არმიის მთავარი შტაბი, და სხვ. [1].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდასთან დაკავშირებით სრულიად ახალ ვითარებაში იწყება ინგლისელ-თურქ დამპყრობთა და მათი აგენტების წინააღმდეგ მიმართული კავკასიის ომები, რომელიც სამოც (60) წელიწადს გაგრძელდა (1804—1864 წწ.). რუსეთის მხედრობისა და კავკასიელი ხალხების გმირული ბრძოლებით გამოხსნილ იქნა ირანელ და თურქ დამპყრობთა მიერ უსამართლოდ მიტაცებული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კუთვნილი მიწა-წყალი მისივე მკვიდრი მოსახლეობით [2].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. X, გვ. 555 (რუს.).

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954.

კავკასიის ომების მსვლელობისა და მისი შედეგებისადმი უაღრესად დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ ომების თანამედროვე რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, ქართველი და კავკასიის სხვა ხალხების მოწინავე ადამიანები. კავკასიის ომებით დაინტერესებულნი იყვნენ და გულისყურით სწავლობდნენ მას მარქსიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

რუს რევოლუციონერ დემოკრატებს ნ. ჩერნიშევსკის[1], ნ. დობროლიუბოვს[2] და სხვ., ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს, ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეებს, ა. წერეთელს და სხვ. ისევე, როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის განმანათლებლებს, კავკასიაში რუსეთის გავლენისათვის წარმოებული ეს ხანგრძლივი ბრძოლები განმათავისუფლებელ ომებად მიაჩნდათ. ილია ჭავჭავაძე, ეხებოდა რა ქართული ეროვნული დროშის მებრძოლ ბუნებას, ამბობდა: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია... ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას... ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში. ამავე დროშას,—ი. ჭავჭავაძის მართებული შენიშვნით,—აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგანწირვით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხოვია მამულისათვის"[3]. ბუნებრივია, ილიას ამ შემთხვევაში კავკასიის განმათავისუფლებელი ომები ჰქონდა მხედველობაში. მარქსიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი კავკასიის ომების დამთავრებასა და კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების აქტს, როგორც აღვნიშნეთ, იმ პერიოდის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენად სთვლიდა[4].

ფ. ენგელსს, უკეთებდა რა ანალიზს აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდის მნიშვნელობასა და შედეგებს, მიაჩნდა, რომ ეს

---

[1] ნ. ჩერნიშევსკი, თხზ., ტ. 14 გვ. 381.

[2] ნ. დობროლიუბოვი, თხზ., ტ. 4, გვ. 155.

[3] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 9.

[4] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXXII, გვ. 188. კავკასიის ომებში საბრძოლო დამსახურებისათვის ქართველ ხალხს სამარადისოდ შესანახად მთელი რიგი საბრძოლო დროშები გადაეცა, რომელთაგან ს. ესაძე მხოლოდ 8-ს ასახელებს. იხ. ს. ესაძე, „Летопись Грузии", Юбилейный сборник, выпуск I, 1913, გვ. 293—297.

პროცესი იყო დიდი ისტორიულ-პროგრესული მოვლენა, რამდენადაც იგი პირობებს აწზადებდა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა სოციალურ-ეკონომიურად უფრო სწრაფი განვითარებისათვის და აღმოსავლეთის ხალხთა გასათვითცნობიერებლად ახალი, თავისუფალი ცხოვრების მოპოვებისათვის დიად ბრძოლებში[1].

რუსეთის მილიონობით მშრომელები, რუსი და სხვა ეროვნებათა ხალხთა მასები, მართალია, ესოდენი თავგანწირვით იბრძოდნენ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ სამშობლოს დაცვისათვის, მაგრამ ვიდრე ხელისუფლების სათავეში მეფის მთავრობა, მემამულეები და ბურჟუაზია იდგა, მათ საკუთარი სამშობლო ჯერ კიდევ არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. რუსეთის სხვადასხვა ეროვნების ბევრი ხალხი მე-19—20 საუკუნეთა მიჯნაზე თავგანწირვით აძლიერებს ბრძოლას მშრომელთა ჭეშმარიტი სამშობლოს მოპოვებისა და სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის. ამ უდიდესი ისტორიული მისიის შესრულება დაეკისრა ყველაზე უფრო რევოლუციურ რუსეთის მუშათა კლასს და მის ავანგარდს კომუნისტურ პარტიას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი ერა დაიწყო. რუსეთის მრავალეროვანმა ხალხთა მასებმა სოციალისტური სამშობლო მოიპოვეს.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი უმაგალითო გმირობითა და ძლევამოსილებით შეუძლიათ დაიცვან ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებულმა მშრომელებმა ბრძოლით მოპოვებული თავისი ნამდვილი დედასამშობლო, ამის მარად უჭკნობ მაგალითს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი წარმოადგენს. სსრ კავშირის ხალხთა გმირული ტრადიციები, შემუშავებული უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ საუკუნოვან ბრძოლებში, მათი ურყევი საბრძოლო თანამეგობრობა, სავსებით ახალ სტადიასა და თვისობრიობაში გადაზრდილი, ისეთი სიღრმით, გაქანებითა და სიძლიერით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, რომლის მაგავსი არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს ისტორიას. ამის საფუძველი იყო ის, რომ ამ სამართლიან და განმათავისუფლებელ ომში სსრ კავშირის მშრომელები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით იცავდნენ საკუთარ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXI, გვ. 211 (რუს.).

# დანართი

**1. 1774 წლის თებერვალი. — ლეონ ბატონიშვილის მიმართვა გრაფ ნიკიტა ივანეს ძე პანინისადმი ყირიმში ოსმალთა მონობისაგან რუსეთის მხედრობის მიერ განთავისუფლებული ქართველი ტყვეების საქართველოში დაბრუნებისათვის განკარგულების გაცემის შესახებ.**

მაღალ უბრწყინვალესო ღრაფო, მოწყალეო ჩემო ჴელმწიფევ ნიკიტა ივანოვიჩ!

სხვა და სხვა ჟამთა გამოსრულნი ყირიმიდამ და განთავისუფლებულნი საჰურველითა როსიისათა ქართველნი ტყვენი, რომელთაგან მრავალნი რიცხვ, მოწყალების უკაზით განტევებულნი, მოვიდნენ საქართველოს; ხოლო აწ მეუწყა მე ვითარმედ გამოსრულთა მათ ტყვეთაგანნი დაყენებულ არიან სხვათა და სხვათა ადგილთა რომელთამე კამანდირთაგან და ვითარმედ ძალით ასახლებენ მათ სხვათა და სხვათა ადგილთა როსიის სამპყრობელოსათა, რომელთამე ჲამულსა შინა; მათსა ჰყავთ ცოლნი და შვილნი და რომელთამე მამანი და დედანი, ხოლო სხვათა მახლობელნი ნათესავნი, და ვითარ მამაი, აგრეთვე მეცა დარწმუნებული ვართ უმაღლესითა მისის იმპერატორობის დიდებულების მოწყალებითა; ამისათვის ყოვლად უმდაბლესად ვთხოვ თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებას ქრისტიანობისათვის აჩვენოთ მათ თქვენი მამობრივი მოწყალება, რათა ზემოხსენებულნი ტყვენი, წადილისამებრ მათისა, თვინიერ ყოვლისა დაყოვნებისა, განტევებულ იქმნენ მამულსა შინა თვისსა საქართველოსა, რომლისთვის სადაცა საჰირო არს ინებოთ შეტყობინება მუნ მყოფთა მეკომანდეთა თავისუფლება განტევებისა მათისათვის, ხოლო სხვათა ყოველსა შინა ვჰგიე უბრწყინვალესობისა მაღალ პატივის ცემისა თქუენისასა

თქვენის მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებისა ჩემის მოწყალის ხელმწიფისა ყოვლად დამორჩილებულესი მოსამსახურე:

**მეფის ძე ლეონ**

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ძველი საბუთების არქივი, ფონდი «Груз. дела», საქმე 353, ფურც. 39. დედანი.

**2. 1783 წლის ნოემბრის 21. — მეფე ერეკლეს შუამდგომლობა გენერალ პ. ს. პოტიომკინთან რუსეთთან დამაკავშირებელ**

**საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის ხელმძღვანელის მაიორ ვასილ რომანის ძე მახვილაძისათვის შესაფერი ჯილდოს მიცემის შესახებ.**

უგანათლებულეს კნიაზ,

მწყალობელო ჴელმწიფე ჩემო!

ქ. ამ წიგნის მომრთმელს უფალს მაიორს ვასილი რომანიჩს მახვილოვს შევვედრებთ თქვენს უგანათლებულესობას. რათგან კავკასიის გზის გაკეთებაზედ დიდად გაისარჯა და თავისი კამისია საჴელმწიფოს სასარგებლოდ დაასრულა. და ამით ჩვენ დიდად კმა გვყო, რომლისათვისცა ვითხოვთ თქვენის უგანათლებულესობისაგან. რომ არ დააგდოთ თავისის ერთგულობით მსახურების შესაბამის ნაღრაჟდენიისაგან. რომლითაც ჩვენ დიდად კმა ვიქმნებით. და ვართ

თქვენის უგანათლებულესობისა მოწყალე ჴელმწიფევ უმდაბლესს მოსამსახურედ მეფე ქართლისა კახეთისა და სხვათა,

**ერეკლე**

სსრკ შსს საარქივო სამმართველო, ძველი საბუთების არქივი, კავკასიის საქმეების (პოტიომკინის) ფონდი 23, ნაწ. XIII, ფურც. 99. დედანს ხელს აწერს მეფე ერეკლე.

**8. 1784 წლის ოქტომბრის 23. — მეფე ერეკლეს პატაკი რუსეთის სამეფო კარის მოხელესადმი საქართველოში მოქმედი რუსეთის მხედრობის სარდალ გენერალ-მაიორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სამოილოვის მიერ ჭარის მიდამოებში ლეკ-ფეოდალებთან ბრძოლაში გმირობის გამოჩენის შესახებ.**

უგანათლებულესო კნიაზო,

მოწყალევ ჴელმწიფევ!

ქ. თანამდებნი ნიადაგ უგანათლებულესობისა თქჳენისადმი აქაურთა საქმეთა მოხსენებად, განვაცხადებთ წინაშე თქვენსა, რომ როდესაც იმისი მაღალ მსვლელობა იარანალი პავლე პოტიომკინი აქ თბილისს მობძანდა, მრავალთა და სხვათა და სხვათა საქმეთაგან არ აქვნდა დრო, რომ გძლად აქ დამდგარიყო; და როგორც ხედვიდა, მისის უდიდებულესობის ყ[ოვლა]დ მოწყალის ჴელმწიფისა ჩჳენ და მომართ მოწყალებითსა მფარველობასა, ინება ჩჳენთანა დატევებად ამისის მაღალ მსვლელობისა ღენერალ მაიორის და კავალერის ალექსანდრე ნიკოლაიჩს სამოილოვისა, რათა ერთად ვიმოქმედოთ დაკლება სანიადაგოთა მტერთა ჩჳენეთა ჭარისა და შეზობელთა მათთა; და ამისი მაღალ მსვლელობა ღენერალი სამოი-

ლოვი, სიმჯნისაებრ თავისისა დიდად გულს მოდგინე იქმნა და ერთად წარვედით პირია პირ ჭარსა, და მისრულნი ჭარის ბოლოს, მდინარესა ზედა ალაზნისასა, ვინათგან წყალი დიდად გაუვალი და დიდი იყო იმ დროს, წყალს გამოღმა, სადაც ამისი მაღალ მსვლელობა ღენერალი ბატალიონებით და ჩვენ ჩუენის მოსწრებულის ჯარით ვიყავით მდგომარენი; იქავ ტყეში გამოჩნდა ლევის ჯარი, რომელიც დაღესტნელი იყვნენ, და ვინათგან დიდსა შინა სიმაგრესა მყოფ იყვნენ ლეკნი იგი, შევედით მათ შინა ბრძოლად. და ბრძოლასა მასშინა ვიხილეთ უძლიერესი სიმჯნე, ამისის მაღალ მსვლელობის ღენერალ მაიორის სამოილოვისა, რომელიც უშინაგანესსა მას ბრძოლასა თოფის ცეცხლსა შინა იყო, ეგრეთ მხიარული, როგორც შესაქცევსა სახლსა შინა; და აგრეთვე ვნახეთ ძლიერება რუსეთის ჯარისა, რომელმაც დაამტკიცა ყოველთაგან მოპირისპირეთა მათთა უძლეველობა მათი, და ჩვენ შეგვიყვანა უმეტესსა სასოებასა და სიხარულსა ყოფადისა კეთილისასა და მუნ მყოფნიცა იგი ლეკნი დაიხოცნენ, გარდა მცირედისა; მაგრა პრინცის დაჭრამ დიდად შეგვაწუხა ჩვენ და ყოველი ჯარი ჩვენი.

რომლისთვისაც მმადლობელ ვიქნებით, რომ თქუენმა უგანათლებულესობამ ამისის მაღალ მსვლელობისა ესე ვითარ სიმჯნე მოახსენოს იმისს დიდებულებას ყოვლად მოწყალეს ჴელმწიფესა, რომელმაც სარგებლობა ესე ვითარი იმოქმედა; რომ რვაასი ლეკი ჭარიდამ, ბაიამათლუდამ და იმათის მეზობლებიდამ იყვნენ განჯის შესაწევნელად მისრულნი, და როდესაც ჩვენი იქ მისვლა შეიტყვეს, თავიაავ სახლებში წაშოვიდნენ და განჯელებმა ჩვენთან შემოსახუეწნელად კაცები გამოგზავნეს, რომელნიც დღეს აქ ჩემთან იმყოფებიან და როგორც მოხდება ამათი საქმე შემდგომად მოვახსენებთ თქვენს უგანათლებულესობას. სხვებრ შევვედრებთ შვილთა ჩვენთა და ჩვენს მინისტრს უგანათლებულეობასა თქუენსა და მომლოდნენი აზბავთა მათთა, დავშთებით მასვე თქუენის უგანათლებულესობის მეგობრობითს მაღალს პატივისცემასა შინა; და განჯელებისა აქ ჩვენთან მოსვლა რომ მოვახსენეთ თქვენს უგანათლებულესობას, ჩვენ ამათი სიტყვა და მოციქულობა სულ ტყუილი გვეგონა.

თქუენის უგანათლებულესობისა მოწყალის ჴელმწიფისა სამსახურის მოწადე მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა

**ერეკლე**

სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივი, კავკასიის საქმეების (პოტიომკინის) ფონდი 23, საქმე 13, ნაწ. XII, ფურც. 31—32. დედანზე ხელს აწერს მეფე ერეკლე.

**4. 1785 წლის დეკემბრის 28.—მეფე ერეკლეს წერილი პ. ს. პოტიომკინისადმი სოფ. არადეთიდან ლეკების მიერ გატაცებული და მოზდოკს დაბინავებული გლეხის ანდრია მაზიტაშვილის ცოლშვილისადმი საქართველოში დასაბრუნებლად პასპორტის მიცემის შესახებ.**

მაღალ მსვლელო უფალო.
მოწყალევ ჴელმწიფევ.

ქართლის არადეთის სოფლის გლეხი ანდრია მაზიტაშვილი რომელიც ლეკისაგან დატყვევებულიყო, და რამდენსამე წელიწადს უკან ტყვეობიდგან რომ განთავისუფლებულა, მოზდოგს მოსულა და დამდგარა. ახლა ეს ზემო ხსენებული ანდრია მაზიტაშვილი აქ თავის სამკვდროზე მოვიდა და სურს რომ თავის ცოლშვილიც აქ მოიყვანოს, და თავის სამკვდრებელზე იცხოვროს. ამას მანდ მოზდოგს ცოლი ჰყავს, და ერთი ვაჟიშვილი. თითონვე ვეღარ წამოვიდა, და სხვა გამოგზავნა მაგათ წამოსაყვანათ თქჳნის მაღალ მსვლელობისაგან ვთხოვთ რომ მაგათ ბაშფორთი უბოძოთ. ეგენი აქ წამოვიდნენ რომლისათვისც მადლობელი ვიქნებით თქჳნის მაღალმსვლელობისა. სხვებრ, დავშთებით თქვენის მაღალ მსვლელობის პატივის ცემასა შინა:

თქჳნის მაღალ მსვლელობის მოწყალის ჴელმწიფის, მარად კეთილის მოწადე: მეფე ქართლისა, და კახეთისა, და სხჳათა:

**ერეკლე**

საბუთი დაცულია მოსკოვში სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივში, კავკასიის საქმეების ფონდი 23, ნაწ. XVI, ფურც. 169. წარმოადგენს დედანს მეფე ერეკლეს ხელმოწერით.

**5. 1786 წლის მარტის 5.—მეფე ერეკლეს წერილი გენ. პ. ს. პოტიომკინისადმი თბილისის მოქალაქე ვაჭრებისათვის ყაბახის მიდამოებში თავისუფალი ვაჭრობის პირობების შექმნისა და ნებართვის მიცემის შესახებ.**

მაღალ მსვლელო უფალო
მოწყალეო ჴელმწიფევ

ტფილისის მოქალაქე ქიშმიშანთ ხითარას შვილს სტეფანას ბეჟუანთ არუთინას შვილს არაქილას და დავითას შვილს ოსეფას ახლო ყაბახს ვაჭრობა ჰქონიათ და იქაურს ბეგს, ბუდარის შვილს

ჰოლის ამათთვის საქონელი წაურთმევია და ორი ქრისტიანი ტყვეც მეორე ყაბახში დაჰკარგვიათ ვთხოვთ თქვენის მაღალ მსვლელობისაგან რომ ბძანება მისცეთ ამათ თავეთი საქონელი და ორი ტყვე არ დაეკარგოსთ და ამისი დასტურიც მიეცესთ რომ იქ ვაჭრობა არ დაემალოსთ რომელსაც თქვენის მაღალ მსვლელობისაგან დიდათ დავიმადლებთ და სხვებრ ვეგებით იმ მეგობრულის ერთგულობით როგორც აქამდის ვყოფილვართ,

თქვენის მაღალ მსვლელობის მოწყალის ჴელმწიფეს სამსახურის მოწადე მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა

**ერეკლე**

სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივი, კავკასიის საქმეების (პოტიომკინის) ფონდი 23, საქმე 13, ნაწ. XII, ფურც. 120. დედანი მეფე ერეკლეს ხელმოწერით.

**6. 1786 წლის ნოემბრის 23.—მეფე ერეკლეს წერილი პ. ს. პოტიომკინისადმი პატარაობიდანვე რუსეთში გადასახლებულ და მოზდოკში დაბინავებულ სტეფანა გულქანიშვილის საქართველოში თავის დასა და ნათესავებთან გამოსასტუმრებლად დასტურის მიცემის შესახებ.**

მაღალ მსვლელო უფალო,
მოწყალეო ჴელმწიფევ!

თანამდებობად ჩემდა ვრაცხე, რათა ამ წიგნით თქვენს მაღალ მსვლელობას გამოუცხადო: საქართველოს მკვიდრი კაცი გულქანიშვილის სტეფანა პატარაობის ჟამს რუსეთისაკენ წასულა და აწ მოზდოკს იმყოფება; იმისმა ცამ და ნათესავებმა დიდის ვედრებით ითხოვეს ჩემგან, რომ თქვენ მაღალმსვლელობას წიგნი მივსწერო სტეფანას დასტურის დაცემისა და აქეთკენ გამოსტუმრებისათვის და თვით სტეფანსაც სადმე აქვს წადილი თავის მშობელს ქვეყანაში მოსვლისა და თავის დისა და ნათესავების ნახვისა და ამისათვის ვითხოვ თქვენს მაღალმსვლელობისაგან, რომ გულქანიშვილს სტეფანას დასტური უბოძოთ აქეთკენ წამოსვლისა, რათა მოვიდეს თავისი და და ნათესავები ნახოს, რომელთა ვეგებთ თქვენის მაღალმსვლელობის პატივის ცემასა შინა.

თქვენი მაღალმსვლელობის მოწყალე ხელმწიფის სამსახურის მოწადე მეფე ქართლისა და კახეთისა და სხუათა

ერეკლე

საბუთი დაცულია მოსკოვში სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების სახელმწიფო არქივში, კავკასიის საქმეების ფონდი 23, საქმე 13, ნაწ. XXI, ფურცელი 355. საბუთი წარმოადგენს დედანს ხელმოწერილს მეფე ერეკლეს მიერ.

**7. 1788 წლის აგვისტოს 19.—მეფე ერეკლეს წერილი გენერალ პ. ს. პოტიომკინისადმი კავკასიის მხედრობის მოშლის შემთხვევაში რუსეთის იმპერიისა და კავკასიისათვის მოსალოდნელი საშიშროების შესახებ.**

უგანათლებულესო კნიაზო,
მოწყალევ ჴელმწიფევ!

ქ. გვესმის რომ ვლადი კავკასს მდგომარე მჴედრობა მოშლას აპირებდეს; მე სწორედ მოვახსენებ თქვენს განათლებულებას, ამ ქვეყნის ხალხი დიდს სასოწარკვეთილებაში შევა თუ ვლადიკავკასს მხედრობის დგომა მოიშალა; და მეორედ ესე რომ რუსეთის იმპერიის გავრცელებას თავის დროზე დიდად გამოადგება, რომ არ მოიშალოს და თუ თავისუფლება მიიღო იმ მთაში მყოფმა ხალხმა, ეს მთებიცა და რომელიც მაჰმადანთ სახელმწიფოები არის, სულ ერთმანეთს გადაებმიან და საზოგადოდ ქრისტიანთათვის საწუხარი საქმე იქნება. და ამასაც მოვახსენებ თქვენს განათლებულებას, თუ ვლადიკავკასს მხედრობის დგომა არ მოიშლება, ჩვენგანაც შეიძლება რომ ვლადი კავკასს ახლო, ჩვენს ღრანიცაზე, სიმაგრე გავაკეთოთ. ეს აზრები რომელიც სასარგებლოდ დავინახეთ თანამდებობად ვრაცხეთ, რომ მოგვეხსენებინა და თქვენის განათლებულებისა ნება რომელიც იყოს, ისე აღსრულდეს.

თქვენის უგანათლებულესობისა მოწყალის ჴელმწიფისა ჩემისა მარად სამსახურის მოწადე მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა

ერეკლე

სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივი, კავკასიის საქმეების (პოტიომკინის) ფონდი 23, ნაწ. XV, ფურც. 11. დედანს ხელს მეფე ერეკლე აწერს.

**8. 1788 წლის დეკემბრის 10.—მეფე ერეკლეს სამეფო კარის გავლენიანი მოხელის თავად სულხან თუმანიშვილის მილოცვა-მისალმება გრაფ პ. ს. პოტიომკინისადმი თურქ-დამპყრობთაგან ოჩაკოვის ციხის განთავისუფლების გამო.**

უგანათლებულესო კნიაზო
უმოწყალესო ჴელმწიფევ

დიდის მხიარულებით უმდაბლესად მოულოცავ თქვენს უგანათლებულესობას ამისთანას სახელოვანს გამარჯვებას და აჩაკოვის ციხის აღებას. და სასოებითა ამით ნუგეშის ცემულ ვარ რომელ სახელოვანი საქმე ესე თქვენ მიერ ქმნილი. ბედნიერებად შისის სიმაღლისა და საქართველოსა დაინიშნება რომლითამე ვეგები ულრმესსა ერთგულებასა. უგანათლებულესობისა თქვენისასა

თქვენის უგანათლებულესობის უმოწყალესის ჴელმწიფის მოსამსახურე თავადი
**თუმანოვი სულხან**

სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივი, კავკასიის საქმეების (პოტიომკინის) ფონდი 23, ნაწ. XIII, ფურც. 51. დედანი.

**9. 1806 წლის აპრილის 30.—გენერალ პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის მოწოდება (წერილი) ოთარ ამილახვარისადმი რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების განსამტკიცებლად ქართველი თავადების ერთგული და თავდადებული სამსახურის გაძლიერების შესახებ.**

მათს ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარს, ჩემს მწყალობელს უფალს!

შესაბამსა პატივისცემასა მიუძღვანებთ. ვიცი ჩვენს ამბავს ინებებთ სმენად და ყოველსავე ჩვენს ამბავს ჩემი ძმა კნიაზი რომან ივანიჩი გიამბობთ; სხვაბრ ვითხ[ოვ] თქვენის კეთილ გონიერებისაგან, რომ თქვენის ჩვეულებისამებრ ყ[ოვლა]დ მოწყალის ჴელმწიფის ერთგულებასა და თქვენის ქვეყნის სამსახურში გულსმოდგინე იყოთ. [ვინათ]გან მათს დიდებულებას ყ[ოვლა]დ მოწყალეს ჴელმწიფეს [სრ]ულის გულით სურს, რომ საქართველო ყოვლით [მხ]რით მშვიდობისა და ბედნიერებაში იყოს დაცული; ამისათვის თქვენც გმართებთ, რომ ყოველნივე თქვენნი ნათესავნი და მოყვარენი განამტკიცოთ ჴელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურ-

ში. თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მჴედრობა და ყ[ოვე-ლა]დ მოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდს უბედურებას მიეცემოდა, და ამისათვის გმარ-თებთ სრულის ერთგულებით სამსახური ჴელმწიფისა და თქვენის ქ[ვე]ყნისა; და გირჩევთ სიყვარულით, როგორც მანდ მყოფთ ჯარ-თა დასჭირდეთ პური, თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისამებრ შეეწივნეთ და სასყიდელიც მიიღეთ ჴელმწიფისაგან. თქვენს ბრწყინ-ვალებას ვარწმუნებ ამას, რომ თუმცა არ მინახვიხართ, მაგრამ ვიცი ჩემის ძმის კნიაზ რომან ივანიჩისაგან თქვენი კეთილი გონი-ერება და ერთგულება ჴელდმწიფისა, რომლისათვისაც მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან: თქვენი ჩვეულებრივი სიმხნე და ერთგულება ჴელდმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არ მოშალოთ, რომ-ლისთვისაც ჴელდმწიფისაგან მიიღებთ საკმაოს წყალობასა; და იქნება მეც მოვიდე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულე-ბასა და სიყვარულსა, და სხვებრ დავშთები უმწვერვალესსა პატი-ვისცემასა შინა თქვენსა.

თქვენის ბრწყინვალების მარად მსახურების მო-სურნე კნიაზ **პეტრე ბაგრატიონი.**

წერილი დაცულია საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუ-თების განყოფილებაში, ფონდი 226, საბ. 6119. იგი დედანია, დაწერილია თეთრ, ორად გაკეცილ ქაღალდზე, კარგი ხელითა და შავი მელნით. წერილის დასაწყისი ნაწილი შედარებით დაზიანებულია, კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები ამ დაზიანებული ადგილებისა და ქარაგმების ახსნის ჩვენ მიერ შესრულე-ბულ ცდას წარმოადგენს, რაც მხოლოდ მცირე დეტალებში განსხვავდება ამ საბუთის პირველი გამოცემის დ. გვრიტიშვილის ანალოგიური ცდისაგან (იხ „სა-ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ 1944, ტ. V, ნაკვ. № 7, გვ. 744).

**10. 1827 წლის ნოემბრის 23.—თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვის მიმარ-თვა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებლისადმი საქართველოში მორიგე ლაშქრის სის-ტემის აღდგენა-განახლების მიზნით მიღებულ გადაწყვეტი-ლებებში შეტანილი ცვლილებების მიზეზთა საჭირო მასალე-ბის მოწოდების შესახებ.**

Предписанием от 29 марта сего года за № 1287, Ваше Превосходительство извещены были об учреждении в Грузии земского войска под Грузинским названием Мориге и предоставлено было Вам сделать распоряжение о содержании означенного войска по уездам в показанных местах из пеших и немногих конных.

Усматривая, что первоначально сделанное по сему распоряжение во многих случаях изменилось и не имея в виду отчего сие могло произойти, прошу я Ваше превосходительство доставить мне сведение, что было причиною такового изменения и когда оное было сделано. Генерал-адъютант Стрекалов.

საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 16, საქმე 3555, ფურც. 1. დედანი.

**11. [1827 წელი] — საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლის გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის მოსაზრება (პროექტი) ლეკთა შემოსევებისაგან ქვეყნის დასაცავად მორიგე ლაშქრის სისტემის აღდგენისა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან საყარაულო რაზმების შექმნისა და სამეთვალყურეო უბნებზე მათი მიმაგრების შესახებ.**

Мнение грузинского губернского предводителя дворянства генерал-майора князя Багратиона Мухранского о караульных или мориге составленных из здешних обывателей для защищения своих мест, или деревень в случае покушения и нападения неприятеля и горских лезгин.

1. В настоящих обстоятельствах Грузии учредить мориге как сие было при царях Грузинских находит он, что оно не может учредиться в скорости, и быть приведено в прежнее состояние и порядок, ибо оно уже со времени царей Грузинских по ныне никогда еще не было учреждено.

2. Должно увеличить число караульных против прежнего по важности мест и сие можно будет предоставить окружным начальникам, исправникам и уездным предводителям дворянства.

3. Кроме назначенных главноуправляющим в Грузии генерал-от инфантерии Ермоловым мест для караульных или мориге полагает нужным непременно иметь караульных еще во всех тех местах, кои показаны при сем представленном им в списке.

4. Нужно непременно предписать местным начальникам и уездным предводителям дворянства, чтобы они выбрали таковых караульных из опытных и проворных людей с исправными оружиями.

5. Должно назначить узбашев, или начальников над караульными из князей или дворян в Горийском уезде шесть, в Тифлисском уезде двух, в Душетском уезде одного, в Телавском

уезде четырех, в Сигнахском уезде пять, коих назначают уездные предводители и представляют губернскому предводителю, в сей на утверждение губернатору, который немедля нимало по воле главноуправляющего предпишет им строгие меры и наставления.

6. До 15-го числа сего месяца не премено нужно будет выслать караульных во все места.

7. Со стороны высшего начальства должно предписать окружным начальникам и исправникам, чтобы они вместе с уездными предводителями дворянства в вверенных им уездах осматривали все места занятые караульными чрез каждые две недели и строго бы наблюдали за узбашами, чтобы все предписанные им меры и наставления исполняли они в точности.

По изьясненным причинам полагая, что лучше и удобнее иметь караульных нежели мориге ожидать на сие разрешения вашего высокопревосходительства.

სსრკ შსს საარქივო სამმართველოს ლენინგრადის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი (პასკევიჩის) № 1018, საქმე 222, ფურც. 1—2. დედანი.

**12. 1827 წლის ოქტომბრის 6.—კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდლის გენერალ პასკევიჩის ბრძანება სპარსეთთან ომში ქართველი მეომრებისადმი გმირობისა და თავდადებისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.**

Храбрые грузинские князья и дворяне!

Ратные труды ваши кончены: отправляю вас в вашу родину, с полной моей благодарностью и с славным именем доблестных сотрудников победоносного российского войска; в Персидской кампании 1827 года под моей командой вы себя отличили, и я свидетель ваших подвигов. На походе из Тифлиса в Нахичевань и после того, вы несли труды тяжкие в самую знойную пору здешнего лета. 5-го июля в сражении при Джеван-Булаке, два раза удержали стремление на нас отборной Куртинской конницы, и когда неприятель был опрокинут с жаром его преследовали. В экспедиции Урдобатской вы незабвенно себя отличили, когда горсть наших храбрых сопротивлялась многочисленным толпам неприятелcким, и они отступили видя невозможность одолеть всех, которые смерть предпочитают поражению и рабству. 19 сентября по покорении Сардар-Аббада, в ту

ночь когда гарнизон и малодушный его начальник, думали воспользоваться темнотой, дабы спастись от рук победителей, вы с прочей Российской конницей настигли, рубили и брали в плен бегущих. Наконец во время осады знаменитой Эривани, вы были мной посланы для занятия путей, по которым неприятель мог вторично укрыться бегством; и 1-го октября при овладении сей крепостью, из первых ворвались в нее, когда еще не совсем пальба умолкла. Буду уметь свидетельствовать великому государю о вашей службе на поле чести, и сим моим приказом хочу ознаменовать имена ваши и оказать вам мое уважение пред всеми вашими единоземцами, достойные князья и дворяне грузинские, служившие под моим начальством: Горийского уезда князья: подполковник Михаил Мачабелив, майор Торник Эристов, Захарий Цицианов, Теймураз Амилахваров, Евстафий Тарханов; Тифлисского уезда князья: капитан Георгий Баратов, отставной подпоручик Александр Орбелианов, Кайхосро Орбелианов, Яков Орбелианов, Иван Меликов, княжеские дворяне: Зураб Хмаладзе, Кайхосро Пурцеладзе; Душетского уезда князья: губернский секретарь Давид Эристов Ксанский, Ростом Эристов Ксанский; Имеретинский князь: подпоручик Ростом Эристов Рачский и дворянин Кация Бакрадзе; Телавского уезда князья: отставной подполковник Иван Эристов, Индо, Иясе и Атанасе Макаевы, Давыд, Нашрыван, Соломон и Александр Чавчавадзе, Заал Вахвахов, Дмитрий Кобулов, Иван Русиев; Сигнахского уезда князья: порутчик Зураб и Иосиф Андрониковы, Оман Вачнадзе, Кайхосро Гарсеванов Вачнадзе, Кайхосро Захаров Вачнадзе, Иосиф, Николоз и Бесарион Вачнадзе; Борчалинской дистанции Агалар Паша-Ага Вали-Бек-Оглы.

При сем случае вменяю себе в приятнейшую обязанность, изъявить мою особенную благодарность начальнику Грузинского конного ополчения, господину генерал-майору князью Багратиону, за неусыпные попечения его о благоустройстве сего ополчения и сохранении во всех случаях надлежащего порядка.

Командир отдельного Кавказского корпуса генерал от инфантерии генерал-адъютант **Паскевич**.

საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 16, საქმე 3546, ფურც. 20.

**13. 1827 წლის მაისის 24. — საქართველოს ჯარების სარდლის, თბილისის სამხედრო გუბერნატორ გენერალ სიპიაგინის წინადადება-პროექტი ქართული სახალხო ლაშქრის ორგანიზაციის შესახებ.**

## Предположение для составляемого грузинского ополчения

1-е Оное состоять будет из батальонов.

2-е В батальон записываются грузины по собственному желанию.

3-е Они принимаются не моложе 18 и не старее 30 лет, но сие правило не может ныне строго соблюдаться, а требуется только, чтобы человек имел силы достаточные для перенесения похода.

4-е Они освобождаются с женами и детьми от всяких податей и повинностей на время службы их.

5-е Они должны обязаться только служить на то время пока продлится война с Персией: после чего они будут свободны возвратиться в домы свои или поступить на службу в земское войско.

6-е Им читаются при определении артикулы устава Петра Великого, касающиеся до наказания положенных за преступления, коим они подвергаются наравне с воинскими чинами.

7-е Они принимают присягу на верность службы.

8-е На сих правилах принимаются все желающие и им производится содержание, до совершенного устроения кадры 1-го батальона, на счет казны.

9-е Состав батальона.
Штаб-офицер—1
Капитанов—2
Штабс-капитанов—2
Порутчиков—4
Подпорутчиков—4
Прапорщиков—4
Казначей—1
Адъютант—1
Горнистов—4

Барабанщиков—4
Унтер-офицеров—80
Рядовых—800
Нестроевых фурлейтов—40.

10-е Офицеры назначаются зауряд самим корпусным командиром, по расторопности, способностям и усердию каждого.

11-е За особенное отличие каждого будут представляемы к награждению настоящими первыми офицерскими чинами.

12-е Сверх всего командует каждым батальоном штаб-офицер или капитан настоящей службы, который должен быть родом из грузин.

13-е К каждому батальону назначается священник и лекарь из обывателей.

14-е Каждый батальон делится на 8-м сотен или дружин, а сотня на 10 десятков.

15-е Каждому ратнику выдается казенное ружье, сума на ременном поясе, 30 боевых патронов и 10-ть кремней.

16-е Каждый ратник должен иметь свой собственный кинжал и сумку холщевую через плечо, для носки четерыхдневного провианта.

17-е Унтер-офицерам иметь сабли вместо кинжалов.

18-е Офицерам иметь пару пистолетов и сабли.

19-е Одежда.

Чекмень суконной серого цвета. Архалух из темного бурмета. Шаравары из темного же бурмета. Шапка по образцу грузинских. Бурка.

20-е Все чины получают жалованье наравне в воинскими чинами настоящей службы.

21-е Вместо одежды получают рядовые по 10 рублей серебром в год, а унтер-офицеры по 15 рублей, на каковые деньги они должны делать себе одежду, до того времени покуда правительство не распорядится, дабы давать им оную из казны.

22-е Ополчение сие снабжено будет палатками.

23-е К батальонам прикомандируются барабанщики и горнисты из полков.

24-е Провиант получают наравне с настоящими войсками.

25-е При первой возможности заведены будут книги провиантские и комиссариатские и снабдят их 10-ти дневным провиантом.

26-е С выдачей книг и провианта прекратится денежное суточное содержание.

27-е Больные принимаются и содержатся в военных госпиталях.

28-е На каждый десяток полагается одна вьючная лошадь, палатка, котел и два пуда двадцать пять фунтов сухарей. На два десятка один нестроевой.

На пять десятков один топор и одна лопатка.

В каждой сотне учредятся артели.

29-е Служба:

Должны знать самую необходимую часть егерского учения, стреляние в цель, строить отделения, взводы, колонны к атаке и каре.

Стоять в карауле со всей потребной исправностью.

Их не будут обременять сложными построениями и выправкою.

Всего более требуется от них совершенного и безусловного повиновения начальникам.

Командные слова будут на грузинском языке.

Им доставлена будет выписка из устава Петра Великого и о строевой службе.

Тифлис 24 мая 1827 года.

Командующий войсками в Грузии, Тифлисский военный губернатор, генерал-адъютант **Сипягин**.

საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 16, საქმე 3536, ფურც. 79—80.

### 14. 1829 წლის თებერვლის 28.—გენერალ პასკევიჩის (16 მუხლიანი) პროექტი ქართული სახალხო მილიციის ორგანიზაციის შესახებ. № 1208

По случаю продолжающейся войны с Турцией грузинское дворянство, соревнуя правительству и желая доказать свое усердие и готовность разделять действия войск против неприятеля России, изъявило мне желание свое собрать немедленно достаточную милицию предоставляя всякое по сему распоряжение Правительству.

Принимая с особенным удовольствием столь благородное стремление грузинского дворянства предлагаю учинить народную милицию на следующем основании:

1-е составить милицию из десяти пехотных дружин, коим именоваться: Тифлисской, Телавской, Горийской, Сигнахской и Душетской, подразделяемые № 1 и 2 каждого наименования.

Действия милиции должны быть расположены не более как на шесть месяцев, по истечении коих сполчение распускается по домам своим.

3-е. Каждая дружина должна состоять из пяти сотен, а сотни из десяти частей.

4-е. В каждую дружину назначается зауряд начальник дружины, пять сотенных начальников, десять пятидесятников и двадцать пять урядников.

5-е. Во все вышеозначенные должности назначаются дворяне избираемые самим дворянством, которые приступают в уездах к выборам в те должности на общем оснований. Само по себе разумеется, что на основании законов те из господ дворян, которые находятся ныне в краю на службе от короны или по выборам не могут быть определяемы к должностям в милицию, разве по особенному представлению дворянства о замещении занятой должности другим дворянином и то по моему разрешению.

6-е. После назначения Начальников Г. Г. предводители дворянства с начальниками дружин и с местным начальством немедленно приступают к собранию милиции по уездам, так, чтобы приходилось без исключения с каждых пяти дворов одного человека, назначая их из людей добрых и честного поведения, но наблюдая строгую справедливость дабы к сему не был определяем необходимый или единственный работник в семействе.

7-е. Сбор поселян в милицию исполнить в течении двух недель, назначению сему должны неутомимо содействовать помещики, управляюшие церковными имениями и земская полиция в отношении к казенным крестьянам.

8-е. Милиционеры должны явиться в дружины в национальных платьях тоесть: в Ахалухе, бурках и шапках, каждый милиционер должен быть вооружен ружьем, кинжалом, по недостатку ружья пистолетом, а все начальствующие и старшины саблею. На ахалухах дабы нашиты были места для двадцати патронов и род сумки или ранца для вещей и хлеба на 4 дня.

9-е для отличения милиционеров от простых жителей каждый служащий в ополчении должен иметь кресты на шапках и на правом плече из красного сукна.

10-е. Порохом и свинцом будет снабжаема милиция от казны.

11-е. Продовольствие на первые две недели сбора останется на обязанности обывателей, по истечении же оных милиция остающиеся внутри края для охранения Турецкой границы и содержания там караулов будет получать провиант от казны. Дружинам же которые выступят за границу определится также жалованье и все прочее содержание до возврата их в Грузию.

12-е. Главноначальствующей над грузинским ополчением назначится по общему выбору всего дворянства до утверждения моего.

13-е. Недостаток до комплекта, которой либо дружины будет дополняться из того уезда по которому окажутся люди излишние.

14-е. По собрании милиции в уездных городах сделано будет распоряжение о движении отрядов в назначенные им места и препровождены будут правила, по коим в милиционной службе каждый обязан следовать.

15-е. В каждую дружину избрать одного человека знающего излечивать раны могущего оказывать пособие больным, снабдив его от казны нужными медикаментами. Сверх того назначить в каждую дружину по 1-му священнику.

16-е. Для своза больных, запасного провианта и прочего назначить по раскладке предводителя дворянства с местным начальством по 15 ароб на каждую дружину, которые должны без отлучно находится во все время действия милиции. Взамен ароб могут быть назначены 50 вьков на каждую дружину.

На конце, как изъявлением желания грузинского дворянства о составе сего ополчения, правительство убеждается в усердие и признательности сего самого дворянства, почему уверено, что люди всех состояний примут с должным рвением назначение служить против врагов России.

Отличия полученные многими грузинскими дворянами в минувшие компании могли удостоверить каждого, что Его Им-

ператорское Величество с неизреченною щедротою вознаграждает заслуги подданных; почему и в настоящем случае каждый милиционер, как отличавшийся в сражении так и полезный на службе внутри границ, вправе ожидать ходатайства о нем высшего начальства.

Извещая о сем вас, я поручаю вам сделать к точному исполнению вышеозначенного надлежащее распоряжение и известив о том жителей Грузии донести мне о времени сформирования земского ополчения. Подлинное подписал Главнокомандующий Генерал-Адъютант граф Паскевич-Эриванский. С подлинным верно. Титулярный Советник Козачковский.

საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1105, საქმე 106, ფურც. 3—6.

**15. 1837 წლის თებერვლის 21.—ჩალმა თუშეთის საზოგადოების საჩივარი ბარონ როზენისადმი მოურავ მიხეილ ჩოლოყაშვილის ბოროტმოქმედებათა და შამილის რაზმების შემოსევებისას თუშებისადმი დახმარების გაუწევლობის შესახებ.**

სამის თემის ჩალმა პირიქითის და გომეწართ თუშთ საზოგადოების უმდაბლესი მოხსენება.

ამავე თებერვლის ოცს რიცხვსა მივიღეთ ჩვენ უებარი სამართლით ცნობა ისევ ჩვენის პირიქითელის თემის კაცისაგან, სახელდობრივ ლანიში ბორძიკიძისაგან, რომელიც ყოფილიყო ქისტეთში და აჩარა და ჰანში, სადაც ენახა ურიცხვი ლეკისა და ქისტის ჯარი, სამ პირათ წამოსული ჩვენს სამს თემზედ, ჩვენის სოფლების ასაკლებლად და წასახდენად, ჩვენის დანაშთომის სოფლებისა. და ამასთანავე მოგახსენებთ, რომელ ჩვენ ამდენ მტრებთა სადილობამდინ საველელი მეტი აღარა აქვს; ჩვენც ამგვარმა გაჭირვებულმა საქმემა გაგვაბედვინა ხუთის კაცის თუშის გამოგზავნა, სამნი თელავის ნაჩალნიკთან—ჩვენი უბედურების საცნობლად და ორიცა თქვენს მაღალ აღმატებულებასთან პირდაპირ, ამა ჩვენის სამის თემისაგან აზრითა, რომლითაც გთხოვთ ჩვენს ამდენ საცოდაობას და ქრისტიანეთ დალუპვისათვის პატრონობა და მამობრივი მფარველობა მოიღოთ და ჯარიც მოგვაშველოთ საჩქაროდ.

ამაზდა გარდა, ჩვენო ხელმწიფევ და პატრონო, ჩვენი მეორე მოხსენება და ვედრება ეს გახლავთ რომა, ჩვენის ორი სოფლის დახოცვა და დატყვევებისა მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლო-

ყოვი არის. ესე რომელ გავლილს დეკემბრის ოცდა ათსა შემოვიდა ლეკის ჯარი და ქისტისა, ჩვენის მოურავისაგან შემორიგებული იმ სოფლებითგან, ჩვენს სოფლებს—დიკლოსა და შანაქოში. იანვრის პირველში საჩქაროთ გამოვგზავნეთ კაცი ჩვენს მოურავ მიხეილ ჩოლოყოვთან მოსაშველებლად დიკლოსა და შანაქოსათვის. რა გავიდა იანვრის ოთხი დღე მოემატა ლეკის ჯარსა და მსწრაფლადვე გამოვგზავნეთ კაცი. ჯარების მომატება და შემწყვთევა და ციხეებში და სახლებში[1]. რა ვნახეთ ჩვენის მოუშველელობა, მესამეთაც გამოვგზავნეთ ექვს იანვარს შევიწროება და იქამდინ მიხწევა[1], თუ სამსა და ოთხსა დღესა არ მოგვეშველები, უთუოდ ამოგვწყვეტენო და ტყვეთ წაგვასხამენო; რა მივიდნენ ჩვენი გამოგზავნილნი კაცნი გაუწყრა: როგორ ბედავთ აგრე ჩქარ-ჩქარა მოსვლას რომ მაწუხებთო. დაიჭირა და მრავალი სცემა იმა გამოგზავნილთ ჩვენგან თუშებთ. რა იმედი გადავიწყვიტეთ ჩვენის მოურავისაგან მოუშველებლობაზედ, რაოდენიცა შეიძლებოდა ვხოცეთ ლეკნი ციხეებიდგან და სახლებითგან. რა მოგვცეს ცეცხლები, რაც თოფის ამღებნი თუშნი იყვნენ, მანამ ერთიან არ დაიხოცნენ, თავიანთ ცოლშვილი არ დაანებეს, როდესაც გაგვტეხეს, მამაკაცნი გასწყვიტეს, დედაკაცნი და ყმაწვილები ტყვეთ წაასხეს ორასი სული, მკვდარი და ცოცხალი. რაოდენი ქონება წაიღეს—ამისი მოხსენება შეუძლებელი არის; გავბედავთ თქვენს მაღალ აღმატებულებასთან ჩვენის მწუხარების მოხსენებასა და განვიცხადებთ: ჩვენი დახოცვა და დატყვევება ყოველივე ჩვენის მოურავის მიხეილ ჩოლოყოვისაგან მოხდა ესრეთ რომელ, როდესაც ოცდა ათს დეკემბერს ჯარი შემოვიდა დიკლოში, ოთხჯერ ვაცნობეთ რათამ მოგვშველებოდა, რომელმანცა, თვით მიხეილ ჩოლოყოვმან, ორასი შეყრილი თუში გზიდამ დააბრუნა, საჭირო არ არისო და გამოგზავნილნი კაცნიც გაგვილახა. მერე თორმეტი დღე უძელით დიკლომ და შანაქომ. რატომ არ მოგვეშველა? თუში იყო ალვანში, მრავალნი კახნიც მომზადებულნი, თექვსმეტს იანვარს მოვიდა თუშეთში ჩვენი მოურავი, როდესაც ორივე სოფლები დამწვარი, დახოცილი და ტყვეთ წაყვანილნი იყვნენ.

თქვენო მაღალაღმატებულებავ! შევიტყევით ვითომც ჩვენ მოურავს გამარჯვების და ლეკების დახოცვისა წარმოედგინოს წინაშე თქვენსა. ესე ხმა, ჩვენთვის დიდათ საწუხარი არის და ამისათვის გავბედავთ დაწვრილებით და მამაკაცნი დაიხოცნენ, ბევრი ლეკი მოვკალით, თუმცა თექვსმეტს რიცხვს იანვრისასა გამოვიდა

---

[1] ასეა დედანში.

ჩვენი მოურავი, ძალათ ნაჩალნიკისაგან გამოგზავნილი, რაოდენიმე ასის კაცით და დადგა ათს ვერსზედ, სადაც ლეკის ჯარი შემომდგარი იყო ჩვენ სოფლებზედ. ჩვენის მოურავის იქ ყოფნაში თოთხმეტი დღე გვიდგა ლეკის ჯარი. ამ ხსენებულს თოთხმეტს დღეში მოურავისაგან და არც იმის მოყვანილის კაცისაგან არავითარი ომი არ მომხდარა და არც ლეკი მომკვდარა. გამარჯვებას როგორ ბედავს, უკეთუ ჩვენის მოურავისაგან შემწეობა გვქონდა, ან გაემარჯვენა, მაშ მძევლები რაღათ მიგვაცემინა, დღესაც დაღისტანში ტყვეთ არიან!

ახლა ჩვენი უკანასკნელი თხოვნა და მოხსენება ეს არის: ამდენის სულის ხალხისა დახოცვისა და ტყვეობის მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლოყოვი არის და მთავრობის მომტყუებელი. „ქისტეთი შევირიგეო" — საჩუქარი დაურიგა. მისგან შერიგებულთ ქისტთ, უმეტესათ დაგვხოცეს და დაგვატყვევეს; სადაც ახლა ისევ ისინი არიან შეყრილნი ლეკებითურთ ჩვენზედ წასახდენად.

თქვენო მაღალ აღმატებულებავ! ვკვირობთ, რას მიზეზისათვის მოგვცა ხელმწიფის ყმანი და ქრისტიანენი სულნი ესოდენსა დახოცვასა და ტყვეობაში? რაოდენთა სულთა უნდა თავისი სარწმუნოება დაიგდონ! და ან ვილას გვაქვს შეძლება მათის დახსნისა ტყვეობიდამ, რომელიცა არცა მეფეთა, და ქისტიც მრავალჯერ ყოფილან გამდგარი, რომ ჩვენთვის არავის რა დაუკლიათ რა და არც წამხვდარვართ. ეს უბედურება მოურავისაგან მოგვევლინა თავშეუდებლობის გამო, ამისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალ აღმატებულებისაგან, რომელ საჭიროებისათვის ჩვენ ის მოგვცეთ და დაგვინიშნოთ ასეთი კაცი მოურავად, რომ იყოს მცოდნე ჩვენის ჩვეულებისა და აქაურის გარემოებისა, რომელმანცა გაამაგროს თუშეთი და ამაზე მეტად აღარ წახდეს. ჩაღმა გომეწარი და პირიქითის თემებით მოგახსენებთ.

ჩყლზ-სა წელსა თებერვლის კა-სა რიცხესა.

საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 548, საქმე 180, ფურც. 31. დედანი.

**16. 1840 წლის აპრილის 1. — ყიზლარის ჟანდარმთა შტაბის უფროსის მაიორ პრინიაშნიკოვის რაპორტი შეფ ჟანდარმ გრაფ ბენკენდორფისადმი გენერალ პულლოს რეპრესიების შედეგად საჩაჩნოში დაწყებული მასობრივი აჯანყებისა და შამილის მიერ ამ აჯანყებულთა გაძაბირების შესახებ.**

Долгом считаю почтеннейше донести вашему сиятельству о ходе неприятных дел в Чечне и причинах наиболее способствовавших к тому; одною из самых значительных, как надобно полагать, был сам начальник левого фланга войск на Кавказе расположенных, генерал маиор Пулло, который, при сборе положенной повинности с мирных аулов, употреблял меры не только кротости, но насилия и насилия часто несправедливого; выплативший исправно свою собственную повинность, часто отвечал всем своим имуществом, брошенным на разграбление, за неуплатившего, отсутствующего своего соседа; малейший донос одного из приближенных к его превосходительству на кого либо из подведомственных ему народов, влек за собою неминуемую гибель и разорение иногда точно, а иногда и мимо, виновного лица по доносу.

Меры неуместной и часто несправедливой строгости копились на сердце злопамятных дикарей; иные из старейшин предупреждали генерала Пулло, что подобное обращение не приведет к добру, говорили ему, что с весною все аулы при первом предложении со стороны возмутителей, отложатся и восстанут против законной власти, но к несчастию, добрые внушения остались тщетны и потому оправдались неприятными последствиями.

Другою побудительною причиною, которою Шамиль при возмущении успел воспользоваться, было и то, что генерал Пулло при сборе вышесказанной повинности, у бедных за недостатком денег, брал оружие, может и с благим намерением, но Шамиль и его приверженцы представили горцам эту меру, как унизительную для них, всегда воинственного и храброго народа и наконец третьею: недостаток в хлебе, существовавший в то время между возмутившимися теперь жителями, причина, которую Шамиль тоже употребил в свою пользу, выдумав им небывалую сказку, будто он кончил счастливо переговоры с Константинопольским кабинетом и скоро ожидает прибытия вспомогательного турецкого отряда и привоза вместе с ним большого количества провианта, почему тогда они ни в чем не будут иметь недостатка.

Теснимые нерасчетливым управлением генерала Пулло, мнящие себя обезславленными своим обезоружением, страждущие голодом, они жадно кинулись на льстивые и убедительные сло-

ва Шамиля, почему с 20-го марта по настоящее время из мирных аулов остались покуда непоколебимыми в верноподанстве государю императорру Ауховцы, Салатовцы, Аксаевцы, Андреевцы, все вообще Кумыки и незначительная часть Качаловцев, остальная же часть, как равно Ашичиновцы и большая часть близь лежащих р. Сунджи Чеченских деревень предались Шамилю, под начальством которого, в составе около 4000 человек находятся теперь в Чечне, в деревне Гермечике и как слышно, предводитель их, видя гибельные для него следствия прошлогодней экспедиции убежденный опытом что никакая неприступная позиция не есть неодолима для войск его императорского величества, решился нигде не укреплятся а вести войну бродяжническую, пользоватся благоприятными случаями к нападению, временною счастливою позициею и другими удобными случайностями войны. Майор Прянишников.

სსრკ შსს საარქივო სამმართველო, მოსკოვი, ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის მესამე განყოფილების მე-4 ექსპედიცია, № 144, ფურც. 1—3, დედანი. საბუთს აწერია „ფრიად საიდუმლოდ".

**17. 1855 წლის ოქტომბრის 31. — თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მეოთხე ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ მაიორ იურიევის რაპორტი შეფ ჟანდარმ გრაფ ორლოვისადმი სამეგრელოში შემოჭრილ თურქ დამპყრობთა ჯარების სარდლის ომერ-ფაშას მიერ იმერეთ-სამეგრელოში ხალხის გადასაბირებლად პროკლამაციების დაგზავნისა და საბატონო გლეხებისადმი ყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების დაპირების შესახებ.**

Командующий войсками в Гурии генерал маиор князь Багратион Мухранский доносит, что турки под начальством Омера Паши двинулись в больших массах к р. Ингуру и после упорного боя 25 сего октября близь урочища Рухвы в котором будтобы неприятель потерял до 6 т. человек, переправились на нашу сторону. Князь Мухранский отступил к резиденции владетелей Мингрелии Зугдидам. Урон наш состоял из 300 человек выбывших из строя и потере 2-х горных орудий.

Дело это, по убеждению князя Мухранского хотя для нас блистательное, тем не менее произвело в крае и особенно в Кутаисе неблагоприятное впечатление. Зажиточные жители, ви-

дя, что неприятель перешел Ингур и занял часть Мингрелий, оставляют Кутаис, впрочем можно полагать, что страх этот напрасен, ибо в настоящее позднее время года, едва ли турецкие войска решатся на дальнейшие движения по непроходимости дорог при первых осенних дождях, тем более, что отряд князя Мухранского усиливается посланными к нему на днях 4-мя баталионами и одною батарейною батареей.

Между тем частным образом узнал я, что Омер Паша разсылает прокламации, которыми приглашает Имеретин и Мингрельцев присоединиться к Турции, обещая помещичьим крестьянам свободу, но в какой степени принимаются эти прокламации, я немог еще убедиться.

Об этом приемлю честь донести вашему сиятельству.

Генерал маиор Юрьев.

სსრკ შსს საარქივო სამმართველოს მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული არქივი, მესამე განყოფილების 1-ლი ექსპედიცია, № 23, ფურც. 17—18. დედანი.

## სარჩევი

გვ.

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

თავი I

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიული საფუძვლები . . . . . . . . . . . . . 16

თავი II

საქართველოს რუსეთთან შერთება. საბრძოლო თანამეგობრობის გაღრმავება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს . . . . . . . . . . . . . . . . 35

1. რუსეთის გავლენის ზრდა ამიერ-კავკასიაში. ირანელ-თურქ აგრესორთა შემოსევების ალკვეთა . . . . . . . . . 35

2. აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდით შეშფოთებულ ინგლისელ-თურქ დამპყრობთა აგენტურის გაძლიერება და დივერსიული ომების გაჩაღება კავკასიაში . . . . 54

3. შამილის თეოკრატიულ-მიურიდული სისხლიანი დიქტატურის ჩასახვა-გაძლიერება და მთიელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . 61

თავი III

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ზრდა მიურიდული მოძრაობის წინააღმდეგ 30-წლიან ბრძოლებში . . . . . . . . . . . . . . . . . . 80

1. მიურიდთა ცდები ცარიზმის კოლონიური რეჟიმით შევიწროებული მთიელების გადაბირებისათვის და მასების ბრძოლა მჩაგვრელთა ბატონობის დასამხობად . . . 81

2. ეპიზოდური ფურცლები საქართველოს გლეხობის გმირული ბრძოლის ისტორიიდან . . . . . . . . . . . . 97

3. ქართული საზოგადოებრივი აზრი შამილის მოძრაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 106

4. მტრის თავდასხმების გააქტივება და ქართული სახალხო სამილიციო რაზმების შემდგომი გაძლიერება. . . . . 113

თავი IV

საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება ყირიმის კამპანიისა და მიურიდთა დივერსიების პერიოდში 132
1. საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება ყირიმის კამპანიის დასაწყისში . . . . . . . . . . 132
2. კახეთში შამილის დიდი რაზმების ამაოხრებელი შემოსევა და მისი შედეგები . . . . . . . . . . . . . . 152
3. ინგლის-თურქეთის ჯარების დამარცხება ყარსში და ომერ-ფაშას ლაშქრის განდევნა სამეგრელოდან . . . . . 159

თავი V

მიურიდული მოძრაობის განადგურება და კავკასიის ომების დამთავრების ისტორიული მნიშვნელობა . . . . . . . 165

თავი VI

კავკასიის ომების გავლენა ყმა-გლეხობის მძიმე მდგომარეობაზე და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება საქართველოში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 176

თავი VII

ისლამის ბნელეთის მოციქულთაგან გამოხსნილი მთის ხალხები ახალი ცხოვრების მოპოვებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე 191
დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 201
დანართი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 207

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ო. გ ი ო რ გ ა ძ ე
ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა
კორექტორი თ. მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 4.6.1955; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწ.
დასაბეჭდად 29.11.1955; ქაღალდის ზომა $60 \times 92/_{16}$;
ქაღალდის ფურცელი 7,5; საბეჭდი ფურცელი 15,0; საავტორო
ფურცელი 12,76; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 12,96;
შეკვეთა 1036; უე 07661: ტირაჟი 2000
ფასი 8 მან. 50 კაპ.
ყდა 1 მან. 50 კაპ.

10 მან.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5

ფასი 10 მან.

**Автандил Павлович Иоселиани**

ИЗ ИСТОРИИ БОЕВОГО СОДРУЖЕСТВА РУССКОГО И ГРУЗИНСКОГО НАРОДОВ

(На грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР

ТБИЛИСИ — 1955